

**შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

**თბილისი
2023**

ალექსანდრე ორბელიანი

**თხზულებათა
სრული კრებული
სუთ ტომად**



ტომი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით პროექტის „ქართული ევროპეიზმის სათავეებთან – ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეულის გამოსაცემად მომზადება“ (FR-19-7480) – ფარგლებში

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებანი

ტომი II

პუბლიცისტური

და

კრიტიკული

წერილები

1840-1869

თბილისი

2023

სარედაქციო კოლეგია

მაია არველაძე

ჯულიეტა გაბოძე

ნინო ვახანია

ელისაბედ ზარდიაშვილი

როსტომ ჩხეიძე (მთავარი რედაქტორი)

მაია ცერცვაძე

თამაზ ჯოლოგუა

ტომის რედაქტორი

მაია არველაძე

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, სამეცნიერო აპარატი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს

ჯულიეტა გაბოძემ და ნინო ვახანიამ

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნიკოლოზ ულენტი

ISBN 978-9941-9865-3-6 (ალექსანდრე ორბელიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-9865-5-0 (II ტომი)

© შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი (2023)

ღამიჯალა



გამომცემლობა
სამშობლო

თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90



ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
უცნობი მხატვარი

ბუ გაიჩევა ის წიგნი ყაზანისი? — ხუხუაძე წამოვიტანე იო
ლოდი ვის ისტორია და ჰუაჩე იმისი აშქუთი წინ, უკანაქუ
ა, ~~არა~~ ხე იმ ვის ისტორია ~~არა~~ აშქუთი, ის ყაზან
ისი იმავად უმჯობესობას იმის იმავად. აი ყაზანისი. რაკ
უა ვადავუ ვ, ეს არაა. // ამის შესახად ერთად ვიწახ
— // მითხარ სსადა ამათით, ერთხელ ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
თით წამოვიტანე ვ, იმის და ჩუბს აშქუთი უცყუთ ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
სადა და წამოვიტანე, ყუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა} თხდა იყ- ჩუბისა
და არადა იმ წიგნის ყაზანისის წამოვიტანე ჩემისი აშქუთი.
ყ- ყუბს იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
არადა იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
და ყუბს იმ წიგნისი აშქუთი უადა იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
და ყუბს იმ წიგნისი აშქუთი უადა იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
და ყუბს იმ წიგნისი აშქუთი უადა იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}
და ყუბს იმ წიგნისი აშქუთი უადა იმ წიგნისი და, უა- უა- და და ვაჩუბს ~~არა~~ ^{არა} ~~არა~~ ^{არა}

თა. ვა. ვ. ვ. აჩუბ- ისინი

წიგნისი 1854 წლის.

ქ. ცოც- ისინი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი S-1634/6

სარჩევი

თ–დი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა.....	9...220
ნაპალიონი და მაშინდელი ანგლის მთავრობა.....	10...220
ქართულის ენისათვის.....	12...221
მონყალეო ხელმწიფე უფალო რედაკტორო, ივანე კერესელიძე!.....	15...223
თელავი.....	17...223
რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზედ.....	48...231
ორიოდე სიტყვა ყარამანიანის წიგნზედ.....	51...232
ქერივის ლიმონების განხილვა ანუ კრიტიკა.....	53...233
მე და ის.....	58...234
უფალო რედაკტორო კერესელიძე.....	64...236
ატლანტის უკეანეს ზღვაში ტელეგრაფი.....	65...237
სალაყბოს ფურცელზე.....	66...238
სიტყვა იტალიისათვის.....	68...239
ჩვენი საქართველოს საზოგადოება.....	70...239
უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში.....	74...241
უფალო რედაკტორო ი. კერესელიძე.....	89...241
ქართული უბნობა ანუ წერა.....	90...242
პასუხი დიმიტრი ბაქრაძესთან შესახებ იმისგნით მონწერილის წიგნისა	98...243
ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი.....	99...244
[პატივცემულო ქართველებო....].....	109...245

ქართველების ძუელი დრო გადმოსული ახლად.....	111...246
რედაქტორო უფალო ი. კერესელიძე!..	125...249
მაგიერი პასუხი.....	127...250
ზოგიერთი შემცნევა.....	132...251
„დართულს დართული“	151...253
ტოლუბაშობა.....	164...256
მოთმინებისაგან გამოსვლა.....	176...257
ვაი საქართველოვ.....	180...258
საქართველოს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და მე.....	182...258
ჩემ სტატიებზედ ძვირის ხსენება.....	191...260
ძვირფასო ანტონ ნიკოლოზის ძევ ფურცელაძე!.....	193...261
[ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა] წინასიტყვაობა.....	195...262
შენიშვნები და კომენტარები.....	215
ტექსტისათვის.....	217
საძიებლები.....	265

**პუბლიცისტური
და
კრიტიკული წერილები**

თ-დი ალექსანდრა ჭავჭავაძის ლექსებისა

ერთხელ ვკითხე თ. ალ. ჭავჭავაძეს სხვუდასხუა ლექსების ქების ჩვენს ლაპარაკში.

– „კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხუავეთ და სხუა სუბუქი ანუ ლბილიწყობით რომ მიეცით, საიდგან შემოიღეთ ამგუარი მოლექსეობა?“

იმან სიამოვნით გალიმებულმა მიპასუხა.

– „სწორეთ გეტყვი ჩუენი ბლიაძეებისგან შემოვიღე (მესტვირეებისაგან). კარგათ იცით, მე ბევრ ფრანციულ ნიგნებსა ვკითხულობ. ჩვენს მესტვირეების მარტივ უბედობას ევროპიული სიამოვნება მივეცი და აქიდგან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“.

თ. ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

15-ს აპრილს 1840 წელსა. ქ. ტფილისს.

ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა

მე ამათ დანვრილებით განსჯაში არ შევალ, ამიტომ რომ ვინცა ნაპალიონისა და მაშინდელი ანგლისის მთავრობის გარემოება იცის ისტორიით თუ სხვა ზაპისკებით, მალე მიხვდება იმათ საქმეს.¹

ნაპალიონის დროს მაშინდელი ანგლიის მთავრობა დაუძინებლად ცდილობდა მთელს ევროპაში ნაპალიონის დათრგუნვას და უსაფუძვლოს მიზეზებს აძლევდა წინააღმდეგობისას. ვინაიდან მაშინდელი ანგლიის მთავრობისათვის საშინელი შეიქმნა ეს საკურველი კაცი, ამისათვის ორში ერთი უნდა ყოფილიყო, ან ნაპალიონი და ან მაშინდელი ანგლიის მთავრობა, და ამისათვის ესე ძლიერნი მეტოქენი დიდათ ცდილობდნენ ერთმანეთის დაცემას. პირველი თავის ძალით და საკურველის გონებით მოქმედებდა, მეორე ფულით და საიდუმლოს პოლიტიკით; პირველისაგან მთელი ევროპა ძრწოდა შიშით და ადვილათაც ბრძანებლობდა მათზე, მეორე კი მთელის ღონისძიებით მთელს ევროპას უმეგობრდებოდა და ნაპალიონს ქვეშ უთხრიდა. უკანასკნელმა დასძლია; მაინც ასეა: პირდაპირ კაცს, თუნდა დიდი გონიერება ჰქონდეს და ბევრი დაკლებაც შეეძლოს, ბოლოს წინააღმდეგი ცბიერი კაცი აჯობებს, ნამეტნავად თუ ფულის შემწეობა აქვს და დახარჯვასაც არ დაიშურებს.

მეორე უბედურებამან, ფრანციიდგან, რომ გაიყვანა ნაპალიონი, მივიდა და პირისპირ ანგლიის ზღვის პირზე დადგა? მოინადინა ვითარცა დიდსა და დიდსულოვანსა ანგლიას ენვიოს სტუმრად, რომელმაცა კიდევ სთხოვა. მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ ნაპალიონის წინადადება სიხარულით მიიღო² ბევრის კარგის დაპირებით, მაგრამ თვითონ კარებს უკან დაემალა შეუკდიმათ, და იქამდისინ რომ მივიდა, უსირცხვილოთ სტაცა ხელი ნაპალიონს და სამწუხაროს კუნძულში გადაადგო უბრალოს ღენერალისავეით ჰყრობილად. ამ უკადრის საქმეს არ დასჯერდა მაშინდელი ანგლიის მთავრობა; იმ საშინელს კუნძულშიაც არ ასვენებდა და სიმწუხარით აცხოვრებდა, მაშინ როდესაც რომ პირველ ნაპალიონის დროებში ანგლიამაც კონსულობა დაუმტკიცა ნაპალიონს და თუ მართლა იმის სიცოცხლე აღარ უნდოდა ან ღენიალნის კაცის

¹ მე აქ ინგლისელი ფუკსის მართებლობას არ გაურევ, ამისათვის, რომ იგი მშვიდობასა და ნაპალიონის მეგობრობას ეძებდა და არა კაცობრიობის სისხლის დაღვრას.

² ანგლიის ხომალდის კაპიტანი ასე დაჰპირდა ანგლიის მაგიერათ, რომელმაცა ხომალდში მიიღო ნაპალიონი

სიკვდილის შემდეგ მიწერ–მოწერა რომ შეექმნათ ფრანციასა და ანგლიას იმის გვამის გამოტანაზე, ანგლიამ იმპერატორათაც უწოდა ნაპალიონს. აქ ცხადათ ჩანს, ანგლიასაც გულში აღიარებული ჰყოლია იმპერატორად. მაშასადამე, მას საშინელს კუნძულში როგორ დააპყრობილა, ანუ მწუხარებით და სიმწარით როგორღა აცხოვრებდა უბედურებაში???

როდესაც ხელში ჩაიგდო ნაპალიონი მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ, და თუ მართლა იმის სიცოცხლე აღარ უნდოდა, სჯობდა მოეკლა. ღერცოლ ანგენსკის სისხლში; თუმცა უსამართლო იქნებოდა, მაგრამ მაინც მიზეზათ დაიდებდა და თუ იმის სიცოცხლე უნდოდა? თავის ღირსების გვართ უნდა მიეღო და ისე ურიგოთ არ მოჰქცეოდა.

როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს მაშინდელი ანგლიის მთავრობა დიდი კაცი იყო, ისე იმის უბედურების დროს მცირედი სული შეიქმნა, როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ საკურველი ხასიათი გამოიჩინა! ისე იმის უბედურების დროს უხასიათო შეიქმნა. როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს ნაპალიონის დათრგუნვა უნდოდა მაშინდელ ანგლიის მთავრობას და შეურიგებელი მტერი იყო! ისე იმის უბედურების დროს წყნარის მწუხარებით ჰკლამდა ნაპალიონს. პირველი ქცევა ანგლიის მთავრობისა დიდს პატივს ეკუთვნის და მეორე სიმდაბლესა.

ნაპალიონის ბედნიერების დროს ისტორიის მაღალი ხარისხის პირი შეიქმნა მაშინდელი ანგლიის მთავრობა და ნაპალიონის უბედურების დროს ისტორიის ხარისხი სულ დაკარგა. და დასასრული რა იყო? ნაპალიონი ისევ უდიდეს! და უსაკურველეს! ნაპალიონათ დარჩა!.. მაგრამ მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ სულ აღარაფერი სახელი დაიგდო.

თა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი
3–ს ივნისს 1944–სა წელსა ს. კაზრეთს.

ქართულის ენისათვის

ჩუენი სიტყვიერება დიახ ვრცელი და მდიდარი ენა არის, გარდა ამისა, მუსაიფობის დროს დარბაისლობაში, მეტი დამტკობელია ყურის სმენისათვის, ასე, რომ სულამდისინ ჩაიჭირება ხოლმე იმისი ძალი. მიჯნურობაში ხომ რაღა უნდა ითქვას! მოლალური, იადონი და ყოველნი გაზაფხულის მოხმაურნი ჩიტები იმ ორთ უბნობაში, ვითა დაუშტვენენ, ყოვლის სინაზის ნეტარებითა და ამ დროს ესე მოტრფიალენი, ვითა ჰკრეფენ, ყოველს კეთილს, ყოვლის კეთილიდგან გადმოზნეულს, მაგრამ ამ ტკბილს ენას, როდესაც შფოთი შეხვდება ხოლმე, მაშინ სხვა არის; მაშინ მეტად იცის თავის გამოჩენა და განძლიერება. ერთის სიტყვით, მოიხსენეთ, რომ ყოვლისფრით სრული არის ჩვენი ენა, მაგრამ უპრაკტიკოთ¹ გდია.

ჩვენს ახლანდელს ნერაში, ანუ ლაპარაკში, მხოლოდ ამის მეტი ნაკულულოვანება არა არის რა, რომ ზოგიერთსა სიტყვებს არა ვხმარობთ, მაგალითად: იგი, ან, უკეთუ, ვითარცა, უკვე, ნუთუ, რამეთუ და სხვანი, მაშინ, როდესაც რომ იმერელნი და მთიელნი ყოველს სიტყვას ხმარობენ და საუცხოვოთაც მოდის იმათი ლაპარაკი, მხოლოდ იმათ ლაპარაკში ეს არის ნაკულულოვანება, რომ მთიელებსა ბრტყელ-ბრტყელად გამოაქვთ სიტყვა, იმერლებსა მკვახეთ და ჩვენ დამნიფებული, მაგრამ ამისი გემოვნება აღარ ვიცით ჩვენა.

ვინ იცის უუძველესა დროში, რომელსა ლაპარაკსა, ანუ გამოთქმასა ამზგავსებდნენ ჩვენი წინაპარნი: მთიელსა თუ იმერულსა? მგონია უფრო მთიელსა? ამისათვის რომ, იმერლებსა ოსმალური გამოთქმა აქვსთ და ქართველებსა – სპარსული, რომლებსაცა უწინდელს დროში მოდათ² ჰქონიათ თავადთ, აზნაურთა იმათი ენა: იმერლებსა – ოსმალური და ქართველებსა – სპარსული, ეს ამას ნიშნავს: იმერლები ოსმალეზზედ ახლოს მდგარან, ქართველები სპარსელებზედ და შეერთებაც ხშირი ჰქონიათ ერთიერთმანეთთან, მაშინ, როდესაც რომ მთის სიმაგრეებში და იმათ მთებამდისინ ველარ მიხნეულან ვერც ერთნი. კარგმა მცოდნემ რომ გამოიძიოს ეს საგანი, კარგი იქნება.

ვინც კარგათ იცის ჩვენში ენა და კითხვის დროს ყურადღებით გაიგონებს იმის სრულსა ძალსა, ეგონება: სიამოვნებაში მიმოვიარები და იმის საუკეთესოს უცხოებით ვკმაყოფილებოდები, თუ წასაკითხად ასე კარგად იქნება, ლაპარაკი უფრო საუკეთესოთ გა-

¹ საბა ორბელიანის ლექსიკონის მნიშვნელობით: სეფური.

² საბა ორბელიანის ლექსიკონში მოდა ნიშნავს: ნარუქი.

მოვა, ოღონდ პრაკტიკა შეუდგეს ამას.

ძველი მსწავლულების ქართული წიგნები და ახლანდელი ბევრი წამიკითხავს, რომელთათვისაცა ყურადღებით მიმიპყრია სრული ჩემი გონება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე სიტყვიერება მეტი საუცხოვო არის: ძველი და ახლანდელიც. ჩვენმა მწერლებმა, როგორც უნდა წერონ, უწინდელი მსწავლულების სიტყვიერებაზე, თუ ახლანდელზე, ორივე კარგი იქნება, მაგრამ მიკვირს მე, ზოგნი ერთნი რათ ამბობენ: ძველებური წერა სხუა არისო და ახლანდელი სხუაო; ვითომ ძველი მწერლობის წერა აღარ ვარგოდეს და ახლანდელი, – დიახ, კარგი იყოს.

ახლა ვიკითხავ: ძველებური მსწავლულების წერა და ახლანდელი რა გვარია?

ძველებური მსწავლულების წერა არის სიტყვიერებით სავსე, უნაკლულო და მაღალი, მაგრამ ვინც კარგათ არ იცის ქართული, ვერ გაიგონებს და მდაბალ ხალხთათვისაც ბნელია. ახლანდელი წერა არის მდაბიური, ესე იგი: როგორც ვლაპარაკობთ და ყველასთვის ადვილი გასაგონია გასაგებია. აქ ჩუენს ქვეყანაში ორგვარი მწერლები არიან ახლა, პირველები მისდევენ ძველი მსწავლულების წერასა და მეორეები მდაბიურსა. ამ ორ გვართა მწერლებთა შორის არის ცილობა, პირველები თავიანთსას ამჯობინებენ და მეორეები – თავიანთსას, მამასადამე ორივესათვის არის გზა გახსნილი და ერთმანეთის დასაჯერებლათა, შეუძლიანთ ერთმანეთზედ კრიტიკა (დაფასება) დაწერონ უფლის ივანე კერესელიძისაგან ახლად გამოცემულს ჟურნალში, რომელსაცა საფუძველი დასდევს, პირველად სოლომონ დოდაევმა და მეორეთ თავადმა გიორგი დავითის ძემ ქსნის ერის–თავმა. და ახლა ჩვენ შეგვიძლიან კარგი შენობა დავსდგათ, იმათ საფუძველზედ, მაშინ იმ ჟურნალში დავინახამთ, რა გვარი წერა სამჯობინაროა, იქ გამოჩნდება, რომლისაგანაცა უფრო და უფრო გამშვენიერდება წერა და ლაპარაკი.

ამის გარეისათ ამასაც ვიტყოდეთ აქა, რომ ყოველი ახლანდელი ქვეყნის ხალხი, ერთმანეთსა ჰბაძავენ ყოველს ფერში, ნამეტნავად სწავლაში და განვითარებაში, ჩვენმა ხელმწიფემ, დიდმა იმპერატორმა ინება, ჩვენი ჟურნალი გვქონდეს და ჩვენი ლიტერატურა დავადგინოთ, მეორეს მხრით ვიტყვი; აბა მივხედოთ, რომელს არა აქვს თავის ენაზედ თავის ჟურნალი? – ყველას! ჩვენსა ძმებსა სომხებს მაინც ვკითხოთ, რამდენს ჟურნალს დაგვითვლიან თავიანთ ენაზედ თავისას? – ბევრსა! მაშ ამ ჩვენს ძმებსა მაინც მივბაძოთ და უფრო სწორეთა ვთქვათ, იმათგან ვისწავლოთ ჟურნალების პა-

ტივი და ანუ რა სარგებლობა არის ლიტერატურა გონებისათვის.

ეს ამთენი მაგალითები გვიძევ წინა და ამის შემდეგ როგორ უნდა დავიყოვნოთ ჩვენის ლიტერატურისათვის? მართალია საზოგადოდ არ ითქმის უსურველობა, მაგრამ უფრო ბევრისაგან გამიგონია: „რა საჭიროა და ან რათ გვინდაო?“ მაშინ, როდესაც რომ ყველასა გვმართებს, დიდად ვეცადნედ და ჩვენი ლიტერატურა განვავრცელოთ, ვინაითგან მგონია დრო იყოს, რომ ჩვენზედაც ითქვას ხოლმე: „და იმათაცა აქვსთო თავიანთი საკუთარი ლიტერატურაო!“.

ეს მცირედი წერილი ამისათვის გამოიცა ასე ადრე, რომ ნავიკითხოთ რა არის ჩუენი ენა და ანუ რა ძალა აქუს, მაგრამ ყველასა ვთხოვ საწყენათ ნუ მივიღებთ: მეტად უსურველათა ვართ, ჩვენი მამაპაპის შენახულს ჩვენს ენაზედ, რომელსაცა რამდენიმე საუკუნოები, საშინელი მტრები სწენდნენ და იმათმა საშინელებამ ვერაფრით ვერ მოსპეს ჩვენი ენა, ჩვენთა წინაპართაგან. ახლა იმათი შვილები უსურველათ უყურებთ, ამ ორის თვის წინათ გამოცემულს განცხადებას და ხელის მომწერსთ სიას, ქართულის ჟურნალის რედაქციითგან, მაგრამ ხელის მომწერნი კი არა სჩანან მაგდენნი არც ერთის მხრითგან, არ ვიცით როგორ უნდა მოხდეს? თუ ხელის მომწერნი არ იქნებიან, რის ღონის ძიებით უნდა გამოიცეს ჟურნალი? და თუ ჟურნალი არ გამოიცა, რომლის საშუალობით გამშვენიერდება ჩუენი ენა, ანუ დაიდგინება? ამისთვის მოგინვევთ პატივცემულნო მკითხველნო! ზემოხსენებულს ჟურნალის სიაზედ ხელი მოვანეროთ და კიდევ ვეცადნეთ განვრცელებას, გარწმუნებთ რომ სასარგებლო იქნება.

ო.

მონყალეო ხელმწიფეჲ, უფალო რედაქტორო ივანე კარესელიძე!

ჩუენი სიტყვიერის მწერლებისაგან ვნახე ერთმანეთზედ კრიტიკა დანერილი ჩუენს ქართულს ჟურნალში, რომელმაცა ამ მიზეზმა მამცა მეც ეს წარმოვსთქო და გთხოვთ თქვენც დამიბეჭდოთ ეს მცირედი წერილი.

პირველი. კრიტიკა, — დიახ კრიტიკა და, რასაკვირველია, კარგი იქნება კრიტიკა, მაგრამ ჯერ თქუენგნით გამოცემულს ჟურნალს ცისკარს უნდა მისცემოდა სისქე პატიოსანთ შემწეთ და ხელმომწეთაგან და მას—უკან კრიტიკას შევსდგომოდით, რომლისათვისაც ყველას შევევედროთ ამისთვის, რომ მეტად პატარაა ჩუენი ქართული ჟურნალი და ამბავი აღარა დადგებარა ჩუენს ქართულს ჟურნალში, თუ ჩუენი საზოგადოება არ იქნება შემწე და არ მოაწერს ერთობ იმიერ ამიერნი.

მეორე. რასაკვირველია, ჭეშმარიტად, ჩუენს ქართულს ჟურნალს ჰქვიან ცისკარი და რით არის ცისკარი? — მხოლოდ სახელით, ვითარცა შაჰბუდალის ბალი? — თუ ეს ასე იქნებოდა, ნეტავი თავდაპირველ შაჰბუდალის ბალი დაერქმიათ ჩუენი ქართულის ჟურნალისათვის და არა ცისკარი, უფრო შესაბამი იქნებოდა და ჩუენი მოსაწონი ერთობ საზოგადოთათვის. ოჰ, რამთენს გავიცინებდით ამაზედ და არც მოსწყინდებოდა ის პირველი გამოცემული ქართული ჟურნალი. დიდი შეცთომილება არის, რომ ეს სახელი არ დაურქმევიათ და თუ ეს სახელი დაერქმიათ, უთუოთ ბევრნი მოვანერდით ხელს და ჩუენი ქართული ჟურნალი ორის ხელის სიბრტყე იქნებოდა ახლა და არც მოსწყინდებოდათ. ასე ვართ ჩუენ ქართველები: თუ ყოველი საქმე სასაცილოდ არ გავაკეთეთ, ვერას გავარიგებთ.

მესამე. ერთმანეთზედ კრიტიკას რომ სწერენ ჩუენი ქვეყნიერნი, მამ რატომ აღარ ვიცით ქართულად კრიტიკა რა არის? — კრიტიკას თარგმნიან: ზოგნი გარკვევას, ზოგნი დაფასებას, ზოგნი გაკიცხვას, ზოგნი განსჯას და ზოგნი გარჩევას. ოჰო! თუ ამთენი სახელი ჰქვიან ქართულად კრიტიკას, სწორეთ ვიტყვი კარგი დიდი და განიერი მაფრაშა ყოფილა, რომ ამთენი ჩუენი სახელი შიგ ეტევა. ახ! სად არის ერთი ძლიერი გმირი, ამ მაფრაშას წამოავლოს ხელი და მრთელი იმიერ—ამიერობა დაატაროს და ყველას აჩვენოს, რაც ამ მაფრაშაში აწყვია. ვინ რომელს სახელს მოინონებდა! — მაშინ იქნება ერთი რომელიმე სახელი ამოერჩიათ და იმისათვის დაერქმიათ სწორედ. კიდევ კარგი უცხო ქვეყნების ენები არ ვიცი,

თორემ იქნება მეც კრიტიკასთვის დამერქმია რამ სახელი და მაშინ ჩემი მახლობლები ხომ მეტყოდნენ, — «რაც შენი საქმე არ იყოს და არა გკითხონ—რა, ნურას იტყვიო.»»

მეოთხე. პატივსაცემელო უფალო რედაქტორო! წრფელის გულთ გეტყვით, ბევრს მოსწონს თქუენი გამოცემული ჟურნალი და მეც იმათ შორის ვაქებ, ნამეტნავად ის თქუენი ძლიერი შრომა ქართულის ჟურნალისათვის, რომელიც მე ვიცი და არავინ სხვამ. ეს დიახ, მოსაწონია და საქებელი, მაგრამ უპირველეს შესავალსა ქართულს ჟურნალში, თქუენი ლექსი რომ იბეჭდება ხოლმე დიდროანის ასოებით და სხვებისა მცირედითა, მგონია ჟურნალს, ლექსებში არ მოუხდება ამ გვარი სხვა და სხვის ზომის ასოები? ეცადენით ისევ ერთი გვარი იყოს და არა სხვა და სხვა ასოები.

და **მეხუთე.** რახან ასე მოხდა და საკრიტიკოთ გავხდით ყველანი; თუ ჟურნალის გასქელებამდისინ მოითმენთ, დიახ, კარგი, თუ არადა, ნულარ დაზოგავთ ერთმანეთს და კრიტიკებს მოჰყევით ერთმანეთის წერილებზე. ესეც დიდი სასარგებლო იქნება და ეკალზედ ვარდი აღმოსცენდება.

თ. ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

თელავი

შენიშვნა: ეს თელავის აღწერილობა როდესაც დავწერე, მინდოდა მაშინვე დამებეჭდინებინა ცისკარში, მაგრამ რო ავწონე, მომეტებულად მეჩვენა მაშინდელის ცისკრისათვის და ამისთვის დავავდე აქამდისინ: იქნებ ღმერთმა ინებოს და ჩვენს ცისკარსა ხელი მოემართოს, ჩვენი საზოგადოს შემწეობითამეთქი. ახლა ვხედავ სურვილი მრავლდება ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ლიტერატურის წარმატებისა და გავრცელებისათვის და უფროს კიდევ ღმერთსა ვთხოვოთ, რომ მოგვემატოს სურვილი ამისათვის, რადგან დიდი სასარგებლოა ჩვენი საზოგადოებისათვის ჩვენი ქართული ლიტერატურა, მკვიდრად შენახული ჩვენი მამაპაპისაგან, რომელიც ახლა ადღეგძელას ჩვენი ხელმწიფე, ის ყურს გვიგდებს და მოწყალეთ არის ჩვენზე.

ერთს მცირეს კარგს ადგილს ნახავს კაცი, როგორ მოეწონება, როგორ უაღერსებს იმ ბუნებას და როგორის კმაყოფილებით განსცხრება იმაზედ.

აბა, მივხედოთ თელავს, იმის მდგომარეობა გავჩხრიკოთ. ეს მომალლო ვაკე ადგილი ლამაზ მერხსავით მოყვანილი. *მერხი არის გრძელი და მრავალ სასხდომელი სკამი.*¹ იტყვიან: ედემსა და სამოთხესა! მოვიდეთ კახეთს და თელავის ქალაქის გადასახედავის სიმაღლედაგან, ჯერ პირისპირ კავკაზიის მთისაკენ მივიხედოთ ჩრდილოეთისაკენ, მასუკან მიმოვიხედოთ, ოთხსავ კუთხივ რაგვარს ბუნებას დავინახავთ.

თელავია მაღალს ადგილზედ პატარა ქალაქი, გაშლილი ქვიშიან, წვრილ ქვიანს და ვაკეზედ საშუალის შენობით მოფენილი თავის ეკლესიებით, თავის ქუჩა-ბაზრებით და ყოველი სავაჭრო მიმოისყიდება თელავის მცხოვრებსა და გარემო კახელებზე.

თელავის შენობას დიდრონი ყვავილები და ხეები ჰფარავს, შიგა შიგ ამოსულები. თელავის ქალაქი მეტად მდიდარია საუცხოვოს წყაროებით, სხვადასხვას ადგილებში გამომდინარე და ჰაერი უკეთესი აღარ უნდა ინატროს ადამიანმა, როგორც თელავისა. ასე გასინჯეთ, რაც უნდა ავდარი მოვიდეს, არც აგრე რიგად ტალახი იცის. ჩემის აზრით, კარგი გასაძლისი ადგილია თელავი, თუ ერთი პატარა მდინარე წინ ჩამოუდიოდეს თევზით სავსე. ეს დიდად საჭიროა საქართველოს ქალაქებისა და სოფლებისათვის. ამ ხსენ-

¹ საბა ორბელიანის ლექსიკონში ნახე: მერხი ანუ სკამი.

ეზულს ქალაქს, წინ უდგას ჩრდილოეთის მხრისაკენ ოთხი გალავანი ქვიტიკრისა თავის ბურჯებით, მაგრამ ზოგიერთი კედლები ჩამოქცეულია თვინიერ მეფეთა მესამე გალავნისა, რომლისცა შემდგომად ითქმის იმ გალავნის ამბავი.

ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია დასავლეთის მხარეს, მეტად ძველია და არა აქვს სათოფეები დატანებული; ეს ამას აცხადებს, მშვილდ-ისრობის დროისაა. ამ გალავნის დიდი ხევის გამოღმით მეორე გალავანია, პირველს გალავნიდგან აღმოსავლეთისაკენ თავადთა ყორჩიბაშიშვილებისა, ეგრეთ ქვიტიკრისა, სადაც თვითინ დგანან ამ გალავანში. მესამე გალავანია მეფეთა გალავანი ეგრეთ აღმოსავლეთისკენ, კვალად ხევის გამოღმით, უფრო დიდი იმ გალავნებზე; უფრო მკვიდრი შენობა და უკან, სამხრეთისაკენ ლამაზი ასპარეზი უძევს. ამ მეფეთა გალავანსა იქით არის კვალად კედელი აღმოსავლეთისაკენ, მეოთხე გალავანია პატარა ხევის გაღმით, რაშიაც თვით პატრონები დგანან, თავადნი ვახვახიშვილები. *ხსენებულთ* ორთა გვართა ამათ, თავად ყორჩიბაშიშვილებსა და ვახვახიშვილებს, მოსაწონად უნდა ჰქონდეთ თავი, რომ თავის გალავნებში დგანან და იქიდგან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონს ბუნებას. *რა ბძანებაა, სასუფეველიც იქიდგან დაინახება და ღვთის დაარსებული საკვირველებაცა!.. აქ, ამ ადგილს უნდა განყდეს ამის ლაპარაკი, მაგრამ რადგანაც დასასრულებელია ეს წერილი, ამისთვის ისევ უნდა მოვყვეთ და შევუდგეთ ამას.*

ოთხი ეს გალავანი დგას ერთს ხაზზედ მალლობიდგან გადამჭვრეტელი დაბლა პირმიმართული. ჩრდილოეთის კავკაზიის მთისაკენ, სადაცა ამ ოთხს გალავნებსა მას დგანან საკუთარსა სახლებში ზოგიერთნი თელაველები და სცხოვრობენ წესისამებრ.

ქალაქ თელავის უკან სამხრეთის მხარეს შეივლის *გაკაფული*, ახლად ამოსული წვრილი ტყიანი ვრცელი აღმართი; ამის დასასრული არის აშლილი ტყიანი მაღალი ცივის მთის ნაპირი, ლამაზი ღელეებით და ხევებით ჩამოსული, საითგანაც ერთს რომელსამე თელავის მაღალის ადგილიდგან (რომ ეძებოთ, იპოვნით), საამოდ ჩანს ის წვრილი, ტყიანი აღმართი და ის აშლილი მაღალი ტყიანი ცივის მთა ხომ რა საკვირველია.

ამას აქ თავი დავანებოთ და კვალად დავინყოთ პირველიდგანვე: პირველი გალავანი რომ ვთქვი, იმ გალავანში არის ძველი ეკლესია წმინდა გიორგისა, ადრე ქართველებისა ყოფილა, შემდეგ მეფის ირაკლის მეორის, განჯიდგან რომ სომხები მოსულან თელავში, იმ გალავანში დასახლებულან. მეფეს ირაკლისაც ის ეკლესია იმათ-

ვის უბოძებია, სადაც ძველად მეფეები მდგარან და ძველი ქალაქიც იქ ყოფილა. დღესაც იმ გალავანში რამდენიმე კომლექსი დგანან: მითამ შეჭვარვიან იმათ სიმაგრესა.

თავად ყორჩიბაშიანთ მეორე გალავანშია კვალად ძველი ეკლესია ღვთაება უცვალელებისა. იტყვიან, იმ ეკლესიის ხატისას, ანჩისხატის პირიღვთისას გვანდეს. *თუმცა პირიღვთისა მეტი სიძველისაგან კარგად არა ჩანს, მაგრამ რაოდენ თვალის დაკვირვებით გაეჩხრიკე, მეც ეგრეთვე ვამზავსე.*

მეფეთ მესამე გალავანში აღმოსავალ ჩრდილოეთის გალავნის კუთხესთან არის ეკლესია კარის ღვთისმშობლისა, მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიაც ვარაყმერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფეს ირაკლის შეუწირავს, თავის პირველი შვილი ვახტანგ რომ გარდაცვლილა, ფხეიძის ქალთან ნაყოლი, იმის დანარჩენი ნივთები გაუყიდვინებია; იმის ფულით ეს კანკელი მოუტანინებია მოსკოვში გაკეთებული, საუცხოვოს ეკლესიის ხომლებით და ამით დაუშვენებია ის ეკლესია. ამავე გალავნის კუთხესთან ბოლოს, კუთხესთან, სამხრეთის გარედგან ზედ მოდგმულია სომხების ეკლესია, თელეთის წმინდა გიორგისა. ამასა ჰყავს ბევრი მლოცავი და ღამის მთევლები. ამ გალავანშივე მეფეთ სასახლე ყოფილა ქვიტკირისა. ახლა დაქცეულია მხოლოდ სალხინოს მეტი და წინოთახებისა. აქვეა ქვიტკირით ჩატანილი გვირაბი, გალავნის ძირს ქვევით ჩრდილოეთის მხრისაკენ. ამაში გამოსდის მშვენიერი წყარო, მეტად კარგი სასმელი და ავსებს ქვიტკირის აუზს. იქიდგანაც გარეთ გავა მიწაში. მე რომ ამ მეფეთ სასახლის ნახვა მოვიწოდომე, თავად მიხეილ ქობულიშვილმა წამიყვანა, შემდეგ ჩემმა ნათლიმამამ, ჩემი სიძის ძმამ და მთელი გალავანი დამატარა, არამც თუ მხოლოდ ეს გალავანი, თელავის მიდამო ადგილები და სხვა გალავნებიც იმან მომარონია. ამ მეფეთ სასახლის სანახავად რომ წავედით, მივედით და აღმოსავლეთის მხარეს, მეიდნის ნაპირისაკენ, გალავნის კარები შევიარეთ, რომელშიაც მომცრო გაშლილი მოედანი დაგვხვდა. იქვე, კარებთან, გამწვანებული მოლით და დასასრულზე ის ეკლესია, ზევით რომ ითქვა. ჩემს მარცხნივ მხარეს იყო მეფეთ პატარა შესაქცევი წალკოტი, გალავნის კედლის ძირში. ამის გვერდით ის მეფეების სასახლე. მარჯვნივ მხარეს რომ მოვიხედე, გალავნის მაღალი კედელი დავინახე, ამათ შუა ის პატარა მინდორი საუცხოვოდ მოხდენოდა. ეს თელავი და ეს გალავანი ორჯერ თუ სამჯერ მინახავს, მაგრამ ფიქრში არ მომსვლია იმის ასე გაჩხრეკვა. ამ მოხდენილს, პატარა მინდვრის შუაში რო მივედი,

მცირე ხანს დავდეგ და მიმოვიხედე, ჩემთვის სასიამოვნო ანბავი მომაგონდა და ვიცი, არავინ დამძრახავს აქ გახსენებისათვის.

მეფე ირაკლი აქ, თელავში ბრძანებულა, ერთს დილაზე საქართველოს დიდი კაცნი, თავად-აზნაურნი შეყრილან ამ პატარას მინდორზე და ყველანი მეფის გამობრძანებას თურმე ელოდნენ, ნაცვლად მეფის ირაკლისა, *იმისი შვილი, ყმანვილი ქალი გამოსულა თოფით, ბიჭურად ჩაცმული*; გალავნის კედელზე მჯდომ ჭიკჭავისთვის უსროლია თოფი და თავი გაუგდებინებია ტყვიით. ამის მნახველთ ერთპირთ უთქვამთ ყველას. — „ნეტავი ღმერთს ებრძანებინა, ეს ყმანვილი ქალი, ბიჭად დაბადებულიყო“. ამის ბიჭურად ჩაცმის მიზეზი რაც იყო 1846 წელსა მარტის თვესა დაიბეჭდა „კავკაზის“ გაზეთში.

ამ დროს იმ თავადებში ერთი მოხუცებული ონანაშვილი ყოფილა ლუარსაბ, იმათ პასუხად ამას უთქვამს. — „ლეკვი ლომისა სწორეა, ძუ იყოს გინდა ხვადიაო“. თურმე ლექსი მეფეს ირაკლის გაეგონა, მაშინვე ფანჯარა გაეღო, გამოეხედა და ებრძანებინა: — „ის“ ლექსი ვინა სთქვა. მაშინვე მოეხსენებინათ. ირაკლისაც ამის პასუხად ეს ეთქვა „მზგავსი ყოველი მზგავზსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. მეფეს ირაკლის ეს ლექსი უთქომს სიტყვის მოსასწრობად. *მხოლოდ იმ ლექსის პასუხია და არა ისტორიაში კუთვნილი ჩასანერი. მხოლოდ შექცევისთვის.*

ამ ანბავში ერთი ყმანვილი კაცი მდგარა იმ თავადებში, რომელსაცა გულით და სულით ჰყვარებია ის ყმანვილი ქალი. ამ ამბავს დიდის სიამოვნით მოვიგონებდი მე ამისთვის, რომ ბოლოს ჩემი დედმამანი იყვნენ ორნივე ისინი.

თავადთ ვახვახიშვილების გალავნისა რალა ითქვას? — იქაც არის ეკლესია ნათლისმცემელისა, სადაც გადასახედავში ერთი გადაკიდებულსავით სახლი არის, რომლისამე ვახვახიშვილისა, წინ გძელის და განიერის ფიცრის სარბენით. *საიდგანაც გადასჭვრეტს იმ ზევით თქმულსა განსაცვიფრებელს ბუნებას.* ნეტაი იმას, ვინც ეხლა იმ სახლში დგას მხოლოდ იმ ბუნებისთვის, ამ სახლის სარბენიდგან რა თვალს გადაავლებთ, დასავლეთის მხრიდგან აღმოსავლეთისაკენ. თვალისმოდევნებით დაინახება შორიდგან წამოსული ორასი ვერსი მეტი კავკაზის მთა: იმისი დიდი მედიდურება! იმის სიმაღლეზედ შორს განუელი, გადაჯაჭვული, სხვადასხვა ტოტველა და მოღერებული ბორცვქედები, თავისი ღრიღალო ღრანტეებით და ფრიალოებით. იმის შესავალი უღრმესი ხეობები, გაერთიანებული სქელის ტყითა და იმის მობურვილება. ამ თელავის

ქალაქიდგან, იმ კავკაზიის მთის ძირამდისინ რომ ვიანგარიშოთ, პირდაპირ ოცი ვერსი უნდა იყოს (ცოტა მეტ-ნაკლები არა იქნება რა). გაღმით კავკაზიის და გამოღმით თელავის უკან, აქეთ-იქით, ორსავე მხარეს, წასულია გატყევებული მთები ერთიერთმანეთზედ მიბმულები, სადაც ამ გაღმით და გამოღმით მთებს შორის გრძელი მინდორია და დიდად ვრცელიც. ამის გამო, ამ ბუნების მდგომარეობის კვალობაზე, ამას უნდა ვუნოდოთ, ამ ერთიანს ვრცელს მდებარეობასა ხეობა. ამისთვის, რომ გაღმით კავკაზიის და გამოღმით თელავის მთების შუა ეს მინდორი დაცემულია გასუფრულსავით. წარმოიდგინეთ, კავკაზიის მთის ძირებში და იმის ხეობათა დასასრულში კახეთის სოფლები, თავის ეკლესიებით, ერთიანს ამ მინდორზე მიმოზნეული მწვანე ხეები და აქა იქ მოდიდრონო კორომი და ვორომი ტყეები ხობებებით სავსე. ამ მინდვრის შუაში ალაზნის მდინარე განვლელად მომჩქეფარე დასავლეთიდგან აღმოსავლეთის მხრისაკენ, საიდგანაც იმ ღრმა ხეობებიდგან და გამოღმით ამ მთების ხეობათაგან გამოსჩქეფს მდინარენი. ზოგიერთის ხეობიდან მოდიდრონო და ზოგიერთიდგან უფრო მცირე, რომლებითაც ირწყვის კახეთის სოფლების ვენახები და აფუჩქენილებს იმათ, როდესაც საჭიროა და როდესაც არა, ჩასდის ალაზანსა. აქ, ამ ალაზნის გაღმით და გამოღმით ნაპირებზე მოსხმულია სოფლები, მაგრამ სულერთიან, კახეთის სოფლებს დიდრონი ხეები ჰფარავს და ძლივსა ჩანს იმათი შენობები. ამ მცირეს აღწერით, ამ განიერსა და უდიდეს ხეობაში კახეთის სოფლების მდებარეობა ასეა: კავკაზიის მთის ძირებში ერთი ხაზის სოფლები, მეორე ალაზნის გაღმით, მესამე გამოღმით აქეთ-იქით და მეოთხე, თელავის გძელს მთების ძირებში. აქ რაც დაინერა, ამ ბუნების მდებარეობა, მხოლოდ დაინერა, მაგრამ უნახავისთვის, მაინც ძნელია. აბა ცნობით მგრძნობელი, ამ ბუნების უნახავი მოვიდეს, იმ კარის ეკლესიის სამრეკლოზედ ავიდეს, ანუ ოთხი გალაგნის გადასახედავიდამ მიმოიხედოს, საითგანაც სრულებითა ჩანს აქ აღწერილი ბუნება, თუ მაშინვე არა თქოს: — „მეტი საუცხოვო რამ არის და გასამტერებელი!.. რა ბრძანებაა, მაღალი ღმრთისა იმ ბუნებას მოჰქცევიან ზედა ჭეშმარიტებასა კარგის ხელოვნებით კეთილად შეუზავებია, რაზედაც ქვეყნიერი სასუფეველი იხილვება და დაარსებული საკვირველება!... მგონია უკეთესი სანახავი ბუნება არსად არ იცის ხმელეთზე, როგორც თელავიდგან ეს ბუნება!..“ გარდა ამისა, წარმოიდგინეთ 14 ივლისის წინა დღეებში, კავკაზიის მთამ შემოირტყა ერთიანი ღრუბელი და მთელი კავკაზია დაჰფარა იმისმა ნისლმა.

14 ივლისის დილაზე ფანჯარაში რომ გამოვიხედე, ვნახე უღრუბლო კავკაზია და ჰაერი წმინდა, რომელსა ზედაც გადაკვირიო, შუა ზამთრეული თოვლი, საიდგანაც გამოკრთებოდა სითეთრე თოვლისა და იმის წმინდა სისპეტაკე. ეს სანახავი უფრო მოსაწონია, ვიდრე უთოვლო, ამისთვის, რომ ზევით, კავკაზიის მთაზე ზამთარი იყო და შუა მთიდგან ქვემოთ, ზაფხული და ბუნება სრულიად გამწვანებული. 14, 15 და 16 ივლისს ამ სანახავს ვუყუარებდი; ხშირად ავდიოდი იმ სამრეკლოზე, — განცვიფრებული მიმოვიხედებოდი და ხშირად ვიტყოდი: „გმადლობ ღმერთო! რა არ შევიძლიან, შენ. შენს საკვირველებას თაყვანს უნდა ვცემდეთ მონინებით და განკრძალული ვიყვნეთ შენის სახელის ხსენებაზე“.

აქ უნდა განყდეს ამის ლაპარაკი, მაგრამ რადგანაც დასასრულეებელია ეს წერილი, ამისთვის ისევ უნდა მოვყვეთ და შევუდგეთ ამას.

ჩემი თელავში ამჟამად ყოფნის მიზეზი ეს არის, რომ გათხოვილს ჩემს ქალს და ამის ქმარს, ჩვენს სიძეს, თავად დ. ქობულაშვილთან წამოვედით მე და ჩემი მეუღლე ეკ... სადაც ამ 1857 წელსა 29 ივნისს, საღამოზე შემოვიარეთ ქ. თელავი და ჩვენს მოყვრებთან გადავხვით ეკიპაჟით (ეტლით). გამეგონა ერთობ ჩვენი მოყვრების: მშვიდობიანი და კეთილი სახლობაო, მართლად ასეა, ნამეტნავად ბედნიერი და პატივისცემელი მოხუცი ოთხი ვაჟიკაცის შვილის დედა, ჩვენი სიძისა და სამთა სხვათასი... მთელი იმათი სახლობაა: მოთავაზენი, კეთილი, ჩვენ ქართველთ მამაპაპათ სახლეულობის ცხოვრების წესი წარმამიდგებოდა და მეტად მიამებოდა იმათ მაყურებელს.

ჩვენი მისვლის მესამე დღეს დავიარეთ თელავის პატივცემული გვამები და ესეც ასე დავასრულეთ. ამის შემდეგ მაგთენმა ხანმა აღარ გაიარა ჩვენი სიძის მესამე ძმას მიხეილს (ამისი სახელი ადრე ითქვა) მოვუნათლეთ მე და ჩემმა ერთმა ნათესავმა გაუთხოვარმა ქალმა თ... სამი თვის ქალი და მხიარული ჩვენი ნათლიდედა მ... იყო სტუმართ მასპინძელი. პირველად ამ ღამეს ვნახე თელავის საზოგადოება და მეტად კარგის გონებით დავინახე მე ისინი.

აქაური საზოგადოც მიქცეული ყოფილა ევროპულს შექცევად, როგორც ჩვენი ქ. ტფილისელებისა. თუმცა აქაურთა ქალთა ქართულად აცვიათ, მაგრამ უყვართ ახალი, კეკლუცი მორთვა და თავისთავის დაშვენება. არიან უფროსი ერთნი მშვენიერნი და ულამაზო მანც არავინ, არიან მხიარულნი და მომღიმარი სახის მქონე მარადის, არიან წმინდის, უმანკოს ხმით მოუბარნი და

მონარნარენი ნაზნი, არიან ვითარცა ქალს შეშვენის, გულმობილე-
ბი და კეთილი სულის მქონენი. თუმცა ევროპიულს გვარზედ მხ-
იარულნი არიან; ხოლო თავიანთსა ძველსა მიმოხვრასა და ნელსა
ქცევას გონებიდგან არა ჰკარგავენ. კურთხეულმცა არს მშობელნი
მათნი. ეს უნდა თქოს დედაკაცზე კაცმან. დედაკაცია განუსაზ-
ღვრელი პატივსაცემელი კაცისაგან. დედაკაცსა კაცი გარს უნდა
ევლებოდეს, უფრთხილდებოდეს, როგორადაც, საცოდავი ორ-
სული დედაკაცი, თავის აგებულებაში ყრმასა უფრთხილდება და
მძიმედ ზიდავს ცხრა თვე; ვითარცა კარგი მოლარე ძვირფასსა
განძსა სამძიმოსა. ოჰ! მშობიარობა მისი, რა საშინელებას შევადა-
რო! ის იმისი ტკივნეულება, რომ თავიდან ფეხებამდისინ, სრული-
ად უთრთის აგებულება და სიკვდილი გვერდით უზის, მაგრამ მაშინ
თავის სიკვდილისათვის სულ არ ნაღვლობს. ნაღვლობს იმისათვის,
რომ თავის ყრმასა არა ევნოს რა და მიაართოს მამას მშვიდობით,
რომელიცა კიდევცა ზდის დიდის ღვანლით. რავდენს ღამეს უთევს,
რავდენგვარად იტანჯება იმის აღზრდაში და სხვანი... ვინ მოსთ-
ვლის დედაკაცის მწუხარებას, იმის თმენას თავის სახლისათვის?
ვინ გამოსთქვამს დედაკაცის ლმობიერ გრძნობას, იმის გულმტ-
კივნეულობას, თავის ქმრისა და შვილებისათვის?

ეს აქ დაუფტოთ ამ კეთილ დედაკაცებთა შორის და ახლა მხ-
იარულებისა ვთქოთ რამე.

აჰა, დაიწყო სალამურმა ლეკურის დაკვრა, თან დაირა მისდე-
და და დიმიპლიპიტოც თავისებურად.

ჯერ ამ სამის დამკვრელისა უნდა მოგახსენოთ რამე. — ესენი
თელაველები გახლავან, ამათ უფროსს ჰქვიან „ყაზია“. (ნათლო-
ბის სახელი უთუოდ სხვა რქმევია). დაბადებით ყაზია უსინათლო
არის, მაგრამ თავისი ნიჭი თანდაუტანებია ღმერთს იმისთვის. ეს
უსინათლო მთელს თელავს, იმის გარემო ადგილებს, ასე დაივლის
ჯოხის წინ ბჯენით მარტო, რომ ერთი მცირედი ბილიკი არ შესც-
დება, რომელზედაც კი მოინდომებს წასვლას. მეორე, კაკლის ხე-
ებზე გავა, იმის მაგარ ტოტებს შემოუვლის და ხარიხითაც თურმე
ბერტყავს იმის დიდრონ ტოტებს. მესამე, ტყეში მიდის მარტო,
ტყის ბილიკებზე დადის, ტყის ჩინჩვარს მოჰკრეფს ცეცხლისათ-
ვის და ისევ შინ მოვა მარტო, თავის ხიზანში. ესეები სულ თელავში
მითხრეს, მნახველთაც დაამტკიცეს. მეოთხე, არის კარგი ზურ-
ნის დამკვრელი, დუდუკისა, სალამურისა, დაირისა და სპარსულს
გვარზედ მომღერალი, მაგრამ ჩვენი სოფლიური სიმღერებისა ხომ
რალა მოგახსენოთ. ისა და თავისი ორი ამხანაგი, სოფლურ სიმ-

ღერას რომ იტყვიან, უკეთესი ქართული სიმღერა არ გამიგონია. ყაზია და ერთი იმისი ამხანაგი, დუდუკზე რომ ხეურს დაუკრავდნენ და მესამე ამხანაგი ზედ დასძახებს, ეს ხმა უფრო საუკეთესო იყო ჩემთვის. მთელი თელაველები, ყაზიას სიცოცხლეს ღმერთსა სთხოვენ მარადის. ამათ ლეკური დაუკრეს. ყმანვილ კაცთა და მშვენიერთა ყმანვილთა ქალთა დაინყეს თამაშობა თვითეულად: უკეთესი ლეკურის თამაშობა აღარ იქნება, როგორც ესენი თამაშობენ და თავისთავს აშვენებენ ამით. მე მინახავს განსხვავებითი თამაშობა ლეკურისა. ორის ყმანვილის ქალის, ჩვენი მხრისა, რომელიცა თვალისათვის გასაშტერებელი სანახავი იყო, მაგრამ ეს არ არის ბუნებითი ლეკური, ეს უფრო გაკეთებულია. კახელი ქალების ლეკურის თამაშობა, წმინდა ბუნებითი ლეკურის თამაშობა; თვალისათვის მოსაწონი და სასიამოვნო, ამ თამაშობის შემდეგ რას ვიფიქრებდი, იმ სალამურზედვე დაუკრეს პოლკა, თან დაირა მისდევდა და დიპლოპიტოც ეგრეთ. ამაში გამოვიდნენ ყმანვილი კაცნი, ყმანვილ ქალებთან დაინყეს პოლკის თამაშობა, ისე კარგათ, როგორც ევროპიის განათლებულთა ყმანვილ კაცთა და ქაღთა. ვიფიქრე: — „ეს არის ამაზე დასრულდა ამათი ევროპიული თამაშობა მეთქი“ რა ბრძანებაა, მასუკან პოლკამაზურკა დაუკრეს, ესეც საუცხოვოთ ითამაშეს. მერე გროსვატრი და ბოლოს სრული მაზურკა. ჭეშმარიტად დიდად შეამებოდა იმათგან ევროპიული თამაშობა. ეს კიდევ უფრო უკეთესი იყო, რომ ქაღნი და კაცნი ასე კრძალულებით ექცეოდნენ ერთმანეთსა ევროპეულად, დიდ არისტოკრატის გვარად, რომ მართლად მოსაწონი იყო და საქებარი. ამას ხომ ვგრძნობთ, როგორი გულის გასამხიარულებელი და შესაქცევია ევროპიული დროს გატარება? — დიახ, კარგი და კეთილი, მაგრამ ახლა ეს უნდა ვიცოდეთ, თუ ევროპიელებსავით გონებისათვისაც ვიფიქრებთ და შევუდგებით ამას, მაშინ ვიტყვით — „თურმე ბედნიერება ეს ყოფილაო!“

ვახშმის შემდეგ დაიშალა მხიარული საზოგადოება, ყველანი თავთავისად წავიდნენ, მაგრამ ამათი არ გადაწყდა ამ ერთის შექცევით და კვალად განიძრახეს უკეთესი შექცევა, საერთოდ ბაღში. შეუდგნენ და დაუყოვნად გამართეს საერთო შექცევა, თავად რევაზ ვახვახიშვილის ბაღში, თელავის მახლობლად, ქვემოთ, სადაც ხეივნები და ნამეტნავად თალარი მოამზადეს სხვადასხვა ფერის შემკულობით. თუმცა ეს დღე ღრუბლიანი დღე იყო და საშვებელს სიგრილეში შევექცეოდით, მაგრამ ხანდახან მზე გამოკრთებოდა

ღრუბელს შუა და მცირე ხანს უკან ისევ ღრუბლებშივე მიეფარებოდა.

დილის მეთერთმეტე საათიდან, შუადღის შემდეგ, ორ სათამაღისინ იყო ზდილობიანს საუბარს გარდა, ხან ლეკურის თამაშობა ყმანვილ კაცთა და ქალთაგან, ხან სხვა და სხვა ევროპიული თამაშობა.

აჰა, შესრულდა ორი საათი, საზოგადოებამაც გაიწია სადილი-საკენ, მოშორებულს ხეივანში სტოლზედ დასასხდომად. ას სამოცი მეტი სული ვიქნებოდით ქალი და კაცი; თავადაზნაურნი, რუსის ჩინოვნიკები, თელავის მოქალაქეები; ყველანი ცოლებით და გასათხოვარი ქალებით. კარგი ეს არის, ეს საზოგადოება ერთიერთმანეთს არ თაკილობენ და თანხმობა აქვთ ურთიერთ შორის.

საუცხოვოს ქართულის სადილისა და სადღეგრძელოს ძახილის შემდეგ, კვალად დაიწყეს ხან ევროპიული თამაშობა, ხან ლეკური და ხან ყაზია თავის ამხანაგებით სხვადასხვა სიმღერას იტყოდნენ ხოლმე. მოქალაქის ყმანვილი ქალებიც ასე კარგად თამაშობდნენ ლეკურს და ევროპიულს თამაშობას, რომ არანაკლებ თავადის ქალებზედ. რუსის ჩინოვნიკის ცოლები და ამათი ყმანვილი ქალები ხომ გამაკვირვებდნენ კარგს ლეკურის თამაშობაზედ. ყველანი ერთპირად ამას ამბობდნენ, თუ ყაზია მოკვდა, ასეთი კარგი შექცევა აღარ გვექნებაო. ამისთვის ღმერთს ევედრებიან იმის სიცოცხლისათვის. მართალიც არის. ამას შემოუღია ევროპეული დაკვრა ჩვენს საკრავზე, თუმცა არა საუცხოვოთ, მაგრამ მაინც კარგია.

ამ ჩვენი შექცევით ყველანი კმაყოფილნი ვიყავით, მომეტებულს სიამოვნებაში შევედით.

ამ საუცხოვოს ქალებში, ერთი ორსული ყმანვილი ქალი იყო, მეტად მშვენიერი, თავად გ.ე. მეუღლეთ. ორივე ჩემი ნათესავი, რომელიცა ერთის ადგილიდგან მეორეს ადგილზედ ძლივს გადადიოდა დასაჯდომად და ამისთანა მძიმე მოძრაობა მეტად აშვენებდა იმას. ამ მშვენიერმა ქალმა, მამაგონა ჩვენი ძველი ქალები; ყმანვილქალობის იმათი მშვენიერი სახე და ჰაეროვნება. იმ ქალს, მშვენიერებას გარდა აქვს, დიახ, წყნარი და მშვიდობიანი ხასიათი.

მცირე ხანს უკან მოიგანეს ლოტო მორთულს ამ თალარს ქვეშ და გაშლილს სტოლზედ დაურიგა ერთმა ძველმა ქალმა, შემომნკრიებულთა თავისი ხნის ქალთა. ამ დროს ის მშვენიერი ქალი, ლოტოზედ მოშორებით იჯდა და ევროპეულს თამაშობას უყურებდა; შემოიხედა, ლოტო რომ დაინახა, სკამიდან წამოდგა, დიახ წყნარა, წამოსასხამი გარს მოიბურა მეტის სინაზით და მცირის

ნაბიჯებით წავიდა ნელიად. მივიდა და ამ ძველს ქალებთან დაჯდა სკამზე (ქართულად სელი). სტოლიდგან დარჩენილი ლოტოს ქალღაღადები აიღო, წინ გაიშალა და თავისი თეთრი, ლამაზი ხელები ზედ დაანყო გაშლილი და ცოტას ხანს ლოტოს ქალღაღადებზედ ენყო მეტის დაშვენებით. მინამ ფული მოიკრიბებოდა, მინაზებულის და მშვენიერის მოშაოს თვალებით, ზე აიხედა თავის საკვირველის ახედვით და თალარის ყურძნებს შეჰყურებდა სიამოვნის ღიმილით. ის ასეთი დასაშვენებელი ღიმილი იყო, რომ მხოლოდ იმის გაფურჩქვნილსა ბაგეთ და ლალისფერთა ბაგეთ ეკუთვნის ის ღიმილი. ამ დროს მე და ჩემი მეუღლე ეკატერინე ერთად ვისხედით დივანზე, იმისი მაყურებელი და ორთავ გვეამებოდა იმისი მშვენიერება. კარგა ხანი ვილაპარაკეთ იმაზე, ბოლოს ჩვენი ძველი ქალები მოვიგონე, იმათი მშვენიერება და ჰაეროვნება, რომ ამ ჩვენს ლაპარაკში ღრუბელს შუა გამოკრთა მზე, საიდგანაც თალარის ვაზებს ფოთლებსა შორის მზის სხივი ჩამოიჭრა; იმის გასპეტაკებულსა და კეთილის გულსა დაეცა, რაზედაც ბუდესავით რაღაც გამოისახა ოქროსფერი და სანატრელად გაეფინა ზედა, იადონის მოსალხინებელი სალხინო.

მე კახელი ყმანვილკაცების რაღაებიც გამეგონა, რომელსაცა ამასაც, ამ გავგონილს ამბავსაც (ურიგო ქცევა) აქ ჩავნერ ამ თელავის აღწერაში. იმათი მაყურებელი მე ბევრჯელ ვიტყოდი ჩემთვის, ეხლანდელი თავადების და კეთილშობილთ ყმანვილკაცების უზღველობა, ღვინის მსმელობა, ლოთობა, ურიგო ქცევა კახელებისა ბევრი გამიგონია, მაგრამ მე ამათში ურიგობას არაფერსა ვპოვებ, თვინიერ ზდილობასა, პატიოსნობასა და მართებულ ქცევასა მეთქი. მე მაინც გამოვიკითხე და ამისთვის სჯობია, რომ პირდაპირ ვუთხრათ. ამ რავდენის წლის წინათ თურმე კარგად არ იქცეოდნენ ზოგიერთები და ახლა ისინიც, როგორც ჩვენს მამაპაპას ეკადრება, ისე კარგად, მოსაწონად და საქებრად იქცევიან ყველანი. მართლა დიახ რა კარგი რამ არის წმინდა ზნეობა და კარგი ხასიათი. ეტყობათ, ჩქარა მოსულან ისინი გონებაზე: კარგი რამ არის წმინდა ზნეობა და კარგი ხასიათი!..

ამა მშვენიერსა ჰყავს საუცხოვო, თვალტანადი ქმარი და დიდათ უყვართ ერთმანეთი: მგონია ესენი სიყვარულს გლეჯენ და ზედ ერთმანეთს აყრიან ძლიერის სიყვარულით! ბედნიერებაა!..

ყველანი ერთობრივ ავივსენით კმაყოფილებით, საიდგანაც მომღიმარის სახით წამოვედით თავთავისად, ჩაის შემდეგ, საღამოჟამზედ. ამ შექცევის შემდეგ, ერთს დღეს კიდევ იყო საამისო

სიგრილე, დღე ღრუბლიანი, რომელსაცა სადილს უკან აღარ მამინ-
და ძილი და გამოველ სასიარულოთ, ვთქვი: საითკენ ვიარო მეთქი?
ამაობაში გავსწიე, თელავის ქვემოთ კურდღელაური სოფელი არის
სამასი კომლი მეტი, იმის ერთს რომელსამე ვენახთან მივედი და იმ
ვენახს გადავხედე ღობიდგან. ეს ვენახი მეტად მამეწონა; იმის ვა-
ზების მტევნებზე თვალი დავაკვირვე და ამას ვიტყოდი ჩემთვის:
„დაილოცოს კახეთის მადლი, ამის მარნეულის რტონი არ გამო-
ლიოს ღმერთმა ამ ნაყოფიერს მიწაზე, რომელთაცა მცხოვრებთ
აძლევეთ კარგსა სარჩოს და ყველანი კმაყოფილნი ვართ იმის
მონყურვილებით, რა კარგი მადლია ამ ქვეყანაზედ, ეს გაფოთ-
ლილი ვაზები, იმაზედ ლამაზი, მარცვლიანი, შეკრული ყურძნები.
თუ ამ ეკლიანს ღობეზე შემეძლოს გადმოსვლა, მოვალ და მაგ შენს
ძირთან დავიჩოქებ კეთილმონინებით ვაზო, მაგრამ იმ დღეს ერთს
რომელსამე მარანში, წითელს დაწმენდილს ღვინოს რომ იღებდ-
ნენ ქვევრიდგან, წითელის თიხის ლიტრით და მეორე კაცი, იმის
დაძაფნულს წვეთებს, მუჭას რომ მიაშველებდა და იმითი ყელსა
იგემრიელებდა, ის წითელი სველი ლიტრა, იმ სავსე წითელის ღვინ-
ით მქონდეს თანა. ის ლიტრა მაგ შენს გამწვანებულს ძირში დამედ-
გას, მეორე მხრითაც, ერთი ხის კათხა მოეტანოთ და სავსე ლიტრის
პირზე მოაქციონ; თან ხის ტაბაკით სამხრის პურსა მოიტანდნენ,
ცხელის თონიდგან ამოყრილ-გამტკიცებულსა, თავის გემრიელის
ყველით და მომსუქნო მოხარშულის დედლის ქათმით, თეთრად გა-
კეთებული. ყოველს ამას, შენსა ძირში დავსდგამ, ჩემო სასურველო
ვაზო: ასე და ამ მდგომარეობით, შენსა ვაზსა მოვლოკენით, რომ
უმაღური არ დარჩე ჩემი. მასუკან იმ სამხრის გვერდით მოვიკეც
და მკვიდრად დავჯდები იმის პირისპირ, იმ გამტკიცულსა პურსა
გავტეხ შუაზე და იმის ცხელსა გულში ყველსა გავახვევ მაგრა. აბა,
ჩემო მეგობრებო! ამ დროს მოდით ჩემთან, როგორი კარგის, უხვის
გულით დაგიხვდეთ... რად გვინდა ვერცხლ-ოქროების სასმისები
და განსაცხრომელი სუფრა, რომელსაცა ანგერება თაყვანსა სცემს
და მონებს სიმდაბლით; ის სულ ამაოა და თვალის მოსატყუებე-
ლი, ეს ღარიბი სერობა არის ჭემმარიტი საგებელი გემრიელი, აქ,
ამ პურზედ, განისვენებს უხილავი მადლი ზეცისა და ფრინველები
განხიარებენ ამ მცირე სერობით. პირველ ნოესაგან კურთხეულო
კახეთო, მაშინ, როდესაც *რომ არარატზე*, დიდს მაღალს მთაზედ
დამყუდროებული იმ კიდობანიდგან თავი რომ ამოყო საშინელის
ლელვით გვემულმა ნოემ, პირველად კახეთის მხარე დაინახა, მოე-
წონა და თქო. — „იკურთხოს მხარე იგი, იმასაზე გაიფურჩქენ

ვაზნი კეთილნი, იმისაგან გამოიღებდეს ნაყოფი სატკბუნებელი, რომელიცა ლასტსა ზედან დაინურებოდეს სიტკბო მისი და მას დამდგარს ღვინოს სმიდეს ადამიანი: მას, სევდის უკუმყრელსა, მას ყოვლის მნუხარების განმაქარვებელსა. ვაზი იგი იყო, ადამისა და ევას შესაქცევი ნალკოტი, დასასრულ ღელვით ცდუნებულნი ვლიდნენ მას ნალკოტსა შიგა და მწარედ სტიროდნენ, ხოლო ნუგეშად მათ და ვიგონებდეთ მათ საცოდავთ, რათა ჩვენც ვერიდებოდეთ ურიგობასა. არა რა აღარა ჰქონდათ რა, თვინიერ გაფურჩქენილი ვაზისა და მის მტევნისა. ნუგეშობდნენ იმით, მინამ ანგელოზმან გამოჰყარნა მით და მიაქცევა ჯოჯოხეთად. ვაზი იგი აღმოეცენოს მას მხარესა, მოსაგონებლად ადამისა და ევასი, მათის საცოდაობისათვის, რათა კაცობრიობა ერიდებოდეს ყოველს ურიგობას, შემდეგ მათის ცთუნებისა“.

ეს ფანტაზია რომ დავასრულე, წინ წავდეგ და მცირე ადგილი გავიარე, აქ უცნაური ამბავი შემემთხვა.

შევხედე ერთი კაცი მიდიოდა, რალაცას სჭამდა, ჩემს მახლობლად რომ მოვიდა, ცხვრის ბეჭი ეჭირა, იმასა სჭამდა. როდესაც დამისწორდა, ბეჭი სრულად გაფრცქვნა და იმისი ძვალი ჩემს მახლობლად გადააგდო. მოველ, ის ბეჭი ავიღე და გავიხედე, ვნახე ქვეყანა ხმელეთი, მაგრამ იმისი კეთილი არა ჩნდარა ბეჭში და გავისროლე. ამ დროს ერთი ყვავი მოფრინდა, ნისკარტი დაავლო ბეჭსა და მალლა ფრენით წავიდა. სხვა ყვავმა რომ ეს დაინახა, გამოუდგა და დევნა დაუწყო. ბოლოს ხან ერთი ნაარმთედა იმ ბეჭს და ხან მეორე. მე ამისა მნახველსა გამეცინა და შემდეგ შორსა წაველ.

შევხედე ნიაღვრის რიყის პირზე, ერთი ადამიანის თავი ეგდო ძვალი. დავდეგ და გულშელონებულმა, კარგახანი ვუყურე. ამ დროს ერთი კაცი მოვიდა და მკითხა რას უყურებთ? მე ის თავი დავანახე. იმან შემომხედა და მითხრა: — „შე დალოცვილო რას უყურებთ, ერთხელ ჩვენს აგრე გაეხდებითო“ — მართალია, მაგრამ ვინ არის ეს საცოდავი? — „მეც არ ვიცი, მგონია ხევის ნიაღვარისაგან იყოს ჩამოტანილი. ზევიდგან“ — დიდი ხანია? — ადრე არ მინახავს, უფრო ამ ახლო ხანებში. ეს რომ თქო, გასწია და თავის გზაზედ წავიდა; მე მაინც არ მოვეშვი და დალონებული დავყურებდი. ბოლოს ავიღე, მივატრიალ—მოვატრიალე და ვთქვი. „ნეტავი შენ ადამიანის თავო, თუ შენის სიცოცხლის დროები კეთილად გაგიტარებია, ამისი მეტი არა გაგყვებოდა რა ამ სოფლიდგან. ნეტავი ვიცოდე, შენს სიცოცხლეში ეგ შენი თავი რას ფიქრობდა? — მაგ შენს თვალებს რა უნახ-

ამს და ან რა დროები? — ეგ შენი დაღრენილი პირი რას იტყობა? — ვინ იცის, იქნება შენ კაცი მოგეკლას? — საკურველი არ არის, იქნება ან მამა, ან დედა და ან ძმები დაგეხმოს! *შე ღვთის მტერო! მართლა საკვირველი არ არის, შე ბოროტო და მესისხლეო კაცო. რა წაილე ამ ამაო სოფლისაგან შენის ბოროტებით და მესისხლეობით. შე ბოროტებისაგან დაყმენდილ მგელო.* თუ მართლა ეს ასეა! მტერო მღმთაებისაო! აბა რა წაილე ამ ამაო სოფლისაგან შენის ბოროტებით და მესისხლეობით, შემოუსვენებელო და დაყმენდილო ბოროტებისაგან? გეგონა შენი დაუდგომლობა და დაუნდობლობა შენი სამკვიდრებელ, საკვირველი, გასაცხრომელი პალატი იქნებოდა, შენის დაბადებისა ეს სოფელი! ემანდ საწყალო, როგორი მოტყუებული ხარ ბოროტებისაგან. ახლა არც არავის ანუხებ და არც სწუხდები არაფრით. სად არის უწინდელი შენი გრძნობა, შემოიხედო და შენი ამაოება შენის თვალებით დაინახო: უწინ რა იყავ და ეხლა რა ხარ. *თუ მართლა ამისთანა იყავ, წყეულიმც იყავ და ჯოჯოხეთის ტარტაროსთა ღრჭენილს კბილებში ეჭიროთ შენი სული და მარადის ლოლნიდნენ საშინელის უწყალოების ტანჯვით.* ამასთან გაჯავრებულმა მოვიქნე, შორს გავტყორცნე და ერთის ჯაგის გვერდით დაეცა. ამ დროს ერთი გამხდარი ტურა გამოვარდა იმ ჯაგიდგან, იმ გაძვალეზულს თავსა პირი დაავლო და შორს გაიქცა, აი, ეს არის ჩვენი დასასრული ამ სოფელში. მიწაში ჩაგვდებენ, მატლები გვჭამენ და კარზე მხეცები — საცოდავია კაცობრიობა!...”

მე ჩემს გზას მივდევი, ამ შემთხვევათა ამ რიგზე ვწერ, როგორც ჩემს სიარულს შეშვენის. ვნახოთ ამ დასალონის ამბიდგან, რა აღწერა იქნება ახლა?

ქვემოდგან მოვდიოდი თელავისაკენ, ვნახე, ერთს გაფოთლილს ხის ქვეშ იხსდნენ მწვანეზედ, ათიოდ კაცნი და სამხარი გაეშალათ წინ. მე რომ დამინახეს, რაღაცა თქვეს ერთმანეთში, მასუკან წამოხტნენ და წინ მამეგებნენ ამ სიტყვებით: — „ჩვენ კარგად გიცნობთ ვინცა ბრძანდებით, გთხოვთ ინებოთ ჩვენთან მობრძანება, ჩვენი საწყალი სუფრა დაგვილოცოთ“.

ამ გულმარტივ, წრფელთა კაცთა, უარი როგორ ეთქმოდა, მიველ და კარგის გულით იმათ შუაში დავჯექე ამ სიტყვით: — „დიახ, კარგის გულით დაგილოცამთ სუფრას, მაგრამ მომატებული ღვინის დაღვეა არ შემიძლიან“. ერთმანეთის თანხმობით იმათ მიპასუხეს. — „როგორც თქვენი ნება იყოს, ისე შეექცით და ჩვენ კი ერთმანეთს დავხოცთ, ოღონდ თქვენ მოწამე ბრძანდებოდეთ, ვინ

უფრო ბევრს დავლევთ“. — „თუ რომ გინდათ მე თქვენში ვიყო, მაშ რაც გითხრათ, დამიჯერეთ. ბოლო დროს დიდი მადრიელი იქნებით ჩემი.“

— „ოღონდ ჩვენთან იყავით და რასაც გვეტყვი, დაგიჯერებთ“. დავინწყე.

— „თვითონ თქვენ მითხარით, რასაც გვეტყვი, დაგიჯერებთო, თუ დამიჯერებთ რაც გირჩიოთ, ამისრულებთ. — წელან რომ მითხარით: ჩვენ ერთმანეთი უნდა დავხოცოთ ღვინითაო; თქვენის მონობით, ვინ უფრო ბევრს დავლევთო. სწორე გეტყვით, მე ამისი შამეშინდა. რასაც ამას გეუბნებით, ქალაჩუნობა ნუ გეგონებათ. მომატებულს ღვინის მსმელსა კაცსა, ჩვენი მამა-პაპა ვაჟკაცს არ ეტყოდნენ და არც კაი კაცად ახსენებდნენ იმას. — იმას უძახდნენ მთვრალსა ლექსადა. ცუდსა კაცსა. ეს კი ნუ გეგონებათ, მე ღვინო არ მიყვარდეს და ამისთვის ვანბობდე, ამას. არა, მე დიდად მიყვარს ღვინო, ბევრჯელაც მთვრალი ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ჩემი თავი საზიზღარად მჩვენებია“.

ერთმა იმათგანმა აღარ დამაცალა და ამითი გამანწყვეტინა ჩემი ლაპარაკი.

— „შე დალოცვილო, თუ სიმთვრალე გეჯავრებათ, რაღათ დამთვრალხართ?“

— „მეგობრის გულისათვის და ამხანაგებში არ გამოვრჩეოდი.“

— „მაშ თქვენ რომ ამბობთ: ღვინო მიყვარს დიდათაო, რაღათ უნდა გიყვარდეთ, თუ სიმთვრალე გეჯავრებათ?“

— „ზომიერად მიყვარს და უზომოთ მეჯავრება. ორს თუ სამს თასს ღვინოს, ასეთის გემოვნებით დავლევ, უკეთესი სასმელი აღარა იქნება რა ქვეყანაზე ჩემთვის, მაგრამ რაკი ჩემი სმის საზღვარს გადავა, საზიზღრად მეჩვენება და უგემურად. მე ბევრჯელ მინახამს ჩვენი ახლანდელი დიდი სმა ღვინისა, რომელსაცა ვუნოდებთ ჩვენ „საკვირველსა ლხინსა,“ მაგრამ ამის ბოლო რა ყოფილა? — ზოგს პირიდგან ამოსვლია მომატებული ღვინო და კიდევაც უსომს, ზოგს ერთმანეთისათვის უცემიათ და თავპირი დაუმტვრევიათ, ზოგს ხანჯლით დაუჭრია ერთსა მეორე, ზოგი მხიარულებით გაგიჟებულა, ზოგი მშვიდობიანათ ყოფილა, ეს ასე გვგონებია, მითამ საკვირველი ღვინის მსმელი არისო, მაგრამ ესეც ღვინისაგან არის და არა თავის ხასიათისაგან. სულ სხვადასხვის სახით მინახავს, ამგვარი ჩვენი ლხინი და შექცევა. სწორედ გეტყვით: გაიჟების სახლს ემზგავსება ეს ამგვარი ჩვენი შექცევა. გარდა ამისა, რამდენი მაგალითები მომხდარა, ერთმანეთი დაუხოციათ სიმთვრალეში

და დამხრჩვალან კიდეც. აბა ღვინის ამბავს ვინ მოსთვლის, თუ ღმერთი გნამთ. აი რა გითხრათ: მომეტებული ღვინო კაცსა სთენთამს, აზარმაცებს და უთაურსა ხდის, ზომიერი ღვინო კაცს ამხნევებს, ყუათს აძლევს და აძლიერებს, მომატებული ღვინო კაცს ბოროტებას ასწავლის და ზომიერი კეთილსა, მომატებული ღვინო კაცს სიცოცხლეს აკლებს და ზომიერი უმატებს და სხვანი... ახლა, ამის შემდეგ, რასაც ვანბობ, მართალია თუ არა?“ ერთპირად დამემონნენ, მართალს ვანბობ ყველას.

— „გამიგონეთ ძმებო, თუ გინდათ, რომ კარგად შევექცეთ, როგორც მე გითხრათ და მოვიქცე, თქვენც მე მამყვეით, კარგს ღვინის გაჩვენებთ და ბოლოს მადლობელი იქნებით ჩემი“. ამაზედ დამეთანხმნენ და მასუკან ვუთხარ. — „დიდხანია სხედხართ?“

— „ეხლა ეს არის დავსხედით, პურიც არ გაგვიტეხია“.

სამხარს დავხედე; გრძელი ხონჩა შუაში გვედგა, ჩვენ გარს ვეხვიენით, ლამაზი შოთები მოემწკრიებინათ ხონჩაზე, შიგ აქა-იქ ცივი ქათამი ეწყო დაჭრილი; დათლილი ყველი ეგრეთვე და მწვანელი მიმოებინათ აქა-იქ კორომებათ.. ეს ამისთანა სამხარი საუცხოვო სანახავი იყო და სასიამოვნო. მეორე მხარეს რომ გადვიხედე, გულში ისარსავით მეცა: ოც თუნგიანი ტიკი დავინახე ღვინით სავსე, გულაღმა ნაქცეული, ფეხებამვერილი. იმის გვერდით დიდი ყანნი ეგდო და ამის მნახევმა მე უგემურათა ვთქვი. — „ყოველი ეს დიახ კარგი, მაგრამ ეს ტიკი და ეს ყანნი არ მამონს“ ერთმა იმათგანმა მკითხა: — „მამ როგორა ვნებავთ?“

— „ერთი გოზაური და ღვინის კათხა ხომ გემოებათ?“

იმათგანი ერთი წამოხტა, იქვე, მახლობლად იმის სახლი იყო, ორივე იქიდგან გამოიტანა. თურმე იმას ჰქონდა ეს სამხარი მათთვის მომზადებული.

მინამ გოზაურს და კათხას გამოიტანდა, მე შოთი გავტეხე, ყველანი დავლოცე კარგის გულით, იმათაც მე მამბაძეს და დავინყეთ ჭამა.

იმათში ერთი ღვინის მნდეღათ დაადგინეს. მე იმას ვუთხარ:

— „აბა ძმაო, კათხით დამალევიღე ღვინო“. — სამსე გოზაური აიღო და წითელი დანმენდილი ღვინო ჩამოანანწკარა მორაკრაკე გოზაურიდგან კათხაში. მეც საჩქაროთ ხელი მივაშველე ამ სიტყვით: — „დიდება ღმერთსა, ღმერთმა გაგიმარჯოთ ძმებო, ღმერთმა ნუ მოგაკლოთ ეს კარგი და პატიოსანი ღვინო კახელებს“.

— „ღმერთმა გადღეგრძელოთ. თქვენც ნუ მოგაკლოთ ღმერთის მონყალეობა“. ერთპირად მეც ასე დამლოცეს. ამასთან ავნიე,

ასეთი გემოვნებით დავლიე ეს წითელი საუცხოვო ღვინო, რომ მეგონა, ყოველმა კარგმა გემომ ჩაირონია ჩემს ყელში მეთქი. მასუკან ამ ჩემს ახალ ამხანაგთა ჩამოურიგეს; იმათაც ეგრეთის დალოცვით დალიეს, მარამ მინამ ისინი დაასრულებდნენ, მე ვთქვი:

— „ეს თქვენი ღვინო მეტი საუცხოვოა, ვინც კი ზომიერად დალიევს. ზომიერად დალიევა, გრძნობის მანუგეშებელი და აგებულობის სიმრთელეა. ამ თქვენის კარგის ღვინით, ბევრით წინა ხართ, ჩვენ სომხითელებზე და ქართლებზე გასამდიდრებლად, მარამ სწორედ გეტყვით, არ იცით ამისი პატივი“.

ეს ჩემი სიტყვა ეწყინათ და უკმაყოფილოდ დამინყეს ყურება. მე ეგრეთ მოვყევ.

— „რასაც მე გეუბნებით, არცერთი არ არის სანყენი; თქვენ ასე გგონიათ, ვინც უზომოდ დალიევს, ამ კარგის ღვინით დაითრობა, ის იყოს ამ ღვინის პატივი. — არა ძმებო, ეს კარგი ღვინო, გულის რევით, პირიდგან რომ ამოსდიოდეს კაცს, ამ ღვინის მიზეზით ერთმანეთი დახოცონ და სხვა საზიზღარი საქმეები მოახდინონ? — ჭეშმარიტად, ამ გასაშტერებელის ღვინის მოთხრაა და სრულებით გაფუჭება, რომლისაცა ფასი არ ვიცით ამისი. აი რა გითხრათ ძმებო, ეს თქვენი ღვინო არის, თქვენი გასასყიდი ძვირფასი განძი, საიდგანაც დიდი სიმდიდრე შემოგივიათ და ბოლოს სანატრელს კეთილმდგომარეობაში შეხვალთ, ოღონდ აიღეთ ამდენს უზომოს ღვინოს სმაზედ ხელი; შეუდგით ვენახების გამრავლებას და ღვინოების უფრო კარგად დაყენებას. გარწმუნებთ, თავის დროზედ არამცთუ რუსეთში, სხვა უცხო ქვეყნებშიაც ძვირფასად გაიყიდება, ეს მშვენიერი თქვენი ღვინო და ურიცხვს ფულს შემოგიტანს...“

ეს ჩემი ლაპარაკი ყურადღებით ესმოდათ ყველას. ამასობაში ღვინოც დალიეს თვითეულად და ბოლოს ჩემთანვე მოვიდა კათხა, მე ის ნახევრად დავასხმევინე და ვთქვი: — „თავის მსმელად მე უნდა გავკეთდე, სადღეგრძელოები პირველად მე უნდა დავლიო“. ყველას დიდათ ეამათ, ამასთანავე ჩემს მახლობლად ვინც იჯდა, იმის სადღეგრძელო დავლიე და ამისთვის ვთხოვე, მრავალყამიერ წარეთქოთ. ასე საუცხოვოდ წარსთქვეს გძელი მრავალყამიერ, მართლად მოსაწონად. ეს სადღეგრძელო ყველას ნაკლულ ნაკლული ვასვი, მაგრამ მხოლოდ ერთის მეტი სხვა მრავალყამიერ აღარ მითქმევინებია და დანარჩენი სხვა უმრავალყამიერო დრო, სულ ლაპარაკით გავატარებინე, მინამ სამადლობელი დაილეოდა და როდესაც დაილია, ესეც სიმღერით გადუხადეს.

ამ სადღეგრძელოს და მადლობას რომ მოვრჩით, მე ვთხ-

ოვე, კახური სიმღერა ეთქოთ „არალალი“. დაიძახეს ჩემი გულის სასიხარულო! ამ საუცხოვოს თქმა მოძახილს, ასეთ ბანს ვეუბნებოდით ერთობით ჩვენ, რომ უკეთესი აღარ უნდა. ეს იყო, კარგი, დიახ, საუცხოვო მომღერალნი და მეზანეი შეხვდნენ ერთმანეთს, საიდგანაც საუკეთესოდ გამოდიოდა იმათი სიმღერა.

ჩემით თერთმეტი ვიყავით, ყველას სადღეგრძელო თანასწორეთა სვეს, ნაკრულნაკრული და მე უფრო მცირე. თერთმეტი გძელი მრავალჟამიერ წარმოთქვეს, თერთმეტი ამის მადლობა და თერთმეტი სხვადასხვა სიმღერა თქვეს ერთიერთმანეთზედ უკეთესი: იმერული ღიღინები, ქართლური და კახური სიმღერა. უკანასკნელად ჩემი სადღეგრძელოს დაღვეის დრო რომ მოვიდა, უნდოდით სავსე ესოთ, მაგრამ მე უარი ვთქვი, მეც იმათში არ გამოვეჩვიე და ნაკლულ ნაკლული ვასვი ყველას.

ჩემი მადლობის შემდეგ, კათხა ავიღე ღვინით და საყოვლანმინდო ვთქვი: ახლა საყოვლანმინდო უნდა დავლიოთ და უკანასკნელი ეს იქნება მეთქი. იმათგან ერთმა მთხოვა — „გეცოდინებათ ეგ სიტყვა რათ არის შემოღებული ჩვენში?“ მე კათხა ძირს დავდგი და მოვეყვ.

— მეფე ირაკლი, დარეჯან დედოფალი, ზოგიერთი ბატონიშვილები ქალი და კაცი, ზოგიერთნი დიდი კაცნი, ზოგიერთნი თავად აზნაურნი მომავლებულა კახეთიდგან და *ნინონმინდელს სწევინა ნინონმინდას*. იმ ღამეს უცხო პურობა გადაუხდია და ყველანი იმასთან ყოფილან ვაშხმათ, სადაც უბრძანებია მეფეს გამხიარულება და თვითონაც აპყოლია იმათ. იმ დროს, იქ სხვა სიმღერა არა ყოფილარა, თვინიერ გალობისა და საუცხოვო წარსათქმელებისა: ყოფილა დიდი სიმხიარულე, ერთიერთმანეთთან გადაღვე გამმოღვევა და სადღეგრძელოები რიგზე შესაფერად. შუალამიდამ ბევრი დრო გასულა კიდევ, რომ ზრდილობიანი ღვინი ისევ ყოფილა და თავაზიანი სიმხიარულე. ბოლოს მეფეს უბრძანებია ნინონმინდელისათვის:

— „ჭეშმარიტად უცხო ღვინია, მაგრამ დრო არის, საკმაოა. კარგი ღამე გავიდა და სადღეგრძელოებსაც მოვრჩით, უბრძანეთ სუფრის აღება“.

პასუხი ნინონმინდელისა.

— „არა ჩემო ხელმწიფეო, მართალია ყველას სადღეგრძელო გეახელით, თქვენის ბედნიერებით და თქვენის მოწყალებით უცხო ღვინიც გადვიხადეთ, მაგრამ ერთი კიდევ დავგვჩა, ნება მომეცით ისიც გიახლოთ“.

მეფე ირაკლის რომ ნება დაურთვია, ნინონმინდელი ფეხზე წამომდგარა, ამას მეფე-დედოფალი აჰყოლიან და სხვანიც ფეხზე დამდგარან ყველანი. ამასთან ნინონმინდელს თასი მოუთხოვია, უტივრთავს; მოსამსახურესაც, მარჯვენა ხელში წითელი ღვინო დაუსხამს და მასუკან რავდენიმე სიტყვა უთქვამს.

— „ეს არის საყოვლანმინდო, ჩემო ხელმწიფეო ირაკლი. რადგან ჩვენი ქვეყანა წილხდომილია ღვთისმშობლისა, რადგან ჩვენი ქრისტიანობის მიზეზი ის არის და იმის საუფლისწულონი ვართ ჩვენ, ამისთვის იმისი მადლი, იმის მოწყალება იყოს შენს სახლზე მეფეო ირაკლი და ამ შენს ქვეყანაზე. იმ ყოვლანმინდას ვევედრები ჩემი ცოდვილის პირით: შენ შენი სახლობა და ეს შენი საქართველოს შვილები, რომელნიცა შენთან ღვრიან სისხლსა მარადის, განგაძლიეროსთ, ბედნიერად გამყოფოსთ და დღეგრძელობა მოგცესთ მრავალჟამიერ...“

ამ ნინონმინდელის სიტყვაზე მრავალჟამიერ წარსტქვეს მგალობლებმა გალობით და სხვანიც ამათ შესდგომიან სადღეგრძელოებს. „აი ძმებო, საიდგან არის შემოღებული ჩვენში ეს საყოვლანმინდო“.

ამ სიტყვასთან ფეხზე წამოვდეგ, სხვანიც მე ამყვენ, საყოვლანმინდო დავლიე კარგის გულით და კარგადაც დავლოცე ისინი. გძელი მრავალჟამიერის შემდეგ, სხვებმაც დალიეს.

მოგეცესთ ღვთის წყალობა, როგორიც კარგის დროს გატარება არის. ეს ამგვარი შექცევა, ამ შექცევით და ამისთანა დროს გატარებით, ერთობ მადრიელნი იყვნენ ჩემი, ამისთვის, რომ თუ შენ არ შეგვსწრებოდი, ბევრს ურიგობას ვიქმოდითო და ამისთვის მლოცავდნენ წრფელის გულით.

იმ ოცი თუნგის ტიკიდგან, სამი თუნგი ღვინო ძლივს დავგვლია და დანარჩენი პატრონმა წაიღო, მაშინ როდესაც რომ თუ მე არ შევსწრებოდი ზოგს დალევდნენ და ზოგი დაიღვრებოდა უბრალოდ.

აჰა რა განსხვავებაა მშვიდობიანს შექცევასთან ის სიმთვრალით შექცევა? კარგო გონებავ, ახლა შენ განიხილე.

ისინი ჩემი მადრიელნი, მე – იმათი, წამოველ ჩემს გზას და დაფიქრებული მოვდიოდი. ამ დროს რაღაც ყვირილის და გინების ხმა მომესმა, რომელმაცა იმ ხმას მივმართე საჩქაროთ, ვნახე ერთს ხის ქვეშ ასეთი შფოთი იყო კაცებისა, რომ თავპირი დაემტვრიათ ერთმანეთისთვის *მუშტებით* და უშვერის პირით აგინებდნენ ერთმანეთს. მინამ აქეთ იქიდგან კაცები მოეშველებოდნენ, ამ ორ

გაყოფილთა კაცთა, ერთმანეთი დაამსხვრიეს და ცხვირ-პირი კარგად დაუნითლეს სისხლით. ბოლოს შევიტყვე, ღვინის სმამი მოსვლოდათ ჩხუბი: არა მე მეტი დავლიე, არა მე მეტიო.

ახლა არ ვიცი ვისა ვკითხო, ის პირველი ჩვენი შექცევა უფრო კარგი და მართებული იყო, თუ ეს უკანასკნელი ერთმანეთის დამსხვრევა? კიდევ შენ განიხილე კარგო გონებავ.

თავმან თქვენმან, უცხოთ შევექცეოდით ჩვენ თელავში, პატივისცემა არ გვაკლდა პატივცემულ გვამთავან, *გვალხინებდნენ გულგაშლილი ესე კახეთის მებატონენი*. რომელნიცა იმ დროს იქ იდგნენ და არც უნათესაონი იყვნენ ისინი ჩვენი. ასე გაშინჯეთ, ერთმა აზნაურმა, არა მდიდარმა, ე. ი. ა. მ და ამისმა მეუღლემ ქ. გამართეს პურობა, სადაც სამოცდაათი სული ჰყვანდა მინვეული ქალი და კაცი. როგორც პურადობით, ისე მხიარულებით უნაკლულო იყო ყველა და თითქმის გარდამეტებული. ყოველი ჩვენი კმაყოფილება და სიამოვნება თელავში არასოდეს არ დამავიწყდება და გულის უბეში მექნება შენახული მარადის; უფრო მომატებულად ამისთვის რომ მეტად ზდილობიანად და მართებულად იყო, ყოველი იმათი დახვედრა.

კახეთის მებატონენი მამა-პაპის წესზე ცხოვრობდნენ, სახლში ჯერ ევროპიული არა მიუღიათ რა მაგთენი. მომწონს ეს იმათგან, ამისთვის, რომ თუ ევროპიული განცხრომა შეიტანეს, იმათებური შვება ცხოვრება, სრულებით დაილუპებიან, დიდ ვალებში ჩაცვივდებიან და მაშინ მშვიდობით იმათო ყმა და მამულო. კახეთის მებატონენი ამაზედ არ უნდა აჩქარდნენ, კახეთის მებატონეთ ჯერ შვილები ევროპიულს სწავლაში უნდა შეიყვანონ და იმათებურად გაზარდონ. *ამისთვის ზრუნავს ჩვენთვის განათლებული და გავითარებული ჩვენი მონყალე იმპერატორი რუსეთისა!* ამ სწავლით რომ შეისრულებენ გონებას, მაშინ შეუდგნენ ევროპიულ ქცევასა და ფიქრი ნულარაფრისა ნულარ აქვთ.

ამ წელიწადს დიდი მოძრაობა იყო ძლიერის რუსეთის მხედრობისა თელავში, ეგრეთვე ქართველებისა და გაილაშქრებდნენ კავკაზიის პირიქით დალისტნისკენ, დიდოელებზე, *რომელსაზედაც კავკაზზე ვადვიდნენ და იქიდგან ამბავი მოგვივიდა გამარჯვებისა*. საიდგანაც იმ საშინელის კლდიანის ქვეყნისაგან მოვიდა ამბავი *ამგვარად. მაგრამ თან ამასაც იტყოდნენ ხოლმე*. „გამარჯვება დიდი გვქონდა, მაგრამ წვიმა, ნუნუნუხი, სეტყვა და თოვლი მოუნყვეტელი დაგვდიოდაო. იყო ძნელი სიცივე და ყინვა, მაგრამ როგორც რუსეთის მხედრობას შეშვენოდა, ისე აიტანდნენ იმ ჰაერის

სიძნელეს ერთად ქართველების ჯარითაო“.

ამ შექცევით კარგახანი დავყავით თელავში, მე ხანდისხან წავიდოდი, ერთს რომელსამე გალავნის გადასახედავიდგან ვუყურებდი იმ საკვირველს ბუნებას და ამით ვსიამოვნებდი დიდათ. ერთს საღამო ჟამს წავედი, ყორჩიბაშიანთ გალავანი გავიარე, პატარა კარებში გაველ და გადავხედე. შორს აღარ, იქვე, კედელთან დავდეგ. მასკვან ერთი მოდიდო ქვა დავინახე კედლის ძირში, ჩემს მახლობლად, მიველ და იმ ქვაზე ჩამოვჯექ დაღალულსავით. აქ ეს უფრო მყუდრო ადგილია და ფეხიც ავრე რიგად არა ხვდება. ბოლოს მოვიდა დრო კავკაზიის მთის ძირში, სოფელს ყვარელს უნდა გავსულიყავით, სადაც იმ ხეობაში ციხე არის და რუსეთის მხედრობა დგას ერთად ქართველების ჯარით. ამ ქართველთ ჯარს ჰქვიან ქართველების დრუჟინა და ბრძანებლობს ამჟამად ჩემი სიძე, პოდპოლკოვნიკი კ. დ. ქობულაშვილი.

მეორე დღეს რომ ვაპირებდით წასვლას, ამის წინა დღეს ოთხივ გალავანი დავიარე. კვალად ქ. თელავი და ამის საისტორიო ადგილები, რომელიცა მოგითხრობთ რამდენსამე ამის ამბავს და ამით დავასრულებ ამ წერილს.

პირველ ქ. თელავის დამაფუძნებელისას აღწერს ვახუშტი ქართლის ცხოვრებაში ამას.

„ხოლო გულგულას ქვევით, თურდოს ხევის სამხრით არის თელავი, რომელიცა ჰყო კვირიკემ პირველ გამეფებულმა კახეთს და ჰერეთს სასახლე დიდი ვითარცა ქალაქი. ხოლო მისცვალა მცირედ მეცხრემან მეფემან არჩილ და განაახლა და ანცა არს ციხე და სასახლე მაგრობენ მას შინა.“

იმავე ცხოვრებაში ამბობს ვახუშტი, მარამ სხვა ფურცელში. „კვალად ამანვე ჰყო სასახლე თიანეთს სახელოვანი. ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისად და ჰერეთისად. განმდიდრდა კვირიკე და მოირჭმა ყოვლითურთ და ამისთვის ეწოდა მას დიდი კვირიკე, რომელიც გამეფდა ესე პირველად და ჰყვნა ესენი რომელნიცა დავწერეთ.“

იმეფა ამან წელი 20. მოუხდა ოვსთა მეფე ურდურე, მოაოხრა კახეთი, მაგრამ ოდეს შეება კვირიკე სპითა, იძლივნენ ოვსნი და მოკლეს კახთა ურდურე. ბოლოს ნადირობაში კვირიკეც მოკლავინმე ოსმა მონამა და ამითი იზღვია სისხლი თვისის მეფისა ურდურესი.

აქეთ 1039 წელსა კახეთის მთავრებთაგან, ანუ ქორიკოზად უკეთესად დავინახე მე ესენი: ვაჩე ქობულის ძე, სამუილ დონაუ-

რი, ნამეტნავად პირველი ფადალა არენმანელი და ბოლოს დიდი კვირიკე მეფედ.

ეს კვირიკე იყო ძე დავითისა, ქორიკოზის ფადალა არენმანელის ჩამომავლობა, რომელიცა ყველამ ვიცით ქართლის ცხოვრებიდგან. ეს ამბავი, ცნობილი, ძველის ამბავი დავუტეოთ და ახალსა გაუგონარსა მოვყვით, უფრო სასიამოვნო იქნება, ნამეტნავად ისტორიისათვის საჭირო.

ვინ იცის რავდენი რამ იკარგება კარგი და საუცხოვო ამბავი თელავისა, ანუ სხვა საქართველოს ანბები, ისტორიის შესავსებში. სადა არიან ჩვენი მოხუცებულები, მოგვითხრან ძველი ამბავი თელავისა და მისისტორიენიც ჩასწერდნენ თავის სახსომარში თითვეულსა იმათ ამბავს, რომ ათასი წლის შემდეგ ნაიკითხონ და იქიდგან გამოჰკრიბონ *სამეცნიერო* სწავლისათვის. აბა მითხარით, თუ ვახუშტი ქვეყანაზედ არ გაჩენილიყო, ქართლის ცხოვრებას ვინ დაგვინერდა, ვისგნით შევიტყობდით ქართლის ცხოვრების ამბავსა? *მგონია ვერავისაგან, მკვდარსავით ეგდებოდა საუკუნოდ როგორც წარსული. ვინ იცის, რამდენი ამბავი არის დაკარგული.* ქართლის ცხოვრებამ უცხო ქვეყნის მეცნიერთა დაანახვა ეს ქვეყანა: როგორც ჰაერით, წყალით, ადგილით, ისე თემნი, იმისი ერნი და რაც შეიძლებოდა ერთა ისტორია. მაშასადამე, მეცნიერთა ნიგნები შეივსნენ ჩვენი ქვეყნის ძველის ამბითა და სასწავლებლის ხარისხში შევიდა ჩვენი ქვეყანა საისტორიოდ. ამისი მიზეზი იყო ვახუშტი. ესეები შესძინა ვახუშტიმ ჩვენს ქვეყანასა. მამ ამისი სამაგიერო ვინ გადავუხადეთ *მადლობა* იმის შემამულებთა იმას? — ვინ დავუდგით კარგი ლუსკუმა იმის საფლავს? — ვინ ავუშენეთ სახსოვარი ძეგლი, იმ მისტორიეს ჩვენი ქვეყნისას? უმადურობავ და დაუმაღლებლობავ, ქვით დასაკრებო.

შევხედოთ განათლებულს ჩვენს დიდს რუსეთის სახელმწიფოს, როგორ ზრუნავს ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენის ქვეყნის ისტორიისათვის. უცხო ქვეყნის რომ რავდენი ამბავი იბეჭდება. ჩვენი ქვეყნის ისტორია და ჩვენ იმისი მოვალენი სულ არას დავდევთ, ასე გვგონია, გაციებულის გულით ვუყურებთ ჩვენზედ ღვანლს ამას რუსეთისას — სრულებით არა არის რაო. ნეტავი ვიცოდეთ, რომლის ნიჭის პატრონები ვართ და ან რა ღირსება გვაქვს? — არ დაიჯერებთ, რამთენიმე წელიწადია, სულ ამასა ვფიქრობ და ჯერ ვერ მიპოვნია. ჩემი გონების წერტი ახლა ამაზე დამდგარა და შეჩვენებული ველარ გავიცაღე. ოჰ, როგორ გიხარიათ. „უთუოთ ამაზე შესცდებოთ და ხელებგაკრულს გიჟების სახლში ნაიყვანენო“. ნე-

ტავი არ მინდა, ასე იყო. მაშინ თამაშას ნახავთ. გავიჟებული მე, რა სიტყვას დავინწყებ თქვენ ქართველებზედ. ჯერ პირველად ჩემზე და მასკვან ქართველებზედ, ქარაფშუტა ქართველებზედ.

ნუ გგონიათ ისტორიის დაწერასა ვემზადებოდე და ამისთვის ვლაპარაკობდე მე ამას, არა, ჩემი ლაპარაკი მხოლოდ ჩვენი საზოგადოებაა. შევიყვარებდეთ ჩვენს ენასა, ჩვენს ისტორიას და ჩვენ სხვებსა მივუთხრობდეთ ჩვენი ქვეყნის ძველსა ამბავთ, რადგან ჩვენ უფრო სწორედ შევიტყობთ. აი, როგორც ეხლა მე გითხრობთ მეფის ირაკლის მეორის ამბავს, მხოლოდ თელავისას, რაც შემიტყვია სარწმუნო პირთაგან. ისტორიაში ჯერ მოუხსენებელი. პირველი ამბავი მეფის ირაკლისა მეორესი. თვით ირაკლის თქმულსა ვიტყვი იმის სიტყვათ.

„ჩემს სიყმანვილეში ასეთი საშინელი ამბავი მოხდა საქართველოში, მეტი აღარ შეიძლება; მე ამას გულის წმინდით აღვიარებ ჩემს ცოლშვილში თუ მე არ მოვსწრებოდი, ერთს ქართველსაც ვეღარ ვიპოვოდით, სულ გათათრდებოდნენ.

თავი რომ ვიცანი, საქართველოს თვალი გადავაგლე, ვნახე სომხითი ოხრდებოდა; მთელი ქართლი ციხეებში და სიმაგრეებში იდგნენ. ქიზიყ და გაღმა მხარის კახელები სულერთიან გალექებული იყვნენ თავადაზნაურობის გარდა. თუ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ეკლესიაში შეგიმცნევიათ, ამბიონის მახლობლად, ერთ საფლავზე მარმარილოს ქვა არის დამტვრეული, რომლისაცა მიზეზი დამტვრევისა ეს არის. ზოგიერთ კახელებს პირობა მიუციათ ლექებისათვის: ქართლში წავალთ, ვეცდებით ქართლებების გალექებასო. მცხეთაში რომ მოსულან და ეკლესიაში შესულან, ის მარმარილოს საფლავის ქვა მეტად მოსწონებიათ და ცდილან აღებას: წავიღებთ და ერთ დიდ კაცს მივართმევთო ფეშქაშად, მაგრამ ვერას ღონით ვერ აუღიათ: გაჯავრებულს ერთსა გარედგან დიდი ლოდი შემოუტანია, დაუცია იმ საფლავის ქვისთვის და ისე დამტვრეულა, როგორც ვხედავთ ეხლა.¹ ამისი მიზეზი იყვნენ ოსმალოები, ამისთვის, რომ ქართლი მცხეთის ეჭირა და იქიდგან ცდილობდნენ დალისტნის აღელებას საქართველოზე. ამ საშინელების მხილველმა მე, ვეღარ მოვისვენე, რომელსაც ძილი რიგზედ აღარ მქონდა და აღარც მემამებოდა რამე.

ამ დროს ფშავში დახიზნულებით ვიყავით ჩვენ; სანატრელს მამა ჩემს მეფეს ვთხოვე, ნება მოეცა ჩემთვის, მახლობელს სოფელ-

¹ ეს ამბავი მითხრა თვით მცხეთის ეკლესიის დეკანოზმა იოსებ ბარ-ის ... (ვერ ამოვიკითხე -6. ვ.). თ ა ა. ჯ. ორბელიანი.

ში წავსულიყავი, მაგრამ განზრახვა ჩემი სხვა იყო, დაუყოვნად ალავერდში ჩავედი ორასის კაციტ და გაღმამხრელებს ლაპარაკი დაუწყე. გაღმამხრელებს მეტად ეამათ, მე ყმანვილი იმათ ვევედრებოდი, ქრისტიანობაზედვე მოქცეულიყვენ და არ გაღეკებულეყვენ, ამის გამო გაღმამხრელებმა ყური აღარ ათხოვეს ლეკებს, ამაზე ლეკები განრისხდნენ, გაღმამხარელებს რბევა დაუწყეს, რომლებმაცა აღარც ქიზიყი დაინდეს; ეს ამბავი რომ შევიტყვე, მაშინვე საიდუმლოდ კაცები გავეუგზავნე და მამა პაპის ვაჟკაცობა მოვაგონე: არასდროს მტრისაგან დაჩაგრული არ ყოფილან და ახლა ასე წამხდარან, ლეკების ყმები შექმნილან. ამაზედ გაღმამხარელები შეიყარნენ, ანაზდად ლეკებს მიუხდნენ და საჩქაროდ გაიყვანეს თავისი მამულიდგან. ამის გამგონემ მე დაუყოვნებლივ ქიზიყელებსაც შევეუთვალე ეგრეთივე სიტყვა, რომლებმაცა უარესი დამართეს ლეკებს.

ღმერთის მოწყალებით, კახეთი რომ განთავისუფლდა ლეკებისგან, მაშინვე პირველი თავადები გავეუგზავნე მამაჩემს მეფეს. კახელების მაგიერად ვთხოვე მობრძანება: თუმცა ჩემს დედ-მამას დიდად იამათ ეს ამბავი ჩემგნით, მაგრამ უნდოდათ თავის გვერდიდან აღარ მოვეშორებოდი. „ერთი შვილი გყყავს და განსაცდელი არა შეემთხვას რაო.“

ამ დროს მე თხუთმეტის წლისა ველარავინ ველარ დამიჭირა, რადგან ვხედავდი ტყვევნას, აოხრებას საქართველოსას. ამის შემდეგ სადაც ლეკის ჯარი გამოვიდოდა, დავხვდებოდი, რაც უნდა ცოტა კაცები მყოლოდა, არ დავერიდებოდი, მაშინვე შევებმოდი და ღმერთის განგებითაც ვაოტებდი იმათ ჯარს. *დღე არ გავიდოდა, ლეკებს არ დავხვედროდი.* ბევრჯელ დღეში ორ-სამ ომს გადვიხდიდი და ღმერთი ძლევას მაძლევდა. ერთხელ ერთ დღეს ოთხჯერ დავამარცხე ლეკები, მეორეთ ხუთჯერ. დიდად შევაშინე და შევაძრწუნე ლეკები. ზედატანებით ნადირშამ ოსმალოელები გარეკა ქართლიდგან და საქართველომ ქრისტიანობა დაიბრუნა, თორეკ უთუოდ გაათათრებდნენ მთელს საქართველოს.“

თუმცა ოსმალოელები გასულან საქართველოდგან, მაგრამ მაინც ოსმალოს ლეკის ჯარი გამოუყვანია ახალციხეში და ერთად შემოხვევიან საქართველოს *ოთხსავ კუთხით*. მაშინ მეფე თეიმურაზს და ირაკლის ქართლიც სჭერიათ ხელში ამ კახეთის მეზატონეთ. შექმნილა საქართველოში მეტი მოუსვენებლობა. გარედგან ოსმალო ლეკისაგან და შიგნით დიახ საიდუმლოდ ზოგიერთებისაგან. *ქართველებისაგან. ქართლის თავადებისაგან.*

წინააღმდეგ მეფე თეიმურაზისა, რადგანაც კახეთის მეფე.. ამ უკანასკნელს საქმის განსჯაში შევიდოდი, მაგრამ ეს საქმე ამ ქალაქს არ ეკუთვნის, ამისთვის ისევ მეფეს ირაკლის დაკუთრუნდეთ და იმისი ამბავი ვთქვათ თელავში. ამ საშინელების მნახველმა მეფე ირაკლიმ აღარ მოასვენა თავი აღარც დღე და აღარც ღამე. ვერა საშინელი ავდარი გზას ვერ შეუკრავდა, საშინელს მღელვარს წყალს რომ მიადგებოდა, არაფრით არ ჩააგდებდა, ჰკრამდა მათრახს ცხენსა და მკვირცხლად გავიდოდა. ყინვა იმისათვის საგოგმანებელი იყო და სიცხე მოსასვენებელი; საბნად ლეკური ნაბადი ჰქონდა, დოშაქათ ცხენის ყაჯარი და ბალიშად მაგარი ქვა. ბევრჯელ სამიოთხი დღე გავიდოდა, იმის პირი პურის ნაწილს არ ნახავდა. ბევრჯელ თვე გავიდოდა, ტანისამოსს არ გაიხდიდა, არც ფეხიდგან და არც ტანიდგან. დღეს ნახამდნენ, ალაზნის პირზე გაუჩნდებოდა უეცრად მტერს, ხვალ თუ ზეგ ოსმალოს სამძღვარზე და შემდეგ ვინ იცის, სად და სად, სიღნაღი, გორი, ტფილისი და თელავი ხომ ანგარისში აღარ იყო. ასე და ამ სახით უვლიდა ქართველებსა, როგორათაც კარგი მღვიძარე არწივი თავის ბუდეში თავის ბღარტებს, სადღა ჰქონდა რიგიანი ძილი მეფეს ირაკლის, სადღა ნებიერობა, სადღა განცხრომა და სადღა სიხარული. ესენი სულ საშინელს შრომად გადაექცა. საკვირველ ვაჟკაცს ქართველებსაც ამისთანა მეფე უნდოდათ, როგორათაც ვაჟკაცობით, ისე გონიერებაც არ აკლდა. ეს საკვირველი და მამულისაგან წამებული მეფე, სადაც კი მტერსა შახვდებოდა თავის ვაჟკაც ქართველებით, არათუ მხოლოდ დაამარცხებდნენ, არამედ ჩაჰყლაპავდნენ. ასე შეაძრწუნა და შეაშინა მტერი, რომ მარტო ირაკლის სახელის გაგონება იმისათვის საშინელება იყო, რომლისათვისაც ღმერთს ევედრებოდნენ იმის ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ქართველები. მარადის გარს ევლებოდნენ იმას, მარადის სულს გასწირავდნენ როგორც მამულისათვის, ისე ირაკლისათვის მამულის შემნახველის, ირაკლისათვის, საშინელის მტრებისაგან.

1755—სა წელსა მეფე თეიმურაზ თავისი შვილი ირაკლით თელავში ჰძანებულან; ერთი ქართლის მეფე და მეორე კახეთისა. ამ დროს იმათ იქ ყოფნაში ამბავი მოსვლიათ: „დიდი ომარხან ოცდაათი ათასის კაცით ყვარელის ციხეს შემოადგა და ყვარელელნი შიგ მომწყვედუენნი არიან“. გამგონი ამ ამბის, შორს დამნახველი მეფე ირაკლი მიხვედრილა ომარხანის აზრსა, რომელსაცა რამდენიმე კაცნი საჩქაროდ გაუგზავნია (დოუთალაბთ გარდა) მეფეს ირაკლის ყვარლის ციხეში. რამდენიმე საპალნე ტყვია—წამლით და

პირათ უბძანებია. ომარხან დიდის ჯარით შემოსდგომია ყვარლის ციხეს და ყვარელელნი ციხეში გამაგრებულან. ამას მე აქ მოკლეთ ვანბობ, თორემ ამბავი დიდი არის. მეფეს ირაკლის დაუყოვნად კაცები გაუგზავნია ყვარლის ციხეში და პირათ უბძანებია. „ნუ შეშინდებით, ახალი მისული არიან ციხეზე, ჯერ კარგად არ ექნებათ შემოზღუდული, ადვილად შეხვალთ ციხეში, მაგრამ კარგათ მამაცათ იყავით, ციხე არ გაატეხინოთ. ღმერთის შეწევნით მე მალე გამოვიხსნით.“

მართლა ახალ შემომდგართა არაფრის თანრიგი არა ჰქონია-თრა, რომელთაც გათენებისას ხმლებს ხელი მოუკრამთ. გაგზავნილთა კაცთა ციხის მხარეს ჯარის ნაპირი დაუმარცხებიათ და საჩქაროთ ციხეში შეჭრილან. *მაგრამ შემდეგ ასე შემოუზღუდა მს ყვარლის ციხე ომარხანს, რომ ფრინველიც თურმე ველარ გადააფრინდებოდა.* ომარხანს რომ ეს უნახავს მცირე ქართველებისაგან, რამეთუ ჯერმე იერიში მიუტანიათ, მაგრამ ვაჟკაც ქართველებს ყოველი იერიში დაუბრუნებიათ. ომარხანს იერიშით რომ ველარ აუღია, თავის ჯარიდგან ზოგი ალაზნის პირზე გამოუზავნია შესაკვრელად, ზოგი სოფლების მოსარბევათ და თვითონ დანარჩენის ჯარით ციხეს შემოსდგომია. თუმცა ყვარლის მცხოვრებთ მომატებული საზღო ველარ შეუტანიათ ციხეში და რომ მანამ გაფიცულან უკანასკნელ სიცოცხლემდისინ ომი გადებდათ და ნამუსიანათ დახოცილიყვნენ, ამ დროს ამ ამბავში უნახამთ ომარხან თავის ჯარით აყრილა და სწრაფის სიარულით წასულა. — მიზეზი რა იყო ამისი? ამის ქვეშ მოიხსენეთ.

შორს დამნახავს მეფეს ირაკლის რჩევა მოუხდენია, რომელთაცა ყველას ურჩევიათ ყვარელზე მისვლა და მეციხოვნელების გამოსხნა. მეფეს ირაკლის იმათი რჩევა უარსუყვია ამ სიტყვით.

— კარგად იცით, მეციხოვნელებს ბევრი ხანი გამაგრება არ შეუძლიანთ ციხისა, ამიტომ რომ საზღო არ ექნებათ და ახლავთ თუ ჩვენსას არ ვეცდებით, ციხეს აიღებენ, გალმა მხარეს სრულიად დაიჭერენ, მთელს დაღისტნელთ წვიმასავით მოუშვებენ საქართველოზე და მაშინ საქართველოს საქმე დასალუპი იქნება. ესეც ხომ კრგად იცით, მთელი ალაზნის პირები შეკრული აქვთ, თუ ამ ჩვენის ჯარით ნავიდეთ, ალაზანში არ გაგვიშვებენ. თუნდაც გავიდეთ, იცით, რომ იმ დიდ ჯარსა დავამარცხებთ ომარხანისას? — მაშ სათუოთ რაზე გავიხადოთ საქმე. თუ რომ დიდრონს ჯარებს მოლოდინებას დაუწყებთ, უთუოდ ციხეს აიღებენ და მასუკან სატირელად გაგვიხდება საქმე.

ამაზე ერთპირად ეკითხათ. — „მაშ რა უნდა ვქნათ ჩვენო ხელმწიფევ?“ — „თქვენ მე მამყევით, ნუ შენუხდებით და ღვთის შეწევნით არც ერთ ქართველის სისხლს მე არ დავღვრი, ასე დავამარცხებ ომარხანსა, იქნება, კიდეც შემოვიხვენიოთ. ოლონდ მოთმინებით იყვნენ ყველანი“.

ამ სიტყვაზე ყველანი გაშტერებულიყვნენ და დუმილით დამორჩილებოდნენ. ამასთანავე მცირედის ჯარით გაუნწვია, ქიზიყს ალაზნის პირზე ჩასულა, კიდეც ჯარი შემოუკრებია ქიზიყიდგან და ჭარის პირდაპირ ასეთს ადგილს დაუნყვია, რომ ჭარელთ ჰგონებიათ, ოცი ათასი კაცი ჰყავსო და ჭარის ნახდენას აპირებსო, მაგრამ მეფის ირაკლის განძრახვა სულ სხვა ყოფილა. შემთხვევისათვის ადრითვე თავის სამეფოდგან ჯარები მოუნწვია, რომელსაცა მინამ სხვა ჯარი მიშველებოდა, მანამდისინ... ამასთან თარეშის კაცები დაუხოციათ და ჭარის სოფლები გადაუნვამთ. ამ ამბავში ჭარიდგან ჩაფარი მისვლია ომარხანს. — „არ იქნა, მეფე ირაკლი ოცი ათასის კაცით ალაზნის პირზედ ჩამოვიდა, ჭარის სოფლებს აწვევინებს, სრულიად ჭარის ნახდენას აპირებს, თქვენი გზის შეკვრას და სხვა ჯარებსაც მოელისო“. ამის გამგონეს მაგთენი დღეები აღარ გაუტარებია, ყვარლის ციხეს შემოსცლია და სწრაფის სიარულით წასულა ჭარისაკენ. ჩასვლის უმაღ შერიგების კაცი გამოუგზავნია და მეფე ირაკლიც დიახ გონიერად შერიგებია. ომარხანის ელჩი საჩუქრით წასულა და დიდი მადრიელი გაუსტუმრებია. თელავს რომ ამოსულა მეფე ირაკლი, თავის მამა მეფე თეიმურაზ გადახვევია და ცრემლით უთქვამს. — „შვილო ირაკლი, ასიათასი კაცი რომ გყოლოდა, ისე ვერ გაიმარჯვებდი ომარხანზე, როგორც შენ ის შეაშინე“.

ჩოგნაობა ანუ ბურთაობა საბა ორბელიანის ლექსიკონში ნიშნავს: ჩოგანი — საბურთალი კავი. საბურთალი კავი ამგვარი იყო. ტარი ჰქონდა ერთი მკლავის სიგრძე, თავი კომბალსავით მოყვანილი, ბოლო ერთი მტკაველი მრგვალი ნიჩაბი და ამის ნაპირი ერთი გოჯი სიმაღლე მოვლებული გარშემო, რომლითაც ამით ბურთაობდნენ, ისე როგორც ალენერთ. იტყვიან, უწინდელი ქართველები ჩინებული ვაჟკაცნი იყვნენ, რასაკვირველია უთუოდ ასე იქნებოდა, ამისთვის რომ სულ ამ გამოცდილებაში იყვნენ, როგორც მტრისაგან, ისე შინაურობაში. ამხედრებულები ცხენზედაც ვარჯიშობდნენ და ხშირად, სადაც ძველსა ამბავსა იტყოდნენ ერთი მეორის ვაჟკაცობას და ამასთან ამისთვის ეს უკანასკნელი ამბავი ვთქვათ. როგორ?

ერთ დროს მეფე ირაკლიმ, დიახ გამოჩენილი პურობა გარდისხა- და თელავს, რომ თავის სალხინოში, რომელიცა ამოებისაგან ეხლა ოხერია გულის დასალონებლად და სულის შესავებად. სადაც გა- ლობა, სიმღერა და ღიღინი მხიარული სიხარულით გარდისდებო- და, წარჩინებულს ნადიმზედ.

ნადიმი დასრულდა, მე ამას ისე ვლაპარაკობ, მითამ მეც იქ ვყ- ოფილვარ. დასრულდა ნადიმი და მეფე გამობძანდა უცხოთ მორ- თული გარეთ: ნელზედ ნადირშას ხმალი ეკრა ძვირფასის თვლებით შემკობილი და საქართველოს გამოჩენილ ვაჟკაცთ გადახედა დი- დის სიამოვნებით, იმ ვაჟკაცთა, რომელთაცა ძლიერის მტრის დამარცხება არ უჭირდებათ. იმ გულოვანთ ამ დროს შეხედეს მეფეს ირაკლისა, ერთ საკვირველს მშვენიერს მომალლოსა, ლურ- ჯსა ცხენსა მოაფრინდა, ვითა შავარდენი ფრიალოსა და სადავე გაუსწორა რვა ლურსმით დაჭედილსა ცხენსა, რომელსაცა ამ ცხ- ენს ერქო შაისევან, ანუ საყვარელი ხელმწიფისა. თათრული სიტყ- ვაა, ეს ცხენი ქვემო ქვეყნიდგან მოურთმევიათ ორი წლის კვიცი და ასეთი ცუდი სანახავი ყოფილა, რომ მეფე ირაკლის რიგიანად არც კი შეუხედამს. ამ დროს ქიზიყის მოურავი იქ ხლებია, თამაზ და იმას მოუხსენებია, რადგან არ მოგნონთ მე მიბოძეთო. მიუცია, მაგრამ შემდეგ სრულ ცხენად რომ უნახავს, გაჰკვირვებია მეფეს. ეს ამისთანა საკვირველი ცხენი სად გომოვიაო, მოუხსენებია, ის თქვენი დანუნებული კვიცი გახლავსთ, რომელიც თქვენ არ მოგე- ნონათო, ამასთანავე გადმომხტარა და მეფისთვის მიურთმევია. ის ცხენი თურქმანის ქვეყნიდგან ყოფილა. მნახველთაგან გამიგონია „მშვენიერებით დახატულსა გვანდა ის ცხენიო, რომ მცირედ ნაკ- ლულევანება იმაში არა იყო რაო“. ამ ცხენს უზანგი ჰკრა მეფემ და ისეთი სიარული თუმცა თოხარიკი არ იყო, მაგრამ ნაბიჯი სიარუ- ლი დიახ ჩქარი ჰქონდა და ზედ მჯდომსაც არ ანჯღრევდა მცირედ.

თავმოსაწონებელი მეფის ირაკლის მცირე რაზმი უკან მისდე- ვდა მეფეს, დანკეპილი ორი ათასი, თუ მეტნაკლები საქართველოს თავადაზნაურნი, უცხოს დარახტულის და საუცხოვოს ცხენებითა, რომლებიც ათიათასს მტერსა არ დაერიდებოდნენ და შეუპოვრად შეუტევდნენ ვითა გავაზი გუნდსა ტრედისა. ყოველთ ამათ თვი- თეულად მარჯვენა ხელში თვითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარა- ყული და ზოგი სხვადასხვაფერათ დაჭრელებული.

ერთიანი ესე რაზმი თელავის ქვემოთ მინდორზედ ჩავიდა, ორს რაზმად გაიყვნენ ამ მდინარეზედ. ერთი ერთს მხარეს დად- გა და მეორე მეორეს მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებელი მინდ-

ორი შუაში დაიგდეს და თვითო ბაირახი თავთავის რაზმის თავსა მინაში დაურჭეს. მცირე ხანი აღარ გამოვიდა, ოქროთ დარახტულის ცხენით დედოფალი დარეჯან მობრძანდა სადედოფლო წითელ ხავერდის წამოსასხამით. ამას დიდი კაცების ცოლები ახლდნენ დარახტულის ცხენებით. თავის რძლები, თავის ქალები მოჰყვნენ თან ხავერდის წამოსასხამებითვე, ამათი წამოსასხამი, თუმცა ძვირფასობით დედოფლის წამოსასხამს არ შეედარებოდა არცერთი, მარამ მაინც საუცხოვო წითელი ხავერდის წამოსასხამი ესხათ ყველას. ანუ უფრო სწორეთა ვთქვათ, საწვიმრები. ერთობ ესენი ცხენიდან გადახტნენ, ამათთვის მშვენიერი დიდი ფანჩატური მოემზადებინათ. მივიდნენ მშვენივრად გაკეთებულს დიდ ფანჩატურში, შევიდნენ, სადაც წარჩინებულ სპარსეთის საფენზე დაბძანდნენ გამსკრიებული წყობით და დაუნყეს პირდაპირ (ჭვრეტა დასებს, რაზმებს, საწვიმრები ანუ წამოსასხამი გვერდზედ მოიქციეს) ყურება, რომელთაცა სხვადასხვა ფერი ფარჩის ტანისამოსი ემოსათ ტანზედ, მაშინდელს გვარზედ უცხოთ მორთული და მეტად კარგად შეხამებული, თავის ძვირფას თვალმარგალიტებით. ეს დრო იყო გაზაფხული, დღეც მშვენიერი. ამასთან მეფე ირაკლიმ იმ ოქროსფერი მოვარაყულის ჩოგნით წითელი სამოგვის ბურთი, პატარა ყმანვილის თავის ტოლა ჩოგნით აიღო და ჩოგანმობთამაშობით, შაისევანი ცხენი გაიგდო. დიახ სწრაფი გამქცევი, ორს რაზმებთა შორის, ვიზედაც თვალი ეჭირა ყველას, რომელს რაზმსა გადაუგდებსო ბურთსა. ჯერ კარგა ხანი ასე ათამაშა სხვადასხვის ნავარდობით, მასუკან პირველ რაზმსა შეუგდო ბურთი და შორიდგან შესტყორცნა. თვითონ თავის დიდკაცებით გამობრუნდა, მოვიდნენ და ესენიც ფანჩატურში დასხდნენ მსკრივათ, მაყურებელი ბურთაობისა.

მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი, ერთიერთმანეთზე გადათამაშებით, უნდოდათ მცირე მეორე მხრის ბაირახთან გაეტანათ და ამითი დარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერივნენ ერთმანეთში: ხან აქეთ და ხან იქით გადუგდებენ ბურთსა. ერთმანეთის რაზმის მხედართ, უნდოდათ ერთიერთმანეთისათვის მოეტაცათ ბურთი და როგორმე გაეტანათ თავთავის დანიშნულს მხარეზე. ესე იგი, პირველს მეორის მხრისაკენ და მეორეს პირველისაკენ. იბრძოლეს და იბრძოლეს, მაგრამ არა ეშველათრა. ვერა რომელმა ვერ გაიტანა და მზეც დაენვერა ჩასასვლელად. იტყოდნენო.

„— იმ დღეს ასე გაფრთხილებული იყვნენ მეზურთაღ მე-ჩოგენიო, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ისე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდეც ატრიალებდნენო, არც დასასვენებლად დამსხდარან მზის ჩასვლამდინო. ცხენების შეჯახება ხომ დიდი სირცხვილი იყო და ამის განსაცდელი რაღა მოხდებოდაო, მაშინ როდესაც რომ ერთმანეთში არეული მიაჭენმოაჭენებდნენ და ბურთს დაუცხრომლად ერთმანეთს შესტყორციდნენ გასატანათაო. გარდა ამისა მეფის ირაკლის ეს რაზმი რო ენახა ვისმე დართულ დაკაზმული, ოქროვერცხლ ყანმებიანი თვალისათვის უკეთესი სანახავი რაღა უნდა ყოფილიყო. ნამეტნავად იმ ბურთაობაში *კიდეე უფრო კარგნი იყვნენ*. ის თვითეული მხედარი დიდრონს გმირებს გვანდნენ და ჰაეროვნებით უკეთესს რაღას ნახავდა კაციო“. არა ჰგვანებიან ახლანდელსა დაგვალულსა ხალხსა, საცოდავებს.

მზის ჩასვლამდისინ, ვერა რომელმა მხარემ რომ ვერ გაიტანა ბურთი, ცხენი კაცინათაც დიდათ დაილაღნენ, მეფემ უბრძანა გაშველება, *მაშინვე გაშველდნენ* და ამასთან თელავისაკენ წამოვიდნენ ერთობ მადრიელი მეფის საჩუქრითა. ეს ამგვარი ბურთაობა, დიახ ხშირად ყოფილა ჩვენ ქვეყანაში ძველის დროებითგანვე უკანასკნელის დრომდისინ. *დიახ ხშირი იყო არა უკანასკნელს მეფის ირაკლის მეორემდისინ ამ დროებში, არამედ ძველადგანვე*.

საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ამბავი, წვრილად რომ იცოდეს ვინმემ და თვითეულად მოთვალოს, მაშინ არის კარგი, თორემ აქ და იქ დაწყვეტილ დაწყვეტილი იმის ანბავი რა იქნება, ვითარცა ქოხი სასახლესთან. *მეფის ირაკლის ისტორია სრულად უნდა შედგეს, თუ ქვეყანამ არ დაიძახოს — „მართლა საკვირველი მეფე ყოფილაო“*.

საქართველოს მეფე ირაკლიმ თითქმის სამოცდასამი წელიწადი ხმალი იქნია ოთხსავ კუთხივ საშინელი მტრების პირისპირ, მცირე ქართველებით, მცირის მშობლის მამულისათვის და ვერც ერთხელ მტერმა ვერ მოსტაცა მამული.

ამ მოუსვენებელს დროს, თელავში სასწავლებელი გამართა, ყმანვილების შკოლა ანუ სემინარია, სადაც ყმანვილები ქართულს სწავლობდნენ, მაგრამ *სად იყო და სად არა*, ხოჯა აღამახმადხანმა ქალაქი ტფილისი და რომელიმე ნაწილი საქართველოსი რომ მოსწვა—მოაოხრა, რომელთაცა ყველამ იცის ეს ანბავი. ეს არის ჩვენი სატირალი მწარედ და სავალალო თორემ სხვა რა? სხვა ყოველი საქმე, ვაჟკაცობა ჩვენი მამაპაპისა საკვირველება და საუკუნოს

ისტორიაში მოსახსენებელი. მე ამის დაწვრილებაში არ შევალ ამ ქალღმერთზე, ამისთვის, რომ რადგან თელავის ამბავს ვწერ, ისევ ამას მოვყვებით. ახლა მეფის ირაკლის უკანასკნელი შაში ვთქვათ, არა ვრცლად, მოკლედ და იმისი უბედურება. *ზარდაცემული უბედურებისაგან მეფე ირაკლი ტფილისის მონვა-მოხრებისათვის, იდგა ამჟამად ავლაბარს, დარეჯან დედოფლის გაკეთებულს სახლში.*

აღამახმად-ხანის მესამე წელიწადზე მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აიღო, იქ ავით გახდა, იქიდან ავანტყოფი წამოვიდა და დედოფლის სასახლეში დადგა ავლაბარს. ეს იყო ან სექტემბრის გასული და ან ოკტომბრის დამდეგი, 1798 წელსა. ტფილისში იმ დროს მოვიდა, რომ დიახ საჭირო საქმე გაუჩნდა, მაგრამ ის ავანტყოფობა გულისწყალმანკი გაუხდა და ეს სენი განუძლიერდა, საიდგანაც დედოფალს მისწერა უკანასკნელი წიგნი თელავში. „ოჰ, ჩემო უსაყვარლესო დედოფალო დარეჯან! დილაზე რო გამოვალ, ქალაქ ტფილისისაკენ გადვიხედავ, საშინელი მწუხარება ამიტანს, მაშინვე თავბრუ დამეხვევა, თვალთ დამიბნელდება, ბარბაცით შინ შევალ, ტახტზე დავეციემი და მწარეს ქვითინს ამოუშვებ უბედური მეფე. თუმცა სხვადასხვა ბევრს ნუგემს ვეუბნები ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ ეს ეს არის მე ველარ გამოვდგები. ახლა ამის მეტი ნუგემი აღარა დამრჩომია, ჩემო უსატრფიალესო დედოფალო, რომ ჩქარა მოვალ თელავს შენთან. ღმერთს მივართმევ სულსა და ვისგნითაც უბედური ყოფილა ჩვენი ქვეყანა, ანუ ჩვენი ოჯახი, იმასაც წრილად შეიტყობ.

შენი ირაკლი“.

გარდაცვალებული მეფე ირაკლი ეკლესიიდან რომ გაასვენეს, შემდგომ იმისა მის გვამზედ ცილობა მოხდა. თითქმის მთელი საქართველოს თავადაზნაურნი, აქ თელავში შეყრილნი. კახეთის მებატონებმა მოინდომეს მეფის ირაკლის გვამი ალავერდის ეკლესიაში დაასვენონ. დაასაფლავონ, რადგან კახეთის მეფე იყო, ალავერდს უნდა მივიღოთო. ქართლელმა მებატონებმა უპასუხეს. არა, მეფე ირაკლი, მთელი საქართველოს მეფე იყო, ამისთვის მცხეთის ეკლესიაში უნდა წავასვენოთო. ამაზე შეიქმნა ცილობა ორთა მხარეთა. ეკლესიისაგან გაიწიეს და ძალად გამოტაცება დააპირეს. ღვთაების ეკლესიის კარებთან მიწვე-მოწვეა დაუწყეს ერთმანეთს და ჭიდილი. არ იქნა, ვერა რომელმა მხარემ რომ ვერ დასძლია, ამ დროს დაიძახეს ერთპირად, ხმაღმა უნდა გადაწყვიტოსო. ამ სიტყ-

ვაზე შეიარაღდნენ ყველანი და გაყოფილი ორი ესე მხარე ის არის რომ ერთმანეთში უნდა დაერივნენ, წინა ცნობილი ბატონიშვილები და სულერთიანად სასულიერონი გამოცვივდნენ საჩქაროთ და რის ყოფით დაამშვიდეს. თვით ჩვენ გადავწყვეტთ, სადაც ეკუთვნის დასაფლავებაო. ამაზედ ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ და ბოლოს გად-ანყვიტეს მცხეთაში წაასვენონ.

ვინც მცხეთის კვართის საუფლო ეკლესიაში შევიდეს და ვინც მოინდომოს მეფის ირაკლის საფლავის ნახვა ამბიონის გვერდზე, მარცხენა მხარეს, ღირსახსოვრისას და დაუვინყარის, მეფის ირაკლის ღარიბ საფლავს იხილავს, რომელიცა საქართველოს ერთა ასე, ამ სახით უყვარდათ, რომ უსულოს იმის გვამისთვისაც კი სისხლი უნდა დაეღვარათ ქართველებსა და თამამად დახოცილიყვნენ.

აჰა, მეფე ირაკლი მეორე ვითარი კაცი ყოფილა.

საკვირველი, უებრო საქართველოს მეფე.

**1857 წელსა, ყვარლის ციხეში,
თვესა აგვისტოსა.**

რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზე

სიტყვიერების ტომარს, (ჟურნალს) უთუოთ მხილველი უნდა ჰყვანდეს და ყოველი იმისი წერილები განიხილოს, თორემ უამისოთ სიტყვიერება არ ევარგება. ვიცით მაგალითები და ამისთვის ვანობთ ამას, ნამეტნავად თუ კარგი მხილველი ეყოლება სიტყვიერების ტომარს, დიდს წარმატებაში წავა სიტყვიერება და ენა აჰყვავდება ყოვლის საამოს ფურჩვნილებით. აბა როგორ დავიჯეროთ ჩუენს ქართველებში კარგი მხილებლები არავინ არ იყოს, რომელსაცა შეეძლოს ჩუენი სიტყვიერების განხილვა? — არ არის დასაჯერებელი! ნამდვილად ვიცით, კარგი მხილებელი გუყვანან და შეუძლიან ჩუენი სიტყვიერების ნაკლულევანება კარგად განიხილონ, მაგრამ არ ვიცით, რა ამბავია, რომ ვერ გაუბედავთ და შემკრთალნი არიან! — უმდაბლესად მოგმართავთ და ვედრებით ვითხოვთ, ვისაც შეგიძლიან, ჩუენი ქართულის ტომარისაკენ გადმოიხედოთ, ჩუენი სიტყვიერების განსახილველად, რა ვიცით, თავაზას ბევრნი შეუძლიან, ერთი ერთმანეთსა არა ვანყენინოთრა, და მიზეზი ეს იყოსო — ამისაგამო მე კარებს გავაღებ არა წყენისას, არამედ მშვიდობისას, მაინც ერთხელ ხომ იტყოდა ვინმე ამაზედ და ვინ იცის რა შფოთები გაიმართებოდა, ამისთვის ისევ მე წარმოვსთქუამ ამას, თუ განყრომა იყოს, ისევ მე გამიწყრენ, ისა სჯობია.

ამ რამდენისამე წლის წინათ ლაპარაკი იყო ზოგიერთის პირებისაგან, ვითომც ახალი ქართული ენა დაებადოს თავადს გიორგის [დავითის] ძეს ერის-თავს. ეს აზრი პლატონ იოსელიანმაც დაწერა თავად გ. ერის-თავის გაყრილობის კამედიის წინა სიტყუაობაში. ამ ლექსებით და ერის-თავმაც ნება მისცა დაბეჭდისა:

«მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულს ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგიმ დავითის ძემან ერის-თავმან, დაბადა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის. — სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთვე მიიღო ღირსება, რომლისათვისაცა ეკვირვებიან ბერძენნი, რომაელთა კომიკთა: არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოს, მენანდრსა და სხუათა.»

«მაქუს იმედი, რომ ესრეთისა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა ქებას, არავინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად, და თვითეული კეთილ-განმძრახი ქართველი, სიხარულით და სიამოვნით

ნაიკითხამს ამ კომედიას და სხუანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა.»

როგორ თუ მაგალითსა მისსა? — შეგვიძლიან ჩუენც ესა ვსთქუათ თამამად, რომ იმის კამედია ახალი ქართული არ არის მწერლობისათვის, რომელსაცა იმ კამედიის ანდუყაფარის, პირველს ლაპარაკს მოვიტან მაგალითად ამ წერილში.

კამედიის პირი თავადი ანდუყაფარ

«აი ოჯახი დალუპა, გვარის დამდაბლება; გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე სწავლობენ! აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედ-მამისა! ნეტავი დამეშავებინოს რამე მაინცა..... ოჯახი წავახდინე? ვალი ავიღე? აი, ჩემი ოფლის სამაგიერო. სახლები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროვო! ოჰ! რა ცუდი დრო არის ოჯახებისათვის, ტყვილილა არის, უნდა გავეყარო!..... გავეყარო? რალა ვიქნები! აი თუ მტერი ნიშნს მამიგებს.»

აქედგან მოვყვეთ; პლატონ იოსელიანი სხუებს რომ ურჩევს, იმ კამედიის წინასიტყვაობაში «შეუდევით მაგალითსა მისსაო.» რატომ თავის წინასიტყვაობას ერის-თავის კამედიის წერას არ ამსგავსებს და სხუებს კი ურჩევს? გავს ვერ მოუხერხებია, ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის და ერის-თავის კამედია დაკუნწილი ლაპარაკი. კითხვა-მიგების მსგავსი. არ ვიცით რომელი განსხვავებითი წიგნი რამ დაინერება, იმ კამედიის სიტყვიერებით?

თავადი გ. ერისთავის მთელი კამედია სულ იმისთანა ლაპარაკია, როგორც ანდუყაფარ ლაპარაკობს, სწორეთ ეგრეთი, გარდა სომეხისა, და არა განსხვავებითი რამ მოთხრობა, ანუ განსჯა ახლისა ქართულისა მწერლობისათვის. გ. ერისთავი იმ კამედიის ლაპარაკს ანდუყაფარს ანუ სხუებსა, კამედიის პირთა, ხომ არ ასწავლის, რომ ასე და ასე ილაპარაკეთ ახალი ქართულიო. ანდუყაფარს, ძველს თავადს და კიდევ სხუებსა, როგორც ყმაწვილობითვე უსწავლიათ ქართული ლაპარაკი, კარგად თუ არა კარგად, ანუ ნაკლები, ანუ ნაკლული, ანუ ნაკლულევანი, ისე ლაპარაკობენ, მამასადამე გ. ერისთავს სხუა ქართული არა დაუბადებიათ მწერლობისათვის, ის ქართული იმათი საკუთარი ყოფილა იმ ქართველებისა.

თავადმა გ. ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს ქართული, მაშინ გავარჩევთ რა გვარი წერა არის იმისი, თორემ

იმის კამედით არ შეიძლება შეტყობა რომელისაცა მიზეზი ზევით ითქუა, რაც არის იმ კამედის ჩართული წერა. ამის შემდგომ მოველით, რომ ერთს მოთხრობას გამოსცემს თავისის განჰსჯით, ვინაიდან იქნება ახალი ქართული იცოდენ მწერლობისათვის და ჯერკი საზოგადოთ არა ვიცოდეთ—რა ჩუენ, ამისთვის გულმოდგინენი ვთხოვთ, თუ მართლა ახალი ქართული იცოდენ, დაგვანახონ, დაგვიმტკიცონ, რომ სწავლისათვის გამოიცეს ახალი ქართული ენა და იმის მაგალითსა შეუდგეთ ყოველნი, რომელთაცა დიდად დაგვავალეხს თავის მემამულეთ.

ყოველს, რასაც ვანბობ ამ წერილში, გულწრფელობით არის, ჭეშმარიტად რომ სხუა განძრახვა არა იყოსრა, მხოლოდ ამის მეტი. გულითა მსურს, ჩუენი ქართული ენა, უფრო და უფროსად საუკეთესო იყოს და მაგალითად სამაგალითო!.....

თ. ალ. ვახტანგის—ძე ჯ. ორბელიანი

ორიოდე სიტყვა ყარამანიანის ნიგნზედ

ერთ ადგილას დიდი ბაასი და განკიცხვა იყო „ყარამანიანის“ ნიგნზედ, რომლებიცა ზოგი ამბობდა კარგიაო და ზოგი მკიცხავდა. ბოლოს იმათ უთხარ მე: „გთხოვთ მაგაზედ ჩემი აზრიც გაიგონოთ ორიოდე სიტყვა. ერთის კარგის მსწავლულის თათრისაგან გამიგონია, ყარამანიანი სპარსეთის დიდი ხელმწიფე კირი, ანუ ყრ¹ რომ იყო მითამ იმის დიდკაცობის პატივისცემისათვის დაენეროთ ის „ყარამანიანი“.

ის ნიგნი ისე გაკვრით ჩქარა არ უნდა გაიშინჯოს, – ის უნდა დალაგებულის რიგიანის გონებით გაიშინჯოს. რაც ქართული საერო ნიგნებია, გადაკითხული მაქვს, იმ ჩვენს ზოგიერთს კარგ ნიგნებში, ჩემის აზრით „ყარამანიანიც“ კარგი ნიგნია: ის ერთი კაცი ყარამან თავგამოდებულა, რომ სადაც უბედურნი ანუ პყრობილები არიან, ის თავს სწირავს იმათ გამოსახსნელად; ველურს ხალხსა (დევებს) ღმერთს აცნობებს და ცხოვრების წესსა უდებს იმათ. ცოლქმრობის სიყვარული და მოვალეობა იმ ნიგნში მოსაწონი არის. აიარობა ხომ უკეთესი სასაცილო პლუტობა რაღა უნდა, იქ არის, ადრინდელი იზუიტების პლუტობაზედ უფრო ცბიერული. სარდლის თა დავით ორბელიანისაგან ქართულად ნათარგმნი. იმ ყარამანიანის სიტყვიერება საუკეთესო ქართულია და ყურისთვისაც კარგი საამო გასაგონი“.

ეს კი მართალია, ვინც მსწავლული ქართველი აიღებს იმ ნიგნს და კითხვას მოჰყვება. იმდენი აურზაური, რაღაც რაებათ გამოხატულები, სრულიად კითხვის მადას შეუკრავს იმის წამკითხველსა. აბა იმ აურზაურებს დავეხსნათ და ის ნიგნი მხოლოდ მარტივბუნებითად გაარკვიონ, თუ მართლა მოსაწონი არ იყოს ყოვლის მხრითა ისა, ოღონდ დანიუებულის გონებით კი ნუ გაირჩევა ის ნიგნი „ყარამანიანი“, – რუსულად წამიკითხავს ის დიდი კირის ისტორია და როგორც იმისი აზრები ჩანს, შესაძლებელია, რომ იმ კირის ისტორიის აზრზედ, ის „ყარამანიანი“ იმაზედ აქმენებნოს იმის მწერალს. აი ყარამანიანი და კიდევ გავათავე მე ეს ლაპარაკი. ამის პასუხათა ერთმა მითხრა: „მართლა რასაც ამბობთ, ერთხელ კარგის დალაგებულის გონებით წავიკითხამ მე იმას და ჩემს აზრსაც გეტყვით სწორეთ“.

როდისაც რომ წაეკითხა, ყველაფერში თანახმა იყო ჩემი და საამოდ ჰქონია იმ ნიგნის „ყარამანიანის“ წაკითხვა და იმისი აზრები.

¹ აი ეს ყრ., საბ რან ანუ ყარამან.

ყოველი ძველი წიგნები ასე ცოცოტად რომ გაირკვიოს ახლანდელის ყმანვილის კაცებისაგან, კარგი იქნება, ამისათვის რომ ყველა ძველი წიგნის აზრები ცხადი იქნება და შემთხვევაში მოიხმარებს ვინიცობისთვისა მცოდნე. ამ მოვალეობას თვითონ მე შევასრულებდი, მაგრამ ჩემი მიზეზების გამო ბევრი მოვა ჩემთვის და ჭაბუკს კი ბევრი დრო აქვს, ძალის ღონეც ძალიანი.

თა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
27 ნოემბერსა –1857–სა ნელსა ქ. ტფილისს.

ქვრივის ლიმონების განხილვა ანუ კრიტიკა

უ. გრიგოლ რჩეულოვისაგან დანერული ქვრივის ლიმონებზე შეიჭურნენ მრავალნი, ისე ფიცხად ლაპარაკობდნენ იმაზედ, რომ მეგონა განხილვას დაუწერდა ვინმე, მარამ აქამომდე ამაზედ არა გამოიცარა ცისკარში, ამისთვის ისევ მე დაუწერე, რაოდენი რაიც ვიცი და განვიხილამ.

პირველი დანყება სამი ტრიქონი, უ. რჩეულოვისაგან სახელ განთქმულს მეფეს ირაკლიზედ, მართლად კარგი და ღირსად წარწერილია, შემდეგ დაიწყებს: 1786–სა წელსა, მაისის 1–სა ქ. ტფილისს კენინა კეკე (უწინდელს დროს საქართველოში, წოდებით კენინობა არ იყო, არც კნიაზობა.) ქვრივი ოცდა ორის წლისა, იჯდა თავის სახლში ფანჯარასთან დაფიქრებული და თვალ გაშტერებით ადევნებდა ხალხსა, რომელიც ჟიჟინით დადიოდა ტფილისის ქუჩაში. ამ დროს შეწუხდება, ეკლესიაში წირვის გამოსვლაზე, ამასთან კიდევ ივიშივებდაო, თუ მოსამსახურე არ შემოსულიყო და არ მოხსენებინა, მეფე მობრძანდებაო.

უადგილო თქმულს, უბრალო თავის მომზადებას კეკესაგან, მე აღარ განვიმეორებ რჩეულოვის სიტყვასა, მხოლოდ კარზედ გაეგებება კეკე მეფეს, ხელს ჩამოართმევს მეფე, შუბლზედ აკოცებს, მოიყვანს. ტახტზედ დასვამს, და თვითონაც გვერდს მოუჯდება კეკეს, ამასთან იმის დასატუქსად მოსულა მეფე, იმისთანა «გარყვნილს შვილობილთან». ყმანვილი ქალი, მეტადრე შენსავით ლამაზი, დაჯდება შინ პირველს მაისსა და წირვას არ მოისმენს?..... მე სამოცდა თექვსმეტის წლის კაცი ვარო. ვითომც ეტრფის მაისის ბუნებას და ამისგამო გადახალისებული ჰგონია მოხუცებულობა ქაბუკად.

ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ უწინდელს დროში არას დროს ალერსში არავინ იტყოდა სიტყვას, «გარყვნილოვო,» არამც თუ მეფეები. მასუკან არ ვიცი პირველი მაისი რა ყოფილა, ან რა დღესასწაული უწინდელს დროში? — მერმე ქვრივი კეკე ბოდიშს მოიხდის, ბატონის შვილს ანასტასიას დასდებს მიზეზათ, თავის წირვაზე წაუსვლელობას და ლაპარაკში ხმარობს. «თქვენო დიდებულეზავ.» არც ამ სიტყვას მოახსენებდნენ უწინდელი ქართველები მეფეს, იყო «ჩვენო ბატონო, შენი ჭირიმე ბატონო და ბატონო მეფევი!» —

ამაში მეფე ირაკლი და ქვრივი კეკე, ვითომც სიამოვნით დაიწყებენ საუბარს, მეფეს დიდსულოვნად მიაჩნია კეკეს ეკლესიაში წაუსვლელობა, რადგანც იმის სიმშვენიერება სხვა გასათხოვარს ქალებს გულს დასწვავდა და ამას მორიდებია. მეფეს ჰგონია, თა-

ვის ექვსი ქალიც, ვერ მოვა კეკესთან. გარდა ამისა, უწინდელს დროში, ეკლესიებში ყმანვილ-კაცებისაგან კისრის გრეხა და ქალების ყურება როგორ შეიძლებოდა! — თავისდღეში საკიცხავად დასდებდენ.

როგორც მეფე და ქვრივი კეკე, ვითომც სიამოვნით ლაპარაკობენ. არა დარბაისელთან არ იქნებოდა ამ გვარი ლაპარაკი, რაც უნდა ახლო ნათესავი ყოფილ იყო, არამც თუ მეფესთან.

მგონია ზევით თქმული კარგათ გახსოვდეთ უ. რჩეულოვისაგან, 1786 წელსა, მაისის 1-სა ქ. ტფილის. ქვრივი კეკე, ოცდა ორის წლისა იჯდა, სადაცა ამ დროს მეფე ეტყვის ქვრივს კეკეს, მე 76-სა წლის კაციო და სხუანი?...

უ. რჩეულოვის ორივ სიტყვა ეს წინა აღმდეგია ერთმანეთისა, მაგალითად ვსთქუათ: ვითომც უ. რჩეულოვი ანბოზს ამას.

— «1786-სა წელსა იყო ეს ლიმონების ანბავიო. .

ამის პასუხს ჩვენ მიუგებთ:

— ამ წელიწადს მეფე ირაკლი იყო, 66-სა წლისა, ანასტასია ბატონიშვილი თორმეტის წლისა, და ამ პატარა ქალს, რა მახლობლობა ანუ მეგობრობა უნდა ჰქონილიყო ოცდა ორის წლის ქვრივს ქალთან.

ამის შემდეგ, თუ ახლა ასე იტყვის.

— «შემცდა, მეფე ირაკლი. 76-სა წლისა იყოო.»

ამის პასუხს ახლა ასე მიუგებთ.

— მეფე ირაკლი. 76-სა წლისა რომ იყო, ერთის წლის წინათ აღამამადხანმა, ქ. ტფილისი მოსწვა, მოაოხრა და ნაწილი საქართველო; ამის მეორე წელიწადს, ესე იგი 76-სა წლისა რომ იყო მეფე, კიდევ მეორეთ მოელოდნენ საქართველოზედ აღამამადხანს, თელავში ყოფილან, და ამის შემდეგ კიდევ ექნებოდა გული მეფე ირაკლის, ქვრივის კეკესთან საუბრისა, თუნდა ზდილობაშიაც შემოსულიყო უწინდელს დროში! კიდევ უ. რჩეულოვი რომ სწერს მოხუცებულს მეფეზედ, უგონოდ უწოდებს, ის ამისთანა უგონო მოხუცებული იყო, რომ 77-სა წლის მოხუცებულმა, განჯის ციხე აიღო, რომელზედაც ორი ბატონის შვილი ოთხი თვე ადგნენ დიდის ჯარებით; მინამ მეფე ირაკლი არ მიიწვიეს ბატონი-შვილებმა და არ ჩავიდა, ვერ აიღეს და როდესაც ჩავიდა, ქართველთ ჯარსა ფრთები შეესხათ. — «ჩვენი ბატონი ირაკლი მოგვივიდა, ახლა იმას

საკვირველს გონებას რა გაუმაგრდებაო.» მართლა ისეც მოხდა და გააკვირვა ყველანი!...

მონყალეო ხელმწიფეო გრიგოლ რჩეულოვ! ამის შემდეგ, კიდევ იტყვიტ საგიებელს სიტყვას მეფეს ირაკლიზედ? — მხოლოდ ახლანება მომეცით დაგმიტციტოტ, რომ არცა ის ივანე აბაშიძე ყოფილა, რომელსაცა მეფის ირაკლისათვის შეუწირავს თავი ოსმალოს ომში და არცა ქვრივი კეკე ოცდა ორის წლისა.

I. მეფის ირაკლის დროს იყო სამი ივანე აბაშიძე: ერთი ალამამდხანის ომში მოკლეს ქ. ტფილისის ალების დროს, ამას ოთარ ამილახვრის და ანა ჰყვანდა ცოლათ, ამასთან ორი შვილი დარჩა, ერთი ვაჟი და მეორე ქალი ეკატრინე. პირველიდგანვე, ეს ეკატრინა ჰყვანდა, გიორგი ბაგრატიონის მუხრანცკის, რომელთაცა გარდაცვალება იქნება, თხუთმეტიდგან ოცდა ხუთს წლამდინ. (ცოტა მეტ ნაკლები იყოს, მაგთენი შეცთომილება არა იქნება—რა) გიორგის (ანუ გოგიას) მუხრანსკის და ამის ცოლს ეკატრინეს, ორთავე კარგათ ვიცნობდი. ეკატრინე მეფის ირაკლის უკანასკნელს დროში დიახ, პატარა ყოფილა, ასე რომ, თუნდა ენახოს, ხსომა არ ექნებოდა.

მეორე ივანე აბაშიძე იყო ანუ ყოფილა, რომელსაცა თავის დღეში ცოლი არა ჰყოლია, ისე უცოლ—შვილოტ მომკვდარა.

და მესამე ივანე აბაშიძე, მეფის ირაკლის ახლო ნათესავი, კახელი, ალამამდხანის მოსვლის შემდეგ, თავის დლიტ მომკვდარა: ამის ქალების სახელი სულ ვიცი, რომელთაცა არცერთს არა რქმევი კეკე, ამის შემდეგ, არ ვიცი რა ნდომია და ან რა გაუკეთებია უ. რჩეულოვს? — ისტორიისათვის? — უვარგია. რამანი? — რამანის აჩრდილი არ არის. . — მოთხრობა? არც მოთხრობად იტქმის.

ეს აქ დაუტევოტ და კიდევ ქვრივს კეკესვე დაუბრუნდეთ: ქვრივს კეკეს ვითომც ლიმონები ფანჯარაში უწყვია, მეფე ირაკლი იმ ლიმონებისას ჰკითხავს? კეკე მოახსენებს: თქვენი ბალიდგან მამცა ანასტასია ბატონიშვილმაო. ამაზედ მეფე ეჭვში შევა და გამოჰკითხავს? — გაუტყდება, ეს ლიმონები ჩემი საკითხავი არის, ავაგდებ და ჩემს საქრმოსას ვკითხავ რომელი შემირთავდეს, ის ლიმონი დავიჭირო ხელშიო. ზაზა თარხნის შვილი თუ ქაიხოსრო ენდრონიკა შვილიო? მარამ ორ ლიმონებსვე ხელში ვიჭერო. კეკეს სიტყვიტ, ორივ საუცხოვო ყმანვილ კაცები არიან, რომელნიცა ზაზა თარხნის შვილი და ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, ორივ უფროსები იყვნენ მეფეს ირაკლიზედ ხანით და დაცოლშვილიანებულიც ორივ: ესე იგი 1786—სა წელსა.

გაიგონეთ ახლა რას ვანბობთ? — უ. რჩეულოვის სიტყვით, ვითომც მეფე ირაკლი შუა კაცათ გაუკეთდება ქვრივს კეკეს, იმ ყმანვილ-კაცებთან, რადგანც იმისი მამა, ივანე აბაშიძე ოსმალს ომში გარდევარა მეფეს, თითქოს ერთს ოსმალს შეაკლა თავი, ამით მეფე გამოიხსნა სიკვდილისაგან, მეფე ირაკლიმაც ამის სამაგიერო უნდა შესძღვნას კეთილი და გარსევანის შემდეგ მეორედ კარგი ქმარი შეჰერთოს. ამაობაში მეფე ირაკლი დაიმალება მეორეს სახლში, ამასთანავე ზაზა თარხნის შვილს დაიბარებს კეკე, რომელთანაც ლაპარაკობს ცოლ-ქმრობაზე და ზაზაც არნმუენებს დიდს სიყვარულს, სადაც დამალულს მეფეს ესმის ყველა.

ამათ ლაპარაკს შემდეგ, — ზაზა წავა, მას უკან ქაიხოსროს დაიბარებს კეკე ვისთანაც, ეგრეთვე ლაპარაკი აქვს და დასასრულზე ესეც გავა, მაგრამ ბოლოს ეს ქაიხოსრო შეერთავს კეკეს.

რა არის უფალი რჩეულოვის თხზულება ესე? — არც უნინდელს ჩუენს ზნეობაში შემოვა ესენი, არც ჩვეულობაში, არც ქცევაში, არც მართებულობაში, არც ხასიათში, არც ზდილობაში და სრულიად არაფერში.

ბოლოს ანბობს, უ. რჩეულოვი მეფეს ირაკლიზე ვითომც ერთს გლახს ეთქოს მეფის ირაკლისათვის. «ქართლის მამინაცვალოვო და კახეთის მამაო.» მართალია თქმულია, მაგრამ რომელი გლახი კაცი გაუბედავდა ამ სიტყვას? — თქმულია წინა აღმდეგისა და მტრებისაგან. უ. რჩეულოვო, იცით რა ღვანლი დაუდგია ქართლისათვის მეფეს ირაკლის და ან რა საშინელი ომები გადუხდია საშინელს მტრებთან, ქართლის გამოსახსნელად?... მგონია ამისი არა იცოდეთ რა თქუენ? ამასთანავე, ამბობს უ. რჩეულოვი მეფეს ირაკლიზე, რომ ვითომც ვერას ღონისძიებით, კარგი ქცევა ვერა ესწავლებინოს—რა კახელებისათვის და ამაზედ შენუხებული იყოს მეფე. ესეც კახელების საწინააღმდეგოდ არის თქმული.

ამ ორს ქვეყნის ერსა— ქართლისას და კახელებისას; ამ ახლო მეზობელთ, ურთიერთთან ჰქონდათ, ვინ იცის რაედენი საუკუნოები განუყრელი ერთობა, ნათესაობა, ერთი—ერთმანეთთან მისვლა—მოსვლა ხშირი; ნამეტნავად მეფის ირაკლის მეორის დროს ხომ სულ ერთად იყვნენ ესენი, სადაც თავთავისად იზღებოდნენ და სწავლობდნენ; ერთს საღმრთო საეროს წერილებს, ერთს ზნეობას, ერთს ზდილობას, ერთს ჩუეულებას, ერთს ხასიათს, და სრულებით ერთ გვარათაც ცხოვრებდენ, რომ განსხვავება არა იყო რა იმათში, ამის შემდეგ, თუ ჩვენ, ქართლები, ვიქნებოდით კარგნი; კახელები რატომ აღარ უნდა ყოფილიყვნენ კარგნი? შეცთომილ-

ბა — არ არის კარგი, ქართლები კახელებზე ვლახარაკობთ ანუ ხან დავცინით და კახელები ქართლებზე ვლახარაკობენ ანუ ხან დავცინიან მაშინ, როდესაც რომ ზურგზე ვაკერივართ ერთმანეთს, დასაკლისიც ერთია ჩვენი და შემატებაც.

კიდევ კარგი ძველი ამბავი ვიცი, თორემ ოცდა ათის წელიწადის ანუ უფრო მეტის შემდგომ ამ გვარი რომ დაწეროს ვინმემ მეფეს ირაკლიზე ანუ ერთი ერთმანეზე უ. რჩეულოვის გვარად, არ ვიცი ვილა განიხილავს? — დაიჯერეთ, თუ გამხილველი არ ეყოლება, მაშინ შესაბრალისია მეფე ირაკლი და ერთობ ჩვენი ერიც, ამისთვის რომ იქნება ის მოგონებულები, ისტორიამ მიიღოს და საუკუნოდ მოითხაროს, საკვირველი სახელი მეფის ირაკლის მეორისა და სრულიად ჩუენის ერისაც.

იმ რჩეულოვის თხზულებაში, თუ არის რამე კარგი, მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი, თუმცა ცოტა მეტნაკლებია იქაც, მაგრამ ამითი არა ფერია, თავის დროზე გასწორდება ყოველი ჩვენი ნაკლულევანება. სხუა კი მოგვიტევოს უ. რჩეულოვმა, იმის თხზულებას, კარგს ღირსებას ვერას დავდებთ.

ის რჩეულოვის თხზულება ასეთი რამ არის, რომ თუ დანვრილებაში შევიდა ვინმე და ნამდვილად განიხილა, ერთი კარგი დიდი ნიგნი მოვა ის განხილვა... არ დაიჯერებთ, რამდენჯერმე გარდვიკითხე და ყოველს თვითო გარდაკითხვაზე ვიტყოდი ხოლმე, ნეტავი მითხრა, რა უნდა იყოს უ. რჩეულოვის თხზულება ესე? — ამის მეტი ვერა ვიფიქრე—რა: ერთმა კაცმა, რომელიმე დიდი შენობა დაწო და მიზეზი ჰკითხეს დაწვისა — მიუგო, ჩემი სახელი დარჩესო. იქნება უ. რჩეულოვს ჰგონია, იმისი სახელი დარჩეს, იმ თავის თხზულებით!

ამ თქმაზე არ უნდა განყრეს უ. რჩეულოვი, თუ ის მეფეს ირაკლის, იმ საკვირველს კაცს ისე დამდაბლებით ახსენებს და საგიებელს სიტყვას იტყვის იმაზე, მგონია მე უფრო არ დავიბრაზო სწორეთ თქმაზე უ. გრიგოლ რჩეულოვის მიმართ.

თ. ალ. ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

მ ე ლ ის

ერთს რომელთანმე შემემთხვა ლაპარაკი, შესახებ ქართულისა ენისა, რომელსაცა აღვწერ და ასე იყო:

ის. — თქუენ რომ ისე აქებთ ქართულს ენას თქუენს რვეულში¹, ნეტა რა საქებია ან საყუარელი ქართული ენა და ან თვით ქართული ჟურნალი? — ქართულს სიტყვიერებას ჰქონდა თავის დიდების ერთი დრო, და მაშინ დასრულდა იმის საკვირველება. ეს დრო იყო მეფას თამარის დრო!

მე. — წრფელის გულით მეუბნებით თქუენ მაგას, თუ მეხუმრებით?

ის. — მერწმუნეთ მართლად ვამბობ.

მე. — მამ გამიგონეთ, აბა ჯერ ეს მითხარით, რომელი ხალხია ქვეყანაზე, ანუ ბევრი, ანუ მცირე, რომ თავის ენაზე თავის საკუთარი ჟურნალი არა ჰქონდეს და თავიანთის ენის აზრსა იმ ჟურნალზე არ გამოსთქმინდენ? — მგონია ვერც ერთს ვერ მეტყვი. — ეს დრო არის ნათელი დრო: როგორათაც უღრუბლო მზემ განაბრწყინოს ქვეყანა, ესე იგი სწავლის დრო და გონების განათლებისა, მამსადაამე, სადაც ესენი არიან, იქ ყოველი კარგი და კეთილი უნდა იყოს. ღმერთმან ადლეგრძელოს ჩუენი განათლებული ჩ ვ ე ნ ი დ ი დ ი ხ ე ლ მ ნ ი ფ ე! ის ზრუნავს ჩვენთვის და ჩვენკი არა ვართ ჩვენთვის. იმან ინება ჩვენი ქართული ჟურნალი გვქონდეს, ჩვენ შესაქცევად, სასიამოვნოდ და დროს გასატარებელათ. გარდა ამისა, რადგან საისტორიო ძველი ქვეყანაც არის ეს ჩვენი ქვეყანა. ამ ჩვენის ქართულის ჟურნალით ამ ჩუენს ქვეყანაში თავის დროზე მრავალთ ძველი საგანი გამოჩნდება ისტორიისათვის და ისტორიის ბევრი სასარგებლო, ამისთვის მოთმინება გვინდა მანამდისინ, მინამ კარგად გაკეთდეს ჩვენი ჟურნალი. ნაცვლად ამისა, რასა ვშვრებით ჩვენ? — ჩვენს ენასა ჩვენის ხელით წკეპლითა ვცემთ, და ზედ დავცივით აუგად. რალა დაგვრჩომია? — ბარემ მეიდანზედ გავიდეთ სახალხოთ ყველანი და იქ მეიდანზედ, იმ შეყრილობაში ერთმანეთს დავაძროთ ენები და ამ გვარი გაუგონელი კამედია ქვეყანამ ნახოს. შეგვიძლიან ეს ადვილად მოვახდინოთ, მაგრამ ამაზედ ქვეყანა რას იტვის, იმ აზიის მეკუნძულეთა შემდეგ? — სადაცა ველურნი ხალხნი იყვნენ, ამ რავდენსამე წლის წინ, ახლა ევროპიის განათლება სუფევს იმათში, იმათ საკუთარს ენაზე

¹ ეს ხსენებული ჩემი რვეული დაიბეჭდა ცალკე რვეულათ. 19—სა ივნისს, 1856—სა ნელსა.

და თავიანთი ჟურნალი? — ამის შემდეგ ჩვენ რაღა გვმართებს? — ჩვენ ძველს ქართველებს, რომლებისაცა ათასობითი წელიწადია, გვაქუს ჩვენი ენის სიტყვიერება?»

აბა რა მოგახსენოთ ჩემო მწყალობელო? — იქმნება გგონიათ? — თუ ჩვენი ენის ჟურნალი გვექმნება, ამით მთელი ხმელეთი დაიქცევა? შენი ჭირიმე თუ მართლა ეს ასე იქნება, პირველად მე გამიყვანეთ, არამც თუ ენა ამამაძროთ, თავი გამაგდებინეთ, რომ ხმელეთის დაქცევა ჩემმა თვალებმა არა ნახოს და კაცობრიობის საშინელი უბედურება.

არ ვიცი და ვერ მიმხვდარვარ, რა ამბავია, რომ ჩუენი ქართულის ჟურნალის წინააღმდეგნი ვართ. თითქმის დაუძინებელნი მტერნი? — სტუმრათა ვართ სადმე, ვლანძლამთ, შევიყრებით სადმე, ვლანძლამთ, ვლანძლამთ და მარადის ვლანძლამთ... დაუსრულებელი არა არის—რა, ყველას დასასრული აქუს, მაგრამ ეს ავდენი ლანძღვა, არ იქნა, აღარ დასრულდა. ლუთის წინაშე, ჩვენი ქართული ჟურნალი გასასწორებელია და კარგათ გასაკეთებელი, დიახ, კარგი იქნება, ასე ინებეთ როგორც თქუენი სურვილი იყოს, ოღონდ აუგად ნუ ვახსენებთ ჩვენს ქართულს ჟურნალს.

იმ დღეს, ერთს ღამეს, ერთს ქუჩაში მოვიდოდი. ერთი საშინელი გაფიცებული ყვირილი მომესმა; ამ ხმას დაუახლოვდი, ვნახე, რომ რავდენიმე ქართველები მოდიოდნენ უშვერის ლანძღვით; ისე გაფიცებულები, თურმე თავიანთს ცისკარსა ლანძლამდნენ და თავიანთს ენას. არ არის გასალანძლი არცა ერთი ჭემმარიტად, მხოლოდ თუ ნაკლებულობა რამ დაინახოთ ჩუენი ჟურნალისა, უნდა ქალაღდზე დანეროთ; განიხილოთ, რა და რა ნაკლებობაა ამ ჟურნალში, რომ გასწორდეს ჩვენი ქართული ჟურნალი, ისე რაც საჭირო იყოს ამისთვის, თორემ უკანასკნელი ლიტონი ლაპარაკი, უფრო სწორეთა ვსთქუათ, ლანძღუა, საკადრისი არ არის, ამისთვის, რომ, ამ განათლებულს, მშვიდობიანს, კეთილს, ბედნიერს და უუძლიერესს ს ა ხ ე ლ მ ნ ი ფ ო ს ხ ე ლ ქ ე ე შ, ჩვენი ენის სალიტერატურო ჟურნალიც რომ სუფევდეს ჩვენს ქვეყანაში, ამაზე არვინ დაგვძრახავს, არც გასაკიცხი ვიქნებით და არცა მცირედი დასაკლისი იქმნება ვისთვისმე. თუ გნებავსთ, ან ასე ინებეთ, მაგრამ ესკი აღარ ვიცი მიკადრებთ თუ არა? — ოღონდ არ მითაკილოთ და ან დასაწუნი არ ვიყო თქუენგნით: თავდებათ დაგიდგებით, მთელ ხმელეთის ერთან, რომ არამცთუ ჩვენი ქართულის ენის ჟურნალი დაგვიწუნონ, არამედ მოგვიწონონ და დიდის სიამოვნებით მიიღონ ყველამ.

მონყალეო ხელმწიფევე, ეს რაც მოგახსენეთ, თუმცა ცოტა გაჯავრებით იყო, მარამ მართალი კი ითქვა. ახლა დამშვიდებით მოვყვებით და გაგონება თქუენი იყოს. — ყოველი სწავლით და გამოცდილებით არის—რაშიაც კაცი იქმნება, თუ იმ გარემოებასა ანუ იმ საგანსა სჩხრეკს, დიად ადვილად მიხვდება, თუ არა ჩხრეკს, ძნელია იმისთვის. ი, ჩემო მწყალობელო, არამც თუ ჩვენს მამაპაპას (ცარიელი ლიტონი ლაპარაკი შეენახოსთ? — არა, ყოველთვის თავიანთი წერილების სიტყვიერება ჰქონიათ და არაოდეს არ დაუკარგავთ. მეფას თამარის დროში, ჩვენი აღყვავებული სიტყვიერება საკვირვლად ნუ გექმნებათ, ამისთვის, რომ ძლიერი იყო; ბერძნებთან ხშირი შეერთება ჰქონდათ და ამის გამო საკვირვლად ნუ მიგაჩნდებათ, რომ მაშინ ჩვენს ქვეყანაში აღყვავებული ყოფილიყოს ჩვენი სიტყვიერება. მაგრამ ამას წინათ, ის წარსული ერთი საუკუნე დრო საქართველოში (ცოტა მეტნაკლები იყოს ამისთვის ნუ განვიკიცხებთ), მინამ ძლიერი რუსეთი თავის ძლიერის ხელქვეშ მიგვიდებდა, და იყო დაუცხრომელი ბრძოლა მცირეს საქართველოზედ, საშინელი გარეშე მტრებისაგან და ოთხსავე კუთხივებრძოდნენ ქართველებს, აუარებელი მცირეს, მაგრამ სიმხნით ძლიერი და შიშისაგან შეურყეველი, სადაც ბრძოლის მოუსვენებლობაში და დაუცხრომლობაში ჰქონდათ ჩუენი წერილის სიტყვიერება ჩუენ წინაპართა, ცდილობდენცა ამისთვის. აი, ეს არის საკვირველი, თორემ ის პირველი რა საკვირველია. აი სახელები იმ ჩუენი სიტყვიერების წერილებისა: არჩილიანი, ვარდულებულიანი, ქაცვია მწყემსი, დავრიშიანი, სიბრძნე სიცრუვე, ლექსიკონი, ყარამანიანი, ბარამიანი, მირისამბავი, სარკე—თქმული, გულიჯანიანი, ქართლის ცხოვრება, სეხნია ჩხეიძის ისტორია, პაპუნა ორბელიანის ისტორია, მდივანბეგის ომან ხერხეულიძის ისტორია, ჩუენს ენაზედ ღრამატიკა, კიდევ სხუა წიგნები ანტონ ქათალიკოზისაგან დანერილი, კიდევ სხუა და სხუაგნი ურიცხუნი—მცირედ მცირედნი ლექსები და ქართულის ენის სასწავლებელი. თელავში და ტფილისში ქართულ კამედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაცა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი სომეხი. შემეძლიან ესეცა ვთქო ასე თამამად, უწინდელს ჩუენს ქალებში, იმათი უსტართ მიწერ—მოწერა ერთმანეთთან, უპირველესი სვეტი იყო ქართულის ენის სიტყვიერებისა, იმათი მდაბიური მიწერ—მოწერა ასეთი სასიამოვნო ქართული იყო, რომ მეტად საუცხოვოდ გამოსთქმიდნენ თვისსა აზრსა, სადაც იმათი შტოები დღესაც სუფევს, ახლანდელი ჩუენი ქალების მიწერ მოწერა: ვითარცა წარსული

ჩვენი ქალებისა და იმათი მსგავსი სიტყვიერება. ასე გაშინჯეთ, იმ საშინელების დროს, მეფე ვახტანგმა რჯულიც დაწერა ჩუენი ქვეყნისათვის და ხალხიც შეუდგა ამ რჯულს.

ამასთან აქ გაეჩუმდი. ვიფიქრე, რავიცი თავი არ მოვანყინო, ამ ჩემის ლაპარაკითა მეთქი, მაგრამ იმან გულმოდგინედ მთხოვა, ყოველი მეთქო და დამესრულებინა:

მე. — ჩემ ყმანვილობაში, ბევრი კარგი ქართულის მცოდნე მიხსავს ძველი დარბაისლები, იმათ ხანგრძლივ საუბარი დიახ ხშირად გამიგონია: ასეთის ენით და ასეთის ტკბილ-საუბრით ულაპარაკნიათ ქართული, რომ მეტი სასიამოვნო ყოფილა სმენისათვის იმათი საუბარი. გამიგონია, პატრს ანდრიას უთქუამს, იმ განათლებულს. — «რავდენიმე ენები ვიცი, იმათ შორის ქართულიც კარგათაო, ამისთვის მე უფრო კარგად გავარჩევ ქართულს ლაპარაკს, მინამ თვით ქართველებიო, ქართული ლაპარაკი დიად სასიამოვნო ენა არის და ყურის სმენის დამატკობელიო» — ეს ხომ ისე ითქუა, ახლა ამას ასე ვიტყოდეთ: რადგან ქართველი ვარ მე, იქნება ვცდებოდე ჩვენს ენაზე და ისეთი კარგი არ იყოს, როგორც ვანბობ მე, ამისთვის როგორ უნდა შევიტყოთ, ნამდვილი ჩვენი ენის ძალი? — მისთვის არის უცხო კაცის ყურების სასმენელი, თორემ მართლა ჩვენი ქუეყნის კაცს აგრერიგად არ დაეჯერება, ამისთვის, რომ ჩუენს ქართულს ლაპარაკში აღზრდილვართ, სადაცა ჩუენი ყური დაჩვეულია იმავე ყმანვილობითვე ჩვენს ქართულს ლაპარაკს და რასაკვირველია კარგათ ეჩვენება ჩუენს სასმენელს, მაგრამ საქმე უცხო კაცია? — უცხო კაცი უცხო ქვეყნის ლაპარაკს რომ გაიგონებს, იმას უნდა ვკითხოთ და ის გვეტყვის სწორეთ. ჩუენი ქართულის ენისათვის მიკითხავს: რუსისთვის, ფრანცუცისთვის, რუმენცისთვის, იტალიენელისათვის და სხუანი, დაუფერებთ მითხრან, როგორ სასიამოვნოთ ესმით ჩვენი ქართული ლაპარაკი იმათ სასმენელს? — რომელთაცა გულის წმინდით უთქუამთ და დიდათ მოსწონებიათ. ახლა მაგალითებსაცა ვიტყვი: უგანათლებულესმა კნიაზ მ. ს. ვარანცოვმა, ერთი სიტყუა არ იცოდა ქართული, მაგრამ გრძნობითკი დიდად ესიამოვნებოდა. მისთვის მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი. — «აჰა, მარადის გქონდეთ და თქუენის მამაპაპის კარგის ენით ისიმოვნეთო.» იმისი აზრი ეს იყო, იმ ღრმა განათლებულის და გამოჩენილის კაცისა. კნიაზ ვარანცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული გავითარებული და სურდა ჭემმარიტად ჩვენი კეთილი. — არვიცი? მაინც ვინიცოხა არის, თუ ავდენი ჩემი ყბედობა, არ დაი-

ჯერება, მამ უცხო ქვეყნის კაცს, უფალს ბროსეტს მაინც ვკითხობთ და ის გვეტყვის ჩვენის ენისთვის სწორედ? — აქ გავჩუმდი, ყურება დაუნყე, ვნახოთ რას მეტყოდა. იმან ამაზედ თუმცა დიდი კმაყოფილება განმიცხადა, მაგრამ შემდეგ სხუა მითხრა.

ის. — ყოველი რაცა თქვით, დიახ კარგი, მაგრამ ეს კი საძრახავათ, სასაცილოთაც მიგვაჩნია ბევრს, და გთხოვთ, ნუ გენყინებათ ჩემი მართალის თქმა, რაც ეხლა მე მინდა გითხრა.

მე — სწორე პირისპირი თქმა მოსაწონია და მადლობასაც მოგახსენებთ ამისთვის.

ის. — ქართულის ენისათვის, თქუენ რომ ამბობთ იმ რვეულში. მუსაიფობის დროს დარბაისლობაში, მეტი დამატკობელია ყურის სმენისათვის, ასე რომ სულამდისინ ჩაიჭრება ხოლმე იმის ძალით. ეს სულამდისინ ჩაჭრა რა არის? — და ღიმღიმი დაიწყო.

მე. — ეს რაც არის, ეხლა მოგახსენებ. ს უ ლ ა მ დ ი ს ი ნ ჩ ა ჭ რ ა ა რ ი ს: მოკვეცილი აზრი და ვრცლად გასაგონი, რახან მკითხეთ, უნდა კიდევ განვიმარტოთ. ყოველი ძლიერი საგრძნობელი სიამოვნე, სულის შესახებია; როდისაც ძლიერ იგრძნობთ, მაშინვე გრძნობა სულს მიუტანს იმ საგანსა, რაძცა იგრძენით და სულიც მაშინვე მიიღებს. სულს ხომ კუჭი და ძარღვები არა აქუს; თქუენ რომ ბრძანებთ, იმ მძრახველებსავით, გრძნობამ სიამოვნე სულში შეიტანოს და იქ დაასრულოს. არა, — ჯერ თვალის მხედველობა, ანუ ყურის სმენა, გონებას მისცემს, თუ საგრძნობელი არარის, გონებაში დარჩება და თუ საგრძნობელია გრძნობა მაშინვე წაიღებს და სულს მიუტანს. იქიდგან ისევ წამოიღებს გრძნობა და ერთს წამში მთელს აგებულებას დაუვლის ადამიანს. ეს არის სულამდისინ ჩაჭრა და ასე გასაგონი. აი, ჩემო მწყალობელო, რად გეჩვენებათ თქუენ სასაცილოდ «ს უ ლ ა მ დ ი ს ი ნ ჩ ა ჭ რ ა.», რადგან პირველი გაგონება არის ეს თქმა, ამისთვის ყოველი პირველი ამ გუარი თქმა, ყურისათვის უცნაურია და სასაცილო. აბა ამ სიტყუას რომ იტყვიან: ს უ ლ ი დ ა ტ კ ბ ა ო.» განა გვესიამოვნება? რა ვიცით ჩვენ? — პირველად, ეს რომ ითქმოდა, იქნება ამაზედაც ბევრი იცინეს? — მართლა სასაცილოც არის, აბა სული როგორ დატკებება, რომ სიამოვნე სულის დასატკებობად გაგვიკეთებია? სიტკბოს მხოლოდ პირი და ყელი იგემრიელებს და სულთან რა საქმე აქუს, მაგრამ არა, ყოველი კარგი რაც ითქმის, თუნდ იმისი კუთვნილი არ იყოს და იმას ერემებოდეს, უნდა იმისად მოვიხმაროთ. ბოლოს ჩვეულებად დაგვჩემდება და სასიამოვნოდ გვექნება მარადის.

ამ სიტყვაზედ იმან გაიცინა და მას უკან მითხრა:

ის. — ეგ ხომ აგრე, მაგრამ ერთს რასმე გთხოვთ, უნდა ის ჩემი თხოვა აღმისრულოთ და ამაზედ უარს ნუ მეტყვით?

მე. — თუ შესაძლებელია, ბატონი ბრძანდები?

ის. — მერწმუნეთ არაფერია.

მე. — მაშ უთუოთ აღგისრულებთ.

ის. — რაც ეხლა ჩვენ ვილაპარაკეთ, აღწერეთ, და ცისკარში დააბეჭდინეთ. — თუმცა დაპირებული აღუსრულე, მაგრამ დღე-ვანდლამდინ არ ვიცი: რათ უნდა და რისთვის?

თ. ალ. ვახტანგის-ძე ჯ. ორბელიანი

უფალო რედაქტორი ი. კერესელიძე

გთხოვთ ეს ლექსი: „დიანას მეჯლიში“, დაუბეჭდოთ სოლომონ რაზმაძეს „ცისკარში“ ყველასაგან დავინწყებულს ჩვენგნით. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ეხლა მაინც მოვიგონოთ ის ყარიბი სანყალი. ჩემს მახლობელს ნათესავს ეპოვა მ.მ. ეს ლექსი თავის ქალაღებში, რომელმაცა დასაბეჭდათ მამცა და მეც თქვენთვის გამამიგზავნია: თორმეტს მშვენიერს ქართველაზე დაწერილი რაზმაძისაგან.

1832–სა წელსა, უეცარმა საგანმა განაღვიძა სული სოლომონ რაზმაძისა და იმისათვის იგალობა ტკბილად: გაფურჩქენილს გაზაფხულზე, მშვენიერი ნალკოტის თალარს ქვეშ, სადაც ამ დროს ვმხიარულებდით ამხანაგები.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

ატლანტიის უკიანეს ზღვაში ტელეგრაფი

აი, რა არის კარგი ჰსწავლა და განათლება? კარგი განათლებული კაცის გონება ველარ დასცხრება, თუ ამან სარგებლობა არა შესძღვნარა კაცობრიობას; აბა მივიხედ-მოვიხედოთ და ქვეყანას თვალი გადავავლოთ, რა ამბავია! რა საკურველი საგნები იბადება განათლებულის კაცებისაგან კაცის სარგებლობისათვის!

სხუა საკვირველთა საქმეთა შემდგომს, ატლანტის უკიანეს ტელეგრაფიც მოიგონეს, ვალენსიიდგან ნუი-ფოუნდლენდამდისინ, სადაც რავდენიმე ათასი ვერსია. ამ ატლანტიის უკიანეში, კიდით-კიდემდისინ, ამ განიერს ზღვის ქვეშ, გაუვლიათ ტელეგრაფის მართული, საიდგანაც 99-ი სიტყვა 67-სა მინუტში მიდის ანგლიდგან ამერიკას (ვალენსიის ქალაქიდგან ნუი-ფოუნდლენდამდისინ) და იქიდგანაც პასუხი მოდის, ეგოდენსავე დროს.

ისპანიის საზოგადოებისაგან ამოჩემებული კოლუმბი; იმათგან გიჟათ დასახული, იმათგან დატანჯული: როგორ ბედავ ამბობ შენ, ახალი ქვეყანა იყოს სადმე, გიჟო კოლუმბოვო. რა არ უყვეს ამ საკურველს კაცს მაშინდელმა ისპანიელებმა. ძნელია გაუგებელი საზოგადოება ქვეყნისათვის, თუ თავის საზოგადოების შემატებას ვერას ხედავს კარგს და თვითოეულნი თავთავის სარგებლობას ეძებენ მხოლოდ. ამისთანა საზოგადოებას ეტყვის ისტორია: ნყალნალებული!

თავის დიდის მოთმინებით, დიდსულოვნობით და ძლიერის ხასიათით დათრგუნა თავისი წინააღმდეგები კოლუმბმა; ხომალდებით შეცურდა უკიანეს ზღვაში და დიდის ღვაწლით იპოვა ახალი ქვეყანა, — ამერიკა. ამერიკა იყო მაშინ ველურის ხალხით სავსე, ეხლა არის საკვირველი ამერიკა! სადაც ღრმა მეცნიერება სუფევს და უპირველესი განათლება!

წარსულებისასა აღარას ვიტყვი, ეხლახანს ამ ამერიკის ქვეყნიდგან გამოვიდნენ კაცნი გონიერნი, მეცნიერებით სრულნი, რომელთაცა როგორცა ვთქვი, ატლანტიის უკიანეში გაატარეს ტელეგრაფის მართული და მთელს ქუეყანას შესძღვნეს დიდი სარგებლობა!...

აბა ნუ გავიკვირვებთ, განათლებული კაცის გონება რა არის, ზღვის ქვეშაც ტელეგრაფს ავლებენ, ნამეტნავად იმ სიღრმეში და იმ სიშორეთ!

თ. ალ. ჯ. ორბელიანი

სალაყბოს ფურცელზე

ნება მქონდეს რაოდენიმე სიტყუა წარსვლის 1858–ს წლის, დეკემბრის ცისკარში დაბეჭდილს სალაყბოს ფურცელზე ვსთქუა რამე.

მე რა მრჯიდა მეთქო რამ, მაგრამ რადგანც ჩემზედ ამბობენ, მე დიდად ვენოდუ უ. რ. კერესელიძეს, ქართული ჟურნალისათვის, ამისათვის უარს ვერ ვიტყვი: გულით და სულით მინდა, ქართული ჟურნალი იყოს საქართველოში საუკუნოდ, მანამ ქვეყანა ბრუნვიდეს მზის ჩალხზედ. ოღონდ ქართული ჟურნალი იყოს და ღმერთს თავდებად გაძლევთ, ჩემთვის სულ ერთია, თუნდა უ. კერესელიძე იყოს რედაქტორად და ვინც გნებავთ, თუნდა სხუა, ოღონდ კი იყოს.

იმ დღეს ერთს შეყრილობაში შევედი, რამწამს დამინახეს, მაშინვე უ. კერესელიძეს დაუწყეს გმობა და თან მე მაყვედრიდნენ: ემანდა შენი კერესელიძე, ემანდა რა დაუნერია ცისკარში, თავის სალაყბოს ფურცელშიო? ბოლოს შევიტყე რასაც მეუბნებოდნენ, ვთქვი: წავალ და ყურადღებით გადავიკითხამ მეთქი.

«ყაბახზე გამოვიდა; ფენომენისაკენ წავიდა და სხუანი..“. ამის კითხვა რომ დავასრულე, ამ დროს უ. კერესელიძე შემოვიდა ჩემთან და სამდურავი ვუთხარ. — «რა დასაწერია ამ გვარი იმაზე მეთქი?» ყოვლისფრით დამარწმუნა, რომ ფანტაზიით იყო მოხსენებული და არა პირს ვიხედმეო. ეს ხომ უ. კერესელიძემ დამარწმუნა, ახლა ჩემს აზრს ვიტყვი იმ დაფარულს გვამზე. თუ რომ საზოგადოება იმ გვამზედ ფიქრობს, მაშინ ამასაც ვიტყვი, რომ მე იმ ყმანვილს კაცსა კარგად ვიცნობ; თვით იმის მეგობრისაგან ვიცი ნამდვალად, რომ უკეთესი ყმანვილი კაცი არ უნდა, ის არის ყოვლისფრით და, რაც მეფეს ირაკლიზე არის დაწერილი, საწყალიო, ის არ შეეხება მეფეს ირაკლის, ის სხუა აზრზედ არის დაწერილი და სხუა გვარად გასაგონი. მაგრამ ესკი უნდა მოგახსენოთ, რადა ვჯავრობთ, როდისაც ჩუენს ნაკლულებას გვეტყვიან რასმე? — იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრმაებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერას ხედავდენ? ეს თქმა დიდი ხანია დამტკიცებულია საქმით, რომ რაც უნდა შეცთომილებში იყოს ადამიანი, ვერ დაინახავს თავის თავს არას დროს.

ევროპიაში იმ უდიდესს და უსაკვირველეს გვამებზე რომ წერენ და აუგად ახსენებენ, მაშ რა უნდა ჰქნან ამისათვის იმათ? — ჩუენის აზრით, თავი წყალში უნდა გადიგდონ, მაგრამ არა! ესმით და მომავალისათვის ფრთხილობენ. ერთი გამოჩენილი გვამი ქალაქის

ბაზარში მიდიოდა, ბაზრის თავში ნახა, აუარებელი ხალხი რაღასაც მიხვევიან და სიცილით რაღასაც შეყურებენ მალლა კედელზედ. ესეც მივიდა, შეხედა, რომ ამის უშვერი კარიკატურა დაუკიდინათ, ყველანი იმას შესცქერეან და სასაცილოდ იგდებენ. ამან თავის მოსამსახურეებს ჩამოაღებინა ის პატრეთი, თავის უშვერი კარიკატურა და კედლის ძირში სკამზედ დაადგმევინა, მობრუნდა და მხიარულად ხალხს უთხრა. — «იქ შორს კედელზე ვერ დაინახავდით რიგიანათ, აქ ახლოს უფრო კარგად გაარჩევთ და უფრო ბევრსაც გაიცინებთო.»

არ ვიცი თუ, რად ვჯავრობთ ნაკლულების თქმასა ჩუენზე? — თუ გნებავთ პირველათ ჩემგნით დაინწყეთ: მე დამგმევით, მე გამლანძღეთ და რაც უარესია, დანერეთ ჩემზე, დიდად მიამება, ვინ იცის, იქნება მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედ. მაშინ თუ თავს მართალსა ვგრძნობ, მოგახსენებთ, თუ არა და, სიამოვნით დავჩუმდები. ჭეშმარიტად!

აბა როგორ არ ითქუას აქ? — როდისაც თავადის გიორგის დავითის ძის ერის-თავის გაყრილობის კამედია ითამაშეს, ის ზნეობითი კამედია და ჩუენი დიდი საგრძნობელი, რა ყოფა იყო, ანუ რა ძახილი! სწორეთ ვიტყვი, უფროსი ერთმა ვერ იგრძნა ის კარგი ზნეობითი კამედია და სასაცილოდ მიიღეს, ვითომ: გაცინებისათვის დაუნერიაო. მე ამას რასაც ვანბობ, მართალია: საზოგადოების აზრი კარგად გამოვიკითხე მაშინ ამაზე.

აბა, ესეც როგორ არ ითქუას აქ? — იმ შეყრილობაში, ზევით რომ ვსთქვი, სადაც უ. კერესელიძეს ჰგმობდნენ დიდად, იმ სალაყბოს ფურცლისათვის. იმ ანბავში ერთი პატიოსანი ადამიანი შემოვიდა, იკითხა. — „რა ყოფა გაქუსთ, რა ანბავიაო? — „ყველამ ერთპირად ღალად-ჰყო და უ. კერესელიძეს გმობა დაუნყეს: აი, რა დაუნერიაო?“

იმან გაცინებით უთხრა. — „არა! მაგ სალაყბოს ფურცლებს კერესელიძე ხომ არა სწერს, — სხუაზედ თქუა. — ესა და ეს თავადის-შვილი ჰწერს და არა კერესელიძეო.“

ამ სიტყუაზე ცეცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ ყველანი და ერთმანეთს ცქერა დაუნყეს დამშვიდებულის სახით და ბოლოს ერთმა თქუა სიამოვნით:

— ჰო, ეგ კი! იმან რო დასწეროს, შეეფერება და ამას იქით კიდევ მოვიწონებთ მაგ სალაყბოს ფურცელსაო.

აჰა ჩემო ხელმწიფენო! ამაზედ მე აღარას ვიტყვი აქ.

სიტყვა იტალიისათვის

გაზეთებში ჩანს, მცირის სარდინიის აღჭურვა, სამშობლოს იტალიისათვის, რომელმაც ამისათვის შეირცხა სიმხნე, პატიოსანმა ფრანციამ და მიმართა მხედრობითა თვისითა, ავსტრიის მხედრობასა, ვისაცა ჰყავს იტალია ბორკილს ქვეშ დაპყრობილი. ეს ამხედრება არის ჭეშმარიტი სამართალი ავსტრიაზედ. მიმართეს ორთა მოკავშირეთა: ფრანკო სარდინიამ, იმ ავსტრიელთ. ამ შეჯახებულ მოპირდაპირეთ უყურებს, იდაყვზე დაბჯენილი, ზღვისპირს გამჯდრი. — „თუ ვითარ იქნება ბრძოლა იმათი?“ — იტყვის იგი. — „უკეთუ გამოხსნისა იტალიისა, მიხარის და ღმერთს ვედრი მისთვის, რადგან თავისუფლება, ოჰ, რა კარგია! უკეთუ დასაპყრობლად ფრანციისაგან, მაშინ ვაი საცოდავო ევროპიელთ სისხლო; უნდა მივესივნეთ ერთმანეთსა, უნდა შევიჭიდნეთ, შუაზე განხეთქილი ევროპია და ვწყვიტოთ ერთმანეთი გაუკითხავად: ვითარცა შეკმუშვილი უანგარიშო ჭიანჭველა სწყვეტდნენ ერთმანეთსა, უკანასკნელ ანგლია ჭიანჭველამდინ. ამ საშინელებისაგან ღმერთო დაგვიფარე!“ ამით დაასრულა ანგლიამ.

ვინ იცის რავდენი მთების, რავდენი მინდვრების, რავდენი მდინარეების და დასასრულ რავდენი ზღვების აქეთ ვიძახი მე ამას და შევძახი ღმერთსა ამასა გულმტკივნეული: ღმერთო! იტალია განათავისუფლე!

შენ დიდო ღმერთო! გული მეფეთა ხელთა შინა ღვთისათა არს. შენ მიეც, იმ დიდს იმპერატორს ფრანცუზებისას ის შენი ღვთიური გული! იტალია გამოიხსნას და მისცეს საკუთარი თავის უფლება რომ ის იმპერატორი ნაწილებად გაგვეყოს ყველას, და თავყანის საცემლად გვექონდეს იმისი განწილული ნაწილები ხმელეთის ერთა. მაშინ ფრანცია და იმისი ძენი ამაღლებიან, ხარისხსა მალაღსა სვეტსა და იტყვიან ქვეყნის დასრულებამდე ესრეთ: დიდ ხარ იმპერატორო ლუდოვიკ! — და დიდ არიან შენი ფრანციელი ერნი! — განთავისუფლებისათვის იტალიისა! —

დამონებულო იტალიელებო უსამართლო ავსტრიელებისაგან, ვინძლო, ასე რიგად გამოიდოთ და გამოიჩინოთ თავი თქვენის სამშობლოს იტალიის გამოსახსნელად, რომ ყველას მოაწონოთ თავი, ამასთან ღმერთი მადრიელი ამყოფოთ, და ფრანციელი იმათის ხელმწიფითურთ დიდად მადლობელი ჰყოთ თქვენის მამულის ჭეშმარიტის სამსახურისათვის.

იტალიანელებო! მტრის გულისად არ გახდეთ ბრძოლაში; თქვენი ზურგი თქვენმა მტერმა არა ნახოს, რომ თქვენმა ფეხმა

უკან არ დაინიოს ერთი მცირედი ვერშოკი: იცოდეთ, ან ადგილობრივ უნდა დაიმარხნეთ ერთიანად, ან არადა თქვენი მამული განათავისუფლოთ ავსტრიელებისაგან, რომელმაცა ალგზარდათ ძენი იტალიამ და ვეება ვაჟიკაცები მიგცათ მამულს. თქვენგნით აქვს დიდი იმედი იტალიას და თქვენის შეურყეველის ვაჟკაცობით მოელის იტალია, უთუოდ თქვენგნით განთავისუფდეს.

მაგალითი თქვენი: თქვენი კაროლი ევმანიულ! უბედურის შვილი ალბერტისა, რომელმაცა შემოგნირათ თავი, ბოლოს გადავარდნილი ისპანიაში, იქ იმ უცხო ქვეყანაში მოკვდა მნუხარებით, თქვენის უბედურებისათვის იტალიანელებო და წმინდა მონამეთათანა აღირიცხა ისიც. ნურაფერზედ ნუ მოიწყენთ იტალიანელებო, იმ მონამის ალბერტის ჩრდილი მიგიძღვისთ წინ: თქვენს მხედრობას და იმისი წამებული მონამეობა მოგცემსთ უთუოდ გამარჯვებას, ხოლო თქვენი ძლიერის თავგადადებით.

შეხედეთ იტალიანელებო, ვინ მიგიძღვის თქვენ? — ღვთისაგან მოვლენილი თქვენთვის, დიდი კაცის ძმისწული იმპერატორ ლუი და მასთან საფრანგეთის დიდი მხედრობა! — და ამისთვის რა გმართებსთ თქვენ? — ემსახურენით იტალიანელებო, თქვენს მამულს მსხვერპლად, რომ მონამეთა თანა შეირაცხნეთ და საუკუნოდ იხსენიებოდეს სახელი თქვენი დიდებისა მთელს ქვეყანაზედ!

მშვიდობით პატრიოტო იტალიანელებო! თქვენი მამულის განთავისუფლებისათვის და თქვენი შვილიშვილების ბედნიერებისათვის, თქვენი ომი სიკვდილზედ, რომ ყველამ დაიძახონ: რომაელების შვილობა კი ეკადრებათ იმათ!..

იმ დაუსაბამოს! იმ დაუსრულებელს მამას! ვევედრები გულგახურვებული, რომ რას მდგომარეობაში ანუ რის შემწეობითაც კი ეხლა იტალიანელები მიეხნიენით, ჩემი შვილებიც იმ მდგომარეობაში, იმ შემწეობით მენახოს მიხნევილი ჩქარა, მაშინ ჩემს შვილებს ვეტყვი: ან განყდნენ სულ ერთიან დედებითურთ მტრებისაგან, ან არადა წმინდა თავისუფლება მოიპოვონ!..

ჩუენი საქართველოს საზოგადოება¹

უნინდელი ჩუენი საქართველოს საზოგადოება იყო იმ მდგომარეობაში გარემოებისა—გამო, და მხოლოდ ამისთვის იყვნენ გაერთებულნი: ჩუენი მამული მაჰმადიანთ არ წარიტაცონო. ამაში იყვნენ გართულნი ერთს პირზედ, რომ სხუა კეთილმდგომარეობისათვის აღარა სცალოდათ; ვაჭრობა ეფიქრათ ანუ სხუა რაჰმე შესამატი საფუძველიანი. ამაზედ ისინი არ დაიდრახებიან, ამისთვის რომ ოთხსავ კუთხივ ეხვიათ მტერი და მოუსვენად ებრძოდნენ მტრების ძლიერებას, მაგრამ ახლა სად, რა საზოგადოებალა ჩანს ჩუენს ქვეყანაში; კარგი რამ იზრუნონ ანუ კეთილი რამ საქმე, რომელნიცა უმიზეზოდ ვდევნით ერთმანეთსა მტრად, ვართ მოშურნენი ერთმანეთისა და სასიამოვნოთაცა გვაქუს ეს ამ გვარი ჩუენი ქცევა. საზოგადოდ ვგრძნობთ ამას ჩუენ შეკიდებით, მაგრამ მაინც კიდევ ჩუენსასა ვშვრებით და ჩუენი სისუსტე ვერ მოგვიშლია. სულის და ხორცის სავენებელი.

ჩუენს უძლიერეს რუსეთს ვუპყრივართ სამოცი წელიწადი, იქიდგან აქამომდე, რავდენს კარგს მაგალითებსა ვხედავთ აწინდელს დროისას: ვაჭრობისას ანუ შემატებისას? მაგრამ ვერა ვისწავლეთ—რა და შორს დავრჩით ყველაზედ. ნუ გვგონია კარგი იყოს ეს, არა, ეს ამ გვარი ჩუენი უწესო ცხოვრება ანუ ქცევა, იმას მოასწავებს, ბოლოს ასე გავლარიბდებით, რომ ღარიბ გლეს კაცებზედ უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხუას შესამატსა კარგსა. მივიხედ—მოვიხედოთ, თვალი გადავავლოთ, რას დავინახამთ პირველად? საკურველს საქართველოს სომხებს! — დავიჯეროთ ყველამ, უთუოთ ჩუენც ისე უნდა მოვიქცეთ, თორემ ულუკმო დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდევ გავწყალდეთ.

ამ ჩემს წრფელს ლაპარაკზე ნუ გამიწყრებით: რა ვქნა, საბოლოო და საშვილიშვილო აღარა გვიჩანს—რა, არაფერი კარგი, თუ დრო გაუტარებლივ საფუძველიანათ არას ვიფიქრებთ კარგს რასმე, ნამეტნავად ამისთანა განათლებულს სახელმწიფოს ხელქვეშ, რომელიცა ჩუენთვის ზრუნავს დიდად.

ზოგიერთს შემთხვევაში, ცოტად კიდევ გვიყვარს მამაპაპურად ქცევა, იმათებურად ხელგაშლით ცხოვრება და გულუხობა,

¹ ამ სტატიის ავტორმა აღგვითქუა, გამოგზავნა ვრცლად ცხოვრების აღწერისათ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკისა, რომელსაცა დავებქდავთ კვლად დიდის კმაყოფილებით. რ.

მაგრამ ეს კი აღარ ვიცი, მაშინდელი დრო სხუა იყო და ახლანდელი დრო სხუა არის, მაშასადამე, დროს მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოთ. ამას ჩუენ ვერ მიმხვდარვართ, ნამდვილი საფუძველი რა არის, ჩუენი შემატებისა, ანუ სწორედა ვსტყუათ, ჩუენის კეთილმდგომარეობისა? ამ საგანს მიხვედრილია, ერთი ჩუენი პატივცემული გვამი თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი, რომელიცა ამ თხუთმეტის წლის წინად, იმის მამის გარდაცვალების შემდგომ, ჯერ ოთხს ნაწილად გაიყვეს მამა პაპის ყმა და მამული: ორმა ბიძებმა, მესამე ივანეს ბიძაშვილმა და უფროსის ძმის შვილმა თვით იმ ივანე მუხრანსკიმ, მასუკან ამ ივანემ და ამისმა ოთხმა ძმებმა გაიყვეს, ხუთ ნაწილად თავიანთი ერთიანი ნაწილი, მაშასადამე, მთელი მამა-პაპის ყმა და მამულის ოცი წილიდგან მეოცედი ნაწილი რგებია, რომელსაცა ამ მეოცედის ნაწილიდგან ჰქონდა შემოსავალი თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის, ორმოცი თუმანი, გაყრის შემდეგ ამ თხუთმეტის წლის წინად.

რა გგონიათ? ამ თხუთმეტს წელიწადში, თავისი ორმოცი თუმანი, რავდენ შემოსავლად აიყვანა თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკიმ? სამი ათას თუმანზე მეტად. ჩუენი ქართველის კაცისაგან დიდი საქმეა ეს!

იმისი შორს დამნახაობა, იმისი მალე მიხვედრა საქმისა, იმისი დაულალავი ცდა საქმეში, იმისი დამტკიცებითი და საამო უზნობა, იმისი მხიარული დარბაისლობა, იმისი მართებული თანასწორე ქცევა, იმისი ძლიერი მოთმინება გაჭირებულს საქმეში, უთუოდ შესრულება საქმისა; ხოლო გამორკვეულის კარგის ანგარიშით და დასასრულ, იმისი ბევრი კარგი თვისება, ანუ ხასიათი; ამაებით წარჩინებულ კაცად ითქმის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი.

როდესაც ეს პატივცემული გვამი, ჯერეთ ყმანვილი კაცი იყო, ახალი პრაპორშიკი, მართალია ამას დიდი კაცის შვილობაც შესწევდა, მაგრამ უნამეტნავესი ღირსებაა ყველასათვის: ნიჭი!

ახალი პრაპორშიკი ესე ივანე, როდესაც რუსეთიდგან მოვიდა, მაგდენი ხანი აღარა გამოვიდა—რა, მთავარმართებელს ბ. რ. დაუახლოვდა, რომელსაცა პახოტებში ემსახურა გამოჩენით და, რომელმაცა ამის გამო უფრო დაიახლოვა. აქედგან დაიწყო ახალი ცხოვრება მოსანონი. თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკიმ შეერთო დაიხ, დიდი კაცის ქალი ცოლათ, მოსცეს კარგი მზითევი. ტფ. ქალაქზე ცოტა მოშორებით, დიღმის სოფელში დაუხვედრა საუცხოვო, მზათ განყობილი სახლი, ღირსებულს ქალს, თავის მეუღლეს, როგორიც იმ ქალის დიდიკაცის შვილობას ეკადრებოდა, სწორედ

იმისთანა. ხვდა საფერი საფერს.

ამ დიდი კაცის ქალმან ნ. დიდს სახლში გაზდილმა ნებიერად, აქ დაუტევა ყველა, მიბაძა ქმარსა, შეუდგნენ ორნიც სახლის პატრონობას და შემატეს სახლსა დიდათ.

იმ დანყებიდგან აქამდისინ, რომ ვთქუათ ყველა თ. ივანეს ანბავი, მეტად ვრცლათ მოვა, ამისთვის დაკვეცილად ვიტყვით და აქა-იქ გამორკვევით.

თ. ივანემ იყიდა გარეთუბანს მამული, რაზედაც ააშენა კარგი შემოსავლიანი დუქნები; შეიქნა პოლკის კამანდერი, შეიქნა ღენერალი, მისცეს ატრიადი ოსმალს ომების დროს, მისცეს დევიზია; ააშენა მშვენიერი შემოსავლიანი სახლები, გამოიხსნა გარდაცვალებულის სანატრელის თავის უშვილოს ძმისა ყმა და მამული, რომელიცა დაგირავებული იყო სულერთიან და თავისად დაიმკვიდრა. კიდევ თავისმა ორმა ძმებმა გ. და მ. მიყიდეს თავიანთი წილი ყმა და მამული, რომელსაცა ჰფლობს და მატებს ბევრს კარგს. ამ ორ ძმათაგან ერთი მ. ცხოვრებს რუსეთში და დგას თავის ცოლის ყმა და მამულზე. ამის ძმას გ. ვძრახავდით: ამან რალათ გაყიდა თავისი წილი ყმა და მამულიო, მაგრამ როგორც გ. მოიქცა სწორედ დიდ სულოვნობას და დიდ გონიერებას მიენერება, ამისთვის რომ ჯერ პირველათ შემატა დიდს შრომის მოყვარეს ანუ საგანგებოს სახლის პატრონს თავის ძმასა თავისი წილიც, რადგან ამით უფრო შემძლებელი იქნებოდა თავის მეუფროსე ძმა ი. ვითარცა უწინდელს დროს იყო ხოლმე: ერთი სახლის უფროსი, იყო მთელს სახლის მართველად. დიდსა სამოქალაქოს სამსახურში იმყოფება გ. და კარგი ჯამაგირიცა აქუს, მაგრამ უფრო პირველი მიზეზი ეს იყო, გ. რომ თავისი წილი ყმა და მამული თავის ძმას ი. დაუთმო. თვით გ. გამიგონია: ბევრით სჯობია ერთი იყოს სახლში შემძლებელი, სახლის ძლიერებისათვის, რომ სახლი არ დაეცესო. ეს სიტყვა ძვირფასია და დიდათ მოსაწონი.

ეს ხომ ითქუა, ახლა იმასვე ვიტყოდეთ რომ ცოლ-ქმართ ი. და ნ. არ მიხედეს ეხლანდელსა სოფლიურსა დიდსა ცხოვრებასა, რომლის მიზეზით ვალეებში ვართ ჩავარდნილი და ვცხოვრებთ ძნელად.

კვალად ვიტყვი, არ მიხედეს იმ დიდს ცხოვრებასა ი. და ნ. და იკმარეს ზომიერი ცხოვრება, რადგანც წესში არა ჰქონდათ თავიანთი სახლის მდგომარეობა კიდევ.

მამულის შემოსავალი წესში რომ მოიყვანეს, როდესაც ქალაქის სახლები ანუ დუქნები კარგს ფულს მოსცემდნენ ხოლმე, მაშინ მოინადინეს, მხოლოდ ერთს თავის შვილსა შერთეს ცოლი, დიდის

სახლიდგან, კვალად სახლში ერთი ჩინებულის ყმა და მამულით და ქალაქში გამოჩენილის სახლებით. ეხლა ერთიანი ესე სახლობა ცხოვრებენ უცხოთ, ევროპიულს განყობილს საუცხოვოს სახლებში, ხან ქალაქში და ხან სოფელში, რომელთაცა სამი საგანი აქუსთ ამათ ცხოვრებასა: პირველი, კვალად უფრო შემატება, მეორე, თავიანთ მახლობლებთან კეთილად ცხოვრება და მესამე, გარეშეთა უნაკლულო პატივისცემა, ყველას თავის შესაფერი. ევროპიელს ღრმა გონიერს კაცად ითქმის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი.

მონყალენო ხელმწიფენო! დრო არის ამ კაცს თ. ივანეს სრული ჩუენი გონება მივაქციოთ; მივმართოთ ამას, ამას დაუახლოვდეთ თუ ამაზედ სამდურავი გვაქუს ვისმე, ყველა დავივიწყოთ. მე ამას კარგათ ვიცნობ; ამის დაახლოებით, კარგს შვეიძინებთ, ბევრს შევიმატებთ და ბოლოს მადლობელი ვიქნებით ამისი.

ხომ ვხედავთ, ჩუენს ქვეყანაში მშვიდობის მეტი აღარა არის—რა, აღარც თოფი და აღარც ხმალი, — ვმადლობ ღმერთსა! მაშასადამე, სადაც მშვიდობაა, იქ რა არის საჭირო? — სწავლა—განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა გვექონდეს ეხლა და ეს აზრი საზოგადოთ, ამისთვის ხელთმძღვანელი უნდა გუყავდეს ვინმე უთუოთ, ესეები გვასწაოს და დავგაყენოს კიდეც, ამ ხსენებულთ საგნებზედ, თორემ მხოლოდ ჩუენის ცალ—ცალკეს უთანხმოს თავით, ჩუენის ლითონის ტრაბახის ლაპარაკით და ჩუენი განზე სიარულით თავ მოწონებით, რა იქნება ჩუენთვის? სულ არაფერი. მაშ გვიპოვია კაცი და მივმართოთ მას.

იქნება იფიქროს ვინმემ, ნათესაობის გამო ვუნერდე მე ამ ღირსებას თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის? არა! ვინც მახლობლათ მიცნობს მე, ისინი არ იფიქრებენ ამას. ამისთანა განსჯაზე ანუ სხუა რაქმე საქმეში, სულ ერთნი ხართ ჩემთვის ჭეშმარიტად!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში

ამ საგანზედ მომატებულს განსჯაში არ შევალ, ხოლო უმეტესად აღვწერ, ვითარ და როგორ იყო ბატონყმობა საქართველოში? — იქნება ისტორიის წერილად გამოდგეს ეს წერილი, ამისათვის უმდაბლესად ვითხოვ ცისკარში დაიბეჭდოს ეს წერილი და ბოლოს მეისტორიემ განჩხრიკოს, ისტორიისათვის საჭიროა თუ არა?

საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად (მონება მესმის მე, დაჩაგვრა?) არ ითქმის. მართალია სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს.

უწინდელს დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილისავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისათვის.

ყმა თავის მებატონესთან თამამად მივიდოდა, ყოველს საქმეს დაუფერებით, აუშკრთალად მოახსენებდა და როგორც ამხანაგი, ისე გაუგრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიახ, პატივისცემით.

ყმა თავის მებატონესთან დაჯდებოდა სადილათ, ანუ ვახშმათ, მებატონესთან ერთად იგემებდა; მებატონე და ყმა ერთად საუბრობდენ, ერთად შეექცეოდნენ და ერთად სიამოვნებდნენ.

ყმასა მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს ცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო. «არა ვანყენინო რაო.» ერთგულება ხომ, რაღა უნდა ითქუას ყმებისაგან, მებატონისა. ასეთი მაგალითები მომხდარა, რომ მებატონის ერთგულებისათვის სახლეულობით მსხვერპლად შეეწირებოდა მებატონეს. ბევრჯელ მძიმე ავათმყოფს, თავის ბატონს, თავისი გლეხი გარს შემოევლებოდა გულ მხურვალეს ვედრებით: ღმერთო, თუ ამ ჩემს ბატონს სასიკუდინო სჭირდეს რამე, ამის მაგიერ მე მოვკუდე, ოღონდ ეს მშვიდობით ამყოფეო.

ამდენსა მსხვერპლსა მებატონენი ძვირად აფასებდნენ თავის ყმისას, რომელნიცა ამის სამაგიეროდ თავის თავსა არა შემთხვევაში არა ზოგევდნენ, იმათის მცირედის კეთილმდგომარეობისათვის, არამც თუ დიდი რაიმე საქმე ყოფილიყო თავის ყმისა.

ვინიცობაა, თუ მებატონეს ყმა ავათ გახდებოდა, სანახავად წავიდოდა თავის ერთიანის სახლეულობით, კარგა ხანი დასხდებოდნენ და ნუგემს სცემდნენ. თუ ეცოდინებოდათ, სამკურნალოს მისცემდნენ, თუ არა და აქიმს მოაყვანიებდნენ. საჭმელით ხომ, რასაკვრველია, ხელს უწყობდნენ ყოველთვის, მოკითხვითაც ხშირად იკითხამდნენ და ხანდისხან თვითონაც მივიდოდნენ სანახა-

ვათ; თუ სარიდო არა სჭირდა—რა, და თუ სარიდო სჭირდა, გარედგან ზრუნვას არ დააკლებდნენ.

თუ ღმერთი მშვიდობას მისცემდა, დიდი სიხარული შეუდგებოდათ მებატონეთა თავის ყმისათვის, და თუ დღე დაუმარცხდებოდა, თანასწორ იმის ნათესავებისა, მებატონენიც ეგრეთ შენუხდებოდნენ; სამარხს გაუგზავნიდნენ, სამძიმრის სათქმელად მივიდოდნენ და დამარხვაშიაც იქ დაესწრებოდნენ. თავის დროზედ შავსაც მებატონენი გამოუცვლიდენ ანუ თავის მოსაპარსსა აჩუქებდნენ რასმე. ვინიცობა თუ ობლები, ანუ ობოლი დარჩებოდა და უფროსი პატრონი არ ეყოლებოდა, მაშინ მებატონე კაცებს დაუყენებდა და იმათი პატრონობით, თვითონაც ყურს უგდებდა დიდის ყურადღებით, თუ სახლში არ გამოიყვანდნენ მოსამსახურედ, და თუ გამოიყვანდნენ, იმას ხომ შვილსავით აღზრდიდნენ თავის შვილებთან ერთად, თუმცა მოსამსახურედ, მაგრამ გრძნობით და სულით თავისუფლად, მოახლესაც ეგრეთვე. ყოველი მებატონე გამზადებული იყო, რო თავის კერძობას თითქმის უკეთესად სცმოდათ ტანისამოსი მებატონეზე და განსხვავებით ყოფილიყვნენ ტანისამოსში. ეს ჩვეულება ასე იყო ძველადგან საქართველოში.

ქორწილი ხომ, რაღა უნდა თქვას ენამ. ვითარ დღესასწაულობდნენ მებატონენი თავის ყმის ქორწილს, რავდენს შესაწევარს გაუგზავნიდნენ: ცხვრებს, ძროხებს, ყველსა, ერბოს, ღვინოს, პურს, ტანისამოსს და ამგვარს კიდევ რასმე, რომელნიცა თვითონაც ცოლ-შვილით ეწვეოდნენ. პატარძალსა პირის სანახავს მიართმევდნენ, ვითარცა დედოფალსა, ხოლო სამი დღისას: ბეჭედს ანუ კარგსა ნივთსა რასმე და ანუ ფულსა. დროსა ღვინისასა, ისე მოიღებდნენ და ისე შეექცეოდნენ თავის გლეხებში, როგორც იმისი ახლო ნათესავნი; ქალები ქალებთან და კაცები კაცებთან, რომელნიც ფერხულშიაც იმათთან დაებმოდნენ და იმათთან ერთათ მოიმღერებდნენ.

ამპარტავნება და თაკილობა ერთმანეთისა იყო ღვთის საწყენი, ანუ იმის განმარისხებელი. ასე იყვნენ ყმანვილობითვე ჩაგონებულნი თავის უფროსებისაგან. მაგალითებრ: მეფის ირაკლის ვინმე საყვარელი მ. ს. თვით მეფის გაზდილი, იყო ამპარტავანი და ზვავი კაცი, იცოდა მეფემ ეს ანბავი და ყოველთვის სტუქსავდა, მაგრამ მეფე იმისი მოწყალე, ვილასილა შეეშინდებოდა? მეფემ უთმინა, უთმინა და რო ველარ დააჯერებინა, გაუწყრა და სრულიად აიკლო. რასაკვირველია, თავის დროზედ ისევე გაუტკბა და უნამეტნავესით დაუბრუნა თავისი ქონება, მაგრამ ეს წყრომა იყო მაგალითისათ-

ვის სხვების გასაფრთხილებლად.

უწინდელს დროში ასე და ამ გვარად იყო ჩუენი მამაპაპის ცხოვრება, მეფიდგან მოკიდებული მცირემდისინ, რომლითაც არავისი კარი არ დაიკეტებოდა, თუ არ ძილის დროს. არავის არ დაეშლებოდა თავის უფროსთან მისვლა, — მივიდოდნენ ისე თამამად, ისე გაბედვით, ისე პატივცემით და ისე ზდილობით, როგორც ზევით აღგვინერია.

როგორა ვსთქუა, სულ ასეთნი იყვნენ საქართველოს ხალხნი მეთქი, მაგრამ საზოგადოდ, სწორედ ასე ითქმის. რასაკვირველია, იმათშიაც იყვნენ ცუდნი კაცნი, ანუ უწყალონი, მაგრამ ერთიან საზოგადოობისათვის ეს რავდენიმე დიახ მცირეა, რომელნიცა თითით საჩუენებლად ჰყვანდათ და საანდაზოდ საქართველოს ერთა, ამ გვარი კაცი. ეს ამ გვარი კაცი უნდა განიკერძოს, ამისთვის, რომ ამ გვარი კაცი მიაჩნდათ, ვითარცა იუდა.

მეფე ვახტანგ ანბოზს თავის სჯულში და კანონად ზდებს — «სულს გარდა მებატონისა, არის ყმაო.»

ამ მეფე ვახტანგის კანონს სხუა გვარად ნუ გავიგონებთ. ეს იმას ნიშნავს, როგორათაც შვილი მშობელს ეკუთვნის და შვილი სრულებით მშობლისა არის, ისე იმის მზგავსად მებატონეს ეკუთვნოდა ყმა. დაუნაშავებელი კაცი ხომ არ იქნებოდა, სრულებით უმანკოება ყოფილიყო ჩუენს ქვეყანაში, ამისთვის ეს მეფის კანონი იმას ნიშნავს, როგორათაც დამნაშავეს შვილსა, მამამ ნკეპლა დაანახოს და იმითი შიაშინოს, ისე ის კანონი ჩუენი გლეხების საჩუენებლად და მებატონის შესაკავშირებლად იყო, უფრო და უფრო ერთნი ყოფილიყვნენ, რომ იმათი განშორება არაფრით არ მომხდარიყო, როგორც მამა შვილისა, თორემ თუ ეს ასე არ ყოფილიყო, იმისთანა ბრძენი და მონყალე კაცი, ვითარცა მეფე ვახტანგ, იმისთანა უწყალოს კანონს დასდებდა? — საქმეც აცხადებს იმას.

ყოველს მებატონის გლეხებსა, თავთავის დებულობა ჰქონდათ მებატონისა: ყოველს საგანზედ, ყოველს საქმეში, და ყოველი ასე და ამ სახით იყო ყოველი ჩუენი მდგომარეობა მამა-პაპისა. ყველამ იცოდნენ თავისი მოვალეობა და აღსრულებდნენ. რიგზედ, წესზედ, სიმართლით, სწორედ, თავის დროზედ და ყოველის ჭემარიტებით. მგონია აქამომდე კიდევ იყოს იმერეთში დებულობა სამსახურისა. მებატონეთა და თავის გლეხებთა შორის.

ეს ამგვარი მაშინდელი ჩუენი ცხოვრება იმისათვის იყო ისე კარგი, რომ მაშინდელი ზნეობა სრულიად განმენდილი იყო ყოველის მცირედის მნიკვლისაგან, ესე იგი, იყვნენ: მშვიდობიანნი, წყ-

ნარნი, უფროსების მორჩილნი, ნათესაობის მიმდევნ-მომდევნი დიდის სიყვარულით, მეზობლების გამტანნი და შემწენი ერთ-მანეთისა; კეთილნი, პურმარილიანნი, პურანდი, შემწყნარებელნი, გლახაკ-დავრდომილთ ხელის გამმართველნი, ზდილობიანნი, მართებულნი, უცხო დარბაისელნი, მოთავაზენი, გულგახსნილნი, სინრფელით მოლაპარაკენი, დაუფერებით მიქმელნი, გულფიცხელნი, მხიარულნი, მომღერალნი, მახვილ-სიტყვიერნი, გონიერნი, საქმის მალე მიმხვედრნი, თავის პირობის აღმასრულებელნი. არაოდეს სალანძღველსა სიტყვას არ იტყოდნენ, არამცთუ საგიებელი ეთქოთ რამე, და თუ როგორმე იტყოდნენ, დიდი შფოთიც მოუხდებოდათ; მეუფროსეთ პატივის მცემელნი და იმათ უზნობის დროს განკრძალვით ყურის მიმგდებნი, სინიდისიანი, გულმარტივნი, მიმდობნი, უცხო დედაკაცთან უმანკონი, ვალის გადახდაში უკანასკნელს ქონებასა მისცემდენ თავის დროზედ; მართალნი და მართლმსაჯულობის მოყვარულნი. სახლეულობაში ბედნიერნი, არაოდეს ტყუილს არ იტყოდნენ, რაც უნდა ძვირფასი განძი ეპოვნათ, არ დამალავდნენ, მოსავენი, ჭემმარიტნი მორწმუნენი, ხასიათში მაგარნი, გაჭირებაში დიდი მომთმენნი, ძლიერნი ვაჟკაცნი. ამხანაგობაში ანუ მეგობრობაში მტკიცენი და ეგრეთვე სხუანი ამგვარნი... როგორც კაცნი კარგნი იყვნენ, მაგრამ ახლა ვიკითხოთ: მიზეზი რა იყო ამისთანის კარგის ზნეობისა?

ჩუენი ქრისტიანობის სასულიერონი აღსრულებდნენ ყოველს სახარების სიტყვას, იცოდნენ იმათ, საღმთო წერილი კარგად, არამც თუ მხოლოდ წაკითხვა, არამედ იმის კანონის დებულობას აღასრულებდნენ, ყოვლის გულით და სულით; სრულიად მიხვედრილნი იყვნენ იმ საღმრთო წერილის ძალს, სხუა ყოველი ამაო არს თვინიერ კეთილისაო.

ამ საგანზედ ექადაგებოდნენ თვისთა მრევლთა, ყოველთვის და ყოველს ჟამს, ამ საგანს ვრცლად განუმარტებდნენ სამღთო მწურვალეს გულით, რომელნიცა ყურადღებით მოისმენდნენ, თვის მოძღვართა კეთილ უზნობასა და შეუდგებოდნენცა კეთილთა დარიგებათა მათსა.

საქართველოში არა მებატონე არ იყო, რომ იმას თავისი საკუთარი მღუდელი არა ჰყოლიყო არ იქნებოდა, რომელთანაც ყოველს სადილ-ვახშმათ, მღუდელიც იქ უნდა ყოფილიყო უთუოთ; იმას ეკურთხა სუფრა, თორემ უმადლო სუფრა იქნებოდა უმღუდლოდ. ეს მღუდელი იყო მებატონის კარის ეკლესიისა, მებატონის სახლის მახლობლად, რომელშიაც განუწყვეტელი იყო წირვა: ლოცვა

და ცისკარი, სადაც მებატონენი სახლეულობით მივიდოდნენ მოსასმენად ყოველთვის, და წირვის შემდეგ შუადღის დროს სადილს იგემებდნენ კეთილად. როგორც ქართველების სადილ-ვახშამი ანუ სუფრა კეთილ საუბრით გაივლიდა ხოლმე, ღმერთმა კაცობრიობას მისცეს ის კეთილი და ბედნიერება.

ჩუენი უდაბნოები ყოველთვის ბერებით სავსე იყო. ბევრს ცოლშვილიანს კაცებს სახლეულობაზე ხელი აუღიათ და იქ შესულან მონაზონად: სოფლის ამოებას მოვშორდეთო. ვიცი ეს მაგალითები და ამისთვის ვანობ მე ამას.

ერთს პატიოსანს კაცს (ეს უფრო ახალი ანბავია) სახლეულობით ბედნიერს, თავის სახლეულობაზე ხელი აუღია და უდაბნოში მისულა ბერებთან მონაზონად, რომელიცა წელიწადში ერთხელ მოვიდოდა თურმე კალოს დროს თავის კალოს პირზე, სადაც თავის სახლეულება გაეგებებოდნენ, დიდის მოწინებით და კრძალვით თაყვანს სცემდენ, ცოლი, შვილები და ერთობრივ ნათესავები, ისიც მცირეს ხანს დარჩებოდა კალოს პირზე თავის სახლეულობასთან და ნათესავებში კეთილ საუბრით, რომელსაცა იმის უბნობის დროს, ერთს ურემს პურს მიუწყამდნენ თავის სახლეულობა; ისიც უდაბნოს კაცებს ანუ თავის ამხანაგ ბერებს ურემზე დაადებინებდა იმ პურს და წმინდა ბერებისაკენ გამოემგზავრებოდა უდაბნოსკენ, სადაც თავის სახლში აღარც კი შევიდოდა: მოვიდოდა უცხო ბერსავით და წამოვიდოდა უცხო ბერსავით. იმის შინაურები და ნათესავები, სიამოვნის ცრემლით აცილებდნენ და თან სანატრელად მიანჩნდათ, იმის კეთილ ცხოვრება კეთილს ძმებსა შორის უდაბნოში.

ყოველი საქართველოს უდაბნოების კარი ღია იყო ყველასათვის, ყოველს დროს, ყოველს ჟამს. იყო ყველასათვის ერთგვარი სადგური და მისამართი. უდაბნოს ეკლესიის სალოცავათ ვინც დედანი წავიდოდნენ, თამამად შევიდოდნენ იმ უდაბნოში ბერებთან და იმათთან კარგა ხანი დარჩებოდნენ, რავდენიმე დღეები: ვითარცა წმინდა სული სასუფეველში შესულ-გამოსული. არამც თუ საქმით, ფიქრითაც არ იცოდნენ ცუდი რა იყო ქვეყანაზედ, ასე განწმენდილი ზნეობა იყო ძმებსა შორის საქართველოს უდაბნოებისა, მაშინ როდესაც რომ არა უდაბნოსა ბერსა დაშლა არა ჰქონდა ქალაქებში და სოფლებში სიარული არავისთან, რავდენი ხანიც ნდომოდათ, მაგრამ ახლა ვიკითხოთ, ასეთი თავისუფალი სიარული რა იყო უდაბნოს ბერებისაგან ქვეყანაზედ?

ქადაგებდნენ ქვეყანაზედ ჭეშმარიტსა ქრისტიანობასა, რა არის ქრისტიანობა? — არ დარჩებოდათ არა სახარების სიტყ-

ვა, განმარტებით არ ელაპარაკათ. ვისთანაც იყვნენ ხოლმე, არ გაუშვებდნენ სამლო წერილის კეთილს აზრს, იმათში არ ეთქუათ. სულ ამაზედ ქადაგებდნენ და ამაზედ ლაპარაკობდნენ საქართველოს ერში; არა პირსათნოებით, არა რაისამე განძრახვისათვის, არამედ კეთილის ქრისტიანობისა და განწმენდილს ზნეობისათვის. ეს იყო და ამისთვის დადიოდნენ ქალაქებში და სოფლებში ჩუენი უდაბნოების ბერები.

როდესაც უდაბნოს ბერი მოვიდოდა სახლეულობაში სადმე, უნდა გენახათ მთელი სახლეულება, ვითარ კეთილ-მონიერებაში შევიდოდნენ, ვითარ უფრინავდათ გული კეთილით. ესეთი სიტყვით, სულ სხუა ცხოვრებაში გადავიდოდნენ გონებით. ვითა სასუფეველითგან ანგელოზი სწუეოდა მათ.

უწინდელს დროს საქართველოში, ვერავისგან ვერ გაიგონებდით სალანძღველი სიტყვა ეთქო ვისმე, არა დიდსა ანუ მცირესა; სულ ზნეობითი ლაპარაკი ჰქონდათ: მათ დარბაისელებს, მათ მართებულთა, მათ ზდილობიანთა, მათ პატიოსანთა, მათ კეთილის მოქმედთა და მათ მშობლის მამულის მოყვარულთა, რომელნიცა ღმერთსა ხშირად ახსენებდნენ ყოველს ლაპარაკში.

ყოველი ზევით ხსენებული რაც ითქუა, ამის შემდეგ, მგონია, კარგნი იქნებოდნენ ჩუენნი ერნი ყოველს ფერში — სადაცა ცუდი არა გაიგონება—რა, თვინიერ კეთილისა, იქ უთუოთ ერნი კარგნი იქნებიან, დაწმენდილი ზნეობისა. კარგი და ცუდი მაგალითი, დიდი საქმეა! ორსაც საკურველი ძლიერი ძალა აქუს; ორსავ შეუძლიან კაცობრიობა დაიმორჩილოს ადვილად.

როდესაც მებატონე და გლეხი ერთად იქნებოდნენ; გლეხი მებატონის პატივისცემაში იყო, ვითარცა მამისა და მებატონე სიყვარულს აჩუენებდა გლეხსა, ვითარცა საკუთარსა შვილსა. ასე და ამ გუარად იყვნენ ერთი-ერთმანეთში გაერთებულნი მებატონენი გლეხებთან, წრფელის გულით.

ჩემს სიყმანვილეში, ესლაც კარგად მახსოვს, ბევრნი ჩუენი მართებულნი ძველი დედაკაცები და კაცები, რომელნიცა დიახ, ხშირად იყუნენ ერთმანეთთან, უნდა გენახათ ისინი: ვითარის თავაზით იყვნენ ერთიერთმანეთთან, ვითარის წრფელის გულით, ვითარის კეთილის სულით; ვითარ ზდილად უზნობდიან, ვითარ ზდილად ხუმრობდიან, რომელნიცა არაოდეს ერთმანეთის საწყენს სიტყვას არ იტყოდნენ, მაგრამ მოუწყვეტლად კი ლაპარაკობდნენ, რაზედაც გნებავთ ყოველს კარგს საგანზედ და უზნობდიან ყოველთვის კეთილს გონიერებას.

სიმართლე და უმანკოება, იქამდისინ იყო საქართველოში. სა-სამართლოები და სამჯავრო ყოველს ადგილს და ყოველს სახლში იყო ხოლმე. ვისაც საჩივარი გაუჩნდებოდა, უფროსი ერთი საჩივარი, იქვე სოფელში გადანყვეტდნენ სახალხოთ რავდენიმე მოჩივრებისაგან ამორჩეულნი შუა კაცები. ბევრჯელ მოხდებოდა, მოჩივარი ანუ პასუხის მიმცემი, თანახმა არ შეიქნებოდა. მაშინ თუ მებატონის კაცი იყო, მებატონესთან წავიდოდა, თუ ეკლესიისა – სასულიეროს უფროს მამასთან და თუ სამეფოსი, — მეფესთან, რომელთანაცა თუ შეეხსნებოდნენ ვინმე, თვით ისინივე შეიქნებოდნენ იმათი მოსამართლენი, თანა დართვით მებატონისა, და თუ არავინ შეეხსნებოდა, თვით მებატონე იქნებოდა მოსამართლე ერთად თავის მეუღლითურთ და იმათი გამოცდილი კერძობანი. ყოველი მაშინდელი ამ გუარი სამართალი, სულ სვინიდისით იყო და ჭეშმარიტებით. თითქმის ყოველი სული, ასე დახელოვნებული იყვნენ ჭეშმარიტის სამართლით, რომ ძნელად შესცდებოდნენ სამართლის დროს სამართლის გადანყვეტაში, მაგრამ უნამეტნავესად უფრო ამას ცდილობდნენ მოსამართლენი, მოჩივარი და პასუხის მიმცემი, ერთმანეთში მოერიგებინათ როგორმე, რომ ერთი ერთმანეთზე გულძვირად არ დარჩენილიყო არც ერთი და ამისთვის პირზედაც აკოცნიებდნენ ერთმანეთს, რომელნიცა დიდი მოხარულნი დარჩებოდნენ ყველანი, რადგან მორიგება მოხდებოდა იმათში. ხანდისხან ესეც მოხდებოდა, თუმცა დიახ, იშვიათად, რომ მოჩივარი ანუ პასუხის მიმცემი, თანახმა არ შეიქნებოდა არავის სამართლით, ამაზედ ძალა არავის შეეძლო. — ჩუენ ასე გადაგვიწყვეტია და შენც თანახმა უნდა იყოვო. მაშინ უეჭველია ფიცი უნდა მომხდარიყო; უნდა ჯვარი და სახარება აელო და ისე ეფიცა. თუმცა დაიფიცავდა, მაგრამ ამ გუარი მოფიცარი კაცი მიანდათ ხალხს ლუთის გარეგან კაცად. არამცთუ ამ გუარი ფიცი, უბრალო ლაპარაკშიაც არ დაიფიცავდნენ ხუმრობით არასდროს, მხოლოდ ამას იტყოდნენ: ჭეშმარიტად ვანბობ, მართლა ვანბობ და კიდევ ამ გვარად. მეორის მეფის ირაკლის დროს, ერთს მოქალაქეს ერთის მოქალაქისათვის ასი თუმანი უსესხებია, გამოსულა დრო და ჟამი, მომკუდარან, ბოლოს მსესხებელის შვილი წასდაებოდა მოვალის შვილს: მამაშენს მამი ჩემისა ასი თუმანი ემართა, მამეცო, რომელსაცა თამასუქიც ერუენებინა, მოვალის შვილს ეთქო: მართალია თამასუქი მამა-შენთან დამრჩა, მაგრამ დარწმუნებით ვიცი, მამაშენმა სრულიად მიიღო ის ასი თუმანი თავის სარგებლით მამიჩემისაგანაო. ბევრი დავის შემდეგ, ორივ მეფეს ირაკლისთან

ნასულიყვნენ და ორთავ საჩივარი რომ დაესრულებინათ, მეფეს ირაკლის ებძანებინა მოვალის შვილისათვის.

— თუ იცი რომ მამაშენმა სწორეთ მისცა მაგ თამასუქის ფული და მიზეზისა გამო, ეგ თამასუქი მაგის მამასთან დარჩა, უნდა გული დაურწმუნო მაგაზე, თორემ გადაგახდევინებს მაგ თამასუქის ფულსაო. ამ სიტყვით დასდო ფიცი. მოვალის შვილის პასუხი ეს იყო. — აგრე იყოს ჩემო ხელმწიფეო: ას თუმანს გამოვიტან პარკით, მამიჩემის საფლავზე დავდებ, იმ მამაჩემს შევაპირებს მაგ ჩემს მოდავეს საიქიოს, მოვიდეს ეგ მოდავე, მამიჩემის საფლავიდგან აილოს ის ასი თუმანი და მასუკან მაგისი იყოს შენი ჭირიმეო.

მეფეს ირაკლის დიდად მოსწონებოდა იმისაგან ეს თქმა და ვინც იმ დროს იქ ხლებოდა, იმათაც. ეს ანბავი ქ. ტფილისში განთქმულ იყო, ამის მეორე დღეს მთელი ქალაქის ხალხი იმ მოვალის საფლავის გარს იდგნენ თურმე, ყველანი ძრწოლით, ვნახოთ რა მოხდებოა? — ამ დროს იმ მოვალის შვილი გამოსულიყო ხალხითგან; თავის მამის საფლავთან მისულიყო, ის ასი თუმნის პარკი, იმის საფლავზე დაედო ამ სიტყვით:

«მამა ჩემო, თუ მაგის მამისათვის (პირდაპირ უდგა თურმე მსესხებელის შვილი) არ მიგეცეს შენი ასი თუმანი ვალი, ეს ასი თუმანი ღმერთმა მოახმაროს იმის შვილს, ამას, და თუ მიგეცეს, საიქიოს მოგცეს პასუხი, დიდს სამჯავროში ამანაო.»

ამ სიტყვასთანვე დაუძახა. — აჰა ეს ასი თუმანი, მოდი და აიღეო. მოვალის შვილი მივიდა, დაავლო ხელი პარკს, მაგრამ ველარ აელო და ძრწოლით უთხრა თურმე. — „არ ვიცი; იქნება მართლა მიეცეს, მაგრამ მე კი არ ვიცი და არც გამიგონია ჭეშმარიტად არავისგან.» ამასთანავე, ის ასი თუმანი მოვალის შვილს დაუბრუნა და ხალხიც მეტი კმაყოფილნი წამოვიდნენ თავთავისად ყველანი. (საქართველოში ამ გუარი სამართალი იყო ყველასათვის ერთ გუარად, დიდთა და მცირესათვის თანასწორად ისე, როგორც ალგვინერია.)

აი ასე მოდიოდა საუკუნოების ჩუენი კეთილზნეობითი სწავლა საქართველოში.

ყმა დიახ, ძნელად გააჯავრებდა თავის ბატონს და თუ გააჯავრებდა, ჯარიმას წაართმევდა, მაგრამ თავის მეზობლისაგან, ყოველთვის საყვედურში იქნებოდა.

— «შენ ის არა ხარ, მამის მზგავსი ჩუენი ბატონი გააჯავრე და ჯარიმა გადაგახდევინა; შენ სოფელში აღარ გაგევლება, თუ სვინიდისი გქონდეს, წადი, ბატონის გული როგორც იყოს, მოიგიე,

თორემ ჩუენ შეყრილობაში არ გაგატარებთო.»

ისიც წავილოდა, მოციქულები უნდა შეეჩნია, ბატონს შეერიგებინა, რომელიცა უფროსი ერთხელ, ბატონიც ჯარიმას დაუბრუნებდა უკან. ჯოხით ცემა, დიახ იშვიათად მოხდებოდა ბატონისაგან თავის გლეხისა, და თუ მოხდებოდა, ისიც ყმანვილს კაცსა სცემდა, მაგრამ მაინც საყვედურს ქვეშ იქნებოდა მეზობლებისაგან, მინამ კიდევ ბატონი შეირიგებდა.

ჩუენი მებატონენი არაფერს არა თაკილობდნენ თავის გლეხებში, არა განსხვავებულს საქმეს და არა მცირეს. თუ მებატონე თავის გლეხკაცებს თავზე არ ადგა მებატონის საქმეზედ, ერთგულათ არას გაუკეთებდნენ – ყოველს მებატონის საქმეში, უთუოთ მებატონეც იქ უნდა სდგომოდა თავზედ: ხანდისხან მებატონეს იმათთან ერთად ეშუაკა, იმათთან მუშური სიმღერა ეთქო და თან ჰოჰმა ეძახა წესისამებრ რიგზედ. არა გაქეზებისათვის იყო ესე, არამედ უთაკილობისათვის გლეხი კაცის საქმისა. თუ ეს ასე იქნებოდა, მოგეცათ ღუთის წყალობა, ისინი კეთილის სიხარულით, ერთგულათ გაუკეთებდნენ საქმეს თავის ბატონს, თუ არა და, დიდად მოიწყენდნენ და წელმოწყვეტილსავით იქნებოდნენ უბატონოდ. მაშინდელმა ჩუენმა მებატონემა სრულის გონებით კარგად იცოდნენ, რომ გლეხი კაციც ღუთის გაჩენილი კაცი იყო, თანასწორ მებატონისა და ამისთვის არას თაკილობდნენ თავის გლეხებში არას საქმეს, რაც კაცობრიობას შეშვენის, სწორედ ისე.

სხუათა შორის, ჩემს სიყმანვილეში, ესეც მასსომს. დიდი კაცი ვინმე და დიდი კაცის შვილი კ. ბ. ბ. და ამისა ძმა თ. სიცხე პაპანებაში, ახალუხას უმკიათ თავის გლეხებთან თავისი ყანა; იმათთან ერთად უთქუამსთ მუშური სიმღერა და თან ჰოჰუმა, როგორც ამხანაგი ამხანაგებთან. მინახამს ესენი, ხვითქმი გაცურებული გამოსულან მკიდგან თავის გლეხებითა სადილისათვის, უზომოთ გამხიარებულები და განცხოველებულის ღიმღიმის სახით. იმათთან ერთად ასე უსადილიათ. პირველად მომკალნი დაუსხამთ სადილზედ, რომელთაცა ჯერ ყველასათვის თვითოეულათ ღვინო ჩამოურიგებიათ ყანებით მათ, მასუკან იმათში ჩამსხდარან შუაში და სადილი გემრიელათ უგემებით იმათთან ერთად, მაგრამ უსიმღეროთ და მოუღებნად ვინაიდგან კიდევ მოელოდნენ მუშაობას სადილის უკან, ხოლო სადილს უკან, ვედრებით უთხოვნიათ თავის გლეხებს თავის ბატონებისათვის, აღარ ჩადგნენ იმათში, რომ არ დაიღალნენ. იმათაც პატივი უციათ და აღარ ჩამდგარან. ესეც ასე იყო, ეს ჩუეულება უწინდელს დროს ყოველს ჩუენს მუშაობაში.

თითქმის ესეც შესანიშნავია აქა, რომელსაცა ეხლა ვიციყვი. მართალია უფროს უმცროსობა იყო საქართველოს ერში, მაგრამ ყოველს საქმეში ასე გაერთებულნი იყვნენ დიდნი და მცირენი ერთმანეთში, რომ თანასწორად ითქმის ყველანი, ყოველს საქმეში ანუ ანბავში. მაგალითებრ: მუშტის ანუ ჯოხის (სალდასტი.) და ანუ ქვის კრივის დროს, თავად აზნაურები ისე იკრიებდნენ თავის გლეხებში, ანუ საერთოდ ხალხში, როგორც თვით მდაბალნი გლეხიკაცნი ერთმანეთში არეულნი, რომელთაცა შორის, არც თავაზა იყო ხოლმე და არც დაზოგვა ერთმანეთისა დასამარცხებლად. ქ. ტფილისის კრივები არა გუანდა სხუა ქალაქების კრივებს, სადაც ორად გაყოფილი ქალაქი ერთმანეთს ეკრივებოდნენ და აჭირვებდნენ ერთი მეორეს დასამარცხებლად სახელისათვის. ქართლის თავად აზნაურნი ზემოთი მხრით იკრიებდნენ და კახეთის თავად აზნაურნი ქვემოთი მხრით, რომელთაცა შორის იყო ძლიერი და ძლიერი კრივები და ზამთრით ჯოხით (სალდასტით.) იკრიებდნენ, თან შურდულით ანუ ხელით ქუასა ესროდიან ერთმანეთს, და ზაფხულით, მხოლოდ მუშტით ეკრივებოდნენ ერთმანეთს, კვალად დასამარცხებლად სახელისათვის. თუ ამ სავენებელს ამბავში თანასწორობა იყო ხოლმე, რასაკვირველია, სხუა საქმეში უფრო იქნებოდა.

ასე და ამ სახით იყვნენ გაერთებულნი ჩუენი მამა პაპანი ერთმანეთში, მაგრამ ახლა ესეც ვიკითხოთ, ყმა რას ნიშნავს? — ყმა ნიშნავს «ჭაბუკს.» კიდევ ყმა ნიშნავს, ბატონის აგარაკზე მოსახლეს. კულად უწინდელს დროში იტყოდნენ მდაბალს მახლობელს დიდთან.

«შინა ყმაო.» ვითომ: შინაური მახლობელიო.

ყოველს აღწერილში აქა ცხადათ სჩანს, ყმასა, ანუ მდაბალ ხალხსა მებატონესთან სრული თავისუფლება ჰქონია და მეგობრული მახლობლობა, როგორც კაცობრიობას შეეუენის, სწორეთ იმ გუარი. გაგონილს გარდა, ჩემს სიყმანვილეში, ეხლაც კარგად მახსოვს ზოგიერთნი ესენი რაც აღმინერია, გარდა ამისა, ვისაც რა ჰქონდათ. თითქმის საერთო იყო ყველა. თუ როგორმე გაუჭირდებოდა ვისმე, იმისი მახლობელი თავის შემოსავლითგან ანუ ქონებიდგან, მისცემდიან და გაუყვიან. უყვარდათ გაცემა, უყვარდათ მომადლიერება; ამით მოსწონდათ თავი, ამით იხარებდნენ, რომ არაფრად არ მიაჩნდათ თავისი ქონება ანუ შემოსავალი, და ყოველთვის გამზადებულნი იყვნენ: გაცემად ანუ მიცემად.

ძველ მომთხრობელთ ასე უთქუამთ: დიდს ერისთავს ქსნი-

სას, საჩუქარი ბეგარა მოსვლია და ახალ გორის მოედანი ავსილა საქონლით. ამ დროს ერთს აზნაურს ფიცხელაურს, გადუვლია თვალი საქონლისათვის და ბოლოს უთქუამს. — «ეს ერთიანი საქონელი დიახ კარგია ერთისათვისაო.» ეს სიტყვა ერისთავს შეუტყვია, დაუძახნია და სიამოვნით უთქუამს.

— «ფიცხელაურო: ნაასხი, სულ შენთვის მიჩუქებია ეს საქონელიო».

რა გგონიათ? — იმასაც წაუსხამს: უფროსი ერთი სხუებისათვის დაურიგებია და თვითონ კი მცირედი აულია. და რატომ არ უნდა დაერიგებინა? — მაშინ როდესაც რომ გაუჭირებელი ცხოვრება ჰქონიათ უწინდელსა საქართველოს ხალხსა, ამასთან წმინდა მდიდარი გული, სიხარულით გაღვიებული.

დიდ პაპა ჩუენს დიდ ყაფლანს, მთის საბალახე მოსვლია ტანძიას და ეს საბალახე მოურეკია, აზნაურს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს, თან მხლებელს ყაფლანისას.

— «ნიკოლოზ, ათის თავი რაერთი გერგო საბალახის საქონლიდგანაო?» — ყაფლანს უკითხავს.

ცოტა შენი ჭირიმე. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს მოუხსენებია.

— «მაინც რაერთი, თუ გიყვარდე?» —

— «სამასი სული თქვენს მზესა ვფიცამ.»

— «მართლა, ცოტა არის, ერთი მაგტოლა კიდევ მიჩუქებია იმ ჩემი საქონლითგან, ეხლავ გამოათვლევინე და სადაც გინდა ნაასხიო.»

იმასაც გაუთვლევინებია, წაუსხამს, მარამ იმასაც ისე დაურიგებია სხუებისათვის, როგორც ზევით ითქვა ფიცხელაურისა.

მართალია, გარდამეტებული ფულის სიმდიდრე არა ყოფილა უწინდელს დროს საქართველოში, მაგრამ სხუა ლუთის წყალობაკი უხუად იყო. მეფის ირაკლის მეორის მამა მეფე თეიმურაზ გამობძანებულა სომხითში და ბოლოს მობძანებულა. თან ხლებიან სულ ერთიან ყაფლანიშვილები და რავდენიმე ათასი ცხენიანი ჯარი; მომავლობაში მოხუცებული აქულაშვილი დახუედრია გზის პირს, ამ სიტყვით. — «ჩუენო ხელმწიფეო, მე გახლავარ ბოლნისში მოსახლე, ყაფლანიანთ ყმა. გვედრებით, თქუენცა და თქუენი ჯარიც მენვივნეთ შენი ჭირიმეო, »

მეფეს თეიმურაზს ცხენი დაუყენებია და ყაფლანიანთვის უკითხამს. — ეს კაცი თქუენიაო?

მოუხსენებიათ. — დიახ შენიჭირიმე ჩუენი გახლავსო.

— «რა გუარია?»

— აქულაშვილი.
— ეტყობა მდიდარი უნდა იყოს?
— დიდათ! როდესაც ჩუენი მამები გაყრილან; ამათის სახლელულობისათვის, ვერა შეუფარდებით რა ვერც ერთი სოფელი და საერთოდ დაუდვიათო. თავ მოწონებით უთქუამთ ესა. მასუკან ცხენი მოუტრიალებია და აქულაშვილისათვის უკითხავს.

— მერე შეგიძლიან, ჩუენი ავდენი ჯარის დახვედრა?
— ლუთისა, თქუენი და ჩემი ბატონების ნყალობა არა მაკლია რა, კარგად დაგიხუდებით ჩემო ხელმწიფეო.»

სახლელულობით გამრავლებული შვილის შვილებით; იმის შეურყეველი სახლის სვეტი ბედნიერებითა, გაუღია აქულაშვილს კარები მისი, გაუყრელი ერთი სახლი, მაგრამ ბევრი დარბაზებისა; სულ შუენიერი ორხუებით და ქეჩებით მოფენილი, რომლებთაცა შორის ყოველი თავადი და აზნაური თავთავისად მოთავსებულან თავისუფლად, თავის მოსამსახურებით. ჯარის კაცნი კი, სულ სოფელში ჩამოუხდენია თავის ხარჯზედ.

სამი დღე და ღამე აღარ გამოუშვია მეფე აქულაშვილს; მეფესაც პატივი უცია იმის მოხუცებულობისათვის და დარჩომილა იმის სახლში.

უთქუამსთ: სადილ-ვახშმათ მეფის სუფრა სულ სხუა და სხუა აქულაშვილის ვერცხლელულის სასმისებით იყო მოფენილიო. სასმელი და საჭმელი ხომ ცხადია, რაც იქნებოდა, რომელთანაცა ვისაც ადგილი ჰქონია, მეფესთან ყოფილან სადილ-ვახშმათ და მოხუცებული აქულაშვილიც იქა ხლებია.

ძილის დროსა, ღამე საყოველთაოთ თვითო ქვეშაგები გაუშლიათ ყველასათვის ცალკე, მის სახლელულობის საქვეშაგებოდან, ზოგი ზარიანი ფარჩისა და ზოგი ყალანქარისა. ხავერდის დორებს და ხავერდის მუთაქებს ხომ ანგარიში არა ქონია, ავდენი ყოფილა.

სამი დღე და ღამე, ყოვლის ფრით კმაყოფილნი ყოფილან ყველანი, მეფიდგან მცირე ჯარის კაცამდისნი.

როდესაც მეოთხე დღის დილაზე წამომდგარა მეფე წამოსასვლელად, მოხუცებულის აქულაშვილისათვის უბძანებია, თავისი ერთიანი სახლელულობა მიიყუანოს მეფესთან დასალოცავად, რომელნიცა დაუყოვნად მიუყვანია, დართულ დაკმაზული ქალები თავის ქმრებით და წვრილის ყმანვილებით. მეფე გაკვირვებულა, იმათ სიმრავლეზედ და სიამოვნით მიუღია ყველანი. ისინიც მისულან თვითოეულად, ქალი და კაცი და ყველანი შემთხუეულან მეფის მუხლსა. მეფეს ყველანი ერთობ დაულოცავს ტკბილის სიტყვით და

კეთილის გულით, მასუკან შემჯდარა ცხენზედ და თავისის ჯვართ წამოსულა.

მოხუცებულს აქულაშვილს დაუძახნია თავის სახლეულობისათვის. — «რაც მარნებში ქვევრებია, ეხლავ დახადეთ, მეფე გავაცილოთო. დახვევიან ქალი, კაცი, ბევრი მოჯამაგირები და ორღობეში მიუშვიათ ღვინო, სადაც მეფე მიბრძანებულა ჯვართი. ღვინო ნიაღვარსავით წასულა, და ჯარისათვის ჩაუვლია შუაში. მეფე დამდგარა, უკითხამს რა ანბავია, რომ შიგ მივდივართ ამ ღვინოშიაო.»

ყაფლანიანთ მოუხსენებიათ. — «შენი ჭირიმე, აქულაშვილი ღვინით გაცილებსთო.»

აი, მეფის თეიმურაზის პასუხი. — «ქემმარიტად, ყაფლანიანთ თავი უნდა მოგწონდეთ, მაგისთანა გაკეთებული კაცი გყავთ. საქართველოში სსუანიც ბევრნი არიან კარგათ, მაგრამ მგონია მაგ აქულაშვილისავით არავინ. მადლობა უნდა შევსწიროთ ღმერთსა, რომ საქართველოში უნაკლულებაა ყოვლის ფრით და ყველანი სიამოვნით ცხოვრებენო.»

კიდევ ეს იყო ჩუეულებად საქართველოში: რაც სადილ-ვახშმით ბატონებს ჰქონდათ, უთუოთ კერძობასაც ის უნდა ჰქონოდა. თორემ თუ ბატონის კერძი დააკლდებოდათ კერძობას, გულში ეწყინებოდა; ბატონიც შეამცნევდა სამღურავს, რომელნიცა მასუკან უნდა მოემადრიელებინა.

ამ აქულაშვილს ჰქონია ვაჭრობა: ოსმალეთში, სპარსეთში და მთელს საქართველოში. გარდა ამისა, იმის ჩვიდმეტს გუთანს უხნავს ჯილღზედ და იმისი მოსავალი უშკია. დიდი მდიდარი ყოფილა და დიახ, პურმარილიანი.

ბატონების თავის მოსაწონი აქულაშვილი, მეტად ჰყვარებიათ თავის ბატონებს და აქულაშვილსაც გულუხვად უმსახურია თავის ბატონებისათვის ყოვლისფრით. ღმერთს უძღვევია თავის წყალობა და იმასაც უხმარია სვინიდისსამებრ კეთილად.

სამუხრანოში ერთი მუხრანის ბატონის კაცის სიმდიდრე გამიგონია და ურიგო არ იქნება, იმათმა ბატონებმა მოგვითხრან იმ კაცის სიმდიდრე. ვინ იცის, რავდენი ამ გუარი მდიდრები იქნებოდნენ საქართველოში, რომელთაცა სახელი დაკარგულია სრულიად. თუ იცოდეს ვინმემ, თქოს და ჩუენ კი დავწერო?

უწინდელ დროში, ყოველი მეზატონე იმას ცდილობდა, თავისი გლეხიკაცი გაკეთებული ყოლოდა, ანუ ვსთქუათ მდიდარი, ამისთვის, რომ ყოველს მეზატონეს სახელად მიაჩნდათ და თავის მოსა-

ნონად ჰქონდათ იმათი გაკეთება.

როდესაც ჩემს სოფელს მივდივარ, ანუ იქიდგან მოვდივარ, ბევრჯერ იქით მხარეს, ამოვივლი—ჩამოვივლი, შევხედავ გაოხრებულს დიდს სოფელს ბოლნისსა; დავაცქერდები და დაღონებით ვიტყვი ხოლმე: «სად არის ის დიდი სოფელი ბოლნისი, ანუ ის მდიდარი სახლი აქულაშვილისა, იმისი გამართული ბედნიერი სახლი, სახლეულობით გამრავლებული. ჰეი, ჰეი სოფელო! ეს არის ნესი შენი!..»

ბევრი კიდევ სათქმელია უწინდელი ჩუენი ცხოვრება, მაგრამ სჯობია შევამოკლოთ და ამით დავასრულოთ.

ქ. ტფილისში მეფეს თეიმურაზს მეჯლიში გაუმართავს, მაშინ მეფე ირაკლი ყმანვილი კაცი ყოფილა, რომელთანაცა, ვისაც ადგილი ჰქონიათ, პირისპირ მსხდარან აქეთ—იქით მეფებთან და თვით მეფენი ტახტზედ ბძანებულან სალხინოს თავს. ყოველს ბოლოს რევაზ სარდალი მოსულა (ორბელიანი) და თავის ადგილს დამჯდარა. მიუხედავ—მოუხედავ, უნახამს, რომ ყმანვილი კაცი ეშკალაბაში დიმიტრი ორბელიანი (ამას მეფეს თეიმურაზის ქალი ანა ჰყვანდა ცოლად) ქიზიყის მოურავს ქუემოთა ზის, ამის მნახველს დიდათ სწყენია; გულფიცხელიც ყოფილა, მეფის ირაკლის დიდი მოჭირნახულეც და წამოუწოქია ამ სიტყვით.

— «ჩემო ხელმწიფეო მეფეო თეიმურაზ! ამ დიმიტრი ეშკალაბაშს ან შენის სიძეობით ეცი პატივი, ანუ ეშკალაბაშობით და ან დიდიკაცის შვილობით. მოგიყვანია და ქიზიყის მოურავის ქვემოთ დაგისომს, ეს არ ეკადრება თქუენს მეფობას, არც თქუენს სიძეს ეკადრება, ქიზიყის მოურავის ქვემოთ ჯდომარა“.

ამ სიტყვასთან წამომდგარა და განრისხებული წასულა. მეფეს ირაკლის უთქომს, ვითარცა შეშვენის ყმანვილს კაცს.

— «რევაზ სარდალმა დიდი პანლური ამოგვკრაო.»

მეფეს თეიმურაზს დამშვიდებით:

— «შვილო ირაკლი, შენმა გაზდამ, საქართველოს დიდთა და მცირეთაც, ყოველთვის უთქომსთ და კიდევაც იტყვიან. საქართველოში სისწორეთ ლაპარაკი არავის არ დაეშლება, ოღონდ სიმართლით იყოს ყუელარა.»

ეს ანბავი რევაზ სარდალს შეუტყვია, დილით მძინარეს მისჭრია მეფეს ირაკლის, გაულვიძებია, გვერდით დაჯდომია და მრავალი მშვიდობის მყოფობის სიტყვები უთქომს ირაკლი მეფისათვის ბევრის კეთილითურთ.

უწინდელს დროში არა დიდი, არა მცირე ლხინი არ გადინდე-

ბოდა, ანუ ქორწილი, რომ იქ სასულიერონიც არ ყოფილიყვნენ, არ იქნებოდა, თავის მახლობელს უდაბნოს ბერებითა, სადაც ისე მოილხენდნენ და ისე შეექცეოდნენ, ვითარცა საერონი, თავთავის მონასტრულის გალობითა.

დიდთა და მცირეთა შორის იყო საერთო ამ გვარი სიყვარული საქართველოში: ერთობა, სინრფელე, ერთგულება, სიმდაბლე, დანმენდილი ზნეობა და სრული კეთილი! ვითარცა ნმინდა სახარების სიტყვა. «ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ.»

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

უფალო რედაქტორო ი. კერესელიძე

ბევრს პირს საკვირვლად მიაჩნიათ, ის უფალი თუ არა უფალი მოლაყბე სად დაიკარგა? ვინ ჩაყლაპა? იქნება მინა გასქდა და შიგ ჩაიტანა? დიდი ხანია იმისი ანბავი აღარა ვიცითრა, შეგვატყობინეთ რა იქნა?

ის ვილაც მოლაყბე იყო, რა კარგათ ლაყბობდა ხოლმე: ეს ასე და ის ისეო. მაშ როგორ იქნება: ხან ასე და ხან ისეო, მანასეს უთქუამს. ადიბეგ ნურც ავს იტყვის და ნურც კარგსაო, ადიბეგს დაუნერეს კარებზე; იმანაც პასუხი დასწერა ქვემოთ, ავს ვნახამ, ავს ვიტყვი და კარგისათვის კარგსაო, ჩემი ხასიათი ეს არისო. ავყიასი ხომ გაგვიგონია, რასაც დღეს თავის წანკლიანის ენით ადამიანს არ შეაწუხებდა, ის დღე იმისთვის საუბედურო იყო. ახლა რა ვქნათ, ეხლაც ბევრნი არიან იმ გვარები, აბა რა უყოთ, მოლაყბესაც თავისი ხასიათები სჭირს, უნდა მიუტეოთ: მიუტევეთ და მოგეტევეთ. ვის არა აქუს თავისს სისუსტე, რომელნიცა მოტევებული ვართ ყველანი. ვის რათ უნდა გვენაღვლებოდეს, მოლაყბემ რომ ბევრი ილაყბოს, ვნახოთ ვის გამოგვაჯავრებს, თუკი ცოცხალია კიდევ, და თუ ცოცხალი არ არის, ის მებუკეები სადღა გადაცვივდნენ? იქნება მშიერი სვავეები დაეხვივნენ, ან დაყმენდილი მგლები და გამოხრეს ძულეებიანათ? ან კუდიანმა ქარმა ხომ არ შემოჰკრა და არ გადასტყორცნა სადმე, თორემ თუ ეს ასე არ იყოს, მაშ სად დაიკარგნენ ის მოტრაბახე მებუკეები მაინც?

მონყალეო ხელმწიფე ი. კერესელიძე! ჩემი შუამავლობით ბევრნი სთხოვენ, ის ვილაც მოლაყბეა. — «კიდევ განაახლოს თავისი ლაყბობა და დაგვაგალოსო, თუ ქუეყანაზედ იყოს კიდევაო, თუ არა და მებუკეებს მაინც ვთხოვოთო, თუ ისინიც არ დახოცილანო?»

ვინც ამას ითხოვენ, ისინი ასეთნი პირნი არიან რომ ხამს იმათ პატივისცემა, თუ მართლალა იყვნენ სადმე ის მებუკეები?¹

დავშთები თქუენი მარადის პატივისმცემელი თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

¹ რედაქცია თავისის მხრივ, დიდის გულსმოდგინებით ჰსთხოვს უფ. მოლაყბეს, მიიღოს შრომა როგორც ქართულის სიტყვიერების მოყვარემა და ადრინდელივით განამშუენოს ჩუენი ჟურნალი. ამაზედ ითხოვენ მრავალნი «ცისკარზედ» ხელის მომწერნი. თუმცა რედაქციამ ცოტა აწყენინა, მაგრამ მოიმედენი ვართ სულგრძელებით მოგვიტევებს.

ქართული უზნობა ანუ წერა

როდესაც ამ გვარი ლაპარაკი მოსდეს სადმე, ანუ ანბავი რამ, ის უნდა ქალაქდებდ დაინეროს, რომ საბოლოოდ ამ გუარი არა დაიკარგოს—რა; ვინ იცის, იქნება სასარგებლო იყოს კიდეც ოდესმე? როგორც ვხედავ, ეს საგანი ასე უნდა იყოს; ქართული უზნობა ანუ წერა:

ჩემის აზრით, ჯერ ამ საგანს არ უნდა მოვეშვნეთ, ჯერ ერთ-გუარი წერა უნდა დაიდოს ქართულის სიტყვიერებისა, რა გუარად ვსწეროთ საზოგადოდ, რომ სხუა და სხუა ჭრელი წერა არა გამოვიდესრა ხოლმე ცისკარში, მკითხუელების უსიამოვნო არ იყოს. როდესაც ეს წესდებულება ასე დაიდება, მას უკან შესაფერია განსხვავებული საგნები იბეჭდებოდეს აქა.

ეს ჩუენი ქუეყანა, ერთს მშუენიერს სავსეს საპირისფარემოს ბოხჩასა ჰგავს, ოთხს კალთებს ზედ დაფარებულს, რომელსაცა თუ დაუხედად ხელსა ვტაცებთ ამ ჩუენს ბოხჩას, უნდა ვიშიშოდეთ, არ აფოლიაქდეს და სამუდამოდ არ აირიოს? ამისი გაფრთხილება გვმართებს ყველას. ამ წესდებულებასა, რომელსაცა ვანბობ, თუ ეს ასე მოხდება, მაშინ იმედია საუცხოვოთ დააშუენოს ქართველების ცისკარი და მკითხუელები დიდად ასიამოვნოს.

ამ წერილის გამოცემის მიზეზი, შემდგომში შეიტყობა რისათვისაც გამოიცა ეს წერილი, მაგრამ თუ გეხსომებათ პირველი არ არის ეს ჩემი თქმა, ადრევაც მითქუამს ამ აზრზე, თუმცა ნამკითხუელთ სხუა გუარად ეჩუენებათ ადრინდელი ჩემი გამოცემული, მაგრამ ჩემი გარკუეული კი ერთი აზრი იქნება ნათლად, ადრინდელი და ესეც, ამიტომ კარგის გონების დაკვირვებით უნდა ესა და უეცრად არ შემრისხონ გამხილველთა.

ქართულის ენის თვისებას რომ ერთიც ზედ დაუმატოთ, სამათ გაიყოფება: პირველი საღმრთო წერილად ანუ ეკკლესიურად, მეორე მდაბიურად¹ ანუ დარბაისელთ უზნობად და მესამე გლეხკაცების ენად; ვნახოთ, გავარჩიოთ ესენი?

გამიგონია ჩუენი დიდი ანტონი ქათალიკოზი და იმერეთის გამოჩენილი მოქადაგე, პირველი ანტონი ჭყონდიდელი, ერთს დღესასწაულის წირვის შემდგომ, ანტონი ქათალიკოზთან მისულა, (აქ ქ. ტფილისში) რომლითაცა პირველს ნახუაშივე, საღმრთო წერილის ენაზედ დაუწყვიათ ლაპარაკი, ღრმათ დახელოვნებულთა

¹ მდაბიური მესმის მე, ეკკლესიის წერილების შემდგომ საქუეყნიერო ანუ ყველასათვის გასაგონი.

იმათ ქართულს ენაზედ.

იტყოდნენ, იმათი ლაპარაკი ასე კარგათ გამოითქმებოდაო, უკეთესს საამოს ლაპარაკსა ქართულს ენაზედ ვერავისგან ვერ გაიგონებდითო. ვიცით, მეტი კარგი ენა არის ქართული საღმრთო წერილი, მაგრამ რა უყოთ, აბა როგორ იქნება ამისი შემოღება? თუ შეიძლება და მართლა შემოიღებენ, საკურველება იქნება? პირველს ჩუენ ანტონ ქათალიკოზსავით და პირველს ანტონი ჭყონდიდელისავით რომ დაახელოვნონ ერთობ ჩუენი ერი სამღთო წერილის ენაში, მე ძნელათ მეჩუენება!

ურიგო არ იქნება, ახლა სამივეს ენის მაგალითები მოვიტანოთ აქა, ქართულის უზნობისა უფრო ჰსწორე გარჩევისათვის. ჯერ ჩავწეროთ სამღთო ანუ საეკკლესიოს წერილის რომელიმე დედანი, მასუკან ეს დედანი დარბაისელთ ენის თვისებაზე გადმოვიღოთ და მერე გლესხაკების ენაზედ, ვნახოთ ამ სამში რომელი საუკეთესო ენა იქნება?

დავითნიდგან კანონი ვ. ფსალმუნი მზ.

«მისაჯე მე ღმერთო, და საჯე სჯა ჩემი თესლისაგან არა წმინდისა; კაცისა ცრუსა და მზაკვარისაგან მიხსენ მე. რამეთუ შენ ღმერთი ძალ ჩემდა ხარ, რად განმიშორებ მე და რად მწუხარე ვარ მე ჭირთა მტრისათა. გამოავლინე ნათელი შენი, და ჭეშმარიტება შენი. ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმინდასა შენსა და საყოფელთა შენთა. და შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღუთისასა, ღუთისა მიმართ, რომელმან ახარა სიჭაბუკესა ჩემსა, აღვიარო შენ ბობლნითა ღმერთო, ღმერთო ჩემო. რად მწუხარე ხარ სულო ჩემო: ანუ რად შემაძრუნებ მე: ესევდე ღმერთსა, რამეთუ მე აუარო მას მაცხოვარსა პირსა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.»

ჩემის აზრით, სამღთო წერილის თვისება არის მაღალ ხარისხის სიტყვიერება და მართლად რომ შესაბამი ეკკლესიებისა.

ეს ხომ ასე ითქუა, ახლა უწინდელის დარბაისელების სიტყვიერებით ვიტყოდეთ ამ ფსალმუნს.

«განსაჯე, გამისამართლე, თუ ბრალეულად დავიდო ცუდისა ადამიანისაგან, დამსაჯე მე ღმერთო. ცრუ კაცისა და მზაკურისაგან დამიხსენ მე, რადგან ჩემი იმედი ზძანდები შენ. რისთვის მიშორებ? რისთვის შეწუხებული და შეჭირვებული დავიარები მტრისაგან? მიწყალობე მე ჭეშმარიტი სამართალი. ამან გამაბედვინოს შენთან ხლება შენს უმანკოს სასახლეში, სადაც მოგმართო და შემოვიდე შენს საუკეთესოს სენაკში, რითაც მოეცემა ჩემს სიჭაბუკეს დიდი ნუგეში, მაშინ გულის სინმინდით აღვიარებ საკრავით, შენს დიდს

მსაჯულებას, ამისთვის სულო ჩემო, რაღათ მნუხარებ შენ? ანუ რისთვის შემადრწუნებ მე? მიენდე იმ დიდს მსაჯულს, რომელსაცა მივახლოვდები ჩემს განმაცოცხლებელს პირსა და ღმერთსა ჩემსა.»

ეს დარბაისელთ ენით ხომ დაინერა ეს ფსალმუნი, ახლა ჩუენი გლექხვაცების ენით ვიტყოდეთ ასე:

«გასინჯე, ისე მიბოძე სამართალი ღმერთო, თუ ავმა კაცმა დანაშაული დამდოს, გადამხდევინე. მტყუანის კაცისაგან და გულღვარდლიანისაგან გამამხსენი მე, ამიტომ რომ ჩემი მფარველი ბძანდები შენ. რაღათ მიწყრები მე? ან შენუხებუელი და დაჩაგრული რაღათ დავდივარ მტრისაგან? შენს წყალობას მოველი, სწორე სამართალი მიბოძო, იმან გამაბედვინოს, შენთან გიახლო, მეტად კარგს სასახლეში, რომ შენს საკუთარს სადგომში შემოვიდე და შემოგეხიზნო. ეს იქნება ჩემი ყმანვილკაცობისათვის დიდი წყალობა შენი. მაშინ შემოგიდგები დაფით ღმერთო ჩემო. ახლა ჩემო სულო, რაღათ უნდა შესწუხდე და ან შფოთავდე? იმისთანას დიდს მოსამართლეს მიენდე, დაგიახლოვოს იმ ჩემა შემწემა და იმ ჩემმა დიდმა მოსამართლემ ღმერთმა.»

ეს ორი უკანასკნელი ფსალმუნი, თუმცა ზოგიერთი სიტყუა შეცულილია ეკკლესიურს ფსალმუნთან, მაგრამ აზრი ერთი და იგივეა სამივ. თუნდა ცოტაოდენი აზრიც რომ შეცვლილი იყოს, ერთი არაფერია, რადგან ჩუენ სამ რიგათ გავყავით ქართული ენა: საეკკლესიოს წესითა, დარბაისელთ რიგითა და გლექხების თვისებით.

ჩუენ, ქართველებს, თუმცა ამ სამში ერთი უნდა ამოგუერჩია ქართული სიტყვიერებიდგან, იმისთვის მიგვებაძა, იმ ენაზედ დაგვეწყო ლაპარაკი და წერა, მაგრამ ეკკლესიურის წესისათვის ზევით ითქუა: ძნელი შემოსაღებია მეთქი. ახლა თუ მეორეს ჩემზედ მოაგდებთ და ამამარჩევიებთ, მე საშუალს ენას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას, ამისთვის, რომ უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები დარბაისელთ ენაზედ უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ: ვითარცა რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე სიცრუე, ყარამანიანი; სხუანი და სხუანი და ბოლოს ვიტყვი, ვეფხვისტყაოსანი.

მგონია ამ წიგნების დამწერნი უფრო დარბაისელების ენის წესზედ დასწერდნენ და იმის წესითვე ილაპარაკებდნენ, მინამ დაშვებულის ენით? რასაკვირველია იმ დარბაისელთ წერილებთა შორის არის გარჩევა, ერთნი საუცხოვოს განყობით სწერდნენ და მეორენი უფრო ნაკლულად, მაგრამ მაინც დარბაისრული ენა არის

ერთი და მეორეც. მაგალითად: ერთსა ვხედავთ, საუცხოოს ენით საუბრობას მეტად კარგათ, რომ სმენას მოიტაცებს, იმისი განყოფილი სასიამოვნო ლაპარაკი და მეორე იმაზედ ნაკლებად; ისე წერა არის, რომელნიცა ბევრს წიგნებს წაიკითხავთ ყოველს ენაზედ: ერთი დიას კარგათა სწერს სასიამოვნოდ, მეორე იმაზე უფრო კარგათ და მესამე უფრო იმაზე კიდევ კარგათ. ქუეყნაზედ მჯობთა მჯობი არ დაიღევა არსად. შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსანი იმისათვის არის ისე კარგი, რომ ყოველი სიტყუა თავის კავშირებით ისე შეწყობილია, თავთავის ადგილს ყველა, ვითარცა საგანგებოს ხელოსნისაგან შეწყობილი მარგალიტი ძვირფასი!

ესეც ხომ გავათავეთ ასე, ახლა მესამის ქართულის ენის წესისა ვთქოთ რამე? ჩუენი გლეხების ლაპარაკი არის დარბაისელთ ენაზედ დაშვებული დაბალი, მაგრამ დღესაც ბევრი გლეხები არიან, ასე კარგათ იციან ქართული ენა და წერა მართებულ დარბაისლებსავით ქართულის მცოდნეთ, თორემ უწინდელებისას, ვინ გვეტყვის, ვინდა მოგვითვლის?

ჩუენი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვი, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაინეროს და რაგუარად დაინეროს, ისე ილაპარაკონ, ამისთვის ჩუენი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა, ასეთი უნაკლებო ენა არის, რომ, დიად, ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგათაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება. მართლად, ჩუენს საშუალს ქართულს ენას, როგორც გნებავთ, ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ, ისე ლბილად გაიგონებს ყური, მეტი საამო იყოს სმენისათვის, მაშინ, როდესაც რომ გლეხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშუებული ენა არის გლეხების ლაპარაკი. ჩემის აზრით, მაშ, ისევ სჯობია, იმ გუარი ქართული ენა დაიდოს, რომ ყოველს საგანში საუცხოვო რამ იყოს და ყოველს ფერში მოსახმარებელი. ურიგო არ იქნება, ეხლა ამ საგნისათვის ეს მაგალითი მოვიტანოთ აქა და ამის შემთხვეულობა.

1824—სა წელსა, სხუა და სხუა სოფლიდგან, გადავასახლე ჩემი ყმები ერთს რომელსამე ჩუენს მამულზე და ერთს სოფლად გავაკეთე ეს მოყრილი კომლეულნი, მაგრამ პირველს გადასახლებაში მეტად ჰსწუხდნენ გლეხნი. არც გაიმტყუნებინ ისინი. ერთის ადგილიდგან მეორეს მხარეზე გადასახლება, რასაკვირველი, ძნელი იყო

იმათთვის. მე რომ იმათი მონყენილობა როგორმე განმექარვებინა იმათგან, ქართული საერო წიგნები დავიბარე ქალაქითგან, რომელთაცა ყოველს საღამოზე შემოვისხამდი გარს უფროს უფროს კაცებს და სხუა და სხუა წიგნებს უკითხამდი, ორს თუ სამს საათამდისინ: ხან დავრიშიანს, ხან ვისრამიანს, ხან სიბრძნე სიცრუეს და ხან ყარამანიანს. ამითი ასე გავიერთე ისინი, რამწამს დაბინდებოდა, უფროსი კაცები მოვიდოდნენ ამ სიტყვით. — «ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი კარგი ანბავი რამ წაგვიკითხე.» ბევრჯელ მე იმათზე მივაგებდი, რომელს მეტყოდნენ, ის წამეკითხა.

— შენი ჭირიმე, სულ კარგი ანბავია, რასაც წაიკითხამთ ხოლმეო, ისინი მიპასუხებდნენ.

— მერე გესმის, რასაც ვკითხულობ? მე ვკითხამდი.

— ძალიან კარგათ ბატონო, ერთი სიტყუა არ გამოგვეპარებაო.

ამითი ასე დაიმშვიდეს გული, მაღლობით ამიშენეს სოფელი და თვითონაც მადრიელნი დასახლდნენ თავიანთს ნაშრომს სოფელში. მაგრამ მე რომ იქიდგან წამოველ ქალაქისკენ, ის უფროსი კაცები მეტად შეწუხდნენ ჩემს წამოსვლაზე.

«ღმერთი გადღეგრძელებს, ჩქარა მობძანდით, ერთი კიდეე წაგვიკითხოთ წიგნები, თორემ ძალიან შევსწუხდებითო.»

რაზედ მომყავს ეს ავდენი ჩემი ლაპარაკი, ეხლავ მოგახსენებთ. — ორს მახლობელს ჩემს მცნობებს მიუსწარ, რომ პირველმა ეს პირველი სთქუა და მეორემ შემდეგი.

— თუმცა მოვალეობას იხდიან ბევრნი და რაც შეიძლება იმ გვარს წერილებს აბეჭდინებენ ცისკარში, მაგრამ ძნელი ეს არის, რაც უნდა რიგიანი რამ დაიბეჭდოს: მაინც ცუდია სულ, სულ უმსგავსო, სულ სიგიჟე, სულ უბრალო ჩმახვა, სულ სულელობა, სულ სიცრუე, სულ მოგონებული და სხუანი. არიან რომელნიცა ასე არწმუნებენ ყველას, რა გგონიათ? სინრფელის გამო ბევრნი იჯერებენ იმათ სიტყუას.

მგონია ამათ თუ აგრე არა ქნეს, უბედურნი იქნებიან, თორემ სანყალის ჩუენი ცისკურის შური რა იქნება? სხუა მიზეზი ამის მეტი არა სჩანსრა ჩემის აზრით:

ამ სიტყვასთან, მასუკან მე მამიბრუნდნენ ორივ და ღმერთი დამარისხეს: თუ ეს ჩუენი სიტყვა ცისკარში არ დააბეჭდინოვო. ჩემის ასე დარისხვისათვის, მეტი ღონე არ იყო, აქ მოვიხსენე ამ წერილში ესე. სავაჭროს ტვირთში, პატარა ხელსახოციც რომ თან გავატანოთ, მგონია არას დაამძიმებს იმ ტვირთს, და არცა ვინ დამ-

ემდურებიან ამისთვის.

ამ ლაპარაკის შემდგომ, ორივე შინლის სახელო დამიჭირეს იმათ მაგრა და დაჭერილისავით წამიყვანა იმ პირველმა თავის სახლში, სადაც ბევრი ლაპარაკი გვექონდა ქართულს სიტყვიერებაზე და იმის წარმატებისათვის. ბოლოს ჩემის წამოსვლის დროს მე დავპირდი იმათ; რადგან ასე ხანგრძლივ მოხდა ეს ჩუენი ლაპარაკი, ბარემ ჩემს აზრს დავაბეჭდინებ ცისკარში, ქართულს სიტყვიერებაზე, რაზედაც ჩუენ ეხლა გვაქუს ლაპარაკი, იმაზე მეთქი? ამისთვის ამ მიზეზმა მამცა ამ წერილის გამოცემა ცისკარში და ავდენი ლაპარაკი.

ქართულის ენის თვისება, კარგის დაფიქრებით უნდა გაირჩეს, ვითარცა მორეული ხორბალი ანუ წმინდა გარჩეული ნისქვილზედ დასაყრელი, რადგან ხელოვნებაში აღარ ყოფილა დიდი ხანია, თუ კარგად გავჩხრეკთ და იმის დანვლილებაში შევალთ, რაც უწინდელს დროს საეკკლესიო წიგნები დაუწერიათ, მეორე მდაბიურის ანუ დარბაისელთ ენით და მესამე დაშუებულის სიტყვიერებით გავხსნათ ორივე; საეკკლესიო წიგნები და საერო, თუ ასე არ იყოს, როგორც ვანბობ? ჰგავს რომ უწინდელს დროშიაც საეკკლესიო წიგნები ეკკლესიურის სიტყვიერებით უწერიათ და საერო საქუეყნიერო ენით. მაშასადამე, მგონია არც ჩუენ უნდა გადავდეთ ჩუენთ მამაპაპის და იმათ წესსა, მივდიოთ ამ საგანზედ.

ვიცი ამ საგანზედ, მაინც თავისი აზრი აქუთ ყველას, ერთნი ირჩევენ საეკკლესიოს სიტყვიერებით წერას, მეორენი დარბაისელთა ენაზედ და მესამენი უფრო დაშუებულს ენაზედ. ეს სამი სითანასწორე ერთი-ერთმანერთისაგან რომ გაირჩეს რომელი სამჯობინაროა საზოგადოებისათვის, ჩემის აზრით, ჩუენი საშუალო ენა უნდა დაიდოს, მხოლოდ თუ მეტნაკლულევანება მოხდება სადმე, რასაკვირველი, ის უნდა გასწორდეს და გაიმართოს, მაშინ გახდება უმშვენიერესი ძუელი ქართული ენა დარბაისლებისა და ღრმათ წამძინარევი გამოიფხიზლებს კეთილად. მგონია ყველანი დამეთანხმნენ უწინდელს ქართულს საეროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ, სხუა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისათვის. —

ჩემო ხელმწიფენო, თუმცა ჩემი აზრით მე ასე ვამტკიცებ, მაგრამ ნურავის ნუ ეგონება, მე იქამდისინ უბრალო ამპარტავნება მქონდეს, ანუ ურიგო თავის მოყვარება, ამ ჩემს გამოცემულს წერილზედ დავემყარო: რაცა ვსთქვი, უთუოთ ასეა მეთქი. არა, რასაც ვანბობ, იქნება ასე არ იყოს და უფრო სხუა გუარად იყოს.

კაცი თავის ნაკლელევანებას აგრე რიგათ ვერ დაინახავს. ამისთვის უმდაბლესათა ვთხოვ ბაქარ ქართლელს, იმან გამოიკვლიოს ქართულის წიგნებიდგან ყველა, რადგან ზედ მიწვენით იცის ქართული ენა და იმან განიხილოს წვრილად, თორემ თუ ეს ასე არ იქნა, სრულიად აირევა ქართული სიტყვიერება: ერთნი ერთ გუარად დაიწყებენ წერას, მეორენი მეორეს წესით და მესამენი მესამეს რიგით, რომელთაცა ყველას თავისი უნდა მოსწონდეს და თავისს აზრზე იყვნენ დაფუძნებულნი.

1857–ს წლის ცისკარში ვანბობ მე ამას რავდენსამე სტრიქონში. როგორ დავიჯეროთ, ჩუენს ქართულებში კარგი მხილებელი არავინ იყოს, რომელსაცა შეეძლოს ჩუენი სიტყვიერების განხილვა? არ არის დასაჯერებელი! ნამდვილად ვიცით, კარგი მხილებელი გვყუნან და შეუძლიანთ ჩუენი სიტყვიერების ნაკლულევანება კარგად განიხილონ მეთქი.

ამ წერილის აზრს ახლაკი გამოვაცხადებ, რომ მაშინ მე ეს სიტყვა მიმართული მქონდა ბაქარ ქართლელზე: ადრითვე გულით და სულით პატივცემულსა ჩემგნით, ვისგანაც იმედია ჩუენი სიტყვიერების წარმატება. ეს ჩემი თქმა საგრგინოდ არ უნდა მივიღოთ არავინ, ვისაც კი გულით გვიყვარს ჩუენ ქართული ენა; იმას უნდა მივენდნეთ, ვინც ის იცის კარგათ, რომ იმანვე წარმართოს კარგათ, თორემ თუ ეს ასე არ მოხდება, სულ არა იქნებარა ჩუენი სიტყვიერება. ამასაც ვსთხოვთ ბაქარ ქართლელს, თუ ოდესმე მოცლა ჰქონდეს ბევრი საქმისაგან, შემოკლებული სწორე ქართული გრამმატიკა შეგვიდგინოს საძღნო ძმებისა და ამით დაგვაკლოს ყველანი. თუმცა შრომა დიდი ექნება ამაზე, მაგრამ ჩუენი მადლობა უფრო უკეთესი!

ვინცობა არის თუ ამ ჩემის აზრის თანხმობა არ იყოს, ეს მაინც ინებონ, რომ ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქართულის სიტყვიერების განსჯისა და იმისი წარმატებისათვის. ეს იქნება კარგი შექცევა და სასარგებლო ჩუენი ცისკრისა.

ეს შემთხვევა მოხდა წარსული წლის ნოემბრის თვეში, რავდენთამე პატივცემულ პირთაგან, რომელთაცა კიდეც ისიამოვნეს და სარგებელიც შესძლუნეს ჩუენს ჟურნალს, რომ იმათგანმა ერთმა პატივცემულმა გუამმა: თავადმა გრიგოლ ჯამბაკურიან ორბელიანმა უშუამდგომლა ჩუენს ქართულს ჟურნალს, ჩუენს ბრწყინვალეს კნიაზ ნამესტნიკთან და ფულები ებოძებინა ჩუენის ცის-

კრისათვის. კვალად იმედია, ჩუენი ქართული ჟურნალი მოელის
იმისაგან წყალობას ბევრს, იმ სახელ განთქმულის დიდის კაცის
ჩუენის ნამესტნიკისაგან!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

პასუხი დიმიტრი გაქრაქესთან შესახებ იმისგნით მონერილის წიგნისა

კარგისათვის კარგი უნდა ითქვას და ცუდისათვის ცუდი, სწორე სვინიდისი ამას გვეუბნება.

იცით, როგორ მესიამოვნება თქუენი გარკვევა ჩემს ქართულს უბნობაზე, ანუ წერაზე? მე, თქუენს მემამულეს იცით რავდენი ათასის წლისას? ხედავთ დიმიტრი, რას მოვესწარ? ჩუენს ქართულს ჟურნალს და ერთმანერთის წერილებზედ განხილვის დანერას. მხოლოდ იმ ერთმა ღმერთმა იცის ამ ჩემის გულის ანბავი, როგორ კმაყოფილებაში ვარ ეხლა მე. მომატებულს აღარას ვიტყვი, მხოლოდ ამის მეტს, რომ ნურაფერში ნუ დამზოგავ, ყოველს ჩემს წერილებზედ მეტყოდეთ გულახდით, თქუენსა აზრსა სრულსა, რომლითაც დიდი მადლობელი გახლდებით ჭეშმარიტად და დიდათაც დამავალებთ. ამით მეც მიზეზი მექნება, იქნება ჩემი აზრიც წარმოვსთქუა ანუ წარმოვსთქო ხოლმე.

სხუებრ ვინატრებ მრავალს წლების სიცოცხლესა თქუენსა კარგო დიმიტრი და ამასთანავე მიგულვეთ მარადის თქუენად.

ივერიანელების ბალობა, სიმღერა და ღიღინი

მე მგონია ეგოდენი ისტორიული სხუა და სხუა გვარი შემთხვეულობანი არავის არ გადახედია თავსა, როგორათაც ძუელსა ივერიანელებს, ჩუენს წინაპართა, რომელნიცა არა საშინელს შემთხვევაში თავიანთსა ათასობითსა წლებისა, ყოველს კარგსა ღირსებასა, ანუ ხასიათსა, ანუ ჩვეულებასა, ანუ ზნეობასა, არა ჰხარგავდნენ და არც ივიწყებდნენ არას დროს.

მართალია, როსტომ მეფეს სპარსეთის ჩუეეულება ასე ეგრგინა მთელს საქართველოს ერსა, რომ საერთოდ იძახდნენ თურმე: ყიზილბაშებმა წაგვპილნეს და გაგვრყვენესო. ამას ვახუშტიცა სწერს, მაგრამ მაინც ჩემი აზრი უფრო სხუა აარის ამაზე.

აი როგორ? რაც დრო უნდა ყოფილიყო ხოლმე საქართველოში, მაინც ჩუენთა მამაპაპათა უყუარდათ თავიანთი დამინებულნი მამაპაპანი; კეთილმონინებით ახსენებდნენ ყოველთვის.

ვინ იცის რავდენს საუკუნოს მკუდრებსა მოიგონებდნენ თავიანთსა წინაპართა, თორემ ახლო ხანისას ხომ რასაკვირველია მოიგონებდნენ და დიდის პატივისცემით იტყოდნენ იმათსა ადამიანობასა. ყოველს ლხინში, ყოველს შეყრილობაში, როგორ განყდებოდა თავიანთი წინაპართა ამბავი, როგორც იმათში ყოფილიყვნენ ცოცხალნი? ასე და ამ სახით იყო ჩუეულება ჩუენი მამაპაპებისა. სადაც ესენი იქნებოდა, უთუოდ თავიანთი მამაპაპების ჩუეულებანი, იქ არ დაავინყდებოდათ არას დროს. იყო და კიდევ ჰქონდათ მიღებული.

დიახ კარგი, უთუოდ მაშინ ისე უნდა ყოფილიყვნენ ჩუენი წინაპარნი, რომ გარეშე უცხო თესლების ჩუეულება არა მიედოთ—რა იმათ, გარემოებისა გამო, მაგრამ ძნელი ეს არის; თვითქმის ეხლაც ისეა ჩუენი გლეხები, რომელნიცა არავისგან არ სწავლობენ, ახლანდელსა კარგსა არავისას. მაგალითებრ: ჩემს გლეხებს ვკითხვენმეცების ყოფაქცევა და იმათი ცხოვრება? აი, იმათი პასუხი:

— ბატონო, რა კარგნი არიან ნემეცები, და იმათი დანყობილება ხომ რაღა მოგახსენოთ?

— მერე რატომ არა სწავლობთ იმათ დანყობილებასა თქუენც, თუ აგრე მოგწონთ? მე ვკითხე.

იმათ ეს ჩემი სიტყუა არ მოეწონათ და უკმაყოფილოდ მითხრეს. — „ეჰ ბატონო, რაც ჩუენს მამაპაპას არ უქნია, ვერც ჩუენ გადავალთ იმათ ჩუეულებასაო.“

მაშინდელი დრო სხუა იყო, უთუოდ ისე უნდა ყოფილიყვნენ ჩუენი მამაპაპანი. მაგრამ ახლა ასეთი სინათლე აივლის და ჩამოივ-

ლის ქუეყანაზედ, რომ უთუოთ ჩუენც იმას უნდა დავუწყოთ დევნა, იმ ნათელსა დროსა. მადლობა ღმერთსა, ახლა ბევრნი მოვედით გონებაზედ და ახლანდელსა განათლებასა ანუ განვითარებასა მივმართეთ ბევრმა, ბევრმა კეთილშობილებმა, და ნურც მოგვეშლება ეს ფიქრი ნურავის.

წარსულს წელიწადის ცისკარში ჩემს აღწერაში წაიკითხავდით: უწინდელს ჩუენს ბატონყმობას საქართველოში. იმ უწინდელს ჩუენს ბატონყმობას და იმ უწინდელს ჩუენს უმანკობას, ახლანდელი ევროპიული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და ერთს ზნეობად გაკეთდეს, მაშინ იტყვიან: აი, ზეციური ცხოვრება ქუეყანაზე გადმოვლენილიო, მაშინდელის გარემოების მიხედვით, მართლად შესანიშნავნი არიან ჩუენი წინაპარნი, უცხო ქვეყნიერებთან, რომელნიცა სრულიად განსხვავებულნი იყვნენ ყოველს ფერში იმასთან.

სხუათა შორის, ჩუენი გალობა, ანუ სოფლების სიმღერის ხმები სხუა ქუეყნებისას არ მიემსგავსება, რომ ჩუენი გალობა, ანუ სიმღერა, იმათ გალობასა ანუ სიმღერასა ეგვანებოდეს. მე არსად არ მეგულება? იქნება ბარამინების ხმა იყოს ჩუენი გალობა ანუ სიმღერა? მე ამისი დამტკიცება არ შემიძლიან და იქნება სხუა გამოჩნდეს ვინმე?

ჩუენს ეკლესიურს გალობასა: თქმასა მოძახილსა, ბანსა, კრინსა და დვრინსა, სად არ იგალობებდნენ ერთიანსა შეწყობილსა გალობასა ამას, სხვისა და სხვის ხმებით? ყველგან, თავადი, აზნაური და ბევრი გლეხი გალობდა, ეხლა ევროპიელებს არ მოეწონებათ, მაგრამ მეკი მინახავს, რომ ჩუენს გალობაზე, სულის საამო ცრემლები უბრკვევითა მშვენიერის თვალებიდგან სპეკალს ლოყებზედ. საკუთრება არის მეტი კარგი გულისათვის.

რად დავივინყეთ ეს ჩუენი მამაპაპების კარგი გალობა, სადაც გნებავდათ ის ხელად სათქმელი? სად არ გაგვატარებინებდა დროსა და სად განგებასა ღუთისასა, არ მოგვაგონებდა, ის იმისი მიმოსვრილი გალობა?

გამიგონია გურიელები კიდევ თურმე გალობდნენ მამაპაპის გალობასა? ღუთის გულისათვის გურიელებო, ჩუენი დიდი ხელმწიფის სადღეგრძელოთ, თქუენ მაინც ნუ დაივინყებთ თქუენი მამაპაპის ეკლესიების გალობასა: იმ ღუთის სასიამოვნოს, წყნარსა და მშვიდობიანსა გალობასა, რომელიცა ის ხმა მოგვაგონებს, ჩუენსა კეთილსა ქრისტიანობრივსა ნამდვილსა.

სულხან საბა ორბელიანი ანბობს გალობისათვის თავის ლე-

ქსიკონში. — «გალობა არს თვისისამებრ უკუე სიტყვისა ხმა რამე ტკბილად თქმული, მადლობა; გალობა არს ღუთის მეტყველები-სა მადლისა ხედვისა მქონებელი იყოს, გალობა ხმა ავაჯიანი შეწყობით აღტყვებული, თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობართა. გალობა არს მართმადიდებლობითა მიერ ღუთის მეტყველებაი, რომელი თავით თვისით ინურთის. შენირვასა ღუთისასა, სულისა სრულისა ვისიმე.»

გადმოვიდეთ ახლა ჩუენი სოფლებისა სიმღერებზედ, თუ რავდენ რიგათ გაიყოფება. ჯერ რაც მე ვიცი და რაც არ ვიცი, ის კიდევ სხუა არის. მოვყვით აქედგან ანუ **პირველ** ყმანვილის დაბადებიდგან: უნინდელს დროს ჩვილი ყმანვილი რო დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქოთ ეს ლექსი, ქალებს და ყმანვილკაცებს. «**მზე შინაო, მზე შინაო, მზეში შემოდიო.**» — და სხუანი. ეს ერთიანი ლექსი ასეთი შესაფერი ლექსია ძეობისა, უკეთესი აღარ იქნება.

მეორე. მეფე—დედოფალს ეკკლესიიდგან ჯვარდანერილებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი **მაცრულის** სიმღერით ნამოუძღვებოდნენ მექორწილებით და სალხინოს სახლში შემოიყვანდნენ მღერით, იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო, სხუა და სხუა სოფლიურის სიმღერებით და ღიღინებით. თან თუ მესტვირე ეყოლებოდათ, იმის სტვირის დაკვრაზე როკუას დაიწყებდნენ ქალნი და კაცნი და თუ მესტვირე არ ეყოლებოდათ, როკვის სიმღერასა იმღერებდნენ მომღერალნი და იმ ხმაზედ აჰყვებოდნენ დიახ კარგათ. ამასთან თუ მესტვირით იყო ხოლმე ქორწილი, ის მესტვირე მრავალს ქებას შეასხამდა მექორწილებს, სხუა და სხვის სიმღერის ხმებში, რომელიცა ამისათვის მიიღებდა საჩუქარსა ყველასაგან.¹

მესამე. სადაც დიდი სადილი იქნებოდა, ნადიმი; სადაც იქ პირველი გუამი იჯდებოდა თავზე, იმის პატივისცემისათვის, იმის სუფრის წინ პირდაპირ, უნდა მოსულიყვნენ მგალობლები და **სალხინოსა გალობასა** მოჰყოლოდნენ დაჩოქილნი: «დღეს სამღთომან მადლმან წმინდისა სულისამან შეგვკრიბნა ჩუენ“. და სხუანი. ჯერ პირველად ამ ღუთის დიდებით მოილხენდნენ გულით და სულით, მასუკან მომღერალნი მოვიდოდნენ, სოფლიური სიმღერების მთქმელნი; სხუასა და სხუას სიმღერასა იტყოდნენ, თავის ღიღინებით, თავის სადღეგრძელოს მრავალჟამიერით და სამადლო-

¹ მესტვირესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გუარია და არა მესტვირე, რადგან საგანგებო მესტვირე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმის სახელი მესტვირისათვის დაურქმევიათ.

ბელის გადახდით. ამისთანა ნადიმზე, ავდენი წართქმებოდა და ავდენი სიმღერა სულ სხუა და სხუა, რომ ოთხი საათი თუ მეტნაკლები, გაგრძელდებოდა მოლხენილი ნადიმი, რომელნიცა დასასრულზე გულკეთილიანი ადგებოდნენ ნადიმიდგან და თავ თავისად წავიდოდნენ ყველანი, ურთიერთის მადლობელნი. უწინდელი ღზინების ანბავი დიახ ბევრია, მარამ მე ეს მოკლეთა ვსთქვი, რადგან გალობისას და სიმღერისას ვლაპარაკობ.

მეოთხე. ბევრი რიგი თამაშობა არის ჩუენში მღერით. მაგრამ ერთს იმათგანს ვიტყვი, იმ თამაშობას და იმ შექცევას, «სამაია» ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი ერთმანეთის პირ და პირ კარგა მოშორებით, ხელი ხელს გაბმულეები მწკრივათ; ჯერ ერთი გაბმული დასი წარმოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მომღეროდნენ: «სამაია სამსაგანა რა ტურფა რამ ხარო“... და სხუანი. ასე უნდა მოსულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, ეს მომღერალი დასი, მასუკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილს მისულიყვნენ ეგრეთვე მღერით. იქ მწკრივათ დადგებოდნენ ხელებ გაბმულეები პირველისავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივათ, დადგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე, ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერასა პირველს დასსა; თან პირველის დასის რიგით წამოვიდოდა და იმათის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მოვიდოდა მეორესთან. ხან მეორე პირველთან, მარამ თან და თანკი აჩქარებდნენ სიმღერასა თავის შეწყობილის ლექსებითა. ბოლოს დროს ასე უნდა აჩქარებინათ სიმღერა, რომ სალალოთ გარდაექციათ და ერთმანერთისათვის ბალდადის ხელცახოცები ესროლათ ანუ წყნარა დაეკრათ ეგრეთ მღერით. ჩემ სიყმანვილეში, ერთს გამოჩენილს ქორწილში დააბეს «სამაია» ორმოცმა მეტმა მახლობლად ქალებმა, გათხოვილებმა და გაუთხოვრებმა. მე ეს ასე მამეწონა, რომ, როცა მოვიგონებ ხოლმე იმ დართულ-დაკაზმულ ქალებს, იმათ საუცხოოს შეწყობილს მღერას და იმათ მშუენიერსა წარწარსა მიმოსვლელობას მღერითვე? ოჰ! მეტად მესიამოვნება. არ ვიცი, ეს ამ გვარები რომ დაიკარგოს ჩუენში, რისთვის და რათა?

მეხუთე. ბევრჯელ მახსოვს ესეც. ერთი სოფლის დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები, ერთათ შეყრილნი სალამო-ჟამს, წყალზე მიმავალნი კოკებითა მხრებზედ შედგმული თან შეწყობილსა სიმღერასა ანობდნენ ამას მეტად კარგად: «**თინა მიდის წყალზედა**

ახ თინანო თინანო.» და სხუანი. ესეც წყალის მოსატანი სიმღერა არის.

მეექუსე. ავათყოფის სიმღერა «ნანა». უკეთესი ხმა რაღა უნდა. თვითქმის არაფრისთან საქმე არა გაკეთდებოდარა უნინდელს დროს ჩუენში, თუ თავისი საკუთარი სიმღერა არა ეთქოთრა, არ იქნებოდა, სწორეთ იმ საქმის მიმსგავსებული იმისი სიმღერა. აი ამითი სჩანს, რომ ჩუენსა ერსა უღრმეს და უძველეს დროში თავის საკუთარი ხმის მუსიკა ანუ ახლანდელს გვარზედა ვსტქუათ: პოეზია ჰქონიათ, რომელთაცა დღესაც ზოგი ერთმა იციან ის ათასობითი წლების გალობანი ანუ სიმღერანი; ის იმათი დამინებული ჩუენი მამაპების ხმები, ანუ მაშინდელი ბუნებითი ძველი მუსიკა, რომელიცა ჩუენი ქუეყნის დაარსებაშივე, როგორც ვხედავ, მე მგონია, რომ იმ პირუელს ჩუენს მამასა უნდა შემოელო, სადაც ჯერეთ კიდევ ცხოვრობდა ჩუენში. რასაც ვანბობ, ნურავინ ნუ გაიკვირვებს, ეს ტყუილი იყოს, ამისთვის, რომ ის პირველი ჩუენი ძმა ამ საკურველს უშუშუენიერეს ქვეყანას რო ნახავდა, ამთენს განსხვავებულს საუცხოვოს ბუნებას, რა საკვირველი იქნება, რომ იმისი გრძნობა აღელებულყო და თავის კლდეში, ჯერ ფუტკარსავით ბზუილი შეექნა, მასუკან ის ბზუილის ხმა, თან და თან გაელამაზებინათ გალობად ანუ სიმღერად? თუ ჩუენი ქვეყანა, პირველ კაცის ბუდე არის მართლა, მამ უთუოთ ესეც ასე უნდა იყოს, როგორც ვანბობ. ერთს ანბავს გაიმბობთ, სასაცილოც არის და შესანიშნავიც: ჩემ ყმანვილობაში, როგორც მახსოვს მგონია ან 1824–ი წელი იყო და ან 1825–ი, ამ რომელსამე დროს ჩუენ ორბელიანთ მთაზე ვიყავ ზაფხულს, სადაც ჩუენი ყმები თათრები იდგნენ აგრიყარზე; იქ იმათში შევექცეოდი მთიანობით. საქმე გამიჩნდა ბორჩალოს (მოურავთან) პრისტავთან, რომელიცა იმ დროს იდგა ყარახაჩსა ჩუენ ორბელიანების კუთვნილს მთაზედვე. დილა ადრიან ორი ჩემი კაცით შევსხვდით ცხენზე და მთამთა ვიარებოდი ყარახაჩისაკენ: მზე რო დაენვერა, ხუთი თუ ექუსის შუბის სიმაღლეზე სადამოსი, ყარახაჩის მთაზე მივედით. იქ იმ ყარახაჩის მთაზე, ერთი მრგვალი მაღალი ბორცვია ამოსულსავით მოსანონი, რომელზედაც შეუდეგით იმ კლდიანს ბორცვსა, მცირე ადგილი ცხენებით, დანარჩენნი დაქვევითებული, მაგრამ რას ყოფით და წვალებით მივიდოდით, რადგან ძნელი ასასვლელი იყო მეტად. ბოლოს ავედით, და იმის წვერზედ დავდექით. მეტი მშუენიერი სანახავია იქიდგან ოთხსავ კუთხივ. სად იყო და სად არა, თეთრი დიდრონი ღრუბლები წამოვიდნენ სამხრეთის მხრიდგან დიახ უსწრაფესად და სადაც ჩუენ ვიდ-

ექით, გარს შემოერთყა იმ ბორცვს. დავრჩით შუა დიდრონს ღრუბლებში. ამ დროს ელვა დაიკლაკნა ჩუენს გარეშემო ღრუბლებში, თან გრიალი დაიწყო საზარად და ამ დროსვე დიდრონი კაკლების ტოლა სეტყვა ჩამოყარა რავდენიმე, რომელნიცა მაშინვე ცხენებზე შევსხედით, ხელიდგან არ წაგვსვლიყო და დავრჩით იმ მაღალს გორაზედ, და ან სადღა უნდა წავსულიყავით, თუ წამოვიდოდით უარესი დაგვემართებოდა, ამისთვის სამნივ მწკრივით დავდეგით, ამისმეტი ღონე აღარ იყო, თავზე ყაბალახიანებმა და ნაბად წამოსხმულებმა ზურგი სეტყვის მხარეს მივეციით, ცხენებმაც თავები დაბლა დაიხარეს ყაჯრებიანმა და ისე გვრეგა რაც შეეძლო იმ ძლიერმა სეტყვამ. ამასთან ძლიერი და ძლიერი ჭექა ჩამოსქდებოდა ჩუენს თავზე. ორჯელ თუ სამჯერ მეხიც შემოსტყორცა სპილენძის ფერის ელვით და სრიალით გაირბინა საყვირის ძახილსავით ჩუენს მახლობლად. ჰაერის აღრეულობის საშინელებაში, ჩემი ორი კაცი აქეთ-იქით გვერდებზე მიდგნენ ცხენებით. მარჯვნივ მხარეს ჩემი გამზდელი ლალა და მარცხნივ ჩუენი სოფლის ქემხა ორივ ხნიანი კაცები, ორივ ძველს დროს, ძველს ანბებში გამოვლილნი და მაშინდელს ვაებაში გამოქანჯულნი. მკვიდრად იდგნენ და ჰურის საშინელებას ეცინოდნენ მხიარულად. მართლად როგორღაც არის, ამ გვარი საშინელი ზარი, შეუპოვარს გულსა როგორღაც ესამოვნება, ნამეტნავად თუ კიდევ უყვარს ვინმე. როგორც პირველი ნაპალიონი ამბობს: მსურს, ყოველსა ჩემს სალდათსა ჰყვანდეს საყუარელი, ის იქნება დიდი შრომის მზიდავი ადვილად და საშინელებაში ძლიერი ვაჟკაცი. კიდევ ერთი, სწორეს საყვარელსა საშინელებაში ვიყავ, ასე მეგონა მეორეთ მოსვლა არისო, მაგრამ რადგან შენი სიყვარული, ჩემს სულს გადახვეოდა და ტკბილად ეკონებოდა, ეს საშინელება იყო ჩემი საამო შექცევაო? მგონია ეს სიტყუა დასაწუნნი არ იყოს გულთა მგრძნობელთათვის. ადამიანი მანამ ცოცხალია, რას არ ნახავს, რას არ გაიგონებს, და რას არ გამოსცდის ქუეყანაზე? ვინ იცის რავდენ გვარს რასმე?... რალა უნდა ითქუას, იმ ჰაერის საშინელებამ დაბლა დაიწია ზედ ვაკე მთაზე იმ ბორცვის გარეშემო და სრულიად ხელში დაიჭირა ყარახანის მთა. აბა ეს იყო კარგი და საკურველი სახე! ასეთი ყოფა შეიქნა ქვეით ერთიანს ვაკე მთაზედ, რომ გვეგონა: ზეციდგან რისხვა რამ დასცემია და ფურთნის დედამინასაო. ბევრი საშინელება მინახავს ხმელზე და ასე გამინჯეთ ზღვაშიაც, მაგრამ მე იმისთანა სახე არსად არ მინახავს. სადაც ჩუენ მაღლა ვიდექით, იქ სრულიად გამოიდარა მზემ, რომ ერთი პატარა ღრუბელი არსად არ იყო, ჩუენ-

თან თუ ჩუენ ზევით და მონმენდილი ციდეგან მზე იცქირებოდა თავისებურათ, მაგრამ ამ ჩუენ გარეშემო ქვეით, დუღდა ღრუბლები თეთრად და თეთრად; ზედ დაგველებულის მოხშირებულის ელვებოთა და ერთი ერთმანეთზედ დანახეთქის ჭექებოთა, ასეთი სეტყვის გრიალი და ბუნების აშვებული ზარი იყო, იმ ჩუენს გარეშემო ქვევით დიდს ვრცელ ვაკეზე, ასე ეგონებოდა კაცსა, რომ იმ არე მარეს დანთქმას უპირებსო. უფრო თუ სწორეთ ვიტყვით: თუ ჯოჯოხეთი იმას ეგვანება, ვაი კაცობრიობაო ჩუენი ბრალი!

აქამდისინ ჩუენს თავზედ იყო ის ანბავი, აგრე რიგათ ვერა გავიგეთრა, ახლა ზევიდეგან რომ დავყურებდით ქვემოთ, დიდად გვიკვირდა! უყურებდით იმ აღრეულებას საკვირველის შეზარებით და გვიამებოდა კიდეც როგორღაც.

მცირე ხანს უკან, ერთმა პატარა ნიაგმა შემოჰკრა იმ საშინელებას და ის საშინელება ასე ადვილად გაიტაცა აღმოსავლეთის მხრისაკენ, რომ თვითქმის თავგადაგლეჯილსავით: დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი. მეც ასე ვანბობდი ღმერთისადმი. რა მცირე ხანი კიდევ გამოხდა, აღარც აღრეულობა იყო, აღარც ღრუბლები, ხოლო ბუნება დამშვიდებული და ჰაერი კეთილი, მაგრამ ის ჩუენი გარეშემო მთა, სულ ერთიან გადალენილსავით იყო სეტყვით და ბუნება საუცხოვოთ ბზინვიდა განსპეტაკებული. აი ახლა მოვედით პირველს საგანთანა, რაზედაც გვქონდა ჩუენ ლაპარაკი, იმ პირველს სიმღერასთან, და იმის მიზეზთან, — მაგალითებრ: იმ აღრეულობის შემდეგ, ოთხსავე კუთხივ ვიყურებოდით, საიდგანაც უუმშვენიერეს სხუა და სხუა ბუნებას ვხედავდით და საკვირველებით უყურებდით!

იქ შორს გამწვანებული მთები, ველები და მინდვრები გაბიბინებული, აქ ჩუენს გარეშემო სეტყვით მოფენილი თეთრად, რაღასაც განსხვავებას აძლევდა ერთიანს ბუნებას და მეტად აშვენებდა კარგად.

იმ ავდრის შემდეგ, ის მშუენიერი ბუნება რომ დაინახა ოთხსავ მხარეს ჩემმა გამზედელმა, რაღაც უცნაური ყვირილი დაიწყო, ვითომ სიმღერის ხმა იყო. ჩუენ გაკვირვებით კითხვა დაუნყეთ: რა დაგემართაო? იმან გაიცინა და მასუკან გვითხრა.

— ჩემ დღეში არ მახსოვს სიმღერა მეთქოს როდისმე და არც ვცდილვარ არას დროს, მაგრამ ეხლა ამ ავდრის შემდეგ, ეს მშუენიერი ადგილები რომ დავინახე, რაღაც სიამოვნემ გულში გამიარა და ყვირილი შევქენ, ვითომ ვიმღერი მეთქი. ამასთან შექნა ყვირილი, ძლიერ ძახილი და ამაში ოთხსა მხარეს იყურებოდა მეტის სი-

ამოვნიტ. ჩუენ უყურებდით და თან ვკასკასებდით სიცლიტ. აჰა დამტკიცება პირველი ჩუენი სიმღერის საფუძველისა, როგორცა ვტქვი და დავწერე ზევით.

— სეტყვისაგან დარეგვილებმა ბორცვიდამ ჩამოვიარეთ კიდევ რის ყოფით, მასუკან გადავხედით ცხენებზე და გავემართენით ჩუენს გზას და ბორჩალოს მოურავს ვენვიე ყარახაჩზე, სადაც ალაჩუხები ედგა რავდენიმე. მაშინ ბორჩალოს მოურავათ იყო თავადი ლუარსაბ სუმბათაშვილი,¹ ძველი დარბაისელი და მართებული კაცი, რომლისაცა განთქმულიყო ვაჟკაცობა ძველს დროებში.

იმის ალაჩუხებს რო დაუახლოვდი, იმის ალაჩუხის კარზე თათრები იდგნენ. რამ წამს დამინახეს, მიცნეს, უმალ აცნობეს ჩემი მიმავლობა, რომელიც მაშინვე გამოვიდა კარზე. ამასობაში მეც მივედი. იმ გმირმა ხნიანმა კაცმა აღარ დამაცალა ცხენიდგან ჩამომხტარვიყავ, მომვარდა, თავის გმირული ხელები მომავლო ტანზე და ხელ და ხელ ამიტაცა ცხენიდგან. წამილო, თავის კრაოტზე დამსო, თვითონ გვერდით დამიჯდა და გაკვირვებით კითხვა დამინყო, ამისთანა სამინელს სეტყვაში სად იყავიო. მეც ყოველი უანზე, მაგრამ ზოგიერთს ადგილს ტანი მტკიოდა სეტყვისაგან, ისკი არ უთხარ სირცხვილიტ. ამაში, სეტყვაში არეული რავდენიმე ვარიის კვერცხის ტოლა სეტყვა შემოიტანეს თათრებმა, ლ. მოართვეს. იმან აილო და მასუკან მე მითხრა:

— „აი, ღმერთს როგორ დაუფარავხარ, თუ სულ ამისთანა სეტყვა ყოფილიყო, არვიცი რა დავემართებოდა. ღმერთს მადლობა უნდა შესწირო ჩემო ა.„

სამი დღე დავრჩი იმასთან, აღარ გამომიშო, რომელიცა არც შეიძლებოდა. უცხოტ შევექეცით მთის კვალობაზედ. შემდეგ გამოვეთხოვე და მეოთხე დილაზე წამოველ ჩემი მხრის, ჩემი ბარის სოფლისაკენ, სადაც გახშირებული იყო ყანების მკა და ქართველი გლეხებისაგან სიხარული დიდი მკის სიმღერებით.

ახლა მივედი სხუა და სხუა მუშაობის სიმღერებთან: **1) სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2) ქვევრის გარეცხისა, 3) ყურძნის დანურვისა, 4) სახლის აშენებისა, 5) მინის ხვნისა, 6) მინის დაფარცხვისა, 7) ყანის მომკისა და ნამგლის გაღესისა, 8) ძნის მოტანისა, 9) კალოს ლენისა, 10) ხვავის განიავეებისა, 11) საბაროს ურმით წასვლა-მოსვლისა, 12) სიმღერა ჭონა.² ბზობის კვირაში დადი-**

¹ თავადი ლუარსაბ სუმბათაშვილი იყო ჩემი სიმამრის დედის ძმა.

² მეტად დავალეებდა ავტორი რედაქციას ამ სასიამოვნო სტატიაში ისიც მოეხსენებინა სახელდობ თვითოეული ლექსი, ანუ ჰაზრი თვითოეულის გალობისა, —

ან მომღერალნი კაცნი, ჭონა სიმღერას ანბობენ და კვერცხებსა ჰკრეფენ სააღდგომოთ, 13) **სხუა და სხუა გვარი** ფერხულის სიმღერები, მაგრამ სალხინო ხმები უფრო მრავალია მეტათ, 14) **შობის წინაღამეს** სიმღერა ალილო: სახლით სახლათ დადიან კაცნი და ფულებსა ჰკრეფენ ამ ალილოს მომღერალნი.

ერთს შობის წინაღამეს მახსოვს ამ ოც და ათის წელიწადის წინათ, ჩუენი სახლის ფანჯრების ქვემოთ ქუჩაში, უეცარი სიმღერა დაიწყეს ალილო: თქმა, მოძახილი და ბანი. ასე განყობილის მშვენიერის ხმით ანბობდნენ იმ ალილოს, რომ ყოველი ჩუენში გონება იმ სიმღერამ მოიტაცა. ვინც იმ დროს შინ ვიყავით და გაჩუმებული ყურს უგდებდით იმ ხმონებას მეტის სიამოვნით. იმათ რომ ის თქმა დაასრულეს აქ ჩუენ შევწუხდით გარდა ბატონიშვილი დედი ჩემისა¹ რომელმაც ბძანა: ეს უთუოთ იმერლები არიანო. ამ სიტყვასთან ჩემი უმცროსი ძმა ნამოხტა და საჩქაროთ მოსამსახურეს ამოაყვანიდა სამნივ. გამოვიკითხეთ, მართლა იმერლები იყვნენ. კარგა ხანი აღარ გაუშვით, ბევრი კარგი სიმღერები და ლილინები ვათქმევინეთ იმერული. იმათმა მშუენიერმა სხუა და სხუა სიმღერებმა და ლილინებმა დიდად გვასიამოვნეს, მეტად დაგვანდა იმათი ლილინით სიმღერები და კარგა ხანი ჩუენი გონებიდგან აღარ მოისპო, მაგრამ სამგლოვის გალობა სრულიად განსხვავებული ხმა არის სალბუნებელი და ცრემლის საფრქუევი. კლდის გულიც რო ჰქონდეს ვისმე, იმასაც აუღუღდება ის გული და ცრემლებს მოაფრქევებს ბევრსა. . . ეშკალაბაში თავადი თამაზ ჯ. ორბელიანი რომ გადაიცვალა ჩემ ყმანვილობაში, მაშინ მგალობლებსა ეგალობათ ეს ხმა, ზარი და დახოცილსავით გამოსულიყვნენ იქიდგან, ვინც იმ დროს იქ ყოფილან. საკურველია, რომ არაფერში არ მიემსგავსება იმერული ხმები საქართველოს ხმებსა, რომელნიცა იმერულსა ხმებსა ლილინებად უხმობთ და საქართველოს ხმებთა სიმღერად. ეს ორივე მხრის ხმები, ერთად რო შეერთდეს და ორთა მხარეთა ერთი ერთმანეთისაგან რომ მიიღონ, აბა მაშინ იქნება სხუა და სხუა საუცხოო ხმები, სულ ერთი ერთმანეთზედ უკეთესი. ღირს სახსოვრად დარჩება იმისი სახელი მარადის, ვინც ავდენსა ხმებსა ერთად შემოჰკრებს და ნოტებზე დაანყობს სულერთიანათ? ის შეიქნება ისტორიის პირი საჩენი!

უკეთუ კიდევ დაგვინერა, დიდად დაუმაძღვებთ. **რედ.**

¹ ამ სტატიის მთხზველის დედა, ბძანდებოდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ასული, რომელსაცა ერქუა სახელად თეკლა და რომელიც ღრმად ნასწავლი და დახელოვნებული ბძანდებოდა ქართულს ენაში. **რედ.**

ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ხმებზედ ხელი, რა შეედრება ჩუენს მამაპაპის სიმღერისა ხმებსა, რომელიცა ჩუენი ავდენი ათასობითი წლების ხმოვანება, მხოლოდ ჩუენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ღიღინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩუენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიანელების შვილის შვილები, ვითარცა პიტალოს ოქროდგან, პიტალო ოქრო გამომდნარი და ამის შემდეგ გვმართებს თავის მონონება თუ როგორ? ამისთვის უმორჩილესად გთხოვ ჩუენი ქართულის ჟურნალის რედაქტორო, რომ ჩემი ეს თხოვა შეინიროთ და ისტორიისათვის დააბეჭდინოთ ეს წერილი ცისკარში.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

[პატივცემულო ქართველებო!..]

პატივცემულო ქართველებო! ამ სიტყუას რომ მოგახსენებთ, მართლად პატივცემულნი.

ჩემო მემამულეთ ძენო, ჩემო უსაყუარლესო ძმებო, რომელს ქართულს არ უნდა მოსწონდეს თავი? – რომელი გაამაყებული არ უნდა იყოს, სახელი ქართული გქვიან? – ქართული, ესე იგი მთელი ქუეყნის დამაფუძნებელი, ჩუენი თესლისაგან აღორძინებული მთელი ქუეყანა. ეს როგორ უნდა გვიღირდეს ჩუენ? – დაუფასებელ ფასად! რა გუარი პატივისცემა გვმართებს ამისა? – გვმართებს რომ კეთილ მონინებით თაყუანსა ვცემდეთ.

აიძმებო! ეხლა ამამულის ტრაპესზედ, ჩუენი მამების ჩრდილები მოგვისხდნენ გვერდით უხილავად, რომელნიცა გვლოცვენ და მამულის გზასა გვაჩუენებენ კეთილსა, კეთილსა განათლებასა და თან გვჩურჩულებენ ყურში: ჩუენ ჩუენი მამული ხმლით დავიცევით და თქუენ თქუენის განვითარებით ალაცვავეთ ფასდაუდებელი თქუენი მშობელი მამულიო. ეს გახლავსთ იმათი ანდერძი.

დიდო რომულ! იმ შენს გორაკზედ, პირველათ ბარი რომ დაჰკარ შენობისა, რავდენი კაცი გყვანდა თანა? – ოცერგასი განა? – ის ოცერგასი რა შეიქნა ბოლოდროსა? – დიდი რომი საკვირველი! სადაც საქმემ გამოაჩინა კაცნი უდიდესნი! – მამულის კეთილსმდგომარეობისათვის, ბრუტმა თავისი შვილი მოაკვლევინა, დიდსა სამჯავროში, რომელსაცა იმის მეტი არა ჰყვანდა რა და კიდევ ერთი ძმისწული, ორივ თავის თვალწინ და შემდეგ პირველს სავარძელზე, გულგასვენებული, ღრმას დუმილში, წმინდას სვინდისით. ამ დიდსულოვნობის წინაშე, რომელმაც არ უნდა განიკრძალოს სული და საკვირველებას არ მისცეს გონება!

ჩემო მემამულეთ ძენო! ახლა ამის შემდგომათ, ჩუენ რალა გვმართებს მამულის ქართულებსა, ვითარი სიყუარული მამული-სა, არა შორით მოსულთა, არა ეულთა, არამედ წარდგნის მკვიდრთა ძეთა, რომელიცა თვით განგებულება მოგვიძღვა და მოგვცა მამული ესე სამკვიდრებლად? – გვმართებს, რომ ჩუენი სამშობლოს მამულის ხსენებაზე, ჩუენი გრძნობა დაემხოს ამ ჩუენის მამულის წინაშე და ამის მტვერსა ვლოკდეთ. –

შენ ჩუენო ქუეყანაო, ყოვლის კარგის ნიჭებულებით სრულო! შავი ზღვიდგან ამოსულო სამშობლოვ ნაყოფიერო მამულო და ჩაკიდებულო კასპიის ზღუასაო. აქ ძეთა შენთა მოუწყენიათ დიდათ. მაშ გვითხარი ქართულო შენ? – რას მდუმარებ აგრე? –

მაგისტანა დავიწყებაში რათა ხარ ჩავარდნილი? – გამოიფხიზლე და მიმოიხედე რას დაინახავ? – ხედავ განა აქ ტფილისში, ვახტანგ გორგასლანის ათასოთხასის წლის, მეტეხთა ღვთისმშობლის ეკლესიას, სადაც უწრფელესი გალობა წართქმოდა ძველს დროებაში? – იქ მიდი იმ ეკლესიაში, იქ მუხლდადრეკით ამბიონის წინა შეევედრე და სთხოვე სათხოვარი შენი: ბრწყინვალე განათლება! იმ მხურვალეს თხოვნის შემდეგ, მოდი ჩუენთან და მოგვიტანე ამბავი სანუგეშო ქართუელებისა, რომლითაცა ამ ჩანითლებულის, ამ ჩუენის საიდუმლოს წმინდას ზეთაშითა ღმერთმა გადღეგრძელოთ ქართუელებო. ისე შეგიყუაროსთ და გაგაბედნიეროსთ, როგორათაც თავადსა ალექსანდრეს ვახტანგის ძეს ჯამბაკურ–ორბელიანს უყვარდეთ და თქუენი ბედნიერება სურდეს!..

**1861–ს წელსა.
მაისის 18–სა დღესა.**

ქართველების ქული დრო გადმოსული ახლად

ევროპია არის ლამპარი მთელი ქუეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა. იგი ევროპია, არა ეხლა, ვინ იცის, რამდენი საუკუნოები, განათლების წარმატებაშია და მოუსვენად ცდილობს მისთვის, მაგრამ დღევანდელამდისინ ღრმა მსწავლულები, თვით ევროპიელნი ამაზედ დაჯერებულნი არიან: ჯერ იმ ხარისხზე არ ასულა განათლება, რომ კაცსა ბოროტება გამოვგლიჯოთ სრულიადაო. საუკუნოს წლებიდგან, ამ საუკუნემდისინ ასეა ევროპია, ამ მოცადინეობის ტანჯვის ზრუნვაში.

ევროპიისაგან უყურადღებოთ დაგდებული საქართველო და საქართუელოსაგან სრულებით უცნობი ევროპია, ხანდისხან მოგზაურნი მოვიდოდნენ აქა, აქაურობას აღწერდნენ, ქართუელების ქებას, კაცებისას თუ დედაკაცებისას გამოსცემდნენ წერილებში და მთქმელიკი არავინ არა ჰყვანდათ, ეთქოთ: ვითარნი არიან ევროპიელნი, რომ მათთან მახლობლობა ჰქონდეთ ჩუენებს. მართალია, ევროპიის შემოსული პატრები უფრო შეიძლებდნენ ამას, რადგან ყოველს სახლში მახლობლობა ჰქონდათ, მაგრამ ისინიც ამის მეტს არას ზრუნვიდნენ, ქართუელები გაეფრანგებინათ.

ვინიცობაა, თუ ჩუენს მამაპაპათ ევროპიელებთან მეზობლობა ექნებოდათ, მაშინ შეიძლება ყუელას დარწმუნება, რომ ქართუელები ავდენის ძვირფასის ნიჭიერებით სავსენი არიან: დიდი განათლება იქნებოდა ჩუენს ქუეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგება წინა გარემოებას? — საშინელს ვეშაპსავით განოლილი ოსმალოს სახელმწიფო ჩუენსა და ევროპიის შუა; ის ფანატიზმით გარეტებული ოსმალოს ერი, ჩუენებსლა მოაგონდებოდა ევროპია, რომელსაცა ეხუეოდნენ ოთხსავ კუთხივ, სპარს-ოსმალოები და სრულიად დანთქმას უპირებდნენ, აქ ამისი დანერა დიახ ადვილია და წასაკითხავად უფრო ადვილი, მაგრამ თუ სრულიად გონებაში წარმოიდგნთ იმ ანბავსა, ზარ დასაცემი საშინელება ყოფილა საქართუელოზე!

მართლად, სამმა სიყუარულის ძალამ დაიცო ქართუელები: ქრისტიანობის შეურყეველმა მოსაობამ, მამულის თავგადადებულმა სიყუარულმა და გაამაყებულმა ქართუელების ჩამომავალთ სახელმა, თორემ თუ ამ სამისა ძლიერისა სურვილით მზიდულნი არ ყოფილიყვნენ იგინი, ქართუელების სახელი აღარ იქნებოდა დღესა. მხოლოდ ეს სამი თქმა ცოტაა, სრულიად დავანახოთ საქმე, ამისთვის ვისაც რა გაუგონია, იმათ უნდა გვიანბონ, რადგანაც მოან-

ბეთ ვალი ეს არის, რომ მამულის ანბავი მოგვითხრან, ნამეტნავად უწინდელის დროისა, მაშინ წამკითხველმა თვით იცის, უნდა დაიჯერებს, უნდა, არა და თუ უნდა ბევრსაც გაილანძღება: სიტყუას ბაჟი არა აქუსსო. ასე თქმულა, მაგრამ მე კიდეც იქა ვარ, იმ ჩუენს მოხუცებულების ანბებში; უნდა ის ჩუენი მოხუცებულები გენახათ, ძუელის ანბების მოანბენი, თორემ ეხლა სულ სხუა გვარად გვეჩუენება მაშინდელი დრო, გალალებული ხასიათის გამო.

ბევრმა იცის მარაბდის ომი შაბაზის დროსა, სადაც ამ ოცდაათის წელნადის წინათ ისრის რკინას კიდევ პოულობდნენ მინდორში. იმ საშინელს ბრძოლაში ცხრა ძმა ხერხეულიძეები მამულის გულისათვის რომ დაიხოცნენ სპარსელებისაგან; კიდევ ამისთანა მაგალითები რამდენია საქართუელოში, უნდა გაჩუემდნენ, არა თქონრა იმაზე? თავადი პაპუნა ორბელიანის და თავადი ომან ხერხეულიძის (მდივანი) ისტორია მაინც წაიკითხონ, ვისაც არ წაუკითხამს ჩუებნოვის დაბეჭდილი? — თუმცა მცირედ მცირედით გამოყვანილია მაშინდელი საქმე, მაგრამ წამკითხველი მაინც დაინახამს მეფეს ირაკლის და იმის თანა მედროეთა ქართუელებსა.

ათასის წლის ამბავი რამ წაგუეკითხა ეხლა, დაწვრილებითი საქართუელოსი, ურიგო იქნებოდა? — ძუელის ანბის საქმე ასეა. — თუ ისტორიისათვის გამოსადეგია, ისტორიისათვის გამოიყენებენ, თუ არა და, სკივრში შეინახება, მაგრამ წასაკითხათ მაინც სასიამოვნო იქნება, როგორც ძუელი ანბავი.

ამდენი მოგზაურნი რომ დადიან მთელს ქუეყანაზედ ანბების შესატყობათ, — ჰგავს კარგი ყოფილა. მამ უსამართლო განკიცხუა რალათ უნდა, რომლითაცა ორის განსხვავებულის დიდის ღირსებით სრულია ეს ჩუენი ქუეყანა? — პირველი ბუნების ნიჭებულებით და მეორე — ძუელის ანბებით გატენილი. საქართუელოს ბუნების ნიჭებულება არ დაიკარგება, მაგრამ სხუა და სხუას ანბავს რალა უყოთ, თუ დაიკარგა, კარგი იქნება? — ყოველი ამ გვარი ანბები, რაც ჩემგნით დანერილა, ჭემმარიტად არ იყოს თავის სიყვარული ჩემი. თვინიერ ამისა, რაც ჩუენი მოხუცებულებისაგან გამიგონია, ანუ მინახავს რამე იმათში, ჩუენს მემამულეთ შვილებთ დარჩეთ წასაკითხად. ვიცი წინააღმდეგის ენა, — მაინც წინააღმდეგი იქნება, თუნდა ფინანაზები გაუშალოთ; რა ვქნათ ეს სოფელი ასეა გაუტანელი. ჩუენც გაუძლებთ როგორც იქნება.

უძუელესს საქართუელოს ამბაებს აღარას ვიტყვი, ვითარი იყვნენ ქართუელები; ყოველი ესე თქმული ჯერ მეფის თეიმურაზის დროინდელი ანბავია და მასუკან მეფის ირაკლისა, რომელიცა

იმისთანა დასაღუპი დრო არას დროს არ მოსვლია ჩუენს ქუეყანას, მაგრამ მაშინდელი მამულის შვილები, მარადის გულგაუტყენელი და გაჭირებაში უფრო მხნენი; უფრო ძლიერნი შეიქმნენ იმ საშინელებაში!

გამიგონია მეფის ირაკლის დროს რაღაც უნესოება მოეხდინოთ ზოგიერთს პირთ საქართუელოში და მეფეს არაფრათ მიეღოს, რომელსაც ჰგონებენ ამისათვის. ვსთქუათ: გიებას ემართლებიანო, მაგრამ წარმოიდგნეთ განათლებული სახელმწიფოები? მაკოლეის ისტორია ანბობს¹, რა ანბავი ყოფილა ანგლიაში? — ანუ კიდევ სხუა სახელმწიფოში? და კვალად პირველ ნაპალიონმა, ღერცოლი ანგენსკი, რომ მოაშთობინა, სამართალი იყო? იტყვიან: იმის პოლეტიკა ითხოვდაო. მეფის ირაკლის პოლეტიკაც ეს იყო; მიუტევებდა კერძობით დანამაულს, როგორი თავგადადებულნი იყვნენ მამულისათვის და ან როგორ ემსახურებოდნენ მეფეს ისინი. — უკანასკნელს წვეთს სისხლამდინ თავის მთელი სახლის შვილებითურთ. ყოველი საქმე დროს მიხედვით არის გარემოებისაგამო. მეფე ირაკლიმ, ერთი დიდი გვარი დაამდაბლა; თქუენის დღეგძელობით, ნეტავი არც ისინი დაემდაბლებინა.

დახიზნული მეფე თეიმურაზ ფშავის სიმაგრეებში თავის ხიზნით, რადგან გარდამეტებული შიშიანობა ყოფილა საქართუელოში შემოსეულის აუარებელის მტრებისაგან. მაშინ ასეთი ვაება დამართვია ჩუენს ქუეყანას, რომ ერთიანათ თემები სიმაგრეებში დახიზნულან და ყოველს ქართუელს თოფზე სძინებია. იშვიათათ გავიდოდა დღე, რომ უნამეტნავეს წლის ქართუელთას, მტერთან ომი არ ჰქონიყო, ძნელად იქნებოდა, რომლის გამო დარჩომილა მეფე თეიმურაზ ფშაველებში შვიდი წელიწადი, სადაც მისდიოდა ქართუელების მეტი შეჭირუება გარეშე მტრებისაგან და იმათი ყოველი ანბავი. ამ დროებში ქართლ—სომხითი ოსმალთ დაიჭირეს, უფრო ამ მიზეზით, რომ გაისლამიზებული მეფე იასე მეფეთ დასვეს ქართლ—სომხითში და იმისი შემწეობით დაიმორჩილეს ეს ქუეყნები. გარდა ამისა, მეტის მეტად შეჭირვებული და ძალდატანებული კახეთი ოსმან ლეკისაგან, გაღმამხრის კახეთი და ქიზიყი დამორჩილდა ლეკებს და მოხარკე შეიქმნენ.

ამ დასაღუპს ანბავში თავის თავზე ხელი აიღეს ქართუელებმა და უკუღმართს ბედსა დამორჩილებას უპირებდნენ, ამ დროს ბატონიშვილი ირაკლი (შემდეგ მეფე), მეფის თეიმურაზის შვილი, თხ-

¹ კაროლის იაკობის მეორეს დროს.

უთმეტის წლისა იყო, რომელსაცა ფშავში დახიზნულსა ესმოდა ეს ანბავი და დიდათ სწუხდა. მოთმინებისაგან გამოსული, მკვირცხლად გადმოვიდა ფშავის სიმაგრებიდან; კახელები მოიხმარა, კახელებმა ლეკები გარეკეს კახეთიდან და მეფე თეიმურაზ ისევ განაახლეს მეფეთ თელავში.

პატარა ირაკლიმ თელავში მშვიდობა დაუტევა თავის მამას მეფეს, თვითონ ამხედრდა ცხენსა ბედაურსა, გამოცდილი ქართველები შემოუსხდნენ საუკეთესო ცხენთა და მოეტივნენ მტრებსა. ქართუელებსაც იმისთანა გულოვანი უნდოდათ, როგორც პატარა ირაკლი.

დიდი ანტონი კათალიკოზი იტყოდა თურმე. — «ჩემი ირაკლი უნდა გენახათ პირველიდგანვე, როგორ საკურველად გამოიჩინა თავი! თუ ირაკლი არ გაჩენილიყო ქუეყანაზე, დაგარწმუნებთ საქართველო დაინთქმოდაო მტრებისაგან, მაგრამ ჩემმა უუსაყვარლესმა ძმამ⁽¹⁾ ირაკლიმ, მტრები შეაძრწუნა და მამული გამოიხსნა, თავისის ძლიერის ქართუელებით, აბა ვილა უდგებოდა იმათ წინ, დათანხმებულს ერთის აზრის მქონეს ქართუელებსა და იმასთანა მოთავეს ირაკლის?»

სდევდნენ მტერთა და მუსრს ავლებდნენ მართლად ძალიან. ასე შეაშინეს შემოსეული მტრები. რომ ირაკლისა და ქართუელების მხოლოდ სახელი იმათი დამარცხება იყო, მაგრამ ძვირათ უღირდათ მამულის ღვანლი, რომელთაცა აღარც დღე ჰქონდათ მოსვენება და აღარც ღამე. ბევრჯელ ერთს დღეს, სამსა და ოთხს ომსა გადიხდინენ და ღმერთიც ძლევას აძლევდა. ერთხელ, ერთს დღეს ხუთჯერ გაემარჯუათ მტრებზე და მეორე დღეს კიდევ დაემარცხათ მტერი.²

მეფე ირაკლი და მაშინდელი იმისი ქართველები, შემიძლიან თამამად ვსთქუა, იყვნენ მამულის მოწამენი.

მეფე ირაკლიმ სამოცდა სამი წელიწადი მოუსვენად მოუარა ქუეყანას და მარადის ხმალს სცემდა მტერსა, რომლისაცა იმისი მამულის ომები, დიდნი და მცირენი რავდენიმე ათასია.... საცა არც ერთს ომში არ დაჭრილა და არც ტყვიას გაუკენწლავს, მაშინ, როდესაც რომ შუა გულს ომებში იბრძოდა ხოლმე, ყოველთვის მტრის ტყვიაში გახუეული. ამისთანა დაუჯერებელი მაგალითები არც გაგონილა და არც იქნება, მგონია არას დროს. —

¹ ახლო ნათესავი იყო, მაგრამ მეტი ერთგულებისა და სიყუარულისა გამო, ძმას ეძახდა.

² ეს ანბავი სიღნაღის ბოლოს ალაზნის პირზე ყოფილა.

მეტი საკურველება რაღა იქნება ქუეყანაზე, საშინელის მტრე-ბისაგან მოზღუდვილი საქართუელო, მინამ მეფე ირაკლი ცოცხ-ალი იყო, ვერას ძლიერებით, ვერას საშუალობით, ვერ მოსტაცეს მცირედი ესე მამული, ერთობ ქართუელებსა, რომელთაცა სარ-ნმუნოებაცა მკვიდრად დაიცუეს, ქრისტიანობა და ამითი გააკ-ვირვეს ევროპია!

მეფის ირაკლის და იმისი ქართუელების ანბავი ნადირშასთან, როგორ გამოიჩინეს თავი ინდოეთში, მართლად გასაშტერებელია!

გთხოვთ, თავის შეწყენათ არ მიილოთ, მინდა ქართუელების ანბავი რამ მოგიტხრათ ინდოეთის ბრძოლისა. ერთხელ, ერთს ინ-დოელების დასში დაერივნენ ქართუელები, ის დასი რო განაბნიეს, ამ დროს ერთი კარგი ინდოეთელი მხედარი დაიჭირეს ქართუელებ-მა, რომელიცა ძლიერად იბრძოდა. იმისი მდიდარი საჭურველი აძარცვეს და გაშფოთებულებმა იმისი მოკვლაც მოინდომეს, სად იყო და სად არა, პატარა ირაკლი მოვარდა ძახილით:

— „ეგ ინდოეთელი მხედარი არ მოკლათ, თორემ დიდად მეწყ-ინებო.«

ამ სიტყვით დამშვიდებულთა, ხმლები ქარქაშს მიაქციეს. ირაკ-ლიმ ის აძარცვილი საჭურველი გამოართო ქართუელებს ამ სი-ტყვით:

— ქართუელებო! როგორ გეკადრებათ მამულის ტყვეს მოკვ-ლა, როგორც ავაზაკისა, რომელიცა იბრძოდა თავის მამულისათ-ვის. ეს იარაღი ამას ეკუთვნის და ამასვე უნდა მიესცეთო.

მისცა საჭურველი და თან საიმედო სიტყუა უთხრა.

— „ინდოელო! დიდათ მამნონს შენი მამულის ერთგულება; როგორც აქამდისინ იბრძოდი მამულისათვის ერთგულად; ისევ ისე ემსახურე თავგადადებით, რომ შენმა მამულის შვილებმა დაინახ-ონ, სწორეთ მამულის შვილი ყოფილხარ შენ. აჰა ეს შენი იარაღი შენივ იყოს და შენი მამულის ერთგულება, ისევ შენთვის მოგვიცია ქართუელებსა. მშვიდობით ინდოეთელო მხედარო.« ინდოეთელი მხედარი დიდი მადლობელი, გაკვირვებული წავიდა.

ქართუელებმა ასე მოაწონეს თავი ნადირშას, რომ შუას ომში ცხენიდგან გადმოხტა, ირაკლი მიიყვანა თავის თან, თავის წელ-იდგან ხმალი აიხსნა და ირაკლის შემოარტყა ამ სიტყვით:

— შენ და შენმა ქართუელებმა ასე მომანონეთ თავი, რომ ამ დიდს ომშივე, მადლობა მინდა გითხრათ. ეს ხმალი თქუენი იყოს ჩემს სახსოვრად, რომელთანაც თქუენი შვილი შვილები მოვიდოდ-ნენ და ამ ხმალს ეტყოდნენ: ნადირშა განკვირვებული იყო იმ ქარ-

თუელებზე, რომელნიცა ნადირშას წინ, ნადირშას მხრებზედ იმარჯუებდნენო გამოჩენით.

ბევრჯელ ვნახამ ხოლმე იმ ხმალს, ჩუენთა ნიპართა მოსაგონათ.

დიახ ბევრი ანბავია მეფის ირაკლის და იმისი ქართუელებისა, სულ გასაშტერებელი ანბავი, მაგრამ ვინ გვეტყვის სრულად, ვინღა მოგვითვლის? — მხოლოდ აქ და იქ რაც გაგვიგონია, სარწმუნო მთქმელებისაგან, იმას ვიტყვით, რომ მაშინელი ჩუენი ერნი დავინახოთ, როგორ იყვნენ და ან რა ვიცით, იქნება ისტორიისათვისაც გამოდგეს როგორმე. —

კახეთის მეფის დაახლოვებით, ნადირშამ ქართლ—სომხეთიდგან ოსმალო და ქართლის მეფე გაიყუნა, ამის მიზეზისაგამო, ქართლ—სომხითი კახეთის მეფე თეიმურაზს მისცა, და კახეთის მეფობა დაუმტკიცა ირაკლი მეორეს, მაგრამ ორათ გახეთქილი საქართუელო მათ ოსმან—ლეკებს მიუდგა და სომხით, კახეთ, სპარსელებს. ორათ გაყოფილი ესე ქართუელები ერთმანეთს ებრძოდნენ, ორივ თავიანთის შემწეობით და აჭირვებდნენ ერთმანეთს, ქართლელებს უნდოდათ თავიანთი ძუელი მეფე, ანუ იმისი მემკვიდრე. კახელებს უნდოდათ შეერთება საქართუელოსი და ერთობის განძლიერება. გარდა ომობისა იყო მიგზავნ—მოგზავნა მოციქულებისა და დაუღალავი ცდა, ბოლოს ერთობის სარგებლობას დამორჩილდნენ ქართუელები, თუმცა ხან გამოშვებით, ძნელად, მაგრამ მაინც ერთობა მოხდა და გაერთდა სრულიად საქართუელო ერთ სამეფოთ, სადაც სადღესასწაველო ხმები დიდი იყო, ყოველს მხარეს ერთობისა, მაგრა მძვინვარე ნადირშას გულსა რა გააძლობდა? —

მთელი ჩუენი ქუეყანა თვითონ დაიპყრა, ზოგიერთს ადგილს თავისი ხანები დასხა, თავის ჯარები დააყენა და მომატებული სამსახურიც დასდო. თუმცა საქართუელოს მეფობის სახელი მეფობისა იყო, მაგრამ საქმე სულ ნადირშას ეკუთვნოდა, ამის დაშენებულს სპარსელებსა, რომელნიცა სწოვდნენ, როგორც უნდოდათ ისე. ამაზედ მეფე თეიმურაზ სწუხდა დიდათ, ამ სიმდაბლესა მეფე ირაკლი მოთმინებით თაკილობდა და ქართუელები კი გულის ძლიერსა ჯავრსა გულში იკლავდნენ რას ყოფით, ყუელანი დროს ექებდნენ მაგიერი გადებხადათ სპარსელებისათვის.

ამ ანბავში კარგა ხანი გამოვიდა, ამ დროს ნადირშა სამასის ათასის სპარსით, გამოჩენილისა და გამოცდილის ჯარით თავრიზში დადგა. აქ არ ვიცვი, რა ფიქრი მოუვიდა, რომ დიდათ სასტი-

კი ხარკი შეანერა საქართველოს, (არბაბი), რომელთაცა მეტის-მეტათ დაუმძიმდათ და სრულებით თავის იმედი გარდაიწყვიტეს: ეს სხუა არა არის რა ამის მეტი, რომ ნადირშა გადასახლებას გვიპირებს უთუოთაო სპარსეთში და ჩუენს მაგიერათ სპარსელების დასახლებასაო საქართველოში. ყველანი ამას ანბობდნენ.

იყო დრტივინვა და ვაება საქართველოში, საცოდავნი დედაკაცნი დასდასობით დადიოდნენ ფეხშიშველა, თმა წენითა ეკლესიებში და ძუძუებს მოათრევდნენ დედამინაზედ და სამშობლოს საქართველოს გამოეთხოებოდნენ საუკუნოდ.

მეფე თეიმურაზ დაღონებული, ხანდისხან თავის მსლებლებს ჰკითხავდა: რა ვქნათ, როგორ მოვაგვაროთ, რომ ნადირშას მძვინვარე გული დავამშვიდოთო? — ეძებდნენ საშვალობას და ვერ ეპოვნათ. თვით ქართულთა გულთ გაჯავრებულთა, რა უნდა ექნათ მძლავრის წინაშე, რომელსაცა აღვლებულ ზღვასავითა დიდი ჯარი თავრიზში ჰყვანდა დაყენებული და საქართველოს წალექასა მოელოდნენ ნადირშაისაგან, მაგრამ პატარა ირაკლი მეფე კახეთისა; საშინელებაში უფრო გონიერი, უფრო ძლიერი; იყო დამშვიდებით, აუჩქარად და იმის საიმედოს სახეს ვინცა შეხედავდა, იტყოდაო: შენ ცოცხალ იყავ, თორემ საქართველოს არ ეშინიან მტრისაგანაო.

რაღა გავაგრძელოთ, ბოლოს დროს თათბირი მოხდა მეფეებისა და საქართველოს პირველის კაცებისა, სადაც გადაწყდა: დესპანები გაუფზავნოთ ნადირშასა, ეგება გვაპატიოს ამდენი შეწერილი ხარკიო. აქამდისინ დაჩუმებული მეფე ირაკლი, აქ ხმა მომალლოთ წარმოსთქუა ასე.

«ჩემო ხელმწიფეო მეფეო მამავ. ნადირშას კარგათ ვიცნობ; რასაც თქუენ ბძანებთ და ეს პატივცემულნი გვამნი, დიახ კარგია, მაგრამ ნადირშას რაც უნდა ვსთხოვოთ ეხლა, არცა ერთსა ჩუენსა თხოვასა არ შეინწყნარებს და უფრო გაზვიადდება ის გამძლავრებული ავშანი, ნამეტნავად იმ დიდრონის ჯარების მბძანებელი. ან რათ უნდა ვსთხოვოთ, რომელსაცა ჩუენი მკლავის ძალა უნახავს და ჩუენი შეურყეველი ვაჟკაცობა. ამის შემდეგ როგორ უნდა დავიმცროთ თავი, იმას ვთხოვოთ რამ; შეუშინარმა ქართულებმა, რამდენს ომების ცეცხლში გამოვლილმა? — ეს როგორ გვეკადრება ვაჟკაცთ ქართულებსა. იქნება თქუენი ძალგული დაკარგული იყოს ინდოეთსა? — არა, ამას ნუ მათქმევიანებთ თქუენზედ. ნუ დაგიმცირებიათ აგრე გული ჩუენი მამა პაპებისა; კიდევ შეირცყით სიმხნე და დანარჩენი ღმერთმან იზრუნოს, ჩემო ძმებო ქართულებო!»

ჰაი, ჰაი, პატარა ირაკლი! ევროპიის წესზე ასი ქართველი რომ გვყოლიყო განათლებული, მაშინ თითოთ საჩვენებელი იქნებოდნენ იგინი ევროპისაგან: აგერ საკურველი ქართუელები ყველას მაგალითნი, მეფის ირაკლის სიტყუას დამორჩილდნენ და საქმესაც შეუდგნენ მაშინვე. ისტორიით ვიცით, საქართუელოს ხალხი აჰყარეს მეფეებმა; სიმაგრებში დაიხიზნენ და თვითონ თავ კაცათ გამოსულნი მტერს დაუდგნენ პირში, როდისაც გადაწყდა საქართუელოს თემის სიმაგრებში შესვლა, მეფე ირაკლიმ წარმოსთქუა თავის ქართუელებში. (ვისაც უნაზნია მეფის ირაკლის ლაპარაკები, ისე დამინერია.) «უშიშარნო ქართუელებო! ეხლა არის თქუენი გამოჩენის დღე: ნამეტნავად იმ განძვინებულის ნადირის წინაშე, რომელსაცა ჩუენი გაქრობა უნდა და ჩუენს ნაცვლად სპარსელების დასახლება, ჩუენს მშობელს ქუეყანაში. სწორედ მამულის შვილი მოითმენს განწირულსა სიღარიბესა, მოითმენს ნოტიო ტაროსა, მოითმენს ცეცხლსა და ყოველსა საშინელებასა, რასაცკი ვიტყვით, მაგრამ ჩუენს მამულზე ჩუენს ნაცვლად სპარსელების დასახლება, რომელმა უნდა მოითმინოს, თუ არ დავრდომილმა ქალაჩუნამ, ანუ გამყიდველმა ანგარმა? — ქართუელებო! თქუენ ის არა ხართ, რომ სპარსეთი გაიარეთ და ინდოეთში შეხვედით, ის მომთმენნი ქართუელები შორის გზისა? რისთვის შეინყნარეთ ის შრომა, მწუხარება, თუ არ თქუენი მამულისათვის? — რისთვის ემსახურებოდით იმ აღელებულს ნადირშასა, ასე თავდადებით, იმ დიდროს ინდოეთის ომებშია, რომელსაცა აკვირვებდა თქუენნი შეუპოვარი მკლავის ძლიერება. — ჩემო ძმებო ქართუელებო! იმ ინდოეთის ომებში იქ მეგობრობით რო აკვირვებდით ნადირშასა, აბა გმართებთ თქუენ, ადრე განძლიერებულის მეგობრის წინაშე და ახლა განძვინებულის პირის-პირ მდგომთა ქართველებისა. აქ შინ აღარავინ უნდა დავრჩეთ; დედაკაცებმაც იარალი შემაირტყან და საერთო სისხლის ღვრა მოხდეს, სწორეთ ჩუენის მამულის სამზღვარზედა და იქ გადაწყდეს ჩუენი არსება ქართველებისა, მაშინ დაინახავს ის ნადირი, ჩუენი მეგობრობა რა არის იმისათვის და ან მტრობა, ამისათვის ნულარ დავიყოვნებთ და ჩქარა მივმართოთ ჩუენსა საქმესა, რომ მცირედი ხანის გამოშვება დიდი სავნებელია ჩუენთვის.

ამ სიტყვის დასრულებასთან ყოველს მხარეს კაცები გაგზავნეს მეფეებმა; ყოველი მხრის ქართველები აჰყარეს და თავ-თავის დანიშნულს სიმაგრეებში შევიდნენ სულ ერთიან. კარგათ რო დაიხიზნენ და სიმაგრეები მკვიდრად გაამაგრეს, ხელ გამომავალი კაცნი გამოვიდნენ დასდასობით და ყოველმა დასმა, თავთავისი

დანიშნული იწრო ადგილები შეჰკრეს, სადაცკი შემოსასვლელი მაგარი ადგილები ეგულვებოდათ. ამასთან ბევრმა საქართუელოს ქალბმა იარალი შემოირტყეს; ცხენთა ამხედრდნენ და აქ და იქ სიარული დაიწყეს საქართუელოში: ასე რომ გვნახვენ, უფრო გამოიდებენ თავსა კაცებო. მეფე ირაკლიმ ბძანება გასცა და ჯარები გაუსია, სადაცკი სპარსელები და იმათი ხანები იყვნენ დაითხოვა საქართუელოდგან.

როდისაც საქართუელო ჩაიარეს სპარსელებმა, ამდენი საერთო ამხედრება ნახეს; დიდათ შეშინებულები ჩავიდნენ ნადირშასთან და ყოველი მოახსენეს ქართველებისა. ამ დროს მეფე ირაკლი, საკუთარის ჯარით გავიდა სამზღვარზედ რომელნიცა უცხოთ ყოფილიყვნენ დართულნი, თვითონ, თუ იმათნი ცხენები. და პირველს ხანსა დააბარა: ნადირშას მოახსენე, ჯერ პატივისცემა და მასუკან: მზათ გახლავართ ქართუელები მობძანდიო. ამ ამხედრებულს ქართუელებს რომ შეხედა ხანმა; მშვენივრად ისე შეჭურვილებს, დიდად მოიწონა და მიზეზი კითხა მორთვისა, რადგან ომში მორთვა საჭირო არ იყო. მეფე ირაკლი გაჩუმდა და ქართუელებმა უთხრეს.

— აქამდისინ ნადირშას მეგობრებისათვის თავი არ დაგვიზოგია ქართუელებს; იმის დიდებისათვის და იმის ამაღლებისათვის, ინდოეთში ინდოელებზე, თუ სხუა შემთხუევაში, ახლა ჩუენი მამულის ომი, ჩუენი თავგადადებითი სიყუარული მამულისა, უნდა დავანახოთ როგორი მამულის ქორნილია ჩუენტვის, რომელნიცა ამ სადღესასწაულოს ტანისამოსით უნდა გამოვიდეთ გამარჯუებული, ან არა და ჩუენი ძვირფასნი ავეჯულობა, ჩუენტან ერთათ ამოიხოცნენ საქართუელოდგან და ერთიანად გავწყდეთ, დედაკაცნი და კაცებიც. ეს მორთვა ეს აზრია ხანო. ეს ხანი რო ჩავიდა, ამანაც ასე მოახსენა ქართუელების სიტყუა.

განძვინებული ნადირშა, დიდათ განრისხდა და ბძანება გასცა ჯარების წასვლისა, სრულიად წასალეკად საქართუელოსი. ამ დროს მეფე თეიმურაზს ქართლის მხარე ეჭირა ჯარებითა, თუმცა მეფეს ირაკლის კახეთის მხარე ეჭირა, მაგრამ ეს უფრო მენინავეთ იდგა თავის ჯარით და პირველი ომი ამათი უნდა ყოფილიყო, რომელნიცა ასე გულთ იყვნენ, რომ ამათით უნდა გადაწყვეტილიყო ნადირშას დამარცხება ამათი პირველის ომით. უთქუამსთ: ეს მეფის ირაკლის ჯარი, მეტათ საუცხოვოთ იყო განყობილიო და ვაჟკაცობისა ხომ რალა მოგახსენოთ იმათიო. თუმცა დიდრონი ჯარები გამოგზავნა საქართველოზედ ნადირშამ, მაგრამ ამასთან თურმე დაქრა; ბოლოს დროს თავი აილო და შემდგომათ თქუა.

— მართალია, მრისხანებით გავგზავნე ჯარები საქართუელ-ლოზედ, მაგრამ იმათი გავგზავრება არა სჯობია, ქართუელები არ უნდა გავაჯავროთ, თორემ საშინელნი შეიქნებიან; ეს იმათი თვისება არის. ამ სიტყუასთან კაცები გამოუყენა და ჯარები დააბრუნებინა, მასუკან პატივცემული ხანები გამოუგზავნა და როგორც საქართუელოს უჯობდა, ისე მოურიგდნენ მეფეებსა და პირუელს ქართუელებს. ის მძვინვარე ნადირი ასე შეაშინეს ქართუელებმა, რომ ხელი აიღო საქართუელოზე, და არა ჰქონდარა თვინიერ მეგობრობისა, მაგრამ ოსმან ლეკებს ველარ გადაურჩნენ და შეიქნა შუა საქართუელოში, გარდა წვრილი ომებისა, ძლიერ ძლიერი ბრძოლანი!

ამ საშინელებაში გავიდა კარგახანი. ამასთან ნადირშაის შემდეგ, ამ ოსმან ლეკებს დაერთვნენ სპარსელები და გაგულიანებული ესენი დაუცხრომელად სდევდნენ ცოტა ქართუელებსა!

ამაში წელიწადები წელიწადებს გაჰყვა, თვეები თვეებს და დღეები დღეებს, მაგრამ მაინც არა ეშველარა საქართუელოს გარეშე მტრებისაგან; არამცთუ ეშველარა, უარესად და უარესად დაუნყეს დევნა, მაგრამ ქართუელების გული ვერ შეარყიეს ვერას დევნით და იმთენის სისხლის დაღვრით. ასე გასინჯეთ, იმ ზღვასავით მღელვარე მტრებთა მოსწყინდათ ქართუელების დევნა, მაგრამ ქართუელები მაინც ვერ დალაღეს და ვერ შეაშინეს ვერაფრით. ამ ამბავთა შორის სპარსეთში ბევრი ცვლილება იყო მთავრებში; რომელნიცა ხან შეურიგდებოდნენ ქართუელებსა და ხან ისევ ებრძოდნენ. ბოლოს დროს და ბოლოს ჟამს ყაჯარი აღამამადხან აეშალა მეფე ირაკლის, ამისათვის, რომ რუსეთის მეგობრობაზე ხელი აეღო. დაბეჭდილი წერილი დაამტკიცებინა ამაზე, ენციკლოპის ლექსიკონში.

მეფე ირაკლიმ რუსეთზე ხელი არ აიღო და გავგზავრებულმა იმანაც ქ. ტფილისი გაუოხრა სრულიად და რომელიმე ნაწილი საქართუელოსი. აღამამადხან ვერას იქმოდა, მაგრამ დაფარულმა მოლაღატე მტრებმა დამართეს ეს საქმე მეფეს ირაკლის და საქართუელოს.

შეჩუენებულმა ეს ერთი დამხობა არ აკმარა ჩუენს ქუეყანას, მეორე წელიწადს კიდევ წამოვიდა დიდრონის ჯარებით, მაგრამ ყარაბაღში რომ მოვიდა, იქ მოკლეს და ამითი გადაწყდა ეს იმისი მეორე ამხედრება. მეფე ირაკლიმ განჯის ციხე აიღო რადგან განჯის ხანსა აბრალეებდნენ აღამამადხანის ამხედრებას საქართუელოზედ და დაიმორჩილა ისე, როგორც ამ ბერიკაცს მეფეს ირაკლის უნდო-

და, მაგრამ მაინც ქ. ტფილისის წახდენის სიმნარე არ მოეშო მეფეს და ამიერ სოფლით გარდაიცვალა ქ. თელავში (1794–სა.)

გიორგი დაჯდა მეფედ, მემკვიდრე მეფობისა და დაიპყრა სრულიად საქართუელო. ამის მეფობის დროები განსხუაებული ამით იყო, რომ რუსეთს მისცა საქართუელო და რაოდენიმე ხანის გამოსვლისა თვითცა გარდაიცვალა დასნეულებული. ამ მეფემ საჭიროდ დაინახა რუსეთისათვის მიეცა საქართუელო, რადგან აუცილებელი საჭიროება ითხოვდა საქართუელოსი, რომლისაგანაც დაწყნარდა სრულიად საქართუელო და სულ სხუას ცხოვრებაში გადმოვიდნენ ქართუელები, რომელთაცა დიდათ ეუცხოებოდათ ევროპიული განსხვავებული ცხოვრება და იმათი შემოღებაები: დაუჩვეველს ნუ დააჩუვევო, თუ დაჩვევე(ულს) ნულარ გადაჩვევეო» ასეა ნათქუამი ჩუენში, და ამისთვის გასამტყუნარნი არ არიან იგინი, მაგრამ მაქთენი დრო აღარ გამოვიდარა, აუცილებელს საჭიროებას მიხვდნენ ქართუელები და შეუდგნენ ევროპიის რუსეთის ქცევას.

ესენი დაუტოთ აქა და ახლა რუსეთის დროები გადმოვიტანოთ საქართუელოში. გაიხსნა რუსეთის სასამართლოები და შიგა და შიგ ჩუენი ამორჩეული კეთილშობილები დასხეს ქართველები მსაჯულათა: რუსეთის მოსამსახურეს ჩინოვნიკებთან, სადაც სჯიდნენ ყოველ საგანს და ნება ჰქონდათ აზრები მიეცათ, რომელიც უფროსი ერთს ქართუელების აზრებზე ემყარებოდნენ.

მოვიდოდა აზრი, რომ ქართუელები თანახმანი არ შეიქნებოდნენ რუსეთის მოსამსახურებთან, ამაზე გაიყოფოდა ხმები და მალალს ადგილს უნდა გაგზავნილიყო ორივე მხრის აზრები განსახილველად.

აქედგან ქართუელების მსაჯულება კარგი ვერა შესძინეს რა, რადგან მეტად გძელდებოდა გადასწყუეტა სასამართლოებში, ამისთვის ეს საშუალობა მოიგონეს, რომ ცდილობდნენ ერთმანერთის მორიგების მოჩივრისას და პასუხის მძლეველისას, სადაცკი საჩივარი გაჩნდებოდა რამე. დიახ ბევრი მოარიგეს ერთმანერთში, ვისაც შეგონება ქონდა და ვისაც არა, ბევრი დარჩა გაუსწორებელი და მგონია დალიც დააჩნდათ იმათ, დიდი დასაკლისი?

თვთ მე ვყოფილვარ, ჯერ კეთილშობილთ წინამძღომელი და მასუკან სოვეტნიკი ახლანდელს ლუბერსკის¹ პრავლენიაში: (1829), როდესაც პირუელს თანამდებობაში შევედი, მაშინვე ძველმა მოთა-

¹ მამინ ისპოლნიტელნი ექსპედიცია.

ნამდებებმა მიმინვიეს თავისთან, რომელთაცა გულის სისწრფელით მითხრეს. — ჩუენი ძუელი დრო აღარ არის და აღარც იქნება. ჩუენი ძუელი დრო დაიმარხა და ახალი დაიბადა ჩუენტვის, მასასა-დამე, ძუელი ჭკუა უნდა დაიკარგოს და ახალი დავიახლოვოთ, ამისათვის ორი აზრი უნდა გვექონდეს, ორი განძრახვა ჩუენ. პირველი, ვინც მოთანამდებები ვართ, პირველათ ამას უნდა ვეცადნეთ, ვისაც დავა აქუთ ერთმანერთში, როგორმე მოვარიგოთ, ვისაც შესმენა ექნება, რომ სამნუხარო არა მოუხდესთრა იმათ და დასაღონარი საქმე. ამას უნდა ვცდილობდეთ და ამას ვბეჯითობდეთ ყველანი.

იოსებ მამაცაშვილი გორის უეზდის სუდში, სუდიათ რომ იყო, რამთენი პირნი მოარიგა ერთმანერთში ნარმოებული საქმე, ვინ იცის რამდენი ხნისა? მგონია ოთხას საქმემდისინ მოსპო მშვიდობის რჩევით, რომელსაცა ამისათვის მისცა, მაშინდელმა მთავარმართებელმა ნეიდგრადმა ჯილდოდ: ანნის ჯვარი. იოსებ მამაცაშვილი არის ძუელი კაცების გაზრდილი, თვითონაც ძუელი თვისების მექონე, და ახლა ვიკითხოთ, რომელი სჯობია? — ეს სისტემა ძუელი კაცებისა, თუ ოჩერედით (რიგით) გადანყვეტილი საქმე, მხოლოდ უიმედოს გამოძიებაზედ დაფუძნებული, რომელიცა ისიც ვინ იცის, იმ აშენებულს გამოძიებაზედ, როდის დასრულდება საქმე? — დანყება აქუს და დასასრულიკი აღარ.

მეორე. ეს ხომ ასე მოგახსენეთ, ახლა, ახალის განათლებისათვის მეუბნენ ჩუენი ძუელი ქართულები.

კარგათ გაჩხრეკილი გვაქუს ახლანდელი სწავლა, ეს სწავლა დიდათ საჭიროა ჩუენი შვილებისათვის, უთუოთ როგორც იყოს ვასწავლოთ და გავზარდოთ. არამცთუ ამ ჩუენმა სიტყუამ ქარათ გაიაროს და დავინყებული იყოს. არა, ეს ყ(ჩ)უენი სიტყუა ჩუენი შვილებისაგან დაუვინყარი უნდა იყოს. ახლანდელი სწავლა და კიდვე ახლანდელი სწავლა, ამისმეტი სხუა არარა ჩუენი შვილებისათვის; ისწავლონ და ამით გაიბედნიერებენ თავს უთუოთ დიდის რუსეთით!»

«ჩუენ ჩუენი დროები დავასრულეთ და ახლა მართალსა გზაზე ვდგევართ. დღეს არის თუ ხუალა, კარებს დავგირეკენ: მოდით, სადაც განსვენებულნი განისუენებენო. ნავალთ გულ განსვენებული, მაგრამ ამის მეტი ჯარი იარა გავგყუებარა, ვაითუ ჩუენმა შვილებმა ეს ჩუენი სიტყუა არ დაიმარხონ და ამ ჩუენმა ძლიერმა სურვილმა ამაოთ ჩაიაროს?»

ბევრი მაგალითები მახსოვს, როგორ ცდილობდნენ ჩუენი ძუელი კაცნი და ბეჯითობდნენ თავიანთ შვილების გასდას. თუ თვი-

თეულათ მოვჰყვე, მეტათ გაგქელდება და თავის შეწყენის ლაპარაკი იქნება, მაგრამ ამის ნებაკი მქონდეს ეს მცირედი ამბავი გაიამბოთ.

ერთს დილაზედ დიდი ავდარი იყო. ჩემს გამსდელს (ლალა) ცხენზე უჯექი, თვითონ წინ მიმიძლოდა ლაფში და სკოლაში მივყვანდი. გზაზე სულ ამისთანაებს მეუბნებოდა.

— ახლა აღარც ხმალია და აღარც თოფი, ახლა სწავლის დროა, ვინც ისწავლის, კაციც ის შეიქნება. «ამ ლაპარაკში სკოლას დაუახლოვდით, ამ დროს ერთი ხნიანი აზნაურ შვილი მოსტოპამდა ლაფში და მხარზედ ერთი ყმანვილი უჯდა, ჩუენ რო დაგვიახლოვდა, გამარჯუება უთხრა ჩემა მზდელმა, იმანაც: გაგიმარჯოსო. მასუკან კითხა. — „სად მიგყავს ეგ ყმანვილი?“»

— ეს ერთი კვირა სკოლაში მივაბარე, იქ მიმყავსო სასწავლებელში.

— «რატომ ცხენით არ მიგყავს?»»

— «შე დალოცვილო, ერთი ღარიბი აზნაურშვილივარ, სად მეყოლება ცხენი. აქამდისინ ერთს გამოჩენილს კაცს ვემსახურებოდი, რომლისაგანაც ყველა მქონდა და კარგიც ვიყავ მაშინ. ახლა აღარც ის არის, აღარც მე მაქუს რამე და აღარც მე ვარგივარ უმისოთ. ეეს პატარა ჩემი უმცროსი ძმის შვილი, ერთი წელიწადია ის გარდაიცვალა და ეს ობოლი დარჩა ჩემთან. რალა გითხრა, ის ძუელი დრო ხომ აღარ არის ვაჟკაცთ ქართუელების დრო, რომელიცა ექუს ადგილას დაჭრილი ვარ, თოფითა თუ ხმლით, მეფის ირაკლის წინაშე ჩემის მშობლის მამულის გულისათვის. ახლა სწავლის დროა და მეცნიერებისა და ჩემო ძმაო, სადაც ეს ყმანვილი მოვაბარე და მომყავს აქა, ეგება ახლანდელის დროს მიხედვით კაცი გამოვიდეს რიგიანი და კარგი ნასწავლი. სხუა ამის მეტი საზრუნველი აღარ უნდა გქონდეს ქართუელებსა, თვინიერ სწავლისა.»»

ჩუენის ძუელის თავადების ცდითა და იმათი შუა მდგომელობით, მეც პეტერბურლს მგზავნიდნენ პაჟების კორპუსში 1812–სა, მაგრამ ამ წელს მამაჩემი აღარ დარჩა ამ წუთს სოფელში, რომლისათვისაც დამაგდეს შინა სახლის გარემოებისა გამო და ამით მსახამდნენ მე უბედურათ ქართუელები. 1827–სა წელსა კიდევ ჩუენი ძუელი ქართუელები არ მომეშვნენ, თვითონ ისინი ეცადნენ და ჩემი ორი პატარა ძმები გამაგზავნიდეს პეტერბურლს, ერთი ღვარდის იუნკერის სკოლაში და მეორე პაჟების კორპუსში.

მითქუამს და ეხლაც ვიტყვი, რომ დიდმა და პატარამ, ძველმა ქართუელებმა, ამაზედ მიაქციეს ყურადღება, რომ ჩუენი შვილე-

ბი კარგათ გავზარდოთ. ეს ცოცხალი არის, ეს იმათი აზრი მართლად ძვირფასი საქმეა ჩუენთვის, თუ დავინახამთ? — ამისათვის, რომ ახლანდელი ჩუენი საქართუელის საზოგადოება მეტად აჭრელე-ბულია, ხასიათით თუ ზნეობით. ყოველი თვითუელად რო ითქუას, ბევრი მოვა და სარგებელიც არ დადგებარა, ამისათვის უპირველესთა სამთა აზრთა ვიტყვი, იმათ განძრახუასა.

პირუელი გამძხუელნი ესენი არიან, რომელთაცა დიდათ უყუ-ართ თავიანთი მამა-პაპანი, იმათი ყოფა-ცხოვრება, მაგრამ ახ-ლანდელსა განათლებასაცა არა ჰკარგვენ და განუშორებელნი არ-იან მისგან. მეორენი არიან, თავიანთს მამაპაპისას აღარას იძიებენ და აღარც უნდათ იმათი აღარაფერი კარგი, მაგრამ ახლანდელი განათლება დიდათ უყვართ და დაუცხრომელათ მისდევენ კიდევც.

შეიძლება კარგს მონადირეს ნადირობაში გულის აკიდება არ უნდოდეს პურებ ჩანყობილი? —

და უკანასკნელად ვიტყვი მესამეთათვის; ამათ უნდათ ბევ-რი კარგი, მაგრამ ის სურვილი გულშივე უქრებათ და ამის გამო რაღასაც დავინწყებაში ჩავარდნილან იგინი, საქმე დასასრულია, უკანასკნელია ბოლოს წერტილი, სადაც აზრი გამოჩნდება სრუ-ლად.

თ. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
25-სა მაის 1861-სა წელსა.

რედაქტორო უფალო ი. კერესელიძე!

სხუა რიგად დავინყო და მოვყვე, აბა რა იქნება, ისევ პირდაპირ ვსთქუათ, ისა ჯობია. ჩუენი ქართული ჟურნალი ბობლავს. მარამ ესეც არის, რომ არა ვსწუხარ, იბობლოს, ოლონდკი იყოს. ვისაც მოთმინება აქუს, მოითმენს და ვისაც არა, შუაგზიდგან გაიქცევა. ქართველებმა ვიცით, გაჯავრებული რო დავემუქრებით ვისმე: მაინც ურმით გდუო და სადაც იქნება, მოგასწროფო, ჩუენი ქართველების ხასიათისამებრ, უნდა ურმით ვდიოთ და ბოლოს დროს რკინის გზაც გვექნება. აბა, რას ვიფიქრებდი, ურმით მოსიარულე ჩუენი ცისკარი, აქ, პიატიგორსკში მოლასლასდებოდა, ვმადლობ ღმერთსა, ურემიც არა რჩება უკან, თუმცა ნყნარად დადის, მაგრამ შორს კი მიდის. მართალია, შუა გზაზედ რომ გაუტყდეს ურემი მეურმეს, მჭედლისათვის შენუხდება: სად ვიშოვნოვო კარგი გალესილი ცული და გზაზედაც ჩქარა დადგება ნასასვლელად. მიდის და მიდის როგორათაც ღონიერი და იმედიანი მძიმე სპილო.

ქ. პიატიგორსკს, ჩუენს უკანასკნელს ცისკრებში ბევრი კარგი რამ წავიკითხე ჩემი სასიამოვნო; აღარ ვსწუხვარ ჩუენი ქართველებისათვის, მხოლოდ თუ ზოგიერთნი კიდევ თვით ქართველნი არ უშლიდნენ ქართველთ საზოგადოობის კეთილმდგომარეობასა, ყოველი ჩუენი საქმე კარგად მოვა, მაგრამ რა გაენყობა იმათ სიბრუნდეს? — თქუე კაიკაცნო, თქუენი შავი გული თეთრად შესცვალეთ, გესმისთ, თეთრად ჩუენს დავრდომილს საზოგადოებაზე, თორემ რისხუა ღუთისა ძნელია! აბა, როგორ არა ვსთქუა, გული ვერ ითმენს; ამ ცისკრებში ჩანს, რომ ჩუენი ქართველები ისევ ქართველები არიან, თავიანთ მამაპაპის ნიჭის საყდარზე დგანან კიდევ და იქიდგან მნათობენ ბრწყნვალეს გონებით! მოითმინე ჩუენო დაღონებულო ცისკარო, თქუენის დაარსებიდგან მოთმინების სწავლა დაუდო ღმერთმან წინა ჩუენ ქართველთა, მაშასადამე, ეს ვიკმაროთ, იმან იცის, ჩუენს ცისკარსა რას სინათლესაც მისცემს: ხელმწიფეთა გული ღუთის ხელთაო.

რას მდგომარეობაზედაცა დგას ეხლა ჩუენი ცისკარი, ამჟამად ამაზე მეტს ვერას მოვთხოვთ ამას; რაც შეიძლება, ბევრი კარგი რამ იბეჭდება, მართლათ დიახ, ბევრი კარგი: საუცხოვო ლექსები, სასიამოვნო მოთხრობანი, კარგი სხუა და სხუა ამბავნი, მახვილგონიერებითი განხილვანი ანუ კრიტიკანი და სასარგებლო სახლის პატრონობა.

შემხუდა ეს სიტყუა: სახლის პატრონობა და ამაზედ უნდა ითქუას რამე: იოსებ მამაცაშვილს მოაქვს საუცხოვო მაგალითი,

ჩუენი ქართველების სწავლებელი¹, რომელიცა თვითოეული იმისი ფურცელი, ყოველს ჩუენს მებატონის სახლში უნდა იყოს და ყველანი იმას ვკითხულობდეთ, რომ ვისწავლოთ ამ წუთის სოფლის ცხოვრება რა გვარად უნდა. მაგრამ ის რომელი მოხუცი მებატონე ყოფილა, რომელიცა თავის რძლებისაგან თაკილობდა თურმე, როდისაც სამზარეულოში შევიდოდნენ დასახედა? — სწორეთ ვიტყვი, ის არც ასე ყოფილა და არც ისე. ეხლა დრო არ არის და თავის დროზედკი ვიტყვი, რომ უწინდელი ჩუენი მებატონენი, ქალნი და კაცნი, როგორი სახლის პატრონები ყოფილან რომ დავინახოთ, არც იმაში იყვნენ ისინი უმეცარნი.

ამას მომავალისათვის დავანებოთ თავი და ახლა თქუენ უმდაბლესად გთხოვთ, ეს მცირედი წერილიცა დააბეჭდინოთ ცისკარში, ესეც თავის გზაზედ წავიდეს; გზა ვრცელია და მეკობრე არავინ დახვდება ამას.

თ. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.
ამ წელს 1861–სა 30–სა ივნისს. ქ. პიატიგორსკს.

¹ ამ თვის ივნისის ცისკარში.

მაგიერი პასუხი

*„როგორიც მოხუალ სვინაო
ისეთიც ნახუალ შინაო“.
ძველად თქმული*

- გამარჯობა შენი.
- ღმერთმა გაგმარჯოს.
- არ შეგიტყვია? პირველს შეხვედრაშივე ეს მკითხა მეგობარმა.
- არა, რა ანბავი?
- კიდევ უსამართლო დევნილება შენი?
- ჰო, ჰო ვიცი მიზეზები. მართლისათვის განა?
- სწორეთ მართლისათვის
- ფიქრი ნუ გაქვს, ერთსა დასსა იმ ჭილყვავთა ერთი ქუა..
- არა, არ იცი რა ანბავია?
- არა, სრულებით არა.
- ალიგორიის კამედია გამოვიდა. ნავიდა ის დრო.
- უთუოთ რვა საკვირველება იქნება შიგ! ამასთან სიბრძნე პლატონისა, მეცნიერება არისტოტელისა. რალა გვინდა ქართუელებსა, დიდება შენ უფალო! – ღვთის გულისათვის, მოლიერის კამედიებისა შუა ჩააკერეთ თაიგულად და ხელში საგოგმანებლად გქონდეთ, ხელიდგან არ გაუშოთ. აბა სად არის ის კამედია?
 - „ცისკარში“ დაბეჭდილი წარსრული წლის დეკემბრის თვეში.
 - მადლობა შევნიროთ ღმერთსა, ძლივს მივეხნიენით, ბოროტებას დასცემს ის კამედია და კეთილსა ზნეობასა მოჰყვენს საქართველოში. ამაზე მეტი ბედნიერება რალაა ჩვენთვის... მითხარი ვისგნით არის?
 - აღარ მახსომს რიგიანათ, რა დაურქმევია თავისთავისთვის, ახლა თავხელია თუ თავფლიდია დამავინყდა.
 - ეს მაინც მითხარი, რაც სახელი დაურქმევია ეხლა თავისთავისათვის ის კამედია იმ სახელს შეეფერება?
 - სრულებით არა.
 - თუ კი ნამდვილს სახელს მალავს მამ რა სახელი მოუხდება იმ კამედიას იმის შესაბამი?
 - საბრალო ანუ საცოდავი.
 - აგრე იყოს, იმ კამედიის ძალით, თუნდა ეგენი დავარქუათ იმას, უწოდოთ: საბრალო თუ უნდა საცოდავი, მაგრამ მითხარი საკვირველთ ნიშანი დაესმის იმას თუ როგორა?
 - მერე როგორი, სამი, დიდი ცოცხსავით მალალი.

– სამი დიდი ცოცხსავით მაღალი საკვირველი ნიშანი დაესოს იმას ზედ თავზედა !!! ბოლოს რაღა, რა არის შიგ იმ კამედიაში?

– თავიდან ფეხებამდინ სუ...

– ეგ ორი ასო და ეგ წერტილები რა თქმა არის ვერ მიმხვდარვარ?

– მითამ: სუ, არავინ შეამცნიოს.

– ეტყობა, რომ მარჯვე გამოჩენილი იმისი კალამი იმას შეაკრთობს და მორთულ პატარძალსავითა მორცხვობს, ბოლოს უძრავი ძეგლი აღუდგინოს თავის გონებას ჩვენ საშვილიშვილოს მოსაგონად, მივიდოდნენ და ეტყოდნენ აი ძეგლი უძრავიო...

– აგრე იქნებოდა, მაგრამ ფუყი ცარიელი ხარო არის იმისი სადგომი, სადაც იმისი თავი იმ სიფუყეში ბრუნავს ქვეყნისათვის და ველარ ამოსულა ზევით თუ არ ხანდისხანა, ისიც მცირე ხნობით, რადგან ჭრელად ეჩვენება ნათელი დღე.

– ოღონდ მშვიდობით კი იყოს და იქ ბძანდებოდეს თუ კარგი შესაბამი სადგომია იმისი.

– უცხო შესაბამი სადგომია.

– მაშ სადილი და ვახშამი იქ მიართვით კარგის გაფუებულის დესერტებით.

ეს ლაპარაკი გვქონდა ერთს ხაროს პირთან ხევის მახლობლათ, სადაც ჩემი მეგობარი შემხვდა ზევიდგან მე მომავალსა ქვემოდგან ის. ამ დროს ვილამაც ამოყო თავი იმ ხაროდგან უცნაურის ღრეჭით და შესაბრალოდ დაიძახა: ჩემზედ, ჩემზედ ლაპარაკობთ?

ჩემ მეგობარს გაეცინა.

– აი სწორეთ ჩისტი კოპი. უთუოთ ახლა აქ დამდგარა, სადგომი გამოუცვლია. ოჰო, საბრალოვო ანუ საცოდაო, კუმ ფეხი გამოყოვო, მეც რემამი გავერევიო. საბრალოვო ანუ საცოდაო, ცოცვით დახუალ, ეგება მალხაზი სიარული მიითვისო, მაგრამ სად იპოვი იმ სისწრაფეს? – ღირსეულსა ნიჭსა სჩემობ კარგსა, ეშმაკებიც ხელს გიმართვენ, მაგრამ კუსა, კუს მნიშვნელობა აქვს, შორს ვერ წავა. ოღრო–წოღრო ხრიოკები არის იმისი გამომზდელი, რაზედაც ნაყოფიერება არ ამოდის არაფერი. იმ კუს გეგხარ იმ ხრიოკებში. არ ვიცი თავი რითი მოგწონს? საბრალოს ეწყინა, ხაროდგან ამოვიდა, ტანი აინურა, სახე გაიგძელა და ტანის დაპრანჭვითა მითხრა მე, გაჯავრებულმა:

– ვიზედ ბედავ მაგ სიტყვებსა?

მე ჩემი მეგობრისკენ:

– ეტყობა რომ დოუთალაბი ჩემზედ არის მოტანილი, მიხ-

ვედრილიხარ მეგობარო?

– კარგად, კარგად ვიცი და კარგათაც ვხედავ. მერე ჩუმათ საიდუმლოთ: მეტი ღონე აღარ არის მეც პასუხი უნდა უთხრა, მაგრამ სჯობია ჯერ მშვიდობიანათ.

– რა გნებავთ? – საბრალოსაკენ: შენა, შენ ბედავ ჩემზედ ლაპარაკს?

– მე, სწორედ მე.

– ჰაი შე გაუნათლებლო.

– რას ამბობ, რას გადასცემ და რას გადმოსცემ?

– შე ქვით დასაკრებო.

– ფუყხაროელო საბრალოვ, მართლა მებრალეები შენი თავის გამო.

– მტერი ხარ ახლანდელი განათლებისა, ახლანდელი სწავლისა, ახლანდელი მეცნიერებისა.

– რომელმა რეგვენმა თქვა ეგა? ეხლანდელი სწავლა–განათლება და მეცნიერება მე მძულდეს? სახლით და კარით ამამაგდე ღმერთო მაშინ.

– მაშ ძველს ამბებს რისთვის ამბობ, გეტყობა იმას იქით შორს აღარ უნდა ნახვიდე.

– აჰა, ახლა გამოვიდა ბებერას აბლაბუდა. თუ ღმერთი გნამს ხოკერში ჩაყარე ეგ სიტყვები და ნუმპეში ჩააგდე მაგის პასუხი. ხუთი წლის ბავშვს ჰკითხე, ის მოგიგებს სიტყვას, მე რა გითხრა.

– არა, არა, მეტად იჭერს შენი ძველი ანბები განათლებასა ქართველებისათვის.

– არ ვიცი რომელი გონიერი იტყვის მაგას, ნუ გეწყინება. რომელი დიდი სასწავლებელი მოგიშალა ჩემმა ძველმა ამბებმა ქართველებსა, რომელი სასწავლებლები? მე ვხედავ და მგონია ცხადათაცა ჰჩნდეს რომ ქართველების სურვილმა გაიღვიძა დიდად და დღე და დღე ემატება კიდევაც. უნდათ სათვითაოდ შეენივნენ ქართველებსა და ყველანი თავგამოდებულნი არიან ამაზედ. აბა როგორ უშლის ჩემი ძველი ამბები ამ წარმართუას? მაგრამ არა, მოლულლულდეს რომ ჰგონია: ეს ეს არის დემოსთენი შევიქენიო. ამან იცის უბრალო ჩმახვა. ვაი შენი ბრალი ბრუნდე გონებაო, ანუ დაელმებულო ჭკუაო. თუ გონება ნათელი გაქვს, მიიხედ–მოიხედე. ნვრილად გაარჩიე რა ანბავი არის და მასუკან დაინახავ რაც იჭერს ჩვენს განათლებასა და თუ გონება დახშული გაქვს და ისეე მიატანე ფუყს ხაროსა, ემანდ გამოიშუშე ძილით კარგად, ეგება გონება გაგიცხოველდეს როგორმე, თორემ ყუავებრივის ჩხავილითა რო-

მელს შეაშინებ შენ საბრალოვ?

– ვის ეუბნები მაგეებს, არ იცი ვინა ვარ მე? ეხლავე იასაულებს მოვრეკ მათრახებით. გესმის? მათრახები დაგიშინონ. –

– ეგ სიბრყივე კი აღარ შეგერგება. გესმის? ეგ სიბრყივე. მა-მიტყევე. სიტყვა უნდა მოინელო თავში, თუ ზდილი ხარ და მასუკან ამოუშო პირში, რომ სუნი არა დაეცეს რა იმ სიტყვებსა, გესმის? – იქნება შენ პაჟარნების ფოკულტეტში გაზდილ იყო და იმათ დაზგე-ბზედ დალენილიყო მუშტებით ბევრჯელ. გესმის? საბრალო-მან მოიფხანა თავი, გულსა მოხვდა მჭრელი დანა და რას ყოფით გვითხრა ძლივს.

– ნადით, ნადით რუსეთის მდარეს ორს ჟურნალებში, იმისი ღირსნი ხართო.

– ჩვენ როგორ გაკადრებთ მაგისტანას მდარეს ადგილს, ჩვენ უფრო უდიდესს ადგილს გაგისტუმრებთ. დიახ ღირსეულსა ადგი-ილს. ნაბძანდით, ნაბძანდით ბოლდიხანის შემკულს ბომონში, ის არის შენი წიაღი განსასვენებელი, სადაც შენი საამო სურნელები იკმევიან, შენი სასიცოცხლო... რალა გინდა? მშვიდობით გაემუ-რე საბრალოო. ამ დროს, სად იყო და სად არა, ორასი მეტი მენახ-შირეები მოვიდნენ მესტვირეებით, სიმღერითა, რომელთაცა წინ მოჰყუანდათ შეკაზმული კარაული. მოვიდნენ და საბრალოს წინ დაუდგნენ. ჩვენც ნავდექით წინა, ამ სიტყვითა:

– იქნება ეს საბრალო თქვენ გინდოდეთ, ხელი აიღევით ამაზე, უნდა ბოლდიხანთან გავისტუმროთ იმის სასულიეროს ბომონში!

– რას ამბობთ? ეს საბრალო ჩვენი ამქრისაა, ეხლა ყვენობა მო-დის, უნდა ყვენათ დავსოთ. ბედაური კარაული მოვგვარეთ შესა-ჯდომათ. ამასთან მენახშირეებმა თავიანთი პორფირი წამოასხეს, ერთი ბოხოხი შავი ქუდი თავზე დახურეს სამცოცხილიანი და მა-სუკან ბედაურზე შესვეს, რომელმაცა თავი მოიწონა და დონჯით ზედ გასწორდა. აქ მესტვირეებმა სტვირი დაუკრეს ფერხულისა და მომღერლებმა სიმღერა აუშვეს. აქეთ–იქით ყვენისათვის ორს მხ-არესა, რომელიცა მკერდგამოჭიმული და გამობლინძული იხედე-ბოდა ყოველს მხარეს ვით პირველი ნაპალიონი თავის არმიის წინ, აი, ის ფერხულის სიმღერა:

შენ ჩვენო დიდო ყაენო. ჰაიდა ვარალალოო,

საით ინებებ ლაშქრობას, ჰაიდა ვარალ.

შენი დასი მზათ გახლავართ, ჰაიდა.

შენი ხმლის კვეთა გუაჩვენე, ჰაიდა.

ეს რომ დაიმღერეს, გაიკრა ხმალსა ხელი და ქარქაშით ამოიღო. შევხედეთ რომ მუხის ქერქი ხმლათ გაეკეთებინა და ჰაერში ქნევა დაუნყო, – ეგონა დიდს კაფაში შევედიო. მენახშირეებმაც ხმამალ-ლად დაიძახეს: ურა! ურა, საბრალოსა, ურა!

ამ დროს ფარდაც ჩამოუშვეს.

– ხედავთ რა კაცი გვყოლია საბრალო?! ყველას გემართებს გაუფრთხილდეთ.

დეწილი

17–ს იანვარს 1863–ს წელსა.

ზოგი ერთი შემცნევა¹

კიდევ მოვედი ჩემს სალაპარაკოს სასიამოვნოს წარსულს დროსთან და აქედგან დავინყოზ ზოგიერთების შემცნევას, მაგრამ ეს გასაშტერებელია, არ ვიცით რა უნდა იყოს? — უნდათ პირზე კლიტე დაგუადონ, ავი და კარგი არა ვსტუათრა? ბარემ მოვიქნით და ლოლიკა წყალში გადავაგდოთ. არ ვიცით რა არის, რათ ეთაკილებათ ზოგიერთებს, როდისაც ძუელს ამბებზედ მოვჰყვებით ხოლმე ლაპარაკს? მამ როგორ შავიცყოთ, რა გუარი ყოფილა ჩუენი ძუელი დრო, რომ იქიდგან ახალი უკეთესი გაკეთდეს? ჩუენს ძუელს დროსა ვინც თაკილობს და მაშინდელი არა უნდარა გაიგონოსრა, ეს არ არის შორს დანახუა და არც ამისთანას უწოდებ მე, ახალის მიმართულებისას. ძუელი აღარა უნდარა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ გონიერი ახალი მიმართულებისა, ძუელს ამბავსა მოიკითხავს ანუ გამოიკითხავს; იმ სათავედგან ახალს საქმეს შეუდგება ამ ტოტით სანადელსა მიეხნევა. თუ არა და გასწორ—გასწორ რა იქნება: უთუოთ ჩემი უნდა გავიყვანო, შენი არა მინდარაო. სულ წინ ხომ არ უნდა ყურება, ხანდისხან უკანაც შემოვხედოთ.

თითქმის ოთხმოცდა ათის წლის გაოხრებული ჩუენი სოფლების მინები, ძლივს 1823 წელსა, გაზაფხულზედ გუთნები შევიტანეთ; ხელმეორედ გავტეხეთ და რას ყოფით გადავხანით. ძუელი თეთრ წვერა ჩუენი გლეხები მწუხარებით მოიგონებდნენ თავის მამებსა, რაები არ ეთქოთ თავიანთი ბედნიერება იმ მამულებში და ჩუენ ყმანვილ კაცებსკი გვიხაროდა ჩუენი სოფლების კიდევ გაშენება. თუმცა წარსულის მოგონებისათვის სწუხდნენ იგი ბერი კაცი, მაგრამ მაინც ჩუენთან ერთად ღმერთს მადლობდნენ ჩუენის მამულების აშენებას. რა ერთიც საჭირო იყო, მოვხანით, წამოვედით და შემოდგომას ისევ მოუბრუნდით იმ ჩუენს ხნულებს დასაფარცხავად.

რვა უღლისა ფარცხი მოიტანეს. ამას წინ გაუძღვა ხნიანი ბერი კაცი, რომელსაცა წელზე დიდი განიერი ტილო ჰქონდა შემორტყმული, სათესლეს ხორბლით სავსე და როდესაც ხნულში შევიდა, ამოილო მარჯვენეს მუჭით ის ხორბალი, ზეცისაკენ აიხედა და გულმტკიცუნეულად დაინო ასე:

«დიდებულო და ქებულო ღმერთო! შენ ერთმა იცი რომ ჩუენს საქართველოს რამდენი უბედურობა გადახდომია და რამდენჯერ

¹ ერთხელ და ერთხელ დარჩა ეს სტატია, ვედარ დავაბეჭდინე. მაინც ადრე თუ გვიან სულ ერთია, ოღონდ საქმეში შევიდეს.

გაუოხრებიათ ეს ჩუენი ქუეყანა მტრებსა. ჩუენს დალუპაში ღმერთი არ გაერეოდა. დალუპულა, მაგრამ თავიანთი მამული მაინც კიდე ვარს გაჭირებაში არ დაუგდიათ ქართველებსა, კიდევაც კი უშენებიათ, აი როგორც ეხლა. რამდენიმე წლის გაოხრებულს სოფლებს კიდე ვაშენებთ. გმადლობთ, გმადლობთ! კეთილი იყოს.»

ამასთან მარჯვნივ მოაბნია ის პურის თესლი და მომალლოთ დაიძახა:

«ეს ღმერთსა, მაგრამ ახლა ძალიან ცოტას ფიქრობენ იმის სიამოვნეს.» მასუკან მეორეთ ამოილო, გადააბიჯა და მარცხენას მხარეს მოაბნია.

«ესეც ეკვლესიებს, მაგრამ ჩუენი სარწმუნოება რიგიანათ აღარ არის ეხლა.» ამას ფარცხი თან მისდევდა უკან ფარცხვით. მოჰყვა ასე ნასვლას, ხან აქეთ და ხან იქით მოაბნევედა ამ სიტყვებით.

«ეს ჩუენს სამშობლოს, არამცთუ ესა, ჩუენცა და ჩუენი ცოლშვილებიც. ეს ჩუენს ბატონს, ღმერთო პურადობას ნუ გამოუღევ! ეს სტუმარსა, ღმერთო ლუკმას ნუ მოგვაკლებ, დახვდეთ გულგამლითა. ეს მამულის ჯარის კაცებს, ეს დაცემულს, ვისაც საქონელი დახოცია. ეს იმასა, ვისაც მოსავალი არ მოსვლია. ეს უშვილოს ქვრივისა. ეს ქვრივისა ობლების პატრონს. ეს ღარიბსა მარტოხელსა. ეს ობლებსა უდემამოს. ეს იმასაც, ვისაც შიან. ეს სწორსა, ეს ამხანაგსა, ეს მეგობარსა. ეს ნათესავსა, ეს მეზობლებსა. ეს ამვლელს, ეს ჩამომვლელს, ეს მფრინველს; ეს პირუტყვს. ეს მყეფარსა ძალლებს. ესეც მე და ჩემის ხიზნისათვის.» მარტო სიტყვით ხომ არ იყო ეს. საქმითაცა ასე იყვნენ უწინდელნი. ასე გაშინჯეთ ჭიანჭველებისათვის, თავგებისათვისა და ჭიებისათვისაცა თქუა და სხუა.. დიდი უთაკილო შემწეობა იყო უწინ ერთმანერთისა, ერთის სიტყვით — უწინდელსა დროში ყველას ჰქონდა სარჩო, მართალია, ღარიბობა იყო, მაგრამ არა ისეთი შესაბრაღისი გაჭირება, როგორც ეხლა. მაგალითად: ავიღოთ ერთი პატარა სოფელი, უწინდელს დროს საქართველოში, სადაც ათი სახლეუღობა იდგა. დიდრონი სოფლები ხომ რასაკვირელია, ამ პატარას სოფელს თავისი ფეიქარი ჰყვანდა კაცი, თავისი ქვეშ გასაშლელი ნაბღის მთელავი კიდე კაცი. თავისი შალის მქსოველი დედაკაცი და დართუა ჯარასი ხომ ყველა დედაკაცმა იცოდა. უცხ[ვ]ოს, უსაქონლოს და უღოროს სოფელს ვერ ნახამდით. ცხვრის მატყლსა დედაკაცი ჯარაზე დართამდა, აქედგან ჩოხის შალსა და შალვარსაც მოქსოვდა კაცებისათვის, მენაბდეც ქუემ გასაშლელს ნაბაღს გააკეთებდა ცხვრის

ბენვიდგანვე. ამასთან დედაკაცნი ნასყიდს ბანზიდგან ბამბის ძაფსა დაართავდნენ ჯარაზე და ამ ძაფიდგან ფეიქარი სამს გამოიყვანდა პერანგისას და პერანგის ამხანაგისას. სამღებროებიც ბევრი იყო დიდრონს სოფლებში და ქალაქებში უფრო ბევრი, სადაც ვისაც როგორ უნდოდა, იმ ფრათ შეაღებინებდა და თუ უნდოდათ, შეუღებელს ჩაიცომდნენ. ქალაქებშიაც გასასყიდი ესა ჰქონდათ: პური, ქერი, ღვინო, საქონელი, ცხუარი, ღორი, ქათამი, ბატი, შეშა, ფიჩხი, ბზე, თივა, ბალახი და სხუანი. ეხლა აღარც ერთს სოფელს ფეიქარი აღარა ჰყავს.. და თუ იქნება სადმე, იშვიათად. აღარც ჯარა აქუსთ, თუ აქუთ, ისიც იშვიათად და თუ მთელავი მენაბდე იქნება, ისიც იშვიათად. ერთის სიტყვით, სულ სასყიდველი აქუთ ყუელას ფუღით. მე ჩემს სიყმანვილეში, საქართველოში არ მახსოვს, რომ ყოველს გლესხა წამოსასხამი ლეკური ნაბადი რომ არა ჰქონოდა, არ იქნებოდა; სირცხვილად მიაჩნდათ უნაბდობა, მაგრამ ახლა უნამეტნავესხა ხალხსა ლეკური წამოსასხამი ნაბდები აღარ აქუთ და თუ გაიჩენს ვინმე, მთელი სახლობა ხმარობს, ხან ერთი წამოისხამს და ხან მეორე, საჭიროების მიხედვით. ჩოხები და შაღებიც თვითო აქუთ, იმასაც ისე ხმარობენ, როგორც წამოსასხამს ნაბდებს. ურმებზედ რომ გლესი კაცები გენახათ, ყველას ასე უნაკლულოდ ეცვათ, რაც გლესობას შეეფერება, რომ სასიამოვნო იყო იმათი ნახვა, აი, ამისთანა ადვილი, კმასაყოფელი, უნაკლული და ერთგუარი ცხოვრება ჰქონდათ, ჩუენს გლესობას საქართველოში, რომელმაცა მოკლეთ მოვსჭერ, დაწვრილებაში აღარ შეველ, თორემ თუ რომ დაწვრილებით აღმენერა, ვრცელი წიგნი მოვიდოდა. მაინც ვისაც გაგონება უნდა, ამ მცირესაც ბევრათ შეიტყობს....

მართლად რალაც განსხვავებული ცხოვრება იყო უწინ, კარგი გულის საშვებელი სანუგეშო, ამასთან სულერთად განუყრელად იყვნენ უწინდელნი, ასე რომ ერთი ტრაპეზი ეგოთ იმათ წინა. ვისაც რა ჰქონდა სახლში, იქ მოიტანდნენ, დაწუნება როგორ იქნებოდა. ოღონდ ერთად ყოფილიყვნენ, ერთად შექცეულიყვნენ და ერთად გაეტარებინათ დრო. იმათი ლაპარაკიც სულ ძველი ამბები და საქუეყნო ლაპარაკი იყო ხოლმე. ბოლოს მხიარულებდენ კიდევც. მაგრამ იმთენ კარგ ხასიათთან ასეთი გულის სინრფელე ჰქონდათ, რომ ხუთი წლის ბავშვი მოატყუებდა იმათ, თუ მცირედი ოსტატობა ექნებოდა ყმანვილს. წარმოიდგინეთ, ჟამისა და ვითარებისაგამო, ამისთანა მართალს ხალხში სხვა ახალი მოაზრენი გამოვიდნენ, დავისა და დარაბების მოყვარენი. მაშინ ხასიათიც შეიცვალა, კარგი ცუდზე გადავიდა. ის მოდავენი, ასე გეგონებოდათ: „დავა

ძვირფასათ უყიდნიათო» უნდოდათ სულ დავიდარაბებში ყოფილიყვნენ, რომლებიცა აღარ ისვენებდნენ და აღარც სხვებს ასვენებდნენ, რომლისაგანცა დღესაც გვაზის მისი დალი ე. ი. ყოველი საძაგლობა. საქართველოს გაუგონარი ეს ახალი მოაზრენი გამოდიოდნენ ასპარეზზე დიდ სიამაყით, ასე ეგონათ: მთელს ქუეყანაზედ ამისი მეტი სხუა კარგი აღარა არისრაო. მართლად ისინი ამაში ასე დახელოვდნენ; თვითთულად, თვითოს რომ სჩხრეკდნენ, იმათ გადაბრუნვად მობრუნებულსა, იმათ მიკლაკნულ მოკლაკნულსა, იმათ სწრაფს მოგონილს აზრიანსა სიტყვებს; ვინც იმათი არა იცოდარა გაიკვირვებდა და ვინც იცოდა, გულში ამბობდა: წმიდა ცრუნი მაშენიკებო. იქნება თქუან: იყოკი, და ახლა აღარ არის ის დასიო. ნუ გამინყრებით, არიან და ერთი ათათაც მომატებულნი, უფრო წამხდარნი ხასიათით, რომელნიცა ყოველს ავსა კისრულობენ და არც სცხუენიათ ამისი იმათ, იმ ბნელს შუალამის ავაზაკებსა, სადაც ყველგან კიდეც ტრაბახობენ, მითამ იმათი ყოველი საქმე სულ კარგი იყოს, სულ პატიოსანი, სულ სვინიდიისანი; ასე ჰგონიათ, იმათი ამბავი არავინ არ იცოდარა. ესენი ამაზედ ძალიან მაგრად დგანან, არაფრით არ იცვლებიან და არც უნდათ. კარგი რამე დაინახონ, რომლებიცა კიდეც იწონებენ ამით თავსა: აი მაგარი ხასიათი ჩუენა გუაქესო. მართლად, არიან იმისთანები, რომელთაცა მოსწონთ ისინი.

ვინიცობა არის, თუ ეს ლიტერატურას არ ეკუთვნის, მაშ ეს რაღა არის, რომ უწინდელი ხალხი ისეთი წამოსადეგი ხალხი იყო, ბრგე, მოსული და თვალადობითაც ისეთი მშუენიერნი, რომ თვალი დაეკვირვებოდა იმათ? ახლა ისინი რომ წამოდგნენ და დაგოლოვლსა თავიანთსა თესლსა შემოგვხედონ, პირს მოგვარიდებენ და თაკილობით იტყვიან: იი. სასაცილო სანახავებო? ეხლახანს რომ ჩუენი საზოგადოს კრება იყო კლუბში, ერთმა შეამცნია და მეორეს მახლობელსა უთხრა: ლუთის გულისათვის შეხედე ამ ჩუენს კრებას, სწორეთ ქონდრის კაცებს ვგვევართო. მეორემ მიუგო: იმათ გარდა, რომელიც რომ ძველს დროშივე დაბადებულან. ისინი ყველას თავზე დაჰყვიან. მითამ არც ეს არის ლიტერატურისა რამე მაინც, ანუ ეხლანდელის დროის მიმართულებისა? თუ რომ არა, მაშ ეს გამობლინძვა რა უნდა იყოს, რომ თავსაც აღარ დაუკრამენ, თავის დაკვრას ვილა ჩივის. პირსაც ირიდებიან? მოდით შეიტყუეთ რაზედ არის ამისთანა გაბერილობა, მგონია უფრო იმაზედ, რომ თავი მაღლად დაუჭერიათ: მე ვარ მხოლოდ აქა, აქ საკურველი და ჩემი სწორი აღარავინააო. უბრალოვო თავის მოყვარულობის ამ-

პარტავნებაო. ეხლა უნდა ყოფილიყო უფლის ქცევა და ზნეობა, ყველასთან სიმდაბლე, ყველასთან სიყვარული: მტერსაც კეთილი უყავიო. დაილოცოს იგი ძველი დრონი, არამც თუ გაიბერებოდნენ, მაშინათვე პირში შეებმოდა ერთი მეორესა: ეს გითქუამს ჩემზედ, ამაზედ გემდურიო. თუ სიმართლე მიუძლოდა, იქვე გადუნყვებდა და თავს გაიმართლებდა, თუ არა და, ისიც პირში შეებმოდა, უარი კი არ იქნებოდა, სწორეთ, როგორც იყო, ისეც ეტყოდა. კარგი პირ შედებული ლაპარაკი, არა ჩხუბი მინახავს, ამისთვის, რომ უარი არ უთქვამსთ არც ერთს და სისწორისათვის მოსვლიათ ეს ამბავი, თვინიერ გინებისა ანუ ლანძღვისა. აი, ჩუენი ძველი მართებული კაცნი როგორც მახსოვს. ესეც იყო, რომ დიდ შფოთვამდისინ აღარ მიუშვებდნენ იმათ. ყოვლის ღონისძიებით ეცდებოდნენ, მალე შეერიგებინათ ისინი. ისინიც სიამოვნით გადაეხვეოდნენ ერთ-მანერთსა და მასუკან ასეთი სიხარული მოხდებოდა, რომ რაღა მოგახსენოთ. უნინ ასრე იყო და ახლაკი წელიწადების შემონყრო-მაა და თაკილობა ერთმანერთისა. ბარაქალა ღვარძლიანო გულო! აი, უნინდელი ხასიათი და ახლანდელი. აბა ახლა შევათანასწოროთ: უნინდელი ხასიათი უფრო კარგი ხასიათი იყო, თუ ახლანდელი? რასაკვირველია უნინდელი. ამაზედ ბევრნი დამეთანხმებანი. მამ ურიგო არ იქნება, ამის ქვემოთ ესეცა ვსთქუათ, ესეც ამისი ნა-გლეჯია. უნინდელი ჩუენი დიდრონი კაცები თავის შვილებთან თავის გლეხკაცის შვილებს რომ მოიპატიჟებდნენ პურობაზედ, იმათთან ერთად დასხამდნენ და ერთად რომ გაატარებინებდ-ნენ დროსა, დიახ, მხიარულად და მასუკან გლეხების შვილებთან გლეხის სახლებში რომ მხიარულებდნენ პურობაზედ და ისეც მე-ბატონეთ შვილები, რა არის ეს, ახალი მიმართულებისა არის რამე? ამას ფაკტად ვამბობ, თორემ მოკლე სიტყვით მეფისა, თავადები-სა, აზნაურებისა და გლეხი კაცის შვილები ერთად იზრდებოდნენ განუყრელად.¹ თუმცა გავითარებული, ანუ განათლებული თანას-წორობა არა ყოფილა უნინ, მაგრამ რაც ბუნების ქკუასა შეეფერე-ბა და უსწავლელობასა, კარგი და კეთილი თანასწორობა ყოფილა მაშინ. თუთოთ ასეც იქნებოდა, ამისთვის რომ წმიდა სახარების თქმასა აღასრულებდნენ დიახ, წმიდად, უნაკლოოდ. რითაც ესე დამტკიცება, ზევით ფაკტით ითქუა მცირედ და თუ კიდევ გავაგ-

¹ უკანასკნელის მეფეების შემდგომ ბევრნი დარჩნენ ღარიბებათ, რომელთაცკი ჰქონდათ შემწეობა იმათგან. ესენი იყვნენ მეფეთ მახლობელნი თანამდებობითა. მაგრამ ვისაცკი შეძლება ჰქონდათ საქართველოში. ყოვლის მხრიდგან ეწოდნენ ყოვლისფრითა. უნინ ასე იყო რომ, ვისაც რა გააჩნდა, ის იყო საერთო.

ძელები ლაპარაკსა, უფრო ბევრსა ვიტყვი, მაგრამ რა ერგება ამით კაცსა? გალაცხებული კვერცხის მეთი, სხუა არაფერი. ახა, ვაი თხას, ძილი მოუვიდა ახალს დროსა, ზღაპრად გაიგონა ეს ძველი ამბავი. ახალი ანბავი, ახალს კაცს ხომ არა, ახალს დროსა. ღმერთ-მა უშველოს, ამ დროს ჩინოვნიკების ამბავი ჩამოვარდა საიდგან-ლაც: ძველადისა და ცხვარადისა, იმათ განყობილსა ფორმებზედა რომელმაცა სახე გაუცხოვლა, სრულიად გამოაფხიზლა და ბოლოს კიდევ გაამხიარულა იმათმა ფორმების ამბავმა. ძველადეს და ცხვარადეს ამისათვის დიდი მადლობა (!) რადგან ძველი ესე ამბები ჩუენმა ლიტერატურამან ვერ ითვისა ანუ ახალმა დრომ, მაშ უთუოთ ეს იქნება ჩუენი ლიტერატურისა რამე, მაინც ახლანდელსა ჩუენს მდგომარეობასა, როგორც ეხლა ვხედავთ, არა კაცის ცხოვრებაზედ უნდა იყოს მიქცეული ჩუენი ყურადღება მომატებულიად — უნდა იყოს კარგსა ხასიათზე და ამისთვის ვზრუნამდეთ ყველანი, ამიტომ რომ კარგი ხასიათი დიდს გონებაზედაც მეტია, არამცთუ მოჩვენებულს ცხოვრებაზედ. მოჩვენებული ცხოვრება არის: უზნეობა, უხასიათობა, როგორათაც ყმანვილები ზიზილ-პიპილებით მორთულს კუეებს თამაშობდნენ. ეხლანდელი ჩუენი ყოფა ცხოვრებაზე ამასა ჰგავს. კარგსა დანმენდილსა ცხოვრებასა მაშინ მივეხსნევით, მაშინ კარგია, მაშინ ვიგემებთ, როდესაც ჩუენი გონება სრულად განათლდება უნაკლულს ხასიათით. თუ არა და ქარაფშუტობითა რა დადგება კარგი რამე რიგიანი? გვმართებს, რომ ჩუენი გული გამოვიხსნათ ყოვლის მანქანებისაგან, აი, მაშინ ვიქნებით მართლად კაცნი!

როგორ გვგონია? — იქნება ანგელოზების შესამოსლით ვიყვნეთ შემოსილნი, როდისაც სენაკებსა მოვკაზმამთ ძვირფასისა ავეჯულობითა, როდისაც ოც და ათის თუმნის კაბებითაც მოვირთვებით, საჩენისა ამოსა წამისათვის, რა არის დაგვინახონ: მე ვჯოვივარ ყველასაო, მე უკეთ მაცვიაო, ჩემი თქუანო, ყველამ. ნამეტნავად მაშინ, როდესაც რომ ლაპარაკსაც დავინყებთ, მითამ განათლებისას, მითამ ამით გავითარებული ვართო. ერთის ცარიელის ქვაბ ქოთანში რომ გადავასხამთ გულისა და სულის გამოუყენებელს უსარგებლოს სიტყვებს. ეს გვიხარიან კიდევ და სინაზით ძლივს წარმოვსთქვამ ამას, როდისაც შინ მოვალთ და დივანზედ მივეგდებით გადასვენებულნი: ოჰ, რა კარგათ გავატარეთ დროვო. უკაცრავად თუ არ გახლდეთ, საკურველსა ნიშანს არ დაუსომთ ამ ლაპარაკს. მითამ იმ დროს ანგელოზო თუ ეშმაკო? ვილა იტყვის ვალებისას უფიქრელად აღებულსა ჩუენგნით. მაღლა სტოლზედ

რომ დაგვსხმენ და ჩაქუჩსა დაარაკუნებენ: აბა ვინ უმატებს ამ დარდაკსა ვრაცის? რაო, მაშინ რა ვიქნებით, ანგელოზი თუ ეშმაკი? მითამ რაო? სიტყუა ეშმაკობა კარგი არის, ავი ნუ გვგონია. თუ რომ მართლა ეშმაკები შევიქნებით, დაგარნმუნებთ არაფერში აღარ მოვსტყუვდებით. თუ რომ ანგელოზი, ხომ რაღა ვთქუათ იმისათვის! მაშასადამე, არც ესა ვართ და არც ისა, ვართ ჩუენ კუკუებისა მოთამაშე ყმანვილები: აღუუ, ნეკზე არ გვიკბინოთ! ახალი სიმდიდრე გავიგონეთ რომლისამე ქართველისა, ღმერთმა ინებოს, ჩუენს საზოგადოებას მისცეს რამე შემნობა და იმანაც კუკებს არ დაუწყოს თამაშობა, ანუ უსარგებლოს მდინარესავითა, ორს კლდეს შუა მომდინარეს არა გვანდეს, თვალის სანახავად უცხო იყოს, გზაკი აღარ იყოს რუებისათვის გასატანი. ვაი თუ, ასე იყოს და საუკეთესო ნაყოფიერება ვეღარ დაითესოს ჩუენსა ქუეყანაზედ?

მართლად, თუ ეს ასე იყოს, მოდით ეს მაინც მოვიგონოთ, საერთოდ ჩუენის საზოგადოების შესანევენლად და სასარგებლოდ. ესე იგი: ყოველი ჩუენი მეოთხედი შემოსავალი საზოგადოთ დავდოთ და ჩუენის საზოგადოებისათვისვე მოვიხმაროთ სასარგებლოდ იგი. არა უბრალოდ — დიახ რიგზედ, როგორც ახლანდელსა განათლებულსა დროსა შეეფერება, ისე ნესიერად, მოვითმინოთ. ცხოვრება კი დაგვაკლდება: ან რა ძნელია, განსაზღრული ცხოვრება კეთილია. ამას ერთზე და ორზე არ ვამბობ. ერთით და ორით არა იქნება რა. ჯერ მთელს ჩუენს საზოგადოებაზე ვამბობ და მასუკან, თუ ამთენი არ შეიძლება, ვისაც სურვილი აქუს ჩუენი საზოგადოების შენენა, იმათ დავიწყოთ. ძნელად ნუ მივიღებთ, დიახ ადვილია.

— ჩემო მეგობარო, ეს მაინც ჩავაგდოთ ჩუენს სალიტერატუროს უჯრის ქაღალდებში.

— არა, ეგეც არაფერი.

— ჰოო, ახლაკი მივხვდი, უთუოთ ეს.

საერთოდ ჩუენი ლიტერატურა როგორც ჩანს, ზოგიერთების მიმართულება, უფრო მომატებულად ქართულის ენის ძალა დატანებაა, ქართული სიტყვიერება საუკეთესოდ გამოიყვანონ, მითამ საუცხოვოს ლიტერატურის ენით ხელი შეუწყონ მას. ეს მიმართულება დიდათ მოსაწონია, მაგრამ სწორეთ უნდა ვთქუათ, რომ იმათ ძალის დატანებაში, ის ზოგიერთი სიტყვიერება ანუ იმათი წერა გამოდის რ[....] ენის თვისება და არა ნამდვილი ქართული. იგი წერა, სმენას რომ მიიპყრობდეს რიგიანათ მაინც, ანუ ასიამოვნებდეს ცოტაოდენად, კიდევ არაფერი, როგორც იქნება, საგანს გაიტანს, მაგრამ ამაშიაც მოკლებულია სასმენელი, თუ მწერალს თავ-

ისი დაწერილი თვითონ კარგი ეგონება, იმის მოხმარებას, ანუ იმის დასებს დიდათ მოეწონათ და ლიტერატურისთვისკი არა იქნება რა. ეს არ არის ლიტერატურის ენა. ეს არის თავისათვის და იმისის მომხრეებისათვის დაწერილი, ესე იგი ჩუენის ლიტერატურისათვის უსარგებლო სიხარული და ამაო ხარხარება... როგორც გვგონია ჩუენ, ჩუენი ლიტერატურის ენა უნდა იყოს ძველის სიტყვიერებითა შეწყობილი, რაზედაც დგას ჩუენი ძუელი სიტყვიერება. კიდეც იმაზედ უნდა იდგეს, რომ ყოველი ქართული სიტყუა¹ უთაკილოდ მოიხმაროს მწერალმა წერაში, ყოველი თავ-თავისადგილს, რომ არცა ერთი სიტყუა ერთმანეთსა არ ამარცხებდნენ და ყურის სმენას ედებოდეს ხიჭვისავითა, ასე საამოთა ერკვეოდეს სასმე[ნე]ლსა სიტყუა ყუელა. ამიტო ყოველს ჩუენსა ახლანდელსა სიტყვიერებაზედ კარგი დაფიქრება უნდა, კარგი გარჩევა, თორემ თუ ამ რიგობასა გადავედით, ჩუენი ქართული ენა აირევა, დაირევა, რომ ყირლიზული ალლაიბულაი ემჯობინება. მითამ ვცდილობთ, მითამ მოწადინებული ვართ ჩუენი ქართული ანუ ქართული წერა უფრო ლამაზად ქართულს ენაში შემოვიდეს, ესე იგი, კარგს სალიტერატუროს ენაში. რა, ბძანეთ, როგორ და ვითარ უნდა შეგვისრულდეს ეს სურვილი მაშინ, როდესაც რომ ხელოვნებაში არა გუაქს ჩუენი ენა. შევიყრებით, დავსხდებით, რა ენაზედ დავინყებთ ლაპარაკსა? საუბედუროთ ჩუენის ქართულის ენისა, სხუა ენაზედ. აი, ამით გვინდა გავავრცელოთ ჩუენი ენა? უკაცრავად ბატონებო, უკაცრავად ბძანდებით თქუენ ენასთან. ნუ გასწყრებით, თქუენ მაგიერ პირი გვენვის სირცხვილითა. შიშით ვძრწით, ჩუენი მართებული პატიოსანი ენა, ის საკმაო სასიამოვნო ენა, რომელსაცა ენის ძალაც ძლიერი აქუს, არ გალახონ გაუკითხავად? არავის გაუგონია ჩუენი ძუელებისაგან ქართულს ენას რას ღირსებას აძლევდნენ? ომში ძლიერიო, შეყრილობაში უცხო შემაქცევარიო. საქმეში კარგი გამგებელიო და ქვეშაგებში მეტი დამატკობელიო². აი, ეს არის ჩუენი დარბაისელთ ენა უწინდელებისა, რომელსაცა ახლა უპირებენ წითლად შედებონ უფერულის ჭიაფრით; საუკეთესო საგნებით სავსე ქართული, თოფის მიზანში ამოიღონ სასიკვდინოთ და განყობილი ქართული ლაპარაკი ანუ წერა აბდა უბდა გადასკუპდა ათამაშონ, მითამ ჭანდრაკულად, მაგრამ უკაცრავად ბძანდებიან, ამათშიკი მომწყვედუღან და სხ[...]. ძალდატანებით

¹ უმგზავსოს და ურიგოს სიტყვებზედ არ ვამბობ მე ამას.

² მე ამ სიტყუას განსხუებულს მნიშუნელობას ვაძლევ: ასეთი მაღალი და კარგი ენა არის ქართული, რომ აი სად უთქუამსო!

და ლანძღვითა, ამისთანა ლაპარაკსა დავარქუთ კიდეც სალიტერატურო ენა ევროპიისა (!) ცხრილით წყალი ამოვიღოთ მდინარედგან, რა დადგება შიგა? ოქროს, ვერცხლსა არ მოიტანს, ისევ ჩალაბულას. ისე ამისთანა კნიკლოსებით არა გამოვა რა რიგიანი არაფერი. ამასაც ვერ ვიტყვით, იქნება რაღაც გამოვიდეს, ანუ რაღაც ენა გაკეთდეს. (რა არ გაკეთდება?) მაგრამ იტყვიან: უკეთესი სჯობია ცუდსაო. მართლა რომ, ეს სიტყვა უფრო უკეთესი უნდა იყოს, მინამ რ.[...] ენის თვისებაზე დავემყარნეთ. კარგსა კარგი მოაქვს და ცუდსა – ცუდი, ღმერთო, დაგვიფარე, ჩუენი პატიოსანი ქართული ენა ცუდმა მეტყუელებმა არ ამოიჭამონ, არ ვიცით, რა უნდა გაუკეთონ ჩუენს ენასა? გაკეთებულს რაღა გაკეთება უნდა? ვერ მიმხუდარან, არ იციან, რა უნდა თქუან? გაკეთება კი არ უნდა ჩუენს ენასა — ჩუენს საზოგადოებას უნდა სწავლა, მეცნიერება, რომელსაცა მზათ გაკეთებული ენა, სრული მომზადებული მზა დახუდება. მაინც კიდეც მაჩუენონ, ამდენი ხანი ჩუენი ყურნალები იბეჭდება, ერთს სტატიაზედ ხელი დამიდონ: ამისთანა ახალი ქართული ჯერ არ დანერილიაო? ქალ ვაჟიანის და მირის ამბავიო, თქუენკი დაიმაღენით. რახან აღარ დაუშლიათ, მითამ ჩუენს ენასა ახალი მიმართულება მისცენ, მარტო რუსულის ენის თვისებაზე კი არ უნდა დავემყარნენ, უნდა სხუა გავითარებული ენების მიმართულება შემოიტანონ, რომ რაც მოუხდება ჩუენს ენის თვისებასა, ის აზრი, ის განყობილობა და ის სიტყვები მოიხმარონ. ენა ენებიდგან უნდა გაკეთდეს, ანუ გაბრწყინდეს თავიანთ მეცნიერთა! ასე ყოფილა და ასეა დღესაც მთელს ქუეყანაზედ ხალხში. აბა ამის კვალსა შეუდევით, თუ იგივე ძუელი ენა არ დაიდოს ჩუენს სალიტერატუროს ქართულს ენაზედ, ამისთვის, რომ უკეთესი იგი არის და გლეს კაცებისათვის კარგი გასაგონი, ნუთუ სხუა ენები უცხო იყოს იმათთვისა და ამიტომ ერთზედ იყვნენ მიმართულნი? მგონია ჩუენი ენის ძალაც უცხო იყოს იმათთვისვე და ამიტომ ერთს აღარ ეშვებოდნენ? თუ იქნება ჩუენი ძუელის წიგნებისა ძალის გამოკრება, ანუ გამოტანა, ანუ გამოწურვა, მაშინ ნახავთ რომელს სალიტერატუროსა ენას შეუდგებით, ანუ რომელს ენას დასდებთ სამწერლოსი?.. მოდით ბარემ ამაზედაც მორიგება მოვახდინოთ: ბრჯგუზე და ამის ასოებზე. გვინდა ერთგვარი საერთო წერა შემოვიდეს, რომ ჩუენს წერაში არეულობა არა იყოსრა არაფერი. თვით ერთობრივ ამ აზრზე არიან: ყოველი სიძნელე უნდა გაადვილდესო. მართალია ეს არის კარგი სარგებელი თავნისა, ესე იგი ქართულის წერისათვის. ჩემის აზრით, ბრჯგუ არის უბრალო რაღაც კობრჩხილა ასო,

რომელსაც არა რაი ხმა არა აქუს, არც ავი და არც კარგი, მაშასადამე, ვისაც ხმა არა აქუს, იგიც უღირსია ადგილისა. ზოგიერთების აზრით; მითამ ბრჯგუ იყოს, ორის შემაერთებელი, უა ანუ უე. ეს მართალი არ არის. ეს კობრჩხილა რალაც ასო, მედიატორე ხომ არ არის: ჩემის შუამდგომლობით მორიგდითო. ყოველს ასოს თავისი ხმა აქუს და თავისი ძახილი, ამ ბრჯგუს თავისი რომ არა აქუსრა, რა გამოა იმისაგან? — არაფერი. მაშასადამე უნდა გაჰქრეს კიდეც. კიდეც ამბობენ: თქუენს ანუ ამისთანა სიტყვებზედ, თუ არ დაესო თავზე, რალაც დაპრანჭულად გამოითქმის ის სიტყვაო. მართლად, რალაც ანუ როგორლაცკი დაპრანჭულად იტყვიან ამ სიტყვასა: «თქუენ.» ეს არის თავიანთი სურვილი, სხუა არაფერი, მაგრამ როდისაც დაინერება, იქ დაპრანჭული არა გამოდის რა. ნამკითხველი დიახ, უცხოთ ნაიკითხამს ამ სიტყუას: თქუენ. რაო? უთუოთ ბრჯგუ უნდა ივდექს, დიდი საქიროა? — არა: სულ არ არის ეს ბრჯგუ, ვისაც მოუგონია, უბრალო ჭკუის ძალა დატანება ყოფილა, სხუა არაფერი. ერთს მოთხრობაში ისე იმ გუარათ მოხდა და ათასი ბჯგუ დაესო სიტყუებს, ბოლოს ის ათასი ბჯგუ რომ გამოირიცხოს. გონია შემსუბუქება ექნება ქართულს წერას? შემსუბუქებას ამაზედ ვამბობ, რომ ქართულს წერაში რავდენი ქარაგმის სიტყუებია მოგონილი. რისთვის? წერის შემსუბუქებისათვის. ამ ქარაგმების მომგონებელს მადლობა ეძღვნის, მაგრამ ბჯგუს მომგონებელს უმადურობა, ამიტომ რომ ჯერ პირველად უხმარია, უსარგებლო და მეორედ წერის გამაძნელებელი იქნება, მითხრან ქარაგმის ხაზისა: ბჯგუსთან ის ხაზიც გამოირიცხოს. არა, ის უბრალო ხაზი სამს თუ ოთხს ასოს მოიკლებს ზოგიერთს სიტყვებში, რომლისაგანაცა¹ წერა მსუბუქდება და ქალაღდსაც ეკონომია ემატება ჩუენის წერისათვის. ამ შემთხვევაში სხუა ენების სიტყვების მაგალითებს ნუ მოვიტანთ ჩუენს ენაში, იმათ თავიანთი იციან, ჩუენ ჩუენის წერის სიტყუებისათვის ვიფიქროთ. თუ მომატებულმა თავის სიყვარულმა არ შეგვიპყრა, უნდა დავიჯეროთ, რადგან ყოვლის ფრით ამოა იგი ბჯგუ კობრჩხილა რალაც ასო.

ჭ, Ⴢ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ, ჷ, ჸ, ჹ, დავგერჩა ამ შვიდ ასოზედ ლაპარაკი. ჩემის აზრით ეს შვიდი ასო არას უშლის ჩუენს წერასა. მხოლოდ ქართულის მწერალმაკი უნდა იცოდეს, რომ ეს ასოები თავის ადგილს მოიხმაროს, მაგალ. **ჭ**, ამ ასოს მაგიერათ სიტყუაში: თქვენ, ანუ თქუენ. უნდა ითქუას სიტყუა ასე: თქუენ. ამისთვის, რომ ყურის სმენის

¹ ის ზოგიერთი ქარაგმის სიტყუები ყუელა გლეხმა კაცმა იცის, ვინცკი იცის ქართული წიგნის კითხუა.

სიტყუა არის ეს გამოსათქმელი: თქვენ, უბჯგუთოთ ყური მიუპყარ კარგათ.

მოვიდეთ ახლა ითქუასთან, და ანუ ამისთანა სიტყუებთან. ეს ითქუაც უბჯგუთოთ ასე უნდა დაინეროს და არც: ითქვა უნდა იყოს. ვინაიდგან ეს უკანასკნელი: ითქვა არის სმენის დასამძიმებელი, თუ რომ ზოგიერთებს რა ემძიმოს, ერთის გუარის წერისათვის, მაინც ასე უნდა იყოს: ითქუა.

ასო **ა**, დასაკლისსა არას აძლევს ქართულს წერას, ვითარცა: რაძმე. რა დააკლდა, რით აზარალა წერას ამ ასომ: ა? სულ არაფრით. არამც თუ აზარალა, უფრო მოსახდომი არის ეს **ა**, მინამ ი — რაიმე.

ეხლა **კ**. ესე იგი: იმისათვის, ანუ ამისთანა სიტყუებზე. ამ სიტყუ-აში: ვი ჩაუმატოთ **კ**. მაგიერათ: იმისათვის უეკონომიო ასო დაემატა ი, მაშინ როდესაც რომ არც სმენასა იამება აგრე რიგათ: იმისათვის.

მართალია ასოს: **კ**, გლექსაცობა არა ხმარობენ. ხმარობენ: **ხ**, მაგრამ კარგი მცოდნე ქართულისა, ასოს **კ**, არ დააგდებს, სადაც-კი საჭიროა, უთუოთ მოიხმარებს. მაშ არც—არას ეს დაგვიშლის, ამისთვის, რომ ნამდვილს ქართულს ვინც ისწავლის, უთუოთკი იხმარებს.

სადღაც ჩუენს ყურნალში წავიკითხე ასოსათვის რომ იტყვიან: ჰო. ეს დიახ კარგი და კეთილი, მაგრამ გრძლად ჰოი რალათ იყო? აი, **აი**, კარგი მოკუეთილი სიტყუა და კარგიცა გასაგონი. ეს არის ორი ასო, ის სამი. მაშასადამე, წერის იკონომია სულ დაიბნა, დაიკარგა.

კიდევ შემხვდა ამოკვრა ქართულისაგან: ოხ! როგორ თუ ოხ? ოხ, თუ ოჰ? ჩუენის ენის თქსებაში, დაგარწმუნებთ, უნდა: ოჰ! უფრო რბილი, უფრო სუბუქათ გამოსათქმელია და უფრო საამოც.

უკანასკნელის: **ქ**—სათვის, თუ რომ უცხოს ქუეყნის სიტყუათ მოვიხმარებთ, **ქ** ასოც უნდა მოვიხმაროთ ვითარცა: ქაკტი და არა ფაკტი, ვითარცა: ქორმა და ფორმა. გავს, რომ უწინდელსა ძუელსა დროში რომ შემოუტანიათ ასო **ქ**, უთუოთ ქაკტი ჰქონიათ რამე დამტკიცება, რომელიც ეხლა უფრო შეესაბამება, რომ ეს **ქ** მოვიხმაროთ, ახლანდელის წერის მიხედვითა. ეს დახშომებული შვიდი ასო: **ც, ა, ჯ, ჰ, ზ, ქ**. წერას არ აძნელებს, არც დასაკლისს აძლევს რასმე. ჩემის აზრით, არამცთუ აძნელებდეს, ანუ დააკლებდეს — უფრო დააშუენებს ქართულს წერას და ენის გამოლაპარაკებასაცა. მართალია, ერთს რაშიმე გაგვიძნელებს საქმეს, მაგრამ არა ისე, როგორათაც იტყვიან: კარგი ფონია, მაგრამ ერთს ადგილას ახრჩობსო. პირველი, როდესაც ანბანსა დასწერს მასწავლებელი,

შვიდსა ასოს მეტსა დასომს, და ორი ვერშოკის ტოლსაც ქალღლდს დაიჭერს სივრცეს, მაგრამ ანბანა, ანბანის წიგნში ერთი იქნება თუ კიდევ მომატებულს მოინდომებს. ამის იკონომია დაუსაკლისია. და მეორე. ყმაწვილი რომ დაინყებს სწავლას, შვიდს ასოსა მეტსა სწავლობს ანბანში. ეს ცოტად მძიმეა ყმაწვილისათვის, მაგრამ როდესაც კი დაისწავლის, იმის წერას რაღა გააძნელებს? არაფერი. სხუა აღარა შეჰყუება რა ასარევი.

მე ამას იმისათვის ვამბობ, რომ მეტი არეული წერა არის ჩუენში მის ასოების გამო. ერთმა რომელმანმე, თავისი ერთი მცირე შავი მისცა ერთსა გადასანერად. იმან მოამბის კუალობაზედ გადაწერა. მასუკან მეორეს მისცა, იმან ცისკრის კუალობაზე. და შემდგომად დარჩა ამ ორს შუა, იმას კითხულობდა, ისე იყო, ამას ასე. ბოლოს ავდექ და მეც ეს დავწერე მოსარიგებლად. მოდი თ დამიჯერეთ, პირს ვაკოცოთ ერთმანერთსა და ამაზედ დავითანხმოთ ერთმანეთი, თორემ ორასი წელიწადიც რომ გავიდეს, კიდევ ეს არეულობა იქნება, ერთნი ისე დასწერენ, მეორენი ასე. მაგრამ ამასაც კი ვიტყვი, ოღონდ რიგიანათ, ერთ გუარად წაიყვანეთ საქმე თანხმობითა და როგორც თქუენ გინდათ, ისე მოახდინეთ, მეც მოგყუებით დიდის სიხარულით, მაგრამ მაინც კი კარგათ გაშინჯეთ.

ეს მსაჯულება ახლა იქით დაუტეთ, საკმაოა, და შემდგომი ბოლოები გაუკეთოთ ამას. ბოლო გაუკეთოთ, მაგრამ არა გახეშებული, უფრო რბილი და სწორე.

დავით ყიფიანი ამბობს ორს რასმეს ჩემზედ: თ. ა. ვახ. დ. ჯ. ორბელიანი დაარწმუნა დ. ბაქრაძემ ღრამატიკა სასარგებლო არ არისო, და შემდგომად ამბობს ქართულის უზნობისას: ეს ლაპარაკათ არ ღირსო. პირველი ქიშტის წაკვრა კეფაში და მეორე პირის მორიდება თაკილობით. ამის მაგიერი პასუხი ამის ქვემოთ გადუხადოთ აი, მე რას ვეუბნები დ. ბაქრაძეს 1860–ს წლის სექტემბრის ცისკარში: იცით როგორ მესიამოვნება თქუენი გარკვევა ჩემს ქართულს უზნობაზე, ანუ წერაზე? ხედავ დიმიტრი რას მოვესწარ? ჩუენს ქართულს ჟურნალს და ერთმანეთის წერილებზედ მეტყუოდეთ გულახდით თქუენსა აზრსა სრულსა, რომლითაცა დიდი მადლობელი გახლდებით და დიდათაც დამავალებთ. ამით მეც მიზეზი მექნება, იქნება ჩემი აზრიც წამოვსთქუა, ანუ წარმოვსთქო ხოლმე. ამ ლაპარაკზედ აბა, კარგად დაფიქრდით, როგორ გაიგონებთ? ხედავ დიმიტრი რას მოვესწარ მეთქი? ამას როგორღა გაიგონებთ, როგორ გაარკვევთ? მაშ, ბოლოს რომ დაინერა: იქნება ჩემი აზრიც წარმოვსთქუა მეთქი? აბა, ესე შეიტყეთ, რაზედ უთხარი, თუ

გულთმისნობასა სჩემობთ? მკითხველმა ისე კი არ უნდა გაიგონოს, როგორც თვით უნდოდეს, ისე უნდა გაიგონოს, რაც აზრია შიგ. თუ გაქუსთ ხელში დასაჭერი სულ თავში რომ ითქუა: კარგისათვის კარგი უნდა ითქუას და ცუდისათვის ცუდი, სწორე სვინიდისი ამას გვეუბნება მეთქი? აი, ეს არის, ამის მეტი სხუა არაფერი. მაგრამ ამასიაც ძალიან შორსა ბძანდებით, ეს არის საზოგადო სიტყუა და არა მხოლოობითი. თუ ამასაც თქუენებურად გაიგონებთ, მიბძანეთ, ამასაც გაგირკვევთ. ამის შემდგომ, ნუკი გეგონებათ, მე თქუენი გარჩევისა თანახმა ვიყო? არა, როდესაც გონება გონებას მოხვდება, მაშინ გამოჩნდება. მეკი მომირიდებია თავი, მაგრამ თუ ეხლა არა, შემდგომ მაინც გამოჩნდება ვინმე და უღელში ჩაგიდგებთან თქუენი სტატიის გასარჩევათ. სიმართლეს და სიმტყუენეს მაშინ დავინახავთ: აჩქარებით სოფელი არ აშენებულა.¹

პირსათნოებას ნუ მივაჩემებთ ამას, მართლად უცხო ზდილობიანი კრიტიკაა დ. ბაქრაძისა, ვინც რამ უნდა თქუას, ამასთან აურჩქარებელი, სასიამოვნო და დაუფერებელი, ნურავინ გაჯავრდებიან, კრიტიკა სწორეთ ისე უნდა: მთქმელსა გამგონე უნდაო. თორემ ხეტი და ოლოლო რა კრიტიკაა. ისიც არ იცინან, სად მოიხმარონ, რომელს ადგილს უნდა ეს სიტყუები? ხეტი არის გაოგნებული, გიჟი, დასაბმელი და ხეძგერა? ესეც რომ გეთქუათ, სწორეთ სამების ძალზედ იქნებოდა ეს სამი სიტყუა. აბა ოლოლო რა სასარგებლო სიტყუა? რავდენი სარგებელი შემოგვიტანა ამან? არ იცით, სად და რომელს ადგილს ხმარობდნენ ჩუენი მამაპაპები: ოლოლოს? დამარცხებული მტერი რომ მირბოდა: ოლოლო, ოლოლოს დაუძახებდნენ. მეორესაც მაშინ, როდესაც რომ მტერი დაუპირდაპირდებოდა, ველარ შეებმოდა და თავმორიდებული ნავიდოდა, მაშინათაც უძახებდნენ; ოლოლო... ისე ვიტყვით ოლოლოს, მაგრამ ომების შემთხვეულობასა უნდა გუანდეს ის საგანი. თუ არა და იმ თქუენს კრი-

¹ კიდევ გამოვიდა ქერელი ბექას კრიტიკა დავით ყიფიანზე, მაგრამ ნუკი ეწყინება, ამპარტავნებით პასუხს არ მიუგებს, დარწმუნებული ვარ. ქერელმა ბექამ მეც არ დამაგდო უსიტყუოდ: თავის სახელს და მამისას იმისათვის აწერენ, რომ თავის გამოჩენა უნდათო. ალექსანდრე ორბელიანები ხუთნი ვართ: დავითის ძე, გიორგის, ვახტანგის ძე, ივანეს ძე, და ესტატეს ძე. ვის როგორ უნდა შეეტყო ავდენ სახელში, თუ არ მამის სახელის გარჩევით? ქერელო ბექავ, პოლიციამი რომ მიმართევენ ხოლმე, ჩემი მამის სახელი პოვესკაში რომ არ არის და მარტო სახელის ხსენებისათვის დამართევენ, რატომ მაშინ არ გამომესარჩლებით ხოლმე? როგორი ლიტერატურის ადმინისტრატორი ყოფილ ხართ? კიდევ ამბობს ქერელი ბექა: ფულს აძლევდნენ რედაქტორსა ჩემი სტატიები დაბეჭდეთ. მე იმედი მაქუს, რომ რედაქტორი კერესელიძე ჩემს ანგარიშზედ არ იტყოდა ამას.....

ტიკაში არც გამარჯვება გიჩანსთ და არც თქუენი მოპირდაპირის ვისიმე გაქცევა. ვის უძახით ოლოლოს? ჩუენი მამა პაპების ომების ჩუეულობა ასე იყო და ქართული სიტყუა ოლოლო კი სხუა არის... ჯერ ძილო და მასუკან სიზმაროვო. ჯერ ჩუენ მამაპაპებისა უნდა ვიცოდეთ და მასუკან ვთქვათ რამე იმათი. აკი სულ ამას ვანბობ: უნდა ვისწავლოთ ჩუენი გულის ყოფაცხოვრება მეთქი? — [ისსყ]. შეცთომილობა ცოტაა, ასეთს შეცთომილებათა ხედვენ, ვისაც ეს-მისთ და იციან, სირცხვილით ინურებიან. ქართულის მაგიერათ, ატრუნგულას თამაშობენ.

მეორეთ, რომ ამბობენ: არა ღირსო ლაპარაკათ. როგორც არის ჩუენი ქართულის ენის თვისება, ისეც დაინერა სამ რიგათ: საეკლესიო, დარბაისლური და გლეხური. ეს არის მარტივი დამტიციცება და არა ისეთი გარჩევა, რომ ქართულს ენას უპირებენ [გაარ.....] მითამ გაარკვიონ, მაგრამკი გადანათლონ, არამც მონათლონ, რომელიცა არც ღუთისათვის კარგი იყოს და არც ჩუენი კაცისათვის. როგორც ერთი ჩუენი ღვდელი, კნიაზი ციციანოვის დროსა, ვილასაცა რომ მარხევდა, რომელსაც, ვერ შეატყო რომლის სარწმუნოებისა ყოფილიყო და წინ კმევით მიუძლოდა ამ სიტყუით: ნა სიზდან დურ, ნა ბიზდან დურ, ჯაჰნამინ ორთასი თურ¹ ამ ჩუენს პატიოსანს ქართულს ენასაც ისე არ უყონ ზოგიერთებმა. მგონია მეტის თავის სიყუარულით და გარდამატებულის ამპარტავნებით, ისინი ამას ვერა ხედვენ?

გაუჩხრეკელო და წინ დაუხედელო თავის სიყუარულო, ანუ პატივისავ, გონებასა როგორ სძალავ? გონებასა როგორ აჭრელებ და ყოველსა საგანს შენებურად როგორ აჩუენებ? მეტი რა ვსთქუათ შენზე? ვისაც შენი ვნება მითვისებული აქუს, იმის განსჯის დროსა, რაც უნდა საგანი იყოს, სულ ერთია იმისათვის. იმას ვილა დააჯერებინებს, ათიათასი დამტიციცება რომ გაუშალონ: ეგ აგრე არისო. ნაცვლად დაჯერებისა, უფრო მალალს სუეტზე შედგებიან და თავისა ეზოზედა ქადაგებას მოჰყვებიან ამაცობით, მითამ რალაც განსხუაებულად უნდათ გამოიყუანონ თავიანთის ფიქრით, ყოველი თავიანთი აზრი. მაგრამ გონებისა ის სისწორე სადღა არის, სიმღვრიეში ჭყუმპალაობს... ღუთის გულისათვის კარგი გონებიანი ყურადღება მიაქციეთ თქუენს მართებულს ქართულს ენას. ამას გულით ვამბობ, სხვა ნურა გეგონებათ რა, ნურას გამოხატავთ თავში: კაცსა რაც სტიკივო იმას ჩივის ყოველთვისაო, როგორც

¹ არც თქუენია, არც ჩუენია, შუა ჯოჯოხეთისაა.

ერთმა შეამცნია ამ ახლო ხანში ერთს წერას: ეგ ქართული წერა ბოლლამას მიეგვანებაო. მეორის შემცნევა: აჭიჭყნილი ქართული ენააო. ამაზე ბევრი, ბევრი არის სალაპარაკო, მაგრამ დავიდუმე. მიბძანეთ? ჩუენი მეორე ჟურნალი რისთვის გამოვიდა, ან პირუელი რისთვის არის? ყოველი სწორეთ არ უთხრან ერთმანერთს, ვისაც რა აზრი აქუს, რომ ეს არის ხელთ მძღვანელი ოსტატი ჟურნალი-სა, მომმართი იმის სტატიებისა და დამწმენდი ყოვლის თხზულები-სა ამღვრეულობისაგან, თორემ პირსათნოებით არა გაკეთებარა, არც უბრალო რაღაც განძრახვით. უთხარით ხოლმე და ასე რიგათ უთხარით; ზდილობიანათ და სწორეთ, რომ კიდევ ისიამოვნოთ ერთმანერთით. აი, მაშინ იქნება მართებული დარბაისლური და დამფადარი ქართული წერა. მე ეს შევამცნიე ერთს მწერალს¹ იქ შეც-თომა და მიკერძუა იყო ზოგიერთი, მაგრამ ასე კარგათ რიგიანათ იყო, რომ აღარა დავდიერა, ისიც მამეწონა, არამცთუ იმისი სრუ-ლი წერა. სწორეთ უნდა ვსთქუათ, რომ ის წერა არის გუარ სახე-ლიანი ქართული ძუელი უბნობა და მწერლობაც. მაგრამ მარტო იმ ერთს სტატიაზე ნუ დავეფუძნებით ჩუენ, ვნახოთ კიდევ გაჰყუება იმისთანა წერას, თუ ისევ გადანათლავს, ან ბოლლამას გააკეთებს, ანუ დაკარნახებული ფეხებით ასჭიჭყნის ქართულს ენას. მოუცად-ოთ, ბოლო რა იქნება? თუ ჩემგნით შეინყნარებს, იმ ქართულს ენას მიჰყუეს, მაგრამ ნურც გაამპარტავნდება: ნურც თავის სიყუარული შეიპყრობს, ნურც ინტრიგებში გაერევა, ნურც არავის მიჰკერძავს შეუსაბამოდ და ტყუილებსაც მოერიდოს... დაადგეს იმ გზას და ქა-რთული ენა ჩადგება თავის რიგშივე. იმედია თავის რიგში ჩადგეს, მაგრამ უნდა კიდევ განვაახლოთ და რომელსამე მოპირისპირეს მოვაგონოთ. აი, როგორც ეხლა წარმოუდგენთ კიდევ მაგალითსა იმის გასაცნობად; გლეხი კაცი იტყვის: სისხლი ყელში მამადგაო, ჩემთან საქმე არა გაქუს რა, თორემ ამის მეტი ღონე აღარა მა-ქუს. დარბაისელი იტყვის: მოთმინებისაგან გამომიყუან, დამეხ-სენ თორემ ერთს უბედურებას შევიმთხვევთო. გლეხი იტყვის: იმის კაი კაცობა ყელში ამამდისო, მეც მაგიერი უნდა გადუხადო. დარბაისელი იტყვის: მე იმისაგან დავალეულები ვარ, მაგიერი მად-ლობა უნდა შევძლუნაო. და სხუა... სულ რომ ასე მოვყუეთ, სულ გაირკუევა ორივ ლაპარაკი ასე, მაგრამ დამძიმდება, შორს წავა და მოსაწყენიც იქნება. ყური რომ დაუგდოთ, მართალია ორივ ერ-თია, მაგრამ სიტყვის ხმარება იმათ ლაპარაკის დროსა სხუა რიგია.

¹ მე იმის სახელს არ ვამბობ, გული შეუტყობს.

მოკლე სიტყვით ასეა და გრძელიკი ლაპარაკი ადრევა ვთქვით, ესე იგი საეკკლესიო, დარბაისლური და გლეხური. სულ ასე დიდში და მცირეში ლაპარაკი თუ რომ აღარ არის, ხომ მაინც იყო.

სად არის საქართუელოში იადონი!... იმის კვერცხი ჯერ არ არის გადაჭრილი, დროკი არის გამოჩიკოს. მფრინუელთ ჟრიამული ყუელგან ისმის. ვნახოთ ეს შესხმა ვის ეკუთვნის, ამის ჰაზრსა ვინ აიღებს? ცოდო არ არის ეხლა შორსა გზაზედ იყო შენ — შენ კაცის გულის გამომთქმელი სინაღლისა, შენ ჩუენო საქართუელოს უზადო პოეტო, ყმანვილო კაცო, თავადო ნიკოლოზ ბარათაშვილო! იმ დაუღეველს გზაზედ იდგე, სადაც სანატრელი სიმართლეა, მხოლოდ იქა? ჯერ არ იყო დრო: გემოვნება გაგელო შენ, რომელმა მსაჯულებმა წაიღო ეგ შენი სხივ მოსხმული, ნათელი სული პოეტობისა? აკი ძლიერ ჰვლობდა, პატრონობდა, მას დანმენდილს სულსა შენსასა? არა მგონია ანგელოზის ვისიმე მარჯუენა შეეხებოდა მას, განგებულებავ, განგებულებავ! ვძრნი და ვფრთხილობ, სწორე სიტყუა ვედარ მითქუამს ამისათვის განგებულებავ... მაგრამ ამისიკი ნება გვქონდეს, რომ ეხლა იყო დრო, ეხლა სრულსა ჰაზრსა აიღებდა პოეტობისას ის! ეხლა მის პატარასა ლამაზსა თავზედ, მამულისა პოეტების ბრწყინვალესა გვირგვინს დაადგამდნენ, კარგი ქართუელთ წყნარის ქალებითა, მონინებით მოკრძალებულნი, იგი შვილნი მამულისა. შენ ქართუელების მომავალო დიდო პოეტო! მაინც რაღაც უნდა იყოს, შენა ნეეხარ უნაკლებლოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, რომელიცა გენიის ღმერთა შენს ძილსა მშვიდობასა უაღერსებს, შენსა მიღულებულს თუალებს ჰკოცნის უმანკოს და წრფელის-გულით. ახ! უდროვო ესე ძილო. ესე მშვიდობაო... ასე ბედრკულო შენ უბედურო! ობლობის ცრემლსა იხოცს, შენს საფლავზე საქართუელო...

მეორეთ მოსაგონათ გვითხრეს, მგონია ახლა სხუა პირმა, მაგრამ სიტყუა მშვიდი, მითამ ახლანდელის დროისა არ იყოს კუდიანების სტატია, ზდილობისა და მშვიდობისათვის მეც ასე ზდილობიანათ მამიხსენებია. ვისაც რკინის ქაღმები (მაგალითად იტყვიან ამას) ფეხებზე შეუსხამს, ვისაც რკინის ჯოხი აულია ხელში და კუთხითი კუთხად დადის, იგი ხედავს რაებია, თორემ ვინ რა იცის? იგი ხედავს შვიდსა მომაკვდინებელსა ცოდუასა თავის გადგმულისა ფესვებითა, რომლებიცა მოილხენენ უსირცხვილოთ. ნუ ვიტყვით ამას, არ არის ახალის დროისა? ვინც იმ სტატიის აზრი შეიტყო, ბევრმა თქუა; ესა და ეს არისო. ვინც იცის ჩუენი ქუეყნის შინაგანი ნამდვილი მდგომარეობა, მალე დაინახავს იმის წერ-

ილმანს ამბავს იმ სტატიაში და რომელთაც არ იციან არაფერი და მხოლოდ გარედგან სჯიან, იმათთვის ბნელია ყუელა. უნდა ხელს ავლებდეს მწერალი დროს, ის დროს უნდა შეურჩიოს და ხალხის თვისებითა სწერდეს. არამც თუ მარტო წერა — ყოველი საქმე ასეა. ეს არ არის ახალი ამბავი. ეს არის გამოცდილებით დამტკიცებული. ამისთანა მართებული ქუეყანა მოიბირებს ანუ მოაბრუნებს გადარჯულებულსა კაცსა და სანადლის გზაზე დააყენებს. იმ თავიდგანა აქამდის წვრილად ვიცი ჩუენი ლიტერატურისა მომდინარეობა, როგორც დაიწყეს, ან იმაზე მოსული ყოველი საფრხე როგორ შეიმუსრა და ან ხალხი როგორ მოიბირეს. ამ გამართულსა საქმეს ხელს სტაცებდი განათლებავ და ისე მოიხმარებდი როგორც შენ გინდოდა. თუ არა და ნაცულად ამისა მათრახი და ყავარჯნები დაუშინე, სრულიად დაფუშე და მასუკან მოჰყევე ამენებას ნელა, ნელა ევროპიის წესზედ. მაშასადამე, ვერ მიმხდარან ახლანდელსა ჩუენსა დროსა, რომლის მხრიდგან დაენყოთ. როგორც სხუებს უნდოდათ, დროს მიხედვით, ის იყო ჩქარი და თუ განათლებასაც მხარი მოება, ეხლა შორს იქნებოდა ჩუენი ლიტერატურის საქმე... მაგრამ ახლა რალა გაენყობა? ისე არ მოემართათ ხელი, ანუ არ მოუმართეს, როგორათაც იტყვიან: კაცი ბჭობდაო, ღმერთი განაგებდაო. მართალია. მაშ რახან ასე მოხდა, ჩქარა მაინც მოეშურე ჩუენო ლიტერატურაო, უთუოთა სანადელსა მიეხნევი, თუმცა გვიანდება. მანამდისინ ჩუენც შეძლება ვიქონიოთ აქლემისა. ამის შემდგომნი ვერ მიმხუდარვარ, არ ვიცი ჭეშმარიტად პირუელი: ზოგიერთები ჩემზედ რათ ფიქრობენ, დიდების მოყვარე ვიყო მე? ნუ დამიმალავთ. იქნება ჩემს თავს მე ვერა ვხედავ, რაზედ მატყობთ? მეორე. მართალია სწორეთა ვთქვი ჩუენს ჟურნალზე: ოლონდ იყოს მეთქი და სხუა.... აქ რა აზრი გაიგონეთ მერე? ისე უბრალო ლითონის სიტყვით ვიტყვოდი, თუ იქ აზრი იქნებოდა რამე. და მესამე ამა-საც მნამობენ მე: ოლონდ ქართული ენა იყოს და რაც უნდა იყოს სულ ერთია იმისთვისაო... აღვიარებ, რომ სწორეთ ასე ვთქვი: მაგრამ იმ რაც უნდა იყოდგან თავის დროზედ ნათელი გაზი აენტება მეთქი!... მეც ესა ვთქვი. ჩუენი ჟურნალისაც ამისთანა აზრზე ვიტყვოდი. აბა ასე არის ბრუნდე გაგონება და უმიზედოდ რალაებისაც გაკეთება.

მგონია ისტორიის მხარესაც გადაგვიკრეს, თუმცა არა ცხადათ, მაგრამ მისახვედრია. ზოგიერთს სტატიაში მე რომა ვსთქვი: იქნება ისტორიისათვის გამოდგეს მეთქი, იმათზედ თქუეს ის სიტყუა? ის მწერალი ჩემს არა სიმართლეს ამბობს და ამასთან იტყვის: თო-

რემ გამოჩნდებაო. ეხლა უნდა მითხრათ, გულში რა გაქუსთ და მეც მათქმევინოთ, თორემ შორს შეკიდება რა რიგია? ჭემმარიტად, არ მენყინება, გავმტყუნდე, ოღონდ ზრდილობიანათ მითხარით. ეს რჩევა დიახ, კარგია. მაგრამ ვის დავაჯერებინოთ, ამისთანას თავ-მოყუარულს ამპარტავანს დროში? მამ როგორც გინირავსთ, კიდევ ისე სწირეთ და ლოცუა კურთხევაც იმისთანა ბძანეთ, ოჰ, რა რიგათ მოგიხდებათ?... სულ დრომ იცის ყუელა, როგორათაც ერთმა ხელმწიფემ სიზმარი ნახა, მთელი ქუეყანა მელებით სავსე. სიზმარი აუხსნეს: მელების ხასიათი მიეცემათ სულერთიან ხალხსაო, აუხდა. კარგა ხანი რომ გამოვიდა, კიდევ ნახა სიზმარი, მგლებით ქუეყანა სავსე. ამისიც ახლა, რომ მთელს ხალხს მგლების ხასიათი მიეცათ. მერე ნახა სიზმარში — კრავით იყო ქუეყანა სავსე, ესეც ახდა, რომ სრულიად ხალხს კრავის თვისება მიეცათ. დანყნარდა ქუეყანა, გასწორდა ყოველი საქმე, რომლისაც რუსთაველის სიტყუა მოვიტანოთ აქა, როგორი დიდი აზრია, ნამეტნავად ამის უკანასკნელი სტრიქონი!... (უკანასკნელს ვეფხვის ტყაოსნის დასრულებაშია, მეფეები რომ გაიყარნენ ავთანდილის ქორწილის შემდგომ):

«ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს,
«ობოლ—ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
«ავთა მქმნელნი დაამინეს, კრავნი ცხუართა, ვერა სწოვდეს,
«შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთგან ჰსძოვდეს.»

ესეც შესამცნევია, რომ მთელს ქუეყანას სამ სამეფოდ ჰყოფს შოთა რუსთაველი და მაშინ იგი მეფეები ასე ასწორებენ ყოველს საქმეს, რომ თხა და მგელი ერთად ცხოვრებენ ტკბილად — კაცი ბოროტი და კაცი კეთილი. ყოვლის კეთილით აღორძინებულია მთელი ქუეყანა, სადაც ნაკლულევანება არაფრისა აღარ არის და ხალხი ფუფუნებს უმანკოების სიმდიდრით: კრავი ცხუართა ვერა სწოვდეს.... ნუ მოვიწონებთ საქართუელოს ძუელსა დროსა? მამ რა არის, თუ ახალი მიმართულება არ არის ეს, რომლისათვისაცა თავს იცლიან ბევრი ახლანდელი გამოჩენილი მსწავლული კაცები? მაგრამ სანადელი შორსა გდია. კაცობრიობის კეთილმდგომარეობასა მაშინ უფრო ზრუნვიდნენ ძუელი ქართუელები, მინამ ეხლა. თუ ახლანდელი განათლების მცირედი მაინც სცოდნოდათ რამე მაშინდელთა წრფელთა ქართუელებსა, ეხლა ჩუენი კაცობრიობა დანიწურებული იქნებოდა! რუსთაველი ნამდვილის საქართუელოს ცხოვრებიდგან დასწერდა ამ ლექსსა, თორემ ის აზრი არ მო-

აგონდებოდა გაელექსა? მაინც ისტორიით ვიცი, მეფა თამარის დრო იყო დიდი ბედნიერი დრო საქართველოში!... ამის შემდგომ რა დროში ვიმყოფებით ახლა ჩვენა? მგონია სწავლისა და ამპარტავნების დროში? მართალია სწავლა დიდი არის ეხლა, მაგრამ ამპარტავნება სძლევს. სადაც ანუ განუზომელი ამპარტავნებაა, იქ ვერავის დააჯერებინებთ ახლანდელს დროის მიხედვით: ლანძღვით კრიტიკა უზღველობა არისო. მოვა დრო, რომ ეხლანდელსა გამოჩენილთ კრიტიკოსებს ძალიან შერისხუენ, არა იმათ ღირსეულსა კრიტიკებსა, მხოლოდ იმათ ლანძღუებსა, მაშინ როდესაც ტკბილი და კეთილი დრო მოვა, რომელმანცა ანდერძსავით დაგვიდო და ლექსათ მოგვცა იმ სწორ უპოვარმა კაცმა!.... კაცობრიობისათვის რა უნდა იყოს საჭირო? — თხა და მგელი ერთგან სძოვდეს!...

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი
ს. ტაბახმელას, 14 ივლისს. 1863 წელსა.

ღართულს ღართული

*სულ რომ კაცისაკენ,
ერთხელ მაინც ეშმაკისაკენ.
ძუელად თქმული*

რა იცის კაცმან კაცისა, ან როდის რა დაემართება კაცსა? — მიდის გზაზედ კაცი, უეცრად წაიქცა, შუბლი ქუას დაჰკრა და ტვინი ზედა შენთხია. იჯდა კაცი თავის სწორს ამხანაგებში, დაამთქნარა და მაშინვე მოკვდა. ბევრი კაცის ბედის წერა ამ გუარია.

აბა რა ვიცოდით, უბედურის ჭონქაძისა ბედის წერა, ის ჰაეროვანი ყმაწვილი კაცი ისე ჩქარა გარდაიცვლებოდა? კარგსა კაცზე ასე ვსთქვი, რომ ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმას და ჩვენც შერისხული არ ვიყვნეთ ამაზედ. *კაცსა სასუფეველი დაუმკვიდროს, ასე ვსთქვი იმაზე. სხუა ამის მეტი არა გვიკადრებია რა იმის თხზულებსათვის.*

იმან რომ ის თავისი თხზულება გამოსცა, თუალ ყურის დევნა დაუნყევი, ვინ რას იტყოდა? — არავის რომ არ შეეხებოდა, არავის არა უთქუამს რა, გარდა ორისა, ამისთვის რომ პირდაპირ იმათზე იყო მიმართული ის თხზულება და იმათი სახელიც გამოყუანილი. იმისთანა თხზულებაში, ისე პირდაპირ დანერა იმ პირებზე, რა გაზდილობას იტყვიან. ევროპიაში ხომ, ის განათლებულები სისხლსაც შეასხამენ ერთმანეთს. გრამონმა მეჭურნალე დილონი დუელში მოკლა; ჩემი სახელი ცხადად რად განკიცხეო. კიდევ რავდენი ამისთანა მაგალითებია. აქ მხოლოდ ორს პირს ეწყინათ, ამის მეტი თავის გამოდება არა ყოფილა რა. *ესეც სალაპარაკოთ უნდა ჰქონდეო, მხოლოდ იმათი მცირედი წყენაც?*

იმ თუალ-ყურის დევნაში, გავიდა კარგა ხანი, გვინდოდა პასუხი დაგუენერა, მაგრამ ამასობაში შორს გზას მოგვიხდა წასვლა, სადაც ვიყავით კარგახანი და იქიდგან რომ მოვედით, აღარ იყო სანყალი. გუენყინა იმისი გარდაცუალება. იმისთანა ყმაწვილი კაცის დაკარგუა, საქართუელოს დასაკლისია. ეტყობა იმის თხზულებასა, კარგათ გაიმართავდა ხელსა იმ გუარს მწერლობაში, იქნება ბოლოს დროს დიდი სახელიც დარჩენოდა, ეხლაკი გვაპატიეთ.

რამანი ანუ მოთხრობა რა არის? — ნამდვილი საგნდგან გააკეთონ, ეს არის, ანუ ჭორიდგან? — ვინც იცის მამიგებს: ნამდვილიდგან, მხოლოდ დიახ გაფრთხილებით და დაფარულად სახელების გამოყუანით, რომ განგაშა არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის უწყინად იგრძნას, დაიჯეროს და გასწორდეს კიდევ თვისება-

ში, აი ეს არის რამანისა და მოთხრობისა მიმართულება.

ავდენი ხანი გავიდა, არავის აღარა უთქუამს რა ჭონქაძეზე, სახელიც დარჩა მაშინ და ის სახელივე დარჩებოდა კიდევაც. სხუებსაც გულიდგან გადავარდნილი ჰქონდათ, ეთქუათ რამე იმაზე, ახლა კიდევ განაახლეს ჩუენი ბატონების მოსაგონათ, საყვედურის ღირსნიცა ვართ, მაგრამ რომელს შემთხვევაში? კარგი, მითამ მართალია ყუელა, მაგრამ რა ვქნათ, რა საშუალობა ვიპოვოთ, რომ ყველაში კარგნი ვიყვნეთ მებატონენი? გვიპოვეთ საშუალობა და კარგნი შევიქნებით, თუ არა და, ტყუილის დაწერით როგორ გავიტანთ საქმეს. ამით უფრო გაჯავრება მოხდება და ვერც გვასწავლით რიგიანათ. განა ჩუენ ვერ ვხედავთ ჩუენს ნაკლულევანებას, მაგრამ ისეთი მეტყველი ტყუილის წერა, კარგს არას უთხრობს ჩუენტვის. ჩუენც ვემდურით ჩუენს თავს, აი ამ შემთხვევაში.

ყუელანი ვგრძობთ გულამდისინ და ცხადათაც ვანბობთ: დიდი მოშურნენი ვართო ერთმანერთისა, მაგრამ ასე შეკრული ვართ თვით ჩუენის შურისაგან ერთმანეთი, რომ ველარ მოვრევივართ იმას, ველარ დაგვიძალავს: ძლიერს ცეცხლსავითა მოდებუღია მისი ვნება და ამის გამო ვახდენთ ურთიერთსა. უწინდელს დროში: თოფი, ხმალი და განთქმული ვაჟკაცობა იყო, მაგრამ ახლა შებღალული შურით ვხოცამთ ერთმანეთსა. უწინ მამულისათვის, პატიოსანს ომებში იკლავდნენ თავსა ჩუენი მამა-პაპები, რომელთაცა საბედნიეროდ მიაჩნდათ ამისთანა სიკვდილი, მაგრამ ახლა შახედეთ რა განსხუებაა? — ვინც ვის შურით და ბეზლობით მოჰკლავს (ნაახდენს.) იგი არის ბედნიერი, რომლისაგანაცა მოიწონებს თავსა და ყველგან კი ფიცავს, მითამ იმან არა იცოდესრა. შეჩუენებული შური ხასიათათ ჩათესილა ჩუენს ბუნებაში. ყუელგან არის შური, მაგრამ ასე ამძოვრებული როგორც ჩუენში, სად იქნება? ყოველი ჩუენი პატიოსნების მდგომარეობა ჩუენი საზოგადოობისა, სრულიად გაფუჭებულია, გაფუჭებული ჩუენი ხასიათის გამო. ამისთანა საზიზლარი შური, ამისთანა გაფუჭებულმა ხასიათმა იცის. ხომ ასე ვართ, მაგრამ კიდევ დარჩომილა რამ ნუგეში ჩუენში: გულის სიკეთილე, გულის სინრფელე და გული ქართველური.

ჩუენის მებატონებისაგან რომ ამბობენ დაჩავგრასა თავის გლეხებისას, იმას რატომ აღარ ამბობენ, რამდენს როგორ პატრონობენ თავის გლეხებს? ჩუენს ახლანდელს და გლეხების განწვალვასთან, ზოგიერთების სოფიზმობა გვაკლია, დაწერონ ღმერთი ადღეგრძელებსთ, უფრო ბევრი წინდაუხედავი სოფიზმობა...

მოლაყბის ფურცელი იმიტომ უფრო კარგია, რომ ყველას შესაფერათა სწერს და არც უშვერს ხელსა: აგერ ის არისო. მართალია იმანაც ორჯელ თუ სამჯერ წაკრა, მაგრამ ბოლოს დროს გასწორდა საქმე და თავიც მოგვანონა. ახლანდელი მწერლობა ასე უნდა, თვინიერ მწერლების ერთმანეთის შებაასებისა, იმათ კი უნდა უთხრან ერთმანეთს სახელი: შენი წერა ასეაო. ამისთვის რომ ერთმანეთისა ესმით, მაგრამ ლანძღვით კი არა.

შურო, შურო! აგრე ადვილათ ხელს ვერ ავიღებთ, რომ კიდევ არა ვთქვათრა შენზედ. კაცსა რაცა სტკივა, იმას სჩვიის ყოველთვისაო. ჩუენ მოშურნეებმა ადრითვე უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი ერთი ჩუენი მწერლები, ჯერ ჩუენ შემოგვცქერიან, იმედი აქვთ გავსწორდეთ: ქართველს საკმაო გონება აქვს დაინახონ ავი და კარგი. და თუ აღარა იქნარა, მეტი ღონე აღარ ექნებათ, უნდა ყოველი ჩუენი გაგლეჯილი დასდასობა სათვითოთ სთქვან: მერე გველსავით ჩუენი სიჭრელე, ჩუენი ხასიათის მახინჯობა და ჩუენი ამოკუზული თვისება, მაშინ ვაი ჩვენი ბრალი კაპულეტებისა და მონტეკებისა მაშინ თავს მოგვაფხანინებენ, ანუ სარკეში რაფერ სახეს დავინახავთ ჩუენსას, ღმერთო მოგვიტევე. აგერ რას ამბობენ: კაცი არარისო საქართუელოში. ესე იგი უსარგებლოს ქონებასა, უქონლობა სჯობაო. უხარიან ხურო ნაზარასა. იმ ხურო ნაზარას დასისას რაღას იტყვით, იმ მოვაჭრეთ ანგაართა, რომლებიცა იყიდიან გაჰყიდიან, სიცრუით და ორპირობით? —

აბა ახლა კონსერვატორთ და პროგრესისტებს ვენვივნეთ, მივიდეთ მშვიდობის მყოფლობით თავი დაუკრათ. ვუთხრათ, რომ ბოლო დროს ასე არა თქუან: ბრიყვი ყოფილაო და საქმის გაუჩხრეკელიო.

მართლა ეტყობა, რომ ორი დასი იბადება, კარგი ნიშანია. ეს ის არის, წინ მივდივართ და უკან აღარ ვრჩებით. პროგრესისტებს უნდათ, კონსერვატორები გაიგდონ წინ, კონსერვატორები შეჰყურებენ ჯერ სახეში იმათ: ვნახოთ რა იქნებაო. რაღა რა იქნება, უნდა პასუხი ვსთქუათ ჩუენის აზრისამებრ ასე. კარგს ამბავსა ძუელსას უნდა პატივი ვცეთ და ახლანდელს განათლებას თაყუანს ვცემდეთ, ოლონდ კარგი რამ ითქუას, რომ საზოგადოს ზნეობისა გასაკეთებელი იყოს, გონების სინათლის მიმცემი და ქუეყნის სასარგებლო, თორემ სულ ერთია, რაც გინდათ თქვით, გინდ ძუელი, გინდ ახალი განათლებისა. კარგსა კარგი მოაქუს და ცუდსა ავი. ძუელი კარგი ამბავი, უნდა გონებაში გვექონდეს საფუძვლად და ახალი განათლებისა ვისწაოთ კარგის შენობის დასადგმელად, თორემ უბრალო

თაკილობა კარგი არ არის, ის არის მხოლოდ თავიანთი ახალი ნება.

ვერ მიმხვდარეულარ, არ მესმის მე, ძუელის ამბის მწერლებს, ხელცახოცში რათა ჰკვრენ? — რად უნდათ, რომ ძუელი გაიკაფოს და მითამ ახალი აღმოაცენონ. თუ კარგი ფერმერები არიან, ძუელზე უნდა ამყნონ, კარგი გემოვანი ხილი მოიპოვონ, რომ ჩუენი შვილიშვილები მადლობასა შემოსძღვნიდნენ იმათ. ცუდსა და კარგსა გარჩევა უნდა, კარგად რიგიანად გაარკვიონ საგანი და არა ისე, როგორც თავიანთი ნებაა.

ბევრს რაღასაც ამბობენ ჩემზე. იმათ შორის ამასაც მნამობენ მე: ოღონდ ქართული იყოს და რაც უნდა იყოს, სულერთია იმისთვისაო. აღვიარებ საზოგადოების წინაშე, რომ სწორეთ არის ნათქვამი. ამ რაც უნდა იყოდგან, თავის დროზე ნათელი გაზი აენტება!.. მაგრამ ამას კი დავილაპარაკებთ, რომ არავისზე ნაკლებად არ გუესმის ქართული ჩუენც.

პირველ ცისკრის დანყებიდან აქამომდე ძუელი ამბები არ ჰკლებია ცისკარს და რა დაუშავდა ცისკარს? ცისკრის შემდეგ აი რა მიეცა ჩუენს ქუეყანას! — არამცთუ პირველი პირები, ბევრნი მდაბალნიც კითხულობენ ცისკარს ცოლშვილებში და მომადლებულნი არიან კარგის ამბებისათვის ისინი. ამით ძალიან გამოეცვალათ ფიქრი მრავალთ და ახლა კარგსა გზასა უყურებენ ისინი განათლებისას. ცისკარმან გულგამლითა ხელი მისცა ძმასა თვისსა და მეგობარს, ყველას გვიხაროდეს: საქართუელოს მოამბე. ცისკარმან გუთნისდედა მოიპოვა და გვასწავლის პატრონობას ყოვლისფრისას. ცისკრის დროს ქართველთ კერძობით პირებმა ახალი სასწავლებლები გახსნეს, ვაჟთა და ქალთა ყმანვილებისა. ცისკრის დროსა რავდენი ყმანვილკაცები მოვიდნენ აქა, რავდენი აქაც გამოვიდნენ, ქართუელთ ძენი საქართუელოში და დღე და ღამ სულ ამას ზრუნავენ: საქართუელო და საქართუელოს შვილები გავაკეთოთო.. ესენი რაც ითქუა აქ, სულ ჩუენი კეთილმდგომარეობის საფუძველი არის და თუ კიდევ მოუმატებთ სიტყუას ამას, სხუებისგანაც არის ბევრი რამ შემატებული კარგი. თუ ცისკრისაგან შევიწყნარებთ, ყველამ გულში ჩავიფიქროთ: ჩუენს გონებას მოსცა რამე კარგი ჩუენმა ცისკარმან, ანუ არა? — მართლის მდევნელებს უთქუამსთ: დიახ მოგვცა კარგიო. ჩუენ ვიცით მაგალითი: ოღონდ ცისკარი წავიკითხოთო და ცისკრის გულისთვის კითხუა უსწავლიათ ქართული.

ავდენ ცისკრის განმავლობის დროსა, ეს ამდენი კარგი შემოვიდა ჩუენს საქართუელოში, გავიგონე: მეტად იმერეთშიაო და მაშ

რომელს აუქოლა კარი ძუელმა ამბებმა: კარზე აღარ გამოხვიდე მეცნიერებავ, თორემ ხმლით დაგიდგებიო კარებში. ჰოო, ახალი მიმართულება, ახალი.

გაუჩხრეკელი და წინდაუხედელი თავის სიყუარული ანუ პატივისა რა არის! გონებასა უჭრელებს და ყოველსა საგანს თავისებურათ დაანახვებს, მაშინ ვილა დააჯერებინებს იმათ, რომელთაცა დასჩემდებათ იმის ვნება: ეგ აგრე არ არისო. ნაცვლად დაჯერებისა უფრო მაღლა შეჯდებიან და თავისა ნერტილისა მეოთხესა ერდოდგანა ქადაგებას დაინყებენ ამაცობით, მითამ რალაც განსხვავებულად უნდა გამოიყვანონ თავიანთის ფიქრით, ყოველი თავიანთი აზრი, მაგრამ გონებისა ის სისწორე სადლა არის? მღვრიეს წყალში ძირში ყრია. სიმღვრიეში ჭყუმპალაობს...

მართალია, ახალი მიმართულების აზრი ეს არ არის, რომ საერთოთ ხალხი განათლდეს, საერთოთ სწავლა შემოვიდეს, საერთოთ მეცნიერება, საერთო ცხოვრების წესი და სხვანი. . . მაშ ურიგო არ იქნება ამ საგანზედ ითქვას რამე უწინდელი მცირედ მაინც, რადგან ზოგთ არ მოსწონთ, რომ დავინახოთ, კარგი რამ ყოფილა მაშინდელი დრო ანუ არა, ანუ ეკუთვნის ახლანდელსა მიმართულებასა ის ძველი? ახლანდელი სწავლისა ხომ არა იქნებოდარა უწინ, მაგრამ უწინდელი ჩუენი სწავლა ქართული სამლოთ საერო, კითხუა თუ წერა, ბევრი დანინაურებული იყო მდაბალს ხალხში, მინამ ეხლა, ასე რომ თუ ეხლა ერთმა იცის, მაშინ ცხრამ იცოდა, ნამეტნავად დედაკაცებმა. *ორმოცდაათს სულზე ვანგარიშობ მე ამასა.* ყოველს მღვდელსა და იმისთანა მსწავლელ დედაკაცებს, თავიანთი შესაფერი სასწავლებლები ქონდათ, სადაც მნიგნობრობის გარდა კარგს ზნეობას ასწავლიდნენ. უწინდელს ჩუენს გლეხების მდგომარეობასა აღვწერდი სოფლიურსა, მაგრამ მეტად გაგძელდება, ამისთვის ამ მდგომარეობაში რაც ეხლა ჩუენ ვიმყოფებით, იმას დაუბრუნდეთ და იმაზედ ვილაპარაკოთ, უფრო შესაბამი იქნება.

ჩუენი ქ. ტფილისი რაგომ აღარ გვაგონდება, აქ ამის კუთხეებში რა ამბავია, კარგი თუ არა კარგი? კარგი ცოტა და არაკარგი ბევრი. სამჯავროებისას მე რას ვიტყვი, იმას თავისი მიმდინარეობა აქვს, თავისი სამართალი (?) ჩუენ კერძობითზედ გადმოვიდეთ, ეს არის ჩუენი დასაჭერი, ჩავებლაუჭოთ ამას, მაგრამ ცოტაოდენის ძველის ამბიდგან დავინყოთ, უფრო შეათანასწორობს მკითხველი, უწინდელსა დროსა და ახლანდელსა და აქედგან დაინახავს მკითხველი ყუელას.

შუალამის დროსა, აბანოდგან გამოვიდა კაცი, ვინმე მთვარი-

ანს ღამეში, აბანოების ხიდზე გამოვიდა, საბაჟოს სახლის მოაჯირზედ ლეკური ნაბდები დაინახა კუთხეში მიყუდებული, კიბეზედ ავიდა, ერთი ნაბადი წამოისხა, წამოვიდა და თქუა: ეხლა მცოცვა, ჩემი ნაბადი ზედ არა მაქვს, ამას წამოვიხსამ, ავათ არ გავხდე და ხვალ უკანვე მოუტანო. ცოტათ ნასომიც ყოფილიყო. მეორეს დილაზედ მთელს ქალაქში განგაშა მოხდა. საბაჟოდგან (დამოჟნა) ნაბადი მოუპარამთო. და უკვირდათ ყველას: ამისთანა საქმე ჯერ არ მომხდარაო. შეიქნა თურმე სირბილი მთელს ქალაქში საბაჟოს კაცებისაგან, სად მიეგნოთ კვალი? ამ დროს ის კაცი მოდიოდა გარეთუბნიდგან, ნაბადწამოსხმული და იმისი ბედი, მებაჟესა შეხვდა. იცნა ის ნაბადი, მივიდა, ნაბადი აგლიჯა და ხელეზგაკრული მეფის ირაკლის მეორის წინაშე მიიყვანეს, ვითარცა მპარავი. საცოდავს აღარავინ დაუჯერა, ხუნდქვემ ჩასვეს საპყრობილეში და ერთი წელიწადის შემდგომ გამოუშვეს, მაგრამ ველარსად მივიდა, ქურდს უძახდნენ. აილო თავი და მწირ ბერათ შევიდა უდაბნოში სანყალობელი. რავდენი ამისთანა მაგალითებია, მაგრამ შემოკლებსათვის ეს ვიკმაროთ, უწინდელის ზნეობისა გასაგონათ.

ზნეობის გასაგონათ, რომ ვამბობთ, აბა ახლა ახალი ზნეობა გავიგონოთ ზოგიერთი? — აჰა შუალამის შემდეგ მოდის დასი გალექებული ღვინითა, ერთი იმღერის, იჭაჭება ყვირილით, მეორენი აჰი უჰის შენიჭირიმეს იძახიან, მითამ საქებელსა სიტყვას, მესამენი უცნაურის ხმითა გაიძახიან დაჭრილს დათვსავით და ასე მოდიან. ვაი თქუენი პატრონების ბრალი შინ რომ შეხვალთ? ამათი მხეცურისა გარმონით, მშვიდობიანმა სახლეულობამ თვალეზი დაჭყიტეს და მშვიდობის ძილის მოშლისათვის, შესაბრალად ამოიოხრეს და მასუკან ერთმა მოუთმენლათ წამოიძახა სარეცელიდგან: თქუენი ხმის განყვეტა თქუენ მხეცებო. ეს გალექებული დასი მოვიდა, სწორეთ იმათ სახლებს ნინ დადგნენ, ასე ეგონათ: განგებ ჩუენთვისაო და ორნი რალაზედაც შეისიტყვენ. სიმღერა და ის ყვირილი განყდა და ყველამ ამათ ყური დაუგდეს. ესენი იქამდინ შესიტყვდნენ, რომ ერთმანეთს მუშტები დაუშინეს. იმ გალექებულებმა დაიძახეს: დავეხსნათ ვინ მოერევაო. ასე დაასუსტეს და დაბეჟეს ერთმანეთი, რომ მეტი ღონე აღარ ქონდათ, თავის თავათ გაშველდნენ. ბოლოს ერთი აქეთ წაიყვანეს და მეორე იქით, მითამ იმათ გააშველეს. ეს ლექები დაიფანტნენ ყველა თავის სახლებსკენ და შინ რომ შევიდნენ, ერთს იმათგანის ამბავს ვიტყვი. მოხუცებულმა მამა და დედამ შემობღავლეს მწარეთ შეწუხებულს დედის ერთს შვილსა: სადა ხარ შვილო, ვისთან იყავ, ხო დავილიენით

ფიქრებით? გულის დაწყნარების მაგიერათ, მივარდა დედ-მამას და წიხლით გათელა ორივე: თქუე ქოფაკებო, როდის ჩაძაღლდებით, რომ მოგრჩეთო. რამდენი ამისთანა და ამგვარი ამბავია, ვიცით ვინმემ? —

ვიცით სარდაფებში რაებია, სადაც ისყიდება ტვინის სიმხურვალე? —

მიკიციტის დუქნებს რაღას იტყვით, იმათაცა აქვთ თავიანთი დაფარული კუთხეები? —

უბრალო ტრასტირები რაღათ დავივინყოთ, სადაც ზოგი თავად აზნაურები და მოქალაქის შვილები განცხრებიან? — ძუძუნ კუკუნობავ, შენ როგორღა იმყოფები, კიდეც ისე იმ განუსაზღვრელს საქციელში? — დაუნდობლობასა, მოტყუებასა და ოყაბაზობასა რა ძალა აქვს ჩუენში, რაღათ გამოვრიცხოთ მათი მოქმედება? — სიმდაბლისაგან საბატობაში მიწეენილსა, როგორი ფერი აძევს სახეზე შეხედეთ აზარქარობას? —

ქურის ბოლოს შუალამეს იქით, ერთის სახლის კედლის ძირში, ატუზული კაცები ვის ელიან? შეიხედეთ მაღლა მოაჯირზედ, თრთიან, იმაზედ ავიდნენ. ოოო ვერცხლო ვერცხლო, ამ სოფლის ჯოჯოხეთო, ამასთან სასუფეველო.

ერთს კუთხეში სანთელს ანთებულს უღრმეს ზარზაინით ვის დაუროქნია ოთხზედ, რომელსაცა შავი ზენარი გადაშლილი აქვს თავიდან შუა წელამდისინ და კვნესის შესაბრაღად, ამას წელში მისჯდომია ვინმე დედაკაცი და საიმედოს ხმით ეუბნება: ჩქარა, ჩქარა იქნებო, ეს დედაკაცი რომ გამოვიდოდა იქიდგან, ერთი სხვა დედაკაცი მოსდევდა უკან რიდე ჩამოფარებული პირზე, გაუბედა და უთხრა: დედაშვილობას, ვინ არისო ეგა? ნაცვლად პასუხისა, პირზედ ხელი დააფარა და ბევრი ფულეები ხელში ჩაუდო: დაჩუმიდო.

ბნელს ღამეში გარეთ სასაფლაოს ქვაზედ ვინა კნავის? რომელმა მგზავრმა გაიგონა ის კნავილი? ყურსა უგდებს: ღმერთო ჩემო, ჩვილი ყმანვილია. მივა წამოიყვანს და თავის ღარიბს ქოხში რომ მიიყვანს, ცოლსა დაუძახებს: შვილი მოგვცა ღმერთმა დედაკაცო. ორთავ მოხუცებულთ სიხარულით გახსნეს, ნახეს რომ ორასი თუმანი დადებული ქონდა გულზედ გასაზღელი.

აგერ ერთი ქოხში ბერი კაცი, მდებარეთ ჩავარდნილი ძველ ძველ ქვეშაგებში, ოხრავს მშიერ მწყურვალი და ამასთან ამბობს: სად არიან ჩუენი კარგნი მამა პაპანი, ასე უმონყალოდ ამისთანა ღარიბებზედ, ნამეტნავად ასე მდებარეთ ჩავარდნილზედ ქვეშაგებ-

ში, ვინ დააგდებდა? მაშინვე აგვიმსებდნენ სახლსა, პურით, ფულით და ყოვლის ფრის კეთილით. მაშინ ასე იყო და ახლაკი გვხვდება სული სიღარიბით. ამისთანა გაუკითხავი უმონყალეობა არ გაგონილა, როგორც ეხლა? – ამ განწირულებაში ერთი ქვრივი ქალი ადგა თავზედ უშვილ უძეო და გაფაციცებულის თვალებით მშობელს მამას შეყურებდა, მაგრამ რით ეცა ნუგეში? აბაზით თუ ორი შაურით? – მამის გულისათვის სულ გაყიდა, რაც ჰქონდა, ნაცვლად შემწეობისა, ახლა მწარეს ცრემლით იბანება და მამასაც ესწრაფება სიკვდილი და სთხოვს ღმერთსა: ჩქარაო. *ღვთიანო ადამიანო, სად გაჩნდი აგრე ჩქარა? სულიწმინდამ გიჩურჩულა, ანუ რომელმა უხილავმა ძალმა? ამ დროს სხუა რიგათ ჩაცმული ვილაც შევიდა, მოხუცს მდებარეს თავყუანი სცა, ხელზე აკოცა, იქვე ქუემაგებზე, სამი მანათი ფული დაუდო, მასუკან კეთილმონინებით თავი დაუკრა და გამოვიდა კარზე. ყოველს ხუთსა დღეზედ მივიდოდა იგი ასე, მაგრამ ვინ იქნებოდა ის ღვთიანი? – ბევრი ვეძებეთ და არ იქნა ვერ ვიპოვეთ. ამ დროს ერთმა ვილაცამ დაურაკუნა კარები, მაშინვე ქვრივი ქალი მივიდა, ჰკითხა: ვინა ხარო? – ნაცვლად პასუხისა, სამი მანათი ხელში ჩაუდგა და წავიდა ჩქარა თავის გზაზედ ისევე, რომელიცა ყოველს ხუთსა დღეზედ მივიდოდა ასე, მაგრამ ვინ იქნებოდა ის ღვთიანი ვილაც? –*

აგერ მოადგა, კარგა ღამეს გასულში, ერთსა დედაკაცსა და მომავალი შედგა.

— დედავ ვინა ხარ, რა განუხებს, რად სტირი აგრე?“

— „მიშველე ღმერთი გადღეგძელებს. სოფლიდგან წყალობისთვის ჩამოვედი ვითხოვო, მშიერი და სიღარიბით ვინვი ვიდაგვი წვრილის შვილებითა, ეგება ვიშოვო რამე და მივბრუნდე ჩემი წვრილის შვილებისაკენ. ეხლა აქ რომ მოველ, ყინვა სიცივეს ველარ გაუძელ და გადვიქეც გაყინული.“ მაშინვე ხელი სტაცა; საჩქაროთ თავის სახლში მიიყვანა და მწუხარებისაგან გამოიხსნა.

მოვიდოდა კაცი ვინმე სტუმრობიდან შუალამის დროსა და ერთსა დასსა შეხვდა გალოთებული და ხელი სტაცეს დასაჭერათ, დაუყონად ერთსა ლოთსა ყურში რალაც უთხრა, იმანაც, თავის ამხანაგებს და მაშინვე ჩამოეცალნენ ყველანი. რა ვიცით რა იქნებოდა ის იმათი?

— „მდიდარო კაცო, აი ასი თუმნის ბილეთი მოვიტანე, ამის მეტი მე არა მაქვს, გვეედრები ნაღდს ფულზედ დამიხურდაო.“ უთხრა ასის თუმნის პატრონმა.

— „მაგ ასი თუმნის ბილეთს ავიღებ და ოთ[ხ]მოცდარვას თუ-

მანს მოგცემ მაგაში.“

— „ღმერთი გადღეგძელებს უდიარობას ნუ მიზამ ღარიბი ვარ.“

ბევრი ეხვეწა, მაგრამ არა გაენწყორა. რამეთუნი ამისთანა მდიდარი მოიარა, მაგრამ მაინც არა ეშველარა, ბოლოს ზარაფ-თან მივიდა, იმან ას თუმანზედ ოცდა თხუთმეტის თუმნის დაკლებ-ბა უთხრა. ამ სანყალმა რა ეს გაიგონა, გაოცდა და ძახილი შექნა: ავდენის ცოდვისაგან სრულიად აყროლებულია ეს ჩუენი ქვეყანა. ეს კიდევ არაფერი, ჩუენ ვიცით, იმისთანა ფულის გამცემლები, რომ ას თუმანზედ სამოც თუმანს, წლის სარგებელს იღებენ. ეს კიდევ არაფერი, ასი თუმნის ახალი ნასესხები ვექსილი სამს წელი-ნადზე, ექვსას თუმნათ შექეცილა ის ვექსილი. რავდენი ამაზე უა-რესი მაგალითებია, ვინ მოსთვლის.

კაცი მოდიოდა ქუჩაში და თვალების ცრემლებს იწმენდა. — „ვინა ხარ, რა გატირებს კაცო?“ შეხვდა ვინმე და კითხა.

— „მე ვარ ღარიბი, მე მყავს ცხრა წვრილი შვილი. ეხლა ერთს მდიდარ კაცთან მივედი ამისთანა დიდსა დღესასწაულში, თავი შევაბრალე და ხუთი აბაზი ვთხოვე დღეის ჩემი ხიზნის გამოსაკვე-ბლად, ნაცვლად წყალობისა, გამომაგდო და მითხრა: თუ ფული არა გაქვს, წადი, თავი წყალში დაიხრჩეო.“

მთხოვარა გლეხებმა პირობა შეკრეს. — „ვინც ამა და ამ მდიდ-რის კაცისაგან წყალობას გამოიტანს, ორს შაურს მიცემთო.“ იკისრა ერთმა და წამოვიდა, იმ დროს თონიდგან პური ამოეყარათ და ის მდიდარი თავზე ადგა, მთხოვარა გლახა მივიდა და წყალობა სთხოვა. მდიდარმა ხმა არ გასცა, მეორედ კიდევ სთხოვა, კიდევ ხმა არ გასცა და მესამედ რომ სთხოვა, გაანჩხლებულმა, პურს ხელი წამოავლო და გლახას შესტყორცა, ქუა ეგონა: ეხლავ დაიკარგე აქედგან, თორემ ცემით გაგაგდებინებო. გლახამ სანაძლეო მოიგო.

ესეც ჩუენი მოწყალენი მდიდრები. იმ მდიდრების მახლობელი მცნობები კი ყველას არწმუნებენ: დიდს ქველის მოქმედებას იქმო-ნენო, მერწმუნეთ, თუ თავიანთი სარგებლობის ანგარიში არ იყოს, ლუკმასაც არ მიუშვერენ არავის, თუნდა შიმშილით ამოსდიოდეთ სული.

წვრილშვილიანმა დედაკაცმა, ბაზარში ჩაირბინა: პური ვიყ-ილო, წვრილი შვილები მშივრები მყავსო და ორი აბაზი მეპურესა შეაძლია. პური მამყიდეო. (ეს იყო მაშინ როდესაც რომ პურის სიძ-ვირე მოხდა საქართუელოში. ეხლახანს საზოგადოდ, სადაც ბევრი დედაკაცი და კაცი მინდვრებში დადიოდნენ და ნოყიერს ბალახის ძირებს სთხრიდნენ, იმას ხარშავდნენ და იმითი იზღებოდნენ.) მე-

პურემ ორი აბაზი გადაუგდო.

— „ამ ორი აბაზის ლუკმასაც არ მოგცემო.“

— „დედაშვილობას, წვრილი შვილები მშვივრები მიწივიან, და იქნება კიდეც დამეხოცნენ, თუ ჩქარა არ მივეშველები. მაგის მეტი ვერ ვიშოვე, თორემ ვისთვის დავზოგამდიო.“

— „დაიკარგე ვილაც ოხერი ხარ.“ და გაუკითხავად გამოაგდო. ვისთანაც მივიდა, ყუელამ ასე უყუეს და იძულებულ ქმნილმა თავგადადებით წარმოსთქუა: მე ჩემს მშვიერ შვილებთან ველარ მივალ. საჩქაროთ ნავიდა და მტკვარში თავი გადიგდო. უფრო მომატებულს სხუა უარესს ამბებსაც მოგიტხრობდით. მაგრამ არ დაიჯერებთ, რომ ძალიან ძნელი სათქმელია. ასეთი საშიში და საზიზღი ამბები არის.

ესეები იქნებოდა უნინ? — არ არის სასწავლებელი? — არ არის ახალი მიმართულება? — არ არის ახალი დროისა? — ანუ არ არის დასაწერი, ის პურმარილიანი კეთილი და გაუჭირებელი ცხოვრება და არა ახლანდელი გაჭირებულობა დიდი: ქარის მონაბერს, ნამცეცს პურის მარცვლებს, ხელს რომ ვავლებთ, ძირს არ ჩამოცვივდეს. აი ვისაც ნამდვილი მიმართულება უნდა ჩვენი სიტყვიერებისა, უნდა ზევით თქმული, იმისთანა ამბები ეძებონ და თვითოს საგანზედ, თვითო რამანი ანუ მოთხრობა ააშენონ, ამ ჩვენს ქვეყანაში ავდენია: საბრალოებისთანა (მიზერაბლ.) ამბებია, რომ უანგარიშო, რომლებსაც ანაც ბევრს კარგს ვისწავლით, თუ როგორც რიგია ისე ააშენებს მწერალი იმ საგანსა, თუ არა და ჩხაკაჩხუკით რა იქნება? —

ახლაკი დრო არის, რომ ვიახლოთ მცირედისა ძღვენით პატარა ტაბაკზედ დაწყობილი ჭონქაძის თხზულებასა. ისევ პირდაპირ ჭონქაძის თხზულებაზედ დავწეროთ რამ, ასე სჯობია, მაგრამ უფრო შემოკლებით თავის შეწყენისა არა იყოს რა. ტყუილი და მართალიც გაირჩიოს.

მართალი ყოფილა, რომ იტყვიან: არც კარგი და არც ავი დაიკარგებაო როგორც ესლა შემთხუევა მოგვცეს, ასე გვგონია, განგებოა იმ გუამის გამართლებისა, ვისაც ნასუფრალსაც დურმიშხან სჭამდა და შემდეგ თავის უფლად წყაროს პირთან, რა გემრიელი იყო თვის ბატონის ნასუფრალის მაგიერი, იმის საკუთარი პური (!).

საქართველოში თუ ითქმის კარგი მებატონე გლეხებისა, ის იყო, ვინც განკიცხა ჭონქაძემ, გლეხებისათვის ჩავარდა ვალში, საკმაოდ ვერ იმსახურებდა მეტის სიბრაულის გამო გლეხებისა. რავდენსამე წელიწადსა, სამსახურში გაგზავნეს შორს ქუეყანას,

სადაც თავის მეუღლეცა წაიყვანა, მხოლოდ იმისათვის: ყოველი ჩემი გლეხი ჩემის გამოსაღებდგან განვათავისუფლოვო, და კიდევ აღასრულა ეს სიტყუა. იმისი ზოგიერთნი მოსამსახურენი იმისაგან დაიზარდნენ ყმანვილები, რომლებიცა დააქორწინა ყველა თავის დროზედ და დღეს ბედნიერათ ცხოვრებენ თავის ცოლშვილებში ისინი. უნდა გენახათ ის გუამი, თა გ. თავის გლეხებში, როგორი ბედნიერი იყო ხოლმე! გარს რომ შემოისხამდა და სამი თუ ოთხი საათი, როგორ სიამოვნებდა იმათში, ყოვლის კარგის გლეხურისა საუბრითა. თუ სოფელში წავიდოდა, იმის სადილი და ვახშამი უგლეხთ არ იქნებოდა, ისე კარგათ და კეთილად ექცეოდა თავის გლეხებს, რომ ბევრნი სძრახავდნენ იმასა ისე, როგორც ჩუენს მემურნეობას შეეფერება.

ჩემო ხელმწიფო! აბა ახლა მიბძანეთ, ის დურმიშხან ვინ არის, მე არ გამიგონია იმისი სახელი და არც ყოფილა იმათ სახლში, რომელიცა ყველას ვიცნობდი იმათ კერძობასა, დიდსა და პატარას. დაგარწმუნებთ, რომ დურმიშხან არავინ ყოლია იმას და არც მომხდარა მაგუარი რამ ანბავი იმათ სახლში, თორემ მე მეცოდინებოდა. მაშასადამე გამდღის ნაამბობი არის: ფრთებ დაკეცილი ჭორი. თუ მოახლის ამბავსაც გაიგონებთ გეტყვით? — იმას ორი მოახლე ჰყვანდა. იმის მეუღლესა მ... ერთი თავისუფალი. თ... და მეორე საკუთარი ბ... თავისუფალი თ... გავიდა, ქმარი შეირთო. საკუთარმაც მონდომა გათხოება, გათხოვდა. სხუა ამბავი არა ყოფილარა იმათ სახლში ამის მეტი. თუ განკიცხუას ეკუთვნოდეს ეს, განიკიცხოს იგი? —

ჩუენს მებატონებზედ რომ მოუყუდებიათ ჯოხი და იმ ჯოხს ჩუენის ბეჭებიდგან აღარ იღებენ, ის არა სჯობია, რომ რაშიაც საგიებელი ვართ ნამდვილათ, იმაზედ გვგმონ, იმაზედ გვლანძლონ, იმაზედ დაიჩვილონ და იმაზედ იზრუნ—ინუხონ ჩუენთვის, როგორმე გამოვიხსნათ თავი, ჩუენის შურისაგან, შურის საშინელისაგან! ... თუ არა და მოყოლიან და საყვირს აყვირებენ: გლესსა კევრში აბამს მებატონეო, გლესსა არბენინებსო კალოში და სხვანი. . . . თუ სწერთ რამანს ანუ მოთხრობასა, რატომ არ გამოიკითხამთ მართალსა და ტყუილსა, იმისი კევრში შებმა და კალოში სირბილი დედაშვილისა, მართალია თუ არა? მე ნამდვილათ ვიცი, გაგონილს ჭორზედ არის აშენებული ის თხზულება ჭონქაძისა, ამისთვის რომ ვინც და რომელმანცა გააკეთა ის ჭორი და სახალხოთ გამოიტანა, მცხვენიან, თორემ იმ მემურნის სახელს გამოვაცხადებდი, ყველა ვიცი ნვრილად.

ის საკვირველი ოსმან ალა! ის გასაშტერებელი რაინდი! ის გულოვანი გმირი? რაო რეებია, ის იმდენი მიკერ მოკერა, წაყვან წამოყვანა, გაქცევ გამოქცევა, მითათრებ-მითათრება, ვაი-ვაება ანუ სიკვდილი, ანუ მკვლელობა და ანუ წყალში დახრჩობა? იყო მართალია, ერთი საშინელი საცოდაობა, საცოდაობა საიდუმლო შურის სიმსხვერპლე, მაგრამ არა ისე, როგორც აღწერს ჭონქაძე — ცოტადკი მიეგვანება იმას. რაც მკვლელობა შემოვიდა ახლა ჩუენში დაიჯერეთ სულ შურისაგან: ღვთის მტრები შევიქენით, ასე განძლიერებული არის ეხლა ჩუენში შური. რაც კაცი თავის თავს უზამსო, იმას მტერი ვერ უზამს, ასე არის ჩუენი ყოფა ეხლა. სხვათა შორის: ერთს მებატონესთან მივიდნენ სხვის მებატონის გლეხი კაცნი კარგის ძღვნითა და თავის მებატონეზედ შესჩივლეს სისხლზედ შემდგარნი ის გლეხნი. გამოკითხვის შემდეგ, მართალია სამსახური მეტი იყო; თავგამოსადები კი არა, მაგრამ სისხლო, სისხლო... შეიწყალე ეს საცოდავი შესაბრალო ხალხი, ოდესმე კეთილ მართალნი, რომელნიცა თავის ბატონებთა მამად ხადიდნენ და ახლა მგომბელნი ბატონებისა, არა ყუელა — ბევრნი კი. ღვთის მადლობით დამშვიდებულნი მიიქცნენ, ის გლეხები თავის სახლში და არა ადამიანის სისხლით შესვრილი ღრმას ტყეში. მასუკან რალას იტყვიოთ, თუ იმ მებატონესაც კვერი დაეკრა იმათთვის წაექეზებინა? — დღეს მთელი სახლეულობა გამქრალი იქნებოდა და მრავალნი საქმის გაუჩხრეკელები დაიძახებდნენ: არამც თუ ეხლა, უფრო ადრე უნდა ექნათ იმათვისაო.

1859 წლის დეკემბრის თვის ცისკარში სულ ახლანდელი ჭორის ამბავია და 1860 წლის იანვრის ცისკარში, მითამ ძველი ამბავი სურამის ციხისა. მართალია, როგორცა სწერს ჭონქაძე, ისე გაგონილა სურამის ციხის ამბავი, მაგრამ ნუ განყრებით, ისიც ტყუილია. ის ჭონქაძის თხზულება უფრო ლეგენდას მიეგვანება, მინამ წამდვილს რამანს, ანუ მოთხრობასა. ისე ანბათ, რომ ავილოთ, ის თხზულება წამკითხველსა უსიამოვნოდ არ დააგდებს, მაგრამ ზნეობა იქაც შერყეულია. ჰო მცირედი კი ისწავლება რამ იქიდგან, მაგრამ ეს კი აღარ ვიცით, არსად არ გაგვიგონია და არც წაგვიკითხამს, შეიძლება თუ არა, რომ ახალი ამბავი, კარგა ხნის ძველს ამბავს გადაჰკინძონ და მასუკან ერთ მოთხრობად გამოსცენ? ის ჭონქაძის თხზულება ასე არის გადაბმული ერთი მეორეზედ. რაც უნდა კი ვსთქვათ, ვინც იმისი წამდვილი ვინაობა არ იცის, სულ ვერას მიხვდება და ნაღდათ მიიღებს იმის სრულსა თხზულებასა: ძველს კომქსა გავს, ნახევარი ჩამოქცეული ხელმეორედ რომ განაახლონ

და კარგად გალესონ ოთხსავე კუთხივ, უცხო ვინ იტყვის ახლად არ იყოს აშენებული? ქვის შენობა ასე შეიძლება, მაგრამ ამ გვარს რამანს ანუ მოთხრობასა რა დავარქოთ ახლა? ახალ ძველი? მაშ ამას იქით თუ შეიძლებოდეს იმ ჭონქაძის თხზულებასა ეს დაუძახოთ?

ახალ ძველო სურამისა ციხეო,
კახ მეფისა და სპარსების მახეო,
ამილახუარ გივმა თქუა აქ ვსახეო,
ომი ბევრი ჩემი ტყუევნაც ვნახეო.

ისტორით ვიცით და კიდევ გაგვიგონია, რომ ბოლოს და ბოლოს გივმა ამილახუარმა უფრო თავი დიდათ გამოიდო მეფის ვახტანგის სახლისათვის, და ან სურამის ციხე როგორ გაამაგრა, ან როგორ ეომა მეფე თეიმურაზს და ნადირშასაგან გამოგზავნილს სპარსის ჯარსა, ესენი სულ ცხადია. რა რომ ველარ შესძლო ციხის გამაგრება, გამოვიდა და სპარსეთში ტყუეთ წაიყუანეს სპარსელებმა, მაგრამ იქაც არ დაკარგა თავის ღირსება; იქ ნადირშასთან დიდად გამოიჩინა თავი და ბოლო დროს დიდის სახელითაც მოვიდა საქართველოში.

ესეც ისტორიული. ისტორიული ამისთანებზედ უნდა აშენდეს, თუ არა და ჭორზედ რა რიგია, რამანისა ანუ მოთხრობისა დაწერა? საჭურისი რა შვილს მისცემს ქუეყანასა?

მართალია ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომხდარა თავის ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა ამ ჩვენს ქვეყანაში, ნამეტნავად იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძე. ამგვარს საქმეებსა ძალიან კარგათ გამოკითხვა უნდა და მასუკან შეუდგეს წერას, თუ არადა, აჩქარებით სოფელი არ აშენებულა.

[1863]

ტოლუბაშოკა

სად არის გამოკვლევა, ანუ გამოკითხვა, რომ შევიტყვოთ ტოლუბაში ჩვენი სიტყვაა თუ არა? — მაინც ასე ვიცით, რასაც გავიგონებთ და თუ ის გაგონილი თავში მოგვივა, მაშინათვე ნავკრამთ და გავივლით, ასე გვგონია: კარგი საქმე გვიქმნიათო.

— აბა მითხარ ტოლუბაშო, ანუ თამადაო, ეს სიტყვა იცი რა არის? —

— არა, არ ვიცი, ტოლუბაშის პასუხი.

— მაშ ეს მაინც მითხარი, ქართულად ტოლუბაში რას ნიშნავს? —

— ამხანაგების თავი.

— სიტყვითი სიტყუათ აგრეა თათრულიდგან, მაგრამ რაც მნიშვნელობა აქვს ქართულში, იმას გკითხამ? —

— რა ვქნა, არ ვიცი.

— კარგი ქართველი ხარ, არ იცი შენ ქუეყნის ამბავი, არა ძუელი და არა ახალი, მაშ ძალიან სჩემობ სწავლულებას? —

ამ სიტყუაზედ გაჯავრებით მითხრა.

— რა ხან აგრეა, ახლა მე შენ გკითხამ, მაშ თამადა სადაური გგონია შენ? —

— ჰოო, აბა ეგრე არის, თუ შენ მისაყვედურებ ჩუენის ქუეყნის ამბის უცოდინობაზე, შენ რატომ აღარ იცი, თამადა რა სიტყუაა? —

— კარგი შესაბამი პასუხია, უცხო დროს მამასწარით, მაგრამ ესკი უნდა გითხრათ, რომ ასს მეტსა ვკითხე. ბევრი გამოკითხე, მაგრამ ყუელამ არ ვიცი, მითხრეს.

— მაშ რახან აგრე არის. ტოლუბაში მაინც გაგვირკვიეთ საიდგან ვის მოუგონია ეს?

— ბატონი ბძანდები, იმისი ამბავი ყუელა კარგათ ვიცი. ერთს ტოლუბაშთან მქონდა მე ეს ლაპარაკი ერთს სადილზედ.

ასე ჩემო ძმაო, დღევანდელამდინ არვიცი, თამადა საიდგან ვინ მოიგონა? — ტოლუბაში კი რასაკვირველია. ახ! შენ ტოლუბაშო, რამთენჯელ დამთვრალვართ შენის ბრძანებლობით, მე და შენ ამხანაგები ჩვენს არეულს პურობაში; სამსეს და სამსეს რომ დავცლიდით ჩვენს სასამისს, კახურს წითელს ღვინოს, ერთმანეთის სადღეგრძელოს, ოჰ, რარიგათ გვიმჟავდებოდა ხოლმე ის იმისთანა სმა, მაგრამ მაინც კიდევ ვსვამდით. რა უნდა ვთქუა მე იმაზედ ამის მეტი, რომ ვინც თავდაპირველ მოიგონა ეს ამისთანა შექცევა, ანუ ის ტოლუბაშობა, ანუ ალავერდი და იახშიოლ, ახლა გაიგონებთ,

მაგრამ ჯერ რომ აქედგან დავიწყოთ, იმ ჩვენი ყმანვილი კაცების ლხინიდგან და მასუკან იმ ჩვენი ძველი კაცების შექცევადგან, როგორი ზნეობითი შექცევა ჰქონიათ იმათ, უფრო დავინახავთ, რომ რა განსხუაება იყო იმ ორს საზოგადოების შორის? —

ჩემს ყმანვილ კაცობაში, ორს საზოგადოებაში ვიყავი ხოლმე: ძუელს დანარჩენს საზოგადოებაში და ჩუენი ყმანვილი კაცების საზოგადოებაში. როდისაც ძველი კაცები მოინდომებდნენ ლხინის გამართვასა, უნდა იცოდეთ, როგორის კმაყოფილების მხიარულებით შეექცეოდნენ ის ძველები, მაგრამ როდისაც ჩვენ ყმანვილ კაცები შევიყრებოდით და სალხინოთ დავსხდებოდით პურობაზე, არც ერთხელ არ მახსოვს, რომ ფხიზლები წამომდგარ ვიყავით სუფრიდგან.

რაცნათ, დიდი ხანია დრო მოვიდა, რომ ყოველი სწორეთ ითქვას, თუ ყოველი სწორეთ არ ითქვა და პირსათნოებით ვიტყვი, ზნეობა არ გაკეთდება, ამისგამო უნდა ითქუას, რაც სიმართლეს შემუენის და ამისთვის არაფრის მორიდება აღარ უნდა იყოს, არაოდეს.

აბა როგორ არ უნდა ვთქვათ: მ. მ. რა კაცი იყო, ან როგორ წაახდინა ჩუენი მაშინდელი ყმანვილ კაცობა, რომელსაც მეც შემთხუევა მქონდა იმის გაცნობა, უფრო პირდაპირ ვსთქვათ, ჩემმა მახლობლებმა გამაცნეს და ამიტომ მეც ხანდისხან დამპატიუებდა ხოლმე თავის სადილზე. მივიდოდი იმასთან: ურისთან არა ურია. ჩემის მახლობლების უფრო პატივის ცემისათვის.

ის ყოვლისფრით სულ სხუა კაცი, ყოველს თავის სისუსტესა ვერაოდეს ვერ ჰფარავდა, ასე წრფელად გვაჩვენებდა თავს, თორემ გულში სხუა იყო. ნეტავი ერთის და ორისათვის ეთქუა, ვინც მცნობები შეხვდებოდა, ყუელას ურიგებდა თავის სისუსტესა, როგორათაც საბოძვარსა რასმე და ადგილიც კარგი ჰქონდა იმას ვაჭრობისა. თვით იმისგნით გამიგონია.

— მინამ ჩემს ცნობს ვეტყვი ჩემს საიდუმლოს, ვჭლექდებო.

— კარგი, ერთს უთხარ, ავდენი რალა არის? პასუხი.

— ისინიც ჩემი მეგობრები არიან, იმათაც უნდა იცოდნენ.

რავდენი მეგობრები ჰყვანდა, მაგრამ არავისი მეგობარი კი არ იყო, ამას რასც შვრებოდა, სულ განძრახვით, სხუების გონების გასარყვენლად და კიდევ მიეხნია სანადელსა. თუმცა კიდევაცკი არიან იმისთანები, მაგრამ უფრო მოწანწალეს ურიობას თამაშობენ.

ახლა ქცევა იმისი, იმ უფლის მ. მ. . . რომელიც ძალიან სდევდა

დედაკაცებს, ვინც როგორი ყოფილიყო, სულ ერთი იყო იმისათვის და ახალ მოწიფებული ბიჭებიც ებრალებოდა, გარდა ამაების: ის იყო ენამტანია, მოუსვენებელი, მახლობლის გაუტანელი, დიდი პატივმოყვარული, რომელიცა თავისპატივისათვის, არავის არ დაინდობდა და სხუანი . . . ყოველს დღესა, ყოველს ღამეს, როდისაცკი საქმე არ ექნებოდა ხოლმე, სულ შექცევას, ღვინის სმაში იყო და მარადის ჩუენი წრფელი ყმანვილი კაცი გარს უსხდნენ და რაც უგვანები იყო, იმას ელაპარაკებოდა, იმაში სწრთვიდა და იმაში ახელოვნებდა, ვინც კარგათ და შინაგნად არა სჩხრეკდა იმისთვისებასა, ეგონებოდა: კაი კაციიო. ასე კარგად დაინახავდა იმას, მაგრამ უფრო ქართულური სინრფელე ატყუებდა ჩუენს ყმანვილს კაცებს, თორემ იმასთან როგორ უნდა გაევილოთ, თვითონ მეც, მაგრამ მეკი უფრო იშვიათად დავიდოდი, ისიც ჩემი მახლობლები თხოვნით ხოლმე.

ერთხელ შუადღეზე ცოტა ადრე, ბარათი მამივიდა იმისაგან: სადილათ მენვიეო, ლ. . ჩემთან არის, ამ შენმა მახლობელმა ნათესავმაც გთხოვაო. აბა კიდეც იმ ლ . . . გულისათვის, ყუელანი ერთპირად ისე პატივს ვცემდით იმ მ . მ . . : რადგან ის ლ . . . დიდი ოჯახის შვილი იყო და დიდი დამოკიდებულობა ჰქონდა საქართულოში, ამიტომ იმის პატივისცემისათვის, ისიც ისე პატივცემული იყო ყუელასაგან. მგონია ისინი ყმანვილობითვე დამეგობრებული ყოფილიყვნენ? — ის მ . . . იყო გაიძვერა ეშმაკი. ეს ლ . . . წრფელი გულ—მიმდომი . . . ის პირველი იყო მომატყუებელი, ეს მეორე იმას მორჩილებდა.

ამდროებში ის მ . მ . . ჩუენზე მოახლოვოთ იდგა, რომელსამე ყაზარს სახლში. ის დალოცვილი ლ . . . იმის დიდი მეგობარი, ასეთი მეგობარი იყო, რომ გულწრფელი ნავედი იმ ჩემის მახლობლის ნათესავისას და იმის პატივისცემისათვის, დავსხედით სადილათ, მოვეყვით ღვინის სმასა, პატარახანს უკან გაუცხელდა ღვინით თავი, მოჰყვა და ბევრი სპარსელების ამბავი გვიანბო, რომელიც კარგათ იყო დახელოვნებული სპარსულს და თათრულს ენაში, რუსულში და ქართულშიაც კარგათ, მაგრამ მომატებულად სომხური იმისი იყო.

და ბოლოდროს მეტად გაუცხელდა ღვინით თავი, მოჰყვა თავის ხასიათებს და რამდენი რაები ილაპარაკა სულ გარყვნილობისა. მეც კარგათ შეღვინებულმა, აღარ ვზოგე სიტყუა:

— მაგდენი საქმე და ამბავი გეკადრება შენა? — ამდენს პატიოსანს კაცებს იცნობ საქართულოსას და განუშორებლად იმათში

ხარ, უნდა შენც ისეთს პატივს სცემდე ამათ, როგორც ესენი შენ.

ღვინომ უყო, თორემ ამას არ იტყოდა. აი იმ **მ. მ.** . . . პასუხი.

— რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, ვისთანაც ვარ, იმას ასე უნდა, იმას ასე იამება, იმისი თვისება ეს არის. მე იმისთვის შემოფიცნია იმის ერთგულებაზე, ამისთვის, რომ სულ რაცა მაქუს, იმისგნით, ის არის დიდი სოვდაგარი და მე იმისი მოვაჭრე, დანარჩენი სხუა იმან იცის, რისთვისაც შვრება ამას, ის ჩემი საქმე არ არის.

ეს ჩემი თქმა დიდათ დამიმადლა ლ . . . მაგრამ ჩაის შემდგომ, მაინც იმას აედევნა და იმას გაჰყვა. მეც ჩემი სახლისაკენ წამოველ. პირველად მე რომ **მ. მ.** . . . გავიცან, იმის მესამე დღეზედ, ბევრი სტუმრები ჰყვანდა, სულ ყმანვილკაცობა და მეც იქ ვიყავ მიწვეული, რომელსაც იმ თავის სტუმრობაში, პირუელათვე სადილზედ აი, რა თქუა:

— ის ძველი ქართველური, თავის სმელობა აღარ უნდა იყოს, უნდა მოიშალოს, მაგით ჩუენ ვერც შევიქცევით და ვერც ღვინოს ვსვამთ რიგიანათ. მე კარგი რამ მომიგონია ჩვენი შექცევისათვის, ჩვენ ამოვირჩიოთ ერთი პირველი თავი და იმას დავარქუათ: ტოლუბაში, თავის ერთის თანაშემწითა. ის ტოლუბაში მოჰყვეს და ყველას სადღეგრძელო ამ წესით დალიოს, სამსე სამსე და როდისაც დაიწყოს, ჯერ სასმისი ასე უნდა აავსოს, რომ პირამდისინ ლივლივებდეს, მას უკან იმ ტოლუბაშის გვერდით ვინც იჯდეს, იმას უთხრას: ალავერდი! (ღმერთმან მოგცეს.) იმანაც უჰპასუხოს: იახშიოლ (კარგი გზა.) ესე უნდა დაიცალოს, ვისიც სურს: შენი სადღეგრძელო იყოს. შემდეგ ასწიოს და ის ღვინით სამსე სასმელი ასე უნდა დაცალოს, რაც ღვინოა იმაში, რომ ერთი ბენო ღვინო არ გაუშოს შიგა. როცა სულ დაღევს, თავის ხელითვე ის სასმისი ისევ უნდა ისე აავსოს, როგორც თვითონ ჰქონდა სამსე და თავის გუერდით მჯდომსა მისცეს, ვისაც უთხრა ალავერდი. რომელმანცა იმანაც ისე უნდა დალიოს, ამ წესით, როგორც ტოლუბაშმა და თავის გვერდით ვინც რომა ზის, იმასაც ისე დააღვეინოს, როგორც თვითონ დალია. ერთი სიტყუით, ერთიერთმანეთს ასე უნდა დააღვეინონ ასე ჩარიგებით იმ წესით, როგორც ტოლუბაში დაიწყებ. ამ ერთს სადღეგრძელოს რომ გავათავებთ, მასუკან მოჰყუეს ტოლუბაში, ვისიც უნდა, იმის სადღეგრძელო დალიოს ისევ იმ რიგით, მაგრამ არავის სადღეგრძელო არ დააგდოს, ყუელას სადღეგრძელო უნდა დალიოს. ის ამის მოვალეა და რასაკერელია. ამ წესით, ისე დარიგებით, სხვებსაც ასე დაღვენ.

ეს რომ გაათავა, ყუელამ ერთპირად დაიძახეს.

— კარგი იქნება, კარგი.

ოჰ, ქართულელო გულწრფელობავ, რა ჩვილი რამახარ, მალე მოსატყუებელი. მერე კიდევ ერთპირად ტოლუბაში და იმისი თანაშემწე ამოირჩიეს, მაგრამ ერთმა ჰკითხა იმ მ. მ...

— მაგ ტოლუბაშს რალათ უნდა შემწე?

— თანაშემწე იმისათვის უნდა, რომ თვალ-ყური ეჭიროს, რიგინათ სვან ყველამ. ან სასმისიდგან ღვინო არ დაღვარონ და ან სასმისში ცოტა ღვინო რომ დააგდონ, უნდა თანაშემწემ დაიძახოს: ქობასი ვარ. (მითამ ქობა დააგდო, არ დააკერა, ესე იგი: არ დალია. თათრულია) ამაზედ ყველამ ერთად უმღერონ: ქობასი ვარ, ქობასი ვარ, რამდენჯერმე. თუ ამ დამღერაზედ სულ ერთიან დაღვეს და დაწვრეტს, ხომ კარგი, თუ არა და ტოლუბაშის ვალია, რომ ძალით იყოს თუ ნებით, დააღვინოს, შეუძლიან შტრაფი მეორეთაც დააღვინოს და თუ ნებავს მესამეც. ტოლუბაშსა ყოველი ძალა ექნება, მინამ ლხინში ვიმყოფებით.

ყველამ მოიწონეს და ამ ზევით თქმულის ნესით მოჰყვნენ სმასა. აბა ასე არის, ბევრჯელ ცუდი უფრო მოსწონს კაცსა, მინამ პატიოსნება. ეს სულ გარყვნამ იცის. სადაც იმ სმაში და იმ ლხინში, საზანდრები თარ ჭიანჭურზედ დამღეროდნენ და დაირა დიპლიპიტო მათ მისდევდა, როგორც იცით. იმ დროს ბედნიერი ვიყავ, რომ ცოტათ ავანთმყოფობდი და ღვინოს არა ვსვავდი, რომელმანც, ამ რიგათ: რადგან ავანტყოფია ესა, ამას ღვინო აღარ უნდა დავაღვინოთ, თარხანიაო. ამ სიტყვაზედ ერთიანათ დაიძახეს: თარხანია, თარხანია!

მართლად თუ ოდესმე სვინდისიანი ტოლუბაში შეგვხვდებოდა, მაგრამ ძნელათ, თვითონაც ზომიერათ სვამდა და ამხანაგენსაც ზომიერათ ასმევდა, თუ არა და უთუოთ უნდა დამთვრალ ვიყავით.

მე რომ იმდროს ღვინოს არა ვსვამდი, მერეთ იმათ დაუნყე ყურება: ბოლოს ისინი სიმთვრალითა ღვინოს ველარ სუამდნენ, ისე ყვირილი, ღრიალი ჰქონდათ, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას იძახდა, ერმანეთის ველარა გაეგებოდათრა და საზანდრებსაც აღარ აცლიდნენ, ემღერათ რამე, მაგრამ ზოგიერთი კი მშვიდობიანათ იყვნენ და მშვიდობიანათ ლაპარაკობდნენ, ანუ უფრო სწორეთა ვთქუათ, ლულულულებდნენ და ამათაცკი რიგიანათ არ ესმოდათ ერთმანეთისა. ის მ. მ. ამით სარგებლობდა, რომ ხან ერთს მიუჯდებოდა გუერდით, ხან მეორეს და რაც უარესი იყო გარყვნილობისა, იმაზედ ელაპარაკებოდა.

ბოლოდროს საღამოჟამზედ ჩაის შემდგომ დავიშალენით, მა-

გრამ ბარბაციოტი არავინ არ წამოსულა იქიდგან და არცარავის ჭკუა დაუკარგავს. მგონია ეს საქართველოს ღვინის თვისებაა?

ასე ბატონო ტოლუბაშო, ისტორიას ნურას მიაჩემებთ, აი საიდგან შემოღებულია ეს სიტყვა: ტოლუბაში, ალავერდი და იახშიოლ, რომელმაც იმ მ.მ. . . ამ მიზეზით და იმისგამო დაიწყო საქართველოში ღვინის მსმელობა, სადაც მეც ბევრჯელ ვყოფილვარ იმათში, მეგობრობისა და ამხანაგობის გულისათვის, რომლებსაც დღევანდელამდინ მოსდევთ ის ნაკრავი ნალი ქართულებსა, არა ცოტას, დიახ ბევრსა და ამასთან ზნეობის გაფუჭება.

რაც ტოლუბაშობისა, ანუ ალავერდობისა და ანუ იახშიოლისა აქ ითქუა, თვით ჩემი თანადასწრებით ასე იყო, მაგრამ იმ თამადაობისა, სულ არა ვიცოდი რა, რაც პირველად მე ცისკარში ნავიკითხე, იმის მეტათ.

ესენი ხომ ასე ითქუა, ახლა თავის მსმელობითი შექცევა გავიგონოთ ჩუენი მამაპაპებისა როგორი ყოფილა? —

დაიწყო ჩუენი ძუელი ქართუელების პურობა. ნახევარ საათისა, თუ ცოტა მეტნაკლების, სადილის წინ შეიყარნენ ყუელანი საუცხოვოთ დაფენილს სასტუმროს სახლში, სადაც ყუელა თავთავის ღირსეულს ადგილს დასხდნენ მოკეცილი, მოჰყვნენ და დაიწყეს საუბრობა, ძუელი ამბები. ჯერ ამითი გაატარეს დრო, მას უკან წყალით სავსე ალთაფა ტაშტით მოატარეს მოსამსახურეთ და სუბუქათ გძელს განიერს ყალანქრის სუფრაზედ, რომელზედაც სხვა და სხვა ვერცხლის სურები შუა სუფრაში გაამწკრიეს კახური წითელის ღვინით სავსე. დიდრონი ვერცხლის სანაჟურეები შუა სუფრაში ჩაიდგეს ორი თუ სამი, ვერცხლის აზარფეშები და თასები მიმოზნეულსავით დაანყეს აქა-იქ.

ვერცხლის მოჭედილი ბზის კათხები და ვერცხლითვე მოჭედილი სხუა და სხუა ფერის ხის კულები მიმოარიგეს აქა-იქ და ამასთან მოთეთრო ყანწები ვერცხლით მოჭედილები ზედ დაყარეს, ორი ქარვასავით ყვითელი დიდრონი ჯიხვის ყანწები მოიტანეს; ერთი სუფრის თავს დადეს, მეორეც იმისტოლა, ბოლოს, რომელშიაც ნახევარ თუნგი მეტი ღვინო ჩაისხმოდა, ამ დროს ერთი ოქროს აზარფეშაც მოიტანეს, რომელიც პირველი იყო, იმას წინ მოართვეს. იქნება გეგონოთ კოვზები და დანა-ჩანგლები არ ექნებოდათო, არა, ისიც იყო, რასაც ამას ვწერ, ახალი შემოსული დრო წარმოიდგინეთ საქართველოში.

ყოველი ესენი ლამაზად რომ გაანყეს სუფრაზე, მურასალავაშები და გამტკიცული მრგვალი პურები ყველას სათვითოდ მოუ-

ტანეს, ამასთან დახატულის ხონჩებით სხუა და სხუა საჭმლები ჩაურიგეს და ყუელას თავ-თავისად ჩაუმწკრიეს წინა. მგონია თვითოს ათ-ათი მეტი რიგი საჭმელი ედგათ, მლაშისა, მჟავისა, წვნიანი, ცივები და შემწვრები, ეს ის ნიშანი იყო: მიირთვით, რომელიც გინდათო. კოვზი და დანა ჩანგალი ხელუხლებელი დარჩათ, ისევ მამა-პაპურს დაუბრუნდნენ.

რაოდენიმე საჭმელის ლუკმის შემდგომ, ვისაც რომლის სასმისით სურდა, იმითი მიართვეს ღვინო: ზოგს აზარფეშით, ზოგს წვრილის ყანწით, ანუ ვისაც რომლით სურდათ იმითი, მარამ რომლისაც რაოდენი უნდოდათ, ეგოდენსა დაუსხმდნენ და თუ დარჩებოდათ ღვინო რამე, იმას სანაჟურეში დაჟურავდა მოსამსახურე, მისთვის, რომ იქნება იმ სასმისით მოეთხოვა ვისმეს და უზღელობა იქნებოდა, ნადგომს ღვინოზე კიდევ ღვინო დაესხათ, ის სანაჟურეები იმისთვის იყო. რამდენიმე სურის მოსამსახურენი კარგის ტანისამოსით ფეხებზე ჭრელი წინდა ჩაცმულები უცხოთ იმსახურებოდნენ და რაც დარბაისელთ სურდათ, იმას შეცქეროდნენ, იმათ ნებას აღასრულებდნენ, ანუ რომელს საჭმელს მოითხოვდნენ, იმას მიართმევდნენ წინა და სხუას აქეთ გადმოსდგამდგნენ, იქნება მეორეთ მოეთხოვათ.

მიმომსვლელი ანუ მიმო ნამლებელი მოსამსახურეები, ისინი კიდევ სხუანი იყვნენ.

მგონია თქუენც იცოდეთ. — როდესაც პირველად ღვინოს დალევდნენ, დალევამდინ ხელში დაიჭერდნენ ღვინის სასმისს ღვინით და ამ გვარათ დაილოცებოდნენ: დიდება ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე. ვინც პირველი გუამი იქნებოდა, ჯერ იმისას იტყოდნენ, მერე, იქ მსხდომელთ დარბაისელთ. თუ ღვდელიც უჯდებოდათ, იმისკენ: შენდობა მამაო. და ღვდელიც: შენდობილი იყვნეთ, ღმერთმა გაკურთხოსთ და მას უკან დალევდნენ.

მოჰყვნენ ღვინს და მხიარულებას. მართალია ერთმანეთს საჩხვლეს ეტყოდნენ რასმე, სულ ერთმანეთს ეთავაზებოდნენ, ერთმანეთს თავაზით ელალებოდნენ, ერთმანეთს არ ვანყენინოთ რაო. ამაში თავის მსმელი ამოარჩიეს, რომელმაც კათხა მოითხოვა: ეს სასმისი ყველაზე ადრე შემოღებულია საქართველოში, ამითი უფრო მიამებაო. დაასხმევინა ცოტა ღვინო და ვინც პირველი ღვინოელი გვამი იყო. ამ დროს მომღერალთა მრავალჟამიერ წარსტქვეს საეკლესიოს გალობითა. ეს რომ გათავდა, თავის მსმელმა ის ცოტა ღვინო დაცალა, მერე ნამოდგა, ერთს მართებულს გუამთან გადვიდა და დაცლილი კათხა მიუტანა, ისიც ზეზე ნამოდ-

გა, ის კათხა გამოართო, ერთმანეთს გადაეხვივნენ და ძმურად და-
ჰკოცნეს. თავის მსმელი, თავის მხარეს—აქეთ გადმოვიდა. ის თავის
ადგილს დაჯდა. ამან ვერცხლის თასი მოითხოვა, მოსამსახურემ
მიართვა, მინამ ღვინოს დაუსხამდა, ჩუენი სოფლიური საქართ-
ველოს სიმღერა დაიძახეს მომღერლებმა; ყველამ ერთიანად ბანი
მისცეს, იმ საუცხოვოს თქმას მოძახილს და ერთიანი ესე შეწყობი-
ლი ხმა სასიამოვნოდ გამოდიოდა, საუკეთესო მომღერლებს ყველა
ბოლოზედ დაისხამდნენ და ისინი იმღეროდნენ, რადგანც დარბაი-
სელთ აღარ შეშვენოდათ სიმღერა, თვინიერ ბანის მიდევნა.

მეორემ ღვინო რომ დაასხმევინა თასზე, როგორღაც გახდა, მო-
მატებული მოუვიდა თავის ნებაზედ, ეს იმისთვის სულ ერთი იყო, იმ
პირველი გუამის სადღეგრძელო, მრავალჟამიერი აღარ წარსთქუეს
მომღერალთა, რადგან აღარ იყო რიგი ამისთანა შექცევაში, ერთი
მრავალჟამიერის მეტი და ერთი სიმღერის მეტი კიდევ ეთქვათ,
მინამ გაათავებდნენ, ვისიც დაიწყეს, ამანაც დაიძახა, ღმერთმა
გადღეგრძელოსთ, თქუენ სადღეგრძელოს გაიხლებიო. დასაკ-
ვირველია, იმანაც მადლობა გადუხადა, მაგრამ სადღეგრძელო, ამ
უმღერალს დროსა სიამოვნის საუბრით ატარებდნენ. ხანდისხან
ზდილობიანს ლალობას გაურევდნენ, ცოტას ხანობით. ამ მეორემ,
იმ პირველის გუამის სადღეგრძელო რომ დალია, ღვინო დარჩა
თასში, ის წარჩენი თასით მოსამსახურეს მისცა, იმანაც დაანაჟუ-
რა სანაჟურეში. მერე მოიტანა, ისევ მოართვა, ესეც ფეხზე წამოდ-
გა და ერთს რომელსამე დარბაისელს გადუტანა. ისიც ზეზე ადგა,
მარდათ, რომლებიც ეგრეთ ერთმანეთს გადაეხვივნენ ძმურათ. მას
უკან ცარიელი თასი გამოართვა. შემდეგ ეს თავის ადგილს გად-
მოვიდა, დაჯდა, ისიც თავის ადგილს, თასი სუფრას დადგა, მაგი-
ერი კულა მოითხოვა, სადაც კულის რავდენიმე პატარა ვერცხლის
აბრებიც იყო მოტანილი სუფრაზე, ერთი ძაბრიანი კულა. მერეთ
სურით ღვინო მოიტანა და წანწკარით ჩამოუშვა ჭვრილ—წვრილად
გაფრთხილებით, უეცრად არ გადმოსულ იყო კულიდგან, რადგან
კულის ჩუეულება ის არის, რომ თუ არ გაუფრთხილდა, უთუოთ
გადმოიღვრება.

რალა გავარგძელო, სულ ამ რიგათა სუეს სადღეგრძელო ვისაც
რის სასმისით სურდა, იმით, ასე და ამ წესით შეექცნენ: ტკბილად,
დამშვიდებით, თავაზით, სიყუარულით და საამოს ძმობით.

პირუელის გუამის სადღეგრძელოს რომ მორჩნენ და იმანაც
მადლობა გადუხადა ყუელას: მადლობელს გახლავართ ბატონე-
ბო, ჩვენი სიყვარულიანი ძმობა განუყრელი იყოს მარადის. ამან

რომ ასწია დასაღვრად, ამ დროს მომღერალთ დაიძახეს ეგრეთვე საეკლესიოს გალობით: „მადლობელი ვარ“, ამის შემდგომ სხუების სადღეგძელო დაიწყეს და იმ წესით შეასრულეს ყუელასი, სხვა და სხვა სიმღერით და სხვა და სხვა მრავალჟამიერის ხმითა⁽¹⁾ თავის მადლობითურთ. ძუელს ამბებს ხომ ანგარიში არა ჰქონდა, რამდენი ილაპარაკეს სულ ერთი ერთმანეთზედ უკეთესი.

როდისაც სადილი გაათავეს, მოსამსახურეთა მოკალულნი სპილენძის ტაშტები და ალთაფები ნელთბილი წყალით სამსე მოიტანეს და დაჩოქილებმა მარანდულის საპნით დააბანინეს ყუელას რიგზედ, მაგრამ თეთრის საღვთტკით კი გაიმშრალეს, ეს ვნახე ევროპიული იმათი, სხვაკი არაფერი, მაგრამ სადილის ხელსახოცები, რომლებზედაც ხელებს შეინმენდნენ ხოლმე, ის კი ქონდათ და სადილათ სადაც წავიდოდნენ, ბიჭს წაალებინებდნენ თანა და სადილზე მართმევდნენ ხელების გასანმენდათ, სადაც წასულიყვნენ, ყველგან.

პირველად რუსების გადმოსვლის დროს საქართველოში — საქართველოს თავადებს სადილი გაუკეთა რუსის ღენერალმა კრონინლმა და დაჰპატიჟა ისინი. როდისაც იმის სახლის კარებთან მივიდნენ, ერთი თავადი შვილი მობრუნდა და თავის მოსამსახურეს დაუძახა:

— ბიჭო დამავინყდა, სადილის ხელცახოცი მომიტანე, ხელები შევიწმინდო ზედა.

— კაცო, შენი ხელცახოცი საჭირო აღარ არის, იქ სტოლზედ ყველა იქნება. აქეთ იქიდგან გაცინებით უთხრეს, რომელმაც მეც ამისათვის დავწერე ეს აქ. იმათი სადილის შემდგომ, კიდევ ცოტათ ისაუბრეს, მასუკან ზოგი მუთაქაზე მინვა, დაიძინა, ზოგი დორზედ და ზოგნი კი ისევ საუბრობდნენ, მაგრამ დაბლის ხმითა. ისინი არ გავალვიძოთო. მაგთენი არავის არ ეძინა, ჩქარა გაიღვიძეს და ისევ ლაპარაკს შეუდგნენ. საღამო ჟამამდისინ ასე გაატარეს დრო, მერე ჩაი² მოიტანეს, დალიეს, ბოლოს დაიშალნენ და ყველანი თავ-თავისას წავიდნენ.

ასე და ამ გუარათ იყო იმ ძუელების შექცევა და ჩუენი ყმანვილი კაცებისა კი ისე, როგორც ზევით გაიგონეთ, სადაც ბევრი ჩხუბებიც მინახამს იმათში და თვითონ მეც გადამხედვია.

ეს სულ მ . მ . . . შემოგვძღვნა ჩუენი ყმანვილი კაცების წასახ-

¹ საეკლესიო ხმის გარდა მრავალჟამიერისა, სხვა სოფლიურის ხმებიც არის ამაზე გაკეთებული და უკეთესი; მგონია გარეული ხმა იყოს. —

² ეს ჩაის შემოღება ევროპიული არ არის.

დენათ. იმისი და იმის დიდი სოვდაგრის მადლობელი უნდა ვიყვნეთ ყველანი.

ესეც შესანიშნავია რომ იმ დარბაისლებს, ის დიდრონი ჯიხვის ყანები არავის არ დაუღევია, სუფრის დასაშვენებლად ეწყო, განა არავის არ შეეძლო დაეღია, მაგრამ ვინ იკადრებდა მომატებულის ღვინის დაღევას? — აი რომელს შემთხვევაში იცოდნენ თავის გამოღება ღვინის მსმელობაზედ, ისიც იმათ, ვისაც შეეძლოთ და ვისაც არა, რომელი დაატანდა ძალას: დალიე, თორემ თავზე დაგასხამო. ის ჩუენი ძუელი ქართველები, ვინცკი შეიძლებდა, ამ ორს შემთხვევაში იცოდნენ ღვინის მსმელობა; ერთი ქორწილში და მეორეც ქიშპში რომ შავიდოდნენ მაშინ, მაგრამ მაინც კიდევ აუჩქარებით იყო ხოლმე იმათში სმა ამ რიგათ, ხან გამოშვებით, რომლებიცა თან იმღეროდნენ და თან წვრილ წვრილად სვამდნენ, ასე რომ, თუ სადილზე დასხდებოდნენ, სალამომდინ ისხდნენ და თუ ვახშამზე, ბევრჯელ კარგათ გაათენებდნენ.

მაშინდელმა ერთმა ყმანვილმა კაცმა ჰკითხა ერთს მართებულს ძველს ქართველსა, კარგს ღვინის მსმელსა, ჩემს ყმანვილობაში.

— დიდს სმაში, რა ერთი ღვინო შეგიძლიანთ დალიოთ?

პასუხი. — პირველს ღამეს ვახშმათ დამსხდარვართ ქორწილში, მინამ მზე ამოვიდოდა დიდრონის ჯიხვებით ვსვამდით, წვრილ-წვრილად და აუჩქარებლივ, სადაც ჩვენებური სიმღერები ბევრი იყო და დამშვიდებული მხიარულება, რომელთაც მეც და ჩემს ამხანაგებსაც, ჩემსავით მსმელებს, შეგვისრულებია, თითო ჩაფი. ასე მხიარულად, ასე წვრილ-წვრილად ისე დიდხანს, რომ გვისვამს, თან მოგვინელებია და თან ივდენი ღვინო იმისთვის დაგვიღევია, თორემ ერთს მოკლე სადილზე როგორ შევიძლებდით იმდენ ღვინის დაღევას? იმდენის ღვინის დაღევას, ვინ მიჰყვება ხშირად, თუ არ იშვიათათ, ანუ ვისაც თუ არ შეუძლიან, ვინ დაატანს ძალას: დალიეო. დიდი სირცხვილია და უზდელიობა. აი ჩუენი ძველი ქართველების ჩვეულება ეს არისო.

ახლა ჯვარის დანერის შემდგომ, — იმის შემდგომებიცა ვთქუათ აქა. იმის შემდეგ, მოსამსახურემ მოახსენა: ვახშამი ინებო. კაცნი წამოვიდნენ ცალკე, დასხდნენ და ქალები ცალკე.

ვისაც მსმელობა შეეძლო, ორად გაიყვნენ, ერთი ერთს მხარეს დასხდენ, მეორე იმათ პირდაპირ და ვისაც არ შეეძლო, ანუ არ უნდოდათ დაეღიათ, ისინი ცალკე დასხდნენ. მოსამსახურეთაც ვახშამი გაშალეს. რავდენსამე ლუკმის შემდეგ მოსახურემ ღვინო ჩამოგვიტარა ვერცხლის აზარფეშებითა და ვისაც პირველად მი-

ართვეს, იმან დაიძახა:

— ეჯიბო, მეფეს გაუმარჯოს. მეფე პირველს ადგილს იჯდა გვირგვინით და ეჯიბი გვერდით უჯდა.

ერთხმად. — გაუმარჯოს!

ახლა ეჯიბი. — თქვენც გაგიმარჯოთ.

ეჯიბისა რალა აღვინეროთ, თქვენც იცით იმისი ვალი და წესი, მხოლოდ ისევე ღვინის მსმელობისა გავიგონოთ.

პირველი აზარფეშის ღვინის დაღვევის შემდეგ, ორი დიდი ჯიხვი მოიტანეს, ერთი ერთმა მხარემ აიღო, მეორე მეორემ მხარემ და ვინც პირველს ადგილს ისხდნენ ერთმანეთის მოპირდაპირენი, იმათ ჯიხვები აავსეს ღვინითა და ამასთან ფეხზედაც წამოღვინენ, ამ სიტყვით:

— ეჯიბო, მეფის სადღეგრძელოს გიახლებით, ღმერთმა ადღეგრძელოს მეფე.

კიდევ ერთ პირად — ადღეგრძელოს...

ახლა ეჯიბი. — თქვენც გადღეგრძელოსთ.

ამ დროს მომღერალნი მოვიდნენ, მეფის წინ დაიჩოქეს და მრავალჯამიერ წარსთქვეს. ამ დროსვე მოპირდაპირეთაც ჯიხვები მოიღეს და რაოდენიმე ღვინო დალიეს. აქ დაჩოქილთ მომღერალთ, ჩვენებური სიმღერა დაიძახეს, — სიმღერა რომ გაათავეს, მომღერლები გადმოვიდნენ თავის ადგილისკენ და ვისაც ჯიხვები ეჭირათ ღვინით, ისინიც იქვე დასხდნენ.

შეიქმნა ლხინი, მღერა და ერთი ერთმანეთისაგან სიმღერების ჩამორთმევა; ხან აქეთ და ხან იქით, სადაც შიგა და შიგ ყმანვილკაცები ისხდნენ იმათგან სულ სხუა და სხუა სიმღერა. ამაში მოპირდაპირეთაც ჯიხვები დაცალეს, მასუკან ერთი მეორე მხარეს გადავიდა; მეორისა პირველს მხარეს გადმოვიდა და ვისაც რომელთან უნდოდა მისვლა, იმას მიუტანა ჯიხვი, ეგრეთ ძმობის დაკოცნითა, რომლითაც სხვათაც ამ სახით და ამ გვარათ დალიეს.

მეფის სადღეგრძელოს მორჩნენ, დედოფლის სადღეგრძელოც რომ ჩამოირიგეს, მეფე წაიყვანეს ქალებისკენ, სადაც დედოფალი პირველს ადგილს იჯდა, მიიყვანეს და იმის გვერდით დასვეს მეფის პატივისცემისათვის ყველანი იქამდისინ მიჰყვნენ, მაყრულის სიმღერითა, მერე გამოტრიალდნენ და თავ-თავის ადგილსვე დასხდნენ, რომელთაცა ისევე მოილხინეს ეგრეთ წავიდა ეს შექცევა, გულგახსნილის მოლხენითა, რომ იქ იმათში, უმანკოების მეტი სხუა ღვარძლი არა იყორა. შექცევით, არც დალაღულან და არც არავინ იქიდგან ნასულან დასაძინათ, ახლაკი შევამოკლოთ ეს ამბავი და

მოლხინეთა, რომლებსაც გაუთენდათ და მზემაც ამოყო თავი გორას იქით, ამათაც ერთმანეთს დაუკრეს: თვითომ ხუთ-ხუთი ნახევარ თუნგიანი ჯიხვი დავლიეთ, კარგი გვეყო ამასთან ფეხზედაც წამოდგნენ, დამშვიდებულნი, ერთმანეთის მადრიელნი. საიდგანაც კარზე გამოვიდნენ, იქ კმა საყოფელი ფერხული დააბეს ახალს ამოსულს მზეს ქვეშე, და შემდგომ ჩაიც ჩამოურიგეს მოსამსახურეთა.

დაიჯერეთ არავის არ ეტყობოდა მომატებული ღვინის დაღევა, სადაც ჩემს სიყმანვილეში იმ დროს მეც იქ ვიყავ.

ამ ამბისთვის ტოლუბაში მადლობელი დარჩა ჩემი.

თ. ალ. ვახ. ძე, ორბელიანი
11-ს ნოემბერს 1863-სა წელსა.

ქ. ტფილისს.

მოთმინებისაგან გამოსვლა¹

მხოლოდ მარტო ქურდობა და ამ გუარები არ არიან წინააღმდეგობა ქუეყნისა, არის კიდევ სხუა. სხუა რა? ვინც თავის საკუთრებას დაჰკარგავს. განა ჭკუაში მოგივიდა? განა გინდა ხელიდგან არ გაუშო? ემანდ როგორ ებლაუჭები, იქნება ძალაც მოიხმარო. ნახევარ ჩარექის მინაზე მინახამს, სისხლი მომხდარიყოს განა ესეც მოგივიდა ჭკუაში: ძალიან კარგათ უქნიათო.

ერთს ჩარექს მინაზედ, ესკი კარგათ დავისწავლოთ, რალა დავისწავლოთ, ენა, მკლავები და სრულიად აგებულება, რომ დაგვიდუნდეს, რა ვიქნებით მაშინ, რალა დარჩება კაცობისა ჩუენში? როგორ არა, დიად დარჩება; უენო უსიტყო, უქმი გონება, რომელმაცა ყველა უნდა თქუას, მაგრამ ვერას იტყვის; სიცოცხლისა სული უდგას მკუდარი ხორციით.

ჟანგიანი გროში რალათ გვიყვარს, ანუ ოქრო ვერცხლი, სულ ერთია? განა ამისათვის, რომ მოვიხმაროთ, როგორც დაგვჭირდება ისე? ამდენს თავსა რაზედ ვილლით, ისე პირდაპირ ვუთხრათ, რომ ორღესულსა სიტყვებს მოვერიდნეთ.

შესაბრალისო ჩუენო ენავ, არა სუელო ანუ ბრტყელო; ენავ ქართულო, რაზედაც ქართული სიტყვები გადმოდის შენზედ. აბა მითხარით, მთელს ქუეყანაზედ ვის მოსპობია საკუთარი ენა, რომ ჩუენი ენაც გავიცალოთ ჩუენგნით? რომელმა ქართუელმა უნდა ჰქმნას ეს? ყოველი ქართუელი ჩუენსა ენასა უნდა უფრთხილდებოდეთ, არ დავკარგოთ ეს საკუთარი ჩუენი ენა, მეტად კარგი ენა! აი ემაგ ენას ეთაყვანოს ქართუელთ მგრძნობელთ თავი, ამისათვის, რომ არც ერთს ენაზე ნაკლები ენა არა ხარ შენ — შენ მთელს ქუეყანაზედ. არც სივრცელით, არც სინმინდით, არც პატიოსნებით და არც არაფერი სხვითა. ეს ამისთანა ჩუენი ენა ქართუელებმა რომ დავკარგოთ, რა ვიქნებით? კაცობრიობასთან შემცოდე, ე. ი. ქურდზედ ქურდი. ჯანი ნაგვივიდეს, ერთმა ქართველმა თავისი საკუთრება რომ დავკარგოთ, სხვები მაინც დარჩებიან მთელნი, მაგრამ აქ საკუთრებასა ვკარგავთ ქუეყნისას, ჩუენს მამაპაპის ენას, მერე ვინა? იმ ქართველების შვილები, რომელმაცა თავისის სისხლით შეინახეს იმდენის საშინელის ბარბაროსებისაგან და ახ-

¹ აი რას ანბობს სოკრატ ფილოსოფოსი «ქონება–მდიდართა მზგავს არიან ეღვისა მის, რომელიცა აღმოეცენების კლდოვანსა და ძნელად მისავალსა ალაგსა, სადაც არა მისწვდებიან ხელინ კაცთანი და ნაყოფნი მისნი ფრინველთა და ყვავთაგან იქნებიან შესაჭმელი.»

ლაკი ამ განათლებულსა დროსა უნდა დავკარგოთ, ისევე იმ ჩუენის ძუელის მამაპაპებისაგან დანმენდილი ენა და ისევე იმათგანვე გადმოცემული ჩუენზედ ანდერძათ, რომ გაუფრთხილდეთ და დამკვიდრებულიცა გვქონდეს მარადის.

ქართუელები რომ დავეძებთ და უბრალოდ აქა-იქა ვეხეტებით ჟანგიანის გროშისათვის უსაფუძვლოთ, რით მოვიპოვებთ ამას? ჩუენის ჟურნალებით. იქ ინერება ყოველი კარგი და ნაკლულევიანება ჩუენი, საიდგანაც დაინახება კარგი და ავი, კარგი ვისწავლოთ, ავსა მოვერიდნეთ. აი როგორ ადვილია, მაშინ ცდაში შევალთ ყუელანი, ბევრსა ფულებს შემოვიტანთ და ამით გაივსება ჩუენი ქუეყანა.. იქნება აქამდისინ არ ვიცოდეთ, რომ მთელი ევროპია ჟურნალებით გაბრწყინდა, ამით განათლდა და ამით გამდიდრდა გასაშტერებლად! . .

ვინ ანბობს: კარგი მიმართულება არა აქუთო, არც ერთს ქართულს ჟურნალსაო, ეს მართალი არ არის. ორივეს მიმართულება საგანგებოა, მაგრამ ჩუენ ქართუელურს წრფელსა გულსა მალე რომ აჯერებინებს წინააღმდეგობა, ამისათვის კარგი არა გვგონია. როგორ არ არის კარგი, აბა რით არიან ცუდი, ფაკტად ქალაღზედ დანერონ და ვნახოთ პასუხის მიცემას შეიძლებს ვინმე და დამტკიცებთაც, თუ ვერა?

ვის რა ენაღვლება, ჟურნალმა რომ ჟურნალი გალანძლოს, ანუ მწერალმა – მწერალი. ანუ ჩუენსა საზოგადოებას მოსდონ ძლიერი სიტყვები, ღირსნი არა ვართ? მიბძანეთ, ჩუენს საზოგადოებაში რა არის კარგი? ამას გამწარებულის გულით ვიკითხამ, ცრემლით ავსილის ნაღვლით: ჩუენი თავის ცნობა გვაქუს? მოლაღატენი არა ვართ ერთმანერთისა? ერთმანერთის დამლუპავი? მხარის მობმა ვიცით ერთობისა? მე აქ მოკლეთ ვანბობ, აბა რით მოვიწონებთ თავსა ნამდვილს კაცობაში, ერთი მითხრან კარგი რამე? უბრალოს რაღაებასაც რომ ამოვიჩემებთ და ის ამოჩემება ჩუენის თავიდან აღარ გამოვსა, კარგი არ არის, მე ამას იმისათვის ვანბობ ასე გაბედვით, რომ მეც თქუენში ვარ გარეული, თქუენი მოძმე და თქუენი მახლობელი ყოვლის მხრიდგან. თუ მე ამას არ ვიტყვი, ვინ გაბედავს ამისთანა ყაჩაღანსა სიტყუებს, ამისთანა არეულსა დროში, ამისთვის, რომ თქუენი მახლობელი ძმობა მანევს.

მისახუედრი არ არის გონებისაგან, მიზეზი რა არის ჯავრობისა: ხელს აღარ მოუწერთ ჩუენ ჟურნალებსაო. რა არის საზოგადოს სავენებელი იქა? იმ მწერლებმა თავიანთი ხელობა დიახ კარგათ იციან. იმათი ხელობა არის კრიტიკა. კრიტიკა არის ზარაფი მწერ-

ლობისა. აქ ჩუენ რაო? ჟურნალებმა რომ ჟურნალი გალანძლოს, ანუ მწერალმა მწერალი, ეს გონებისაგან მისახუედრი არ არის, რომ აქ მართებდეს თავის გამოდება. მწერალი ჯადო ხომ არ არის, სვავათ გარდგვაქციოს? მაშ, მწერალმა რა ქნას, თუ არა თქუას თავისი აზრი? დავაცალოთ იმათ, ისინი ერთმანერთს ხელქუემ არ დარჩებიან, იმათ იციან, იქიდგან რა სარგებლობა მოიმკება თავის დროზედ, თორემ არც მე მიყუარს ლანძლუა, თუ არ გაჭირდა მეტათ, აი როგორც ეხლა, ეს ამისთანა უშესაბამო სიტყუებში გავბედე და მართალიც.

ამის შემდგომ, აბა ბძანეთ, ჩუენმა ჟურნალებმა ვის რა დაუშვა, ვის რა აწყენინა, რა არის იქ ცუდი? ცუდი არის ჩუენი ბოროტება, ის ამოსავარდნელი. ამის უსირცხვილო ყაჩაღანი სიტყუა ეს არის, რომ ის ბოროტება, ჩუენსა წრფელსა გუღსა ინადირებს, განაბულსა კაკაბსავით და ღავღავი გაგვაქს მალლის ხმითა: ჩუენი ჟურნალები არ ვარგაო, წარმოიდგინეთ, ვისაც ჩუენი ჟურნალებისა არა ნაუკითხამთრა არაფერი, ისინი უარესნი არიან. თავბედისა აღარა გავგებათრა, გონებით ვართ დაკარგულნი.

რადა ვწუხვართ, რადა ვჯავრობთ? თუ ჟურნალში არის რამე ცუდი, იმისთვის არის კრიტიკები და არც დააკლებენ ერთმანეთსა, გარედგან რომ არეული ყიჟინა გვაქს, გვეკადრება მერე? დავაცალოთ თვით მწერლებსა, იმათ უფრო უკეთესათ იციან, როგორც წაიყვანენ ჟურნალების საქმეს, ჩუენ სულ სხუანი ვართ იმათთან. საკვირველი ხალხნი ვართ ჭემმარიტად. ავდენს ჩუენს ნაკლულევანებასთან, ეს ბაიყუში პატივის მოყვარულობა რაღა არის? გვინდა ხარაზობაცა ვქნათ, მხატვრებიც ვიყვნეთ, ინჟინერებიც, ფილოსოფოსებიც, და ლიტერატორებიც, მაგრამ არც ერთნი არა ვართ, ვართ ჩუენ მკითხველები ჟურნალებისა: ჩუენი ხელობა ნაკიკითხოთ, იმაზედ ვილაპარაკოთ იქვე სახლში, კარგი და ავი იქვე უნდა ითქუას და სახალხოთკი აღარ გამოიტანონ, რომ ჩუენს ჟურნალებს არა დააკლდესრა. არამცთუ დააკლდეს, უნდა ვეცადნეთ, უფრო და უფრო წინ წავიყვანოთ, რომ ბოლოს დროს უენოთ არ დავრჩეთ, ჩუენი დაუხედავის წანკლიანის ენისაგამო. აი, ჩუენი მნიშუნელობა ეს არის მკითხუელებისა არამცთუ ორი, შეგვიძლიან ათი ჟურნალი გვექონდეს ქართუელებსა, ეს წანგარისებია, ღმერთს გეფიცებით, რომ სწორეთ ათი ჟურნალი შეგვიძლიან ჩუენი საკუთარი გვექონდეს, ოღონდ სურვილი იყოს ჩუენი. ამასთან მოთმინება და შემწეობა ჩუენი სიტყვიერებისა.

არა, ვის ვაყვედრით, ვის გამოჯავრებული ვანბობთ: ხელს აღარ მოუწერთ ჩუენს ჟურნალებსაო. ოჰ! გული თრთის ამ სიტყუებზე. ამით ჩუენს თავს დავაკლებთ, სხუას ვის, ეს იქნება ჩუენი თავის ცხადი მტრობა, მთელს ქუეყანაში ჩუენი შესარცხვენი.

ღმერთო! რა დაგიშავეთ, რა შემცოდებობა მიგვიძღვის შენს წინაშე ქართუელებსა, რომ ყოველს კარგზედ ჩუენი გონება დაბნეულია? ვიღა არის დარჩომილი მთელს ქუეყანაზედ, თავიანთი ჟურნალები არ ჰქონდეს? ასე გასინჯეთ, რომ ველურს ხალხსაც კი აქუთ თავიანთს ენაზე თავიანთი ჟურნალები. დრო არის, ავი და კარგი გავარჩიოთ, ქუეყნის მასხარა შევიქნებით, გარწმუნებ ამას და ძალიან საგიებელიც.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

ვაი, საქართველო

საქართველოვ, მართლა ვაი. ეს სიტყვა ჩემს დღეში არ მითქვამს შენზე. ახლა კი ვამბობ ხოლმე, ამიტომ ვამბობ ხოლმე, რომ შენი კარგი ბედისწერა შეკრულია, იმ თავიდგან აქამომდე. არ ვიცი რათ? ოჰ ღმერთო!

უნინდელი საქართველოს დროვ, ის შენზედ დადებული ხმალი შენს კისერზე, იმ უძლიერესის ბარბაროსებისაგან, იმთენს შენსა სისხლსა აკი სძლებდი, მოითმენდი დიდსულოვნად საქართველოვ!

განა გავიდოდა ოცი ანუ ათი წელიწადი, შენზედ ის ვაება არ ყოფილიყო იმ ღვთის მტრებისაგან? – უკანასკნელი ვაების დროებისა რაღა უნდავთქუთ აქ, იმის საშინელი ვაებანი ცხადია ჩუენში (მეფის თეიმურაზის და მეფის ირაკლის დრო).

იმთენს შენს მოთმინებასთან საქართველოვ მაინც იყავ ბედნიერი და გქონდა რამე დღესასწაულობა შენ.

ის დრო რა გუარი დროც იყო, იმ დრომ ჩუენ ვერ გადაგვიტანა, მაშინ როდესაც რომ გონების გახედვითა უთუოდ ჩუენ უნდა გადავეტანეთ ანუ გამქრალიყო ჩუენი თესლი სულ ერთიან, ამის, ნაცვლათ, ის ჩუენ გადავიტანეთ და დავრჩით ქართველები, ისევ ქართველებად, ისევ ჩუენს ბინაზე ეს შეიძლეს ჩუენმა მამაპაპამ და მეტიკი ვეღარ. ცოტა არის ესა? – ის დრო რაც იყო და როგორც იყო, დაასრულეს როგორმე აგკარგათა იმათ.

ის დრო რომ დაასრულეს, მეორე სხუამ დაიწყო სხუა დრო, ესე იგი განათლება, როგორც ეხლა ჩუენ უძახით ამ დროებას.

დიახ, ახლანდელი ჩუენი განათლების დრო. ეხლა რაღა უჭირს ჩუენს საქართველოს? – ჩუენი ყმები ჩუენგნით განთავისუფლდნენ, ამაზე მეტი კარგი რაღა საქართველოსთვის, ესესარის საქართველო გაბედნიერდა, ანუ აქედგან დაიწყება ბედნიერება ქართველებისა, წყნარა, წყნარა, ნელა. ასე ამბობს განათლება.

მართლა ასე არის, თუ ბოლო დროს ჩუენმა ერთმანეთის მოშურნეობამ ორანგუტნებათ არ გადაგვაქცია? –

განა ჩემო ძმებო ამ სიტყუაზედ ყურს არ მიგდებთ, თუ მამიგდებთ, გიჟს მეძახით და შემცდარსა? – მამ დაჰკარით ტაში, გავიხაროთ, დავტრიალდეთ, ვითამაშოთ ფანტურის ჩხაკაჩხუკზედ, ეს ეპოხა მივულოცოთ ერთმანეთსა.

რით მიულოცოთ: ვარდის კონითა, თუ ფიშიამი დაუკმით ამ ეპოხას? – არა, წარვედ შე – ოცნების ფიქრო, ეს შენი ფიქრი ამაოა, იმიტომ ამაოა, რომ შურის ვნება სძალავს ჩუენს გონებას და ყოველს ჩუენს კეთილ მდგომარეობის მიმართულებასა უშლის, რომელმაც ჩუენმა მოშურნეობამა უნდა მოკლას საქართუელო, ასე უსვინდისოთ და უსამართლოთ, რომ სულერთიან ამოვარდეს ჩუენი გუარი, გაჰქრეს ჰაერში, ჩუენი ხსენება აღარ იყოს ქუეყანაზედ.

ამას საერთოთ ვერა ვხედავთ, ბრმები ვართ ჩუენ–ჩუენ ყველანი დიდით პატარამდინ.

ამ მართლისათვის თუ გასწყრებით, გამლანძლავთ, სხუა რა? – რას ვინაღვლი, მლანძლეთ, რაც შეიძლოთ, ოღონდაც კი ერთხელ მაინც, აი თუნდა ეხლა, ის შურის ბოროტება რომელიც რომ დასწოლია ჩუენს თავსა და გონება ჩუენი დაუბნელებია, აბა ის როგორმე თავიდგან მოიხადეთ და გონება გადაავლეთ, რას დაინახავთ? – დაინახავთ დასდასობით შურსა, ჩუენს ქუეყანაში მოფენილსა, რომელიც რომ ყოველს სახლში შედის და გამოდის თავისუფლათ: საქმობს და დღესასწაულობს, ისე როგორც უნდა.

რა ამბავია თქუენი ჭირიმეთ ჩუენს ქვეყანაში, რომ შური არის ჩუენი სიამოვნე, ჩუენი ნუგეში, ჩუენი დროების განმატარებელი და ბოლო დროს ჩუენი სიცოცხლე? – აი ამით მოგვწონს თავი და გაამაყებული ვართ ყუელანი (!).

კარგს წმინდას ერთობის სიყუარულსა შურზედ ვცვლით, იმ შურზედ, რომელიც რომ არის ჩუენი აუცილებელი უბედურება. ასე ვხედავ მე მოხუცი, ყოველს გამოცდილებაში გამოვლილი. ახ, შენი ჯავრი მოშურნეობისა მაცთურებაგ...

ბერიკაცი
9ს აპრილს, 1866სა წელსა
ქ. ტფილისს.

საქართველოს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი კირიკოსიანი და მე

ივანე კერესელიძე!

ნათქვამია: თუ შენ ისე გგონიაო, რო რასაც შენ სხუაზედ იტყვი, შენი ნათქვამი არავის ენყინოსო, არც შენ უნდა გენყინოს, რაც ითქუას შენზედაო. ასე ივანე ჩემო ძმობილო.

კაცმა რომ თქუას და ბოლო დროს ის თავის ნათქვამი ვეღარ აღასრულოს, ის კაცი დასაძრახი იქნება. მე დაპირებული ვარ კრიტიკა დამენერა შენზე და კარგათ გეხსომება ამას წინათ პირათაც ვითხარი: იქამდისინ არ უნდა მიგეყუანე მე შენზედ კრიტიკა დამენერა მეთეი. რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის. იქამდისინ მიმახწევინე, უთუოთ ასე უნდა მექნა, მაგრამ ახლა ვნახოთ, როგორ მიიღებ. შენ დასამწყსუელად თუ მტრულად? – მეკი ასე ვხედავ, რომ მეგობრული შენი დასამწყსუელი იყოს, შენი თავი დაინახო მაგაში, შენი ხასიათის ვასაკეთებლად და როგორც კი მე შენ გიცნობ, დარწმუნებული ვარ, მტრულად მიიღებ. რა ვქნა მაგ შენს აზრზე დაემყარე, მეც ჩემი სიტყუა აღმისრულებია.

როგორიც იყავ ჩემთან სვინაო

ასეთიც ნახვალ შენა შინაო.

თა ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

ასე არის წარმავალი სოფელი, ეს უპირო. დღეს გამეგობრობენ, ხუალ მტრები არიან. დღეს თავს უკრამთ ერთმანეთსა, ხუალ პირს გარიდებენ, დღეს კარგს ლაპარაკობენ შენზე, ხუალ გძრახვენ და სხვანი. მასუკან შეხედავ, ნახამ ასეა, გაიკვირვებ: რა ანბავიაო? მერე იკვლევ, გამოიკითხავ, შეიტყობ მტრების ქორებსა, იტყვი: ჰოო, თურმე იმათგან არისო. მტრებზედ ვილა რას იტყვის. ვისთვისაც ბევრი კარგი გინდოდა, თურმე ის უარესი ყოფილა. რა გაეწყობა ამ უპირო სოფელს, ასე ყოფილა და ყოველთვის ასე წავა. აი, როგორც ჩვენ კარგსა მეგობრებსა. დიდ სიყუარულსაო დიდი სიმძულვარე მოაქვსო. მე და კერესელიძეს რა მოგვიხდა. მამ ამის მიზეზი რა არის, თუ ეს უპირო სოფელი არ არის?

იქნება დასაძრახი ვიყავ, კერესელიძესთან საქმე დავიჭირე, ქართველების ჟურნალის საქმე „ცისკრისა“. მე ვიცი ყოველი კეთილგონიერი კაცი არავინ არ დამძრახავდა, ჩერჩეტების მეტი.

ეს მეთე წელიწადია, რაც ჩვენი „ცისკარი“ მოდის კერესელიძის ხელში, ერთხელ როდისმე მითქვამს ძვირი კერესელიძეზე? – ჩემი იმაზედ ლაპარაკი ცისკარში წაიკითხეთ, როგორი მოსარჩლე ვყოფილვარ მე იმისი. ამასაც ვერ დავმალავ, მე იმისი ნაკლებულობა არა მეთქვას რა. დიახ, მითქვამს, მაგრამ სუბუქათ, ისიც იმის მახლობლებთან, სწორედ იმ განძრახვით, უთხრან: თავის ნაკლულეგანება გაასწოროს, ისიც მაშინ, როდესაც ურჩევდი, არ დაიჯერებდა და იძულებული იმის მახლობლებს ვეცყოდი.

ჩვენში იტყვიან: ჩემს ხელში დაიბადაო და ჩემს ხელში გაიზარდაო, ისე კერესელიძე ჩემს თვალს წინ, თითქმის ასე იყო. შევხედავდი ყმანვილს ბიჭსა, რომ ხშირათ ხელში წიგნი ეჭირა და გულმოდგინედ სწავლობდა, დაუძახებდი: ისწავლე შენ გაზდას, ეგ ბევრს კარგსა მოგცემს. იმ დროს ისინი ჩვენზედ მახლობლად იდგნენ. შემდეგ, როდისაც ღიმნაზიიდან გამოვიდა, რიგიანი ყმანვილი კაცი ჩანდა და მერე ხანი რამე გამოვიდა ჩემს ქვემოთ სახლშიაც დადგა ქირით და ახლა აქედგან დაიწყო ჩვენი კარგი მახლობლობა, რომელთანაც ხშირათ ჩავიდოდი და ვამბობდით, ზოგს რას და ზოგს რასა, ჩვენ ქართულს სიტყვიერებაზე.

ერთხელ მოვიდა მითხრა: „გ.ე. „ცისკარის“ რედაქტორობაზე ხელს იღებს, სოფელში მიდის, არ ვიცი თქვენ როგორ მიჩვევთ, მე მინდა რედაქტორობა ვიკისრო და ჟურნალი „ცისკარი“ გამოვცე? –

–თუ შეგიძლიან, მაგ საქმეს შეუდეგ და მეც მოგეხმარები მეთქი. სადაც ცდა რამ უნდა იყოს, იცოდეთ კერესელიძე იქ არ დაიძინებს, უნამეტნავეს საქმესაც შეასრულებს და როდისაც სრული საქმე უნდა წაიყვანოს, წაყვანით კი წაიყვანს, მაგრამ სულ არევით, თავის ეჭუებისაგან, რომ თავის მახლობლებზე ფიქრობს: ჩემი სახელი ერთი მცირედი მაინც იმათ არ მიითვისონო და ამით ჩემი სახელი არ დამდაბლდესო. რა მიზეზითაც მოსდის, შემდგომში შეიტყობა, რომელიცა ყოველი იმისი გონებისა ძალა ამაზედ არის მიმართული და თუ გნებავთ სხვაც შეიტყოთ, ანგარებითაც მოსდის. *მაგრამ ეს კი უფრო ცოტა არის იმ პირველთან* ესენი იმას აღარ ასვენებენ. მის გამომცემს უნდა თავის მახლობლები სულ ზედ წაიგლისოს და ვერც შეამცნიონ. *ბოლო დროს აქეთიქით ტრაბახობდეს ჩუმათ: სულ მე ვარო.*

რაც მე ვიცი და იმის მახლობლებს ვიცნობ, იმ თავის ხასიათის გამო, ერთი არავინ არის, არა ეწყენინებინოს რა, ჩემი ხომ თვე არ გავიდოდა, არ ეჩხვლეტა ჩემთვის უსამართლოდ, არ იქნებოდა, მაგრამ ეს კი კარგი იყო ხოლმე, ისევე მალე შევრიგდებოდი.

ახლა კიდევ გამოვიდოდა თვე, კიდევ ისე ავიშლებოდით, კიდევ ისე შევრიგდებოდით. მე და კერესელიძის საქმე ახალს მთუარეზედ იყო დამოკიდებული, მინამ დაძველდებოდა კარგათ მშვიდობიანათ ვიყავით და როდისაც გაახლდებოდა, ჩვენი ჰაერიც გამოიცვლებოდა.

ეს ამბავი ასე რალათ გავაგრძელო, შეუდექით „ცისკრის“ საქმეს, კერესელიძე თავისებურათ ცდითა და მეც აქეთ იქით რაოდენ შევიძელ, თუმცა იმის რედაქტორობა გაგრძელდა, მაგრამ მაინც ბოლოდროს *პეტერბურლიდგან დაუმტკიცდა, საქართუელოს ცისკრის ჟურნალის რედაქტორობა*, რომელსაცა ბევრმა მიულოცეთ დიდის სიამოვნით და ხელმწიფის კეთილი ყურადღება მადლობით ვიგრძენით.

გამხიარულებული და თავმონონებული კერესელიძე საქართველოს სიტყვიერების რედაქტორი შეიქნა, მასუკან ვთქვით მე და იმან: რა ვქნათ, როგორ მოვახდინოთ ჩვენი ჟურნალი რიგიანათ გამოიცეს და წამკითხველებიც ბევრნი იყვნენ, რომ „ცისკარი“ მოითხოვონ? ასე გადავწყვიტეთ. ჯერ იმან განცხადება გამოსცეს, ყველამ შეიტყოს, „ცისკარი“ ჟურნალი უნდა გამოიცეს და თუ ამით ხელისმომწერნი არ იქნენ, მერე მე ბროშურა გამოვცე. შეუდექით და ესეც ასე შევასრულეთ.

ბოლოს რას ცდით და რას ყოფით ჩვენი ჟურნალი გამოვიდა საზოგადოთ, მაგრამ ერთს რასმე გთხოვთ გაიგონეთ და ნურც დამძრახავთ, მოკლე სულობით არ მამდის, იძულებული ვარ. რა ვქნა, თვით კერესელიძე მე არ მეშვება, ჩუმათ ძალიან იცემება შაშარს ჩემზე და მეც ადამიანი ვარ, უნდა მეც იმაზედ ვთქვა რამე, თორემ თვით იმას პირუტყვი ვეგონები. მე ხომ იმასავით კუთხებში არას ვიტყვი, როგორც ის ლაპარაკობს ჩემზე, მე პირდაპირ ვიტყვი, რაც რიგია და მართალი. აბა ბატონებო, ჯერ იმ კერესელიძის, განცხადება ნაიკითხეთ, როგორის ქართულის ენით არის დაწერილი? – გეგონებათ: მონასტრიდან ახალი გამოსული დიაკვნის წერა არისო და მასუკან ჩემი ბროშურა ნაიკითხეთ? მე ამის მეტს არას ვიტყვი, ერთს მართებულს სახლში, სადაც მე ვიყავი და ამ დროს სხვანიც ბევრნი იყვნენ, ერთი კარგი ქართველი, ქართულის მწერალი გვერდით მამიჯდა, მითხრა: თქვენი ბროშურა წავიკითხე, მამეწონა, სწორეთ ჩემსავითა სწერთ მდაბიურათ, სწორეთ აგრე უნდა ქართული წერაო. ამასთან თუალებში ყურება დამიწყო, უნდოდა მეთქუა: დიახ აგრეა, თქვენსავითა ვსწერ მეთქი და მას უკან კიდევ დამებეჭდა. მაგრამ ხმა არ გავეცე, პირსათნოება სხვების წესია და

ამის შემდეგ მტერიც შეიქნა ის ჩემი. მე იმის სახელს რომ არ ვანბობ, მაქვს მიზეზი.

ეს ნურავის გეგონებათ, მე თავს ვდებდე მწერლობაზე, მე მწერალი სულ არა ვარ, მაგრამ ამას კი მოვავგონებ კერესელიძესა, რომ შემდეგ იმ ჩემი ბროშურისა, ჩვენი მდაბიური წერა მაშინ შემოიღო უკერესელიძემ, რომელსაცა მე კი სირცხვილათ მიმაჩნია, ვთქვა: ჩვენი მდაბიური წერა ეხლა იყოს შემოღებული. ეს წერა დიახ დიდი ხანი არის ძველადგანვე შემოღებული საქართველოში და თუ გნებავსთ ახლანდელი დროის წიგნები წაიკითხოთ სასიამოვნოს მდაბიურს ქართულს ენაზედ დაწერილი ამ ახლოს დროში ესენია: დილარიანი აზნაური პეტრე ლარაძისაგან და ბარამიანი თა სვიმონ მაყაშვილისაგან და სხუანი. ეს ორივე დიდრონი წიგნებია, რომელი-საცა ამ წიგნების სუნი არც კი მისდენია კარგს რედაქტორს კერესელიძესა, არამც თუ იმათი იცოდეს რამე, არაფრისთანას რომ არ ეძებს, არც ეცოდინება.

ხომ გაიგონეთ საქვეყნოთა ვთქვი: მე მწერალი არა ვარ მეთქი. ვაი, თქვე ჩემო წინააღმდეგებო, თქვე გაუგებელნო, თუ მე ვწერდი რასმე, „ცისკრისათვის“: ბევრი და ღონიერი დასი ყუანდეს მეთქი, თორემ ჩემი ისტორიული აკტები, როცა უნდა იყოს, სულერთია, იმის სიმართლეს და სიმტყუნეს კარგი მემსტორიე გამოაჩენს. თუ მე მწერლობაზე თავსა ვდებდე, ჩემი ზოგიერთი სტატიები რომ არ დამიბეჭდა რედაქტორმა, უკმაყოფილებას ვეტყოდი, სიმართლეს მიმიძლოდა, მაგრამ სულ არა მწყენია მერწმუნეთ. ამასთან ესეც უნდა ვთქვათ, არც კარიდგან კარზე დავდივარ, დასი შევიძინო და არც იმას ვეძებდე, ჩემზედ კარგი ილაპარაკონ, მე იმას ვეძებ, ჯერ ჩემი სვინიდისი წმინდა იყოს და მასუკან ქართულს ენას, რომ იმის სიტყვიერება ქართველებში დამკვიდრდეს. ამ ჩემს ორს განძსა მე ვერავინ ვერ გამამაცლის, ეს არ არის ფარისევლობა და არც ტრაბახობა, ეს არის სწორეთ მართალი. *მაგრამ არა, რაც ჩემს სვინდისსა შეეხება, უცოდველი მხოლოდ ერთი ღმერთი არის. მეც კაცი ვარ, მეც მაქუს ცოდვა, ასეთი ცოდვა, რო თუ ჩემი მახლობლები მკითხავენ, ყველას ვიტყვი. აბა ახლა რა ვთქუა ამის მეტი, რომ სულ ჩემზედ ილაპარაკონ, ილაპარაკონ... მეც მოუთმინო, მოუთმინო...ერთხელ მეც ხომ უნდა ხმა ამოვიღო ცოტაოდენი მაინც, იმ ჩემს მტრებზედ, იმ ხასიათით გაფუჭებულებზედ, რომლებიცა სუბუქკვიანებსა ალაპარაკებენ ჩემზედ?—გაიგონეთ: ხასიათით გაფუჭებულებიო?. სხუა არა იყოს რა, საშვილიშვილოდ დარჩება ჩემი წინააღმდეგების ცილი ჩემზედ, ამისთვის ჩემი თავის მოვალე*

ვარ, ჩემი სიმართლე და ჩემი პატივი დავიფარო. მის შემდგომ მე იმათაგან რაღა უნდა მენწყინოს? – არ გაგიგონიათ: ვირისაგან ნიხ-ლი არ უნდა გენწყინოსო? ვიცი ბევრნი რაღაღებსაც ლაპარაკობენ ჩემზე, დეე, იმათ რაც უნდა ილაპარაკონ, მე იმათგან არა მენწყინება რა, მაგრამ მე კერესელიძისაგან როგორღა მოველოდი? რჩევას ვეუბნებოდი ხოლმე, უშლიდი კიდეც თავის ნაკლულევანებას, რა არის იმისაგან იმისთანა ამპარტავნება, რომ ჩემგნით ისე ძალიან სწყინდა? რასაც ვეუბნებოდი ჩემთვის ხომ არა, იმისთვის. ანუ თუ ეს არ უნდოდა, ნუ დაიჯერებდა რასაც ურჩევდი, უკან რაღასა მდევს უკადრისის გაკიცხვითა მაგრამ რა არის იმისი უზომო თავ-ხედი ამპარტავნება, რომ რატომ ყოველთვის იმის ბამბურაზედ არა ვთამაშობდი და რატომ სულ: ბატონი ბძანდები, რაზედ არ მოვახსენებდი, თითქმის ესეც გამოსცადა ჩემზედ სხვა რაღა უნდა კიდეც. იმის ღუანლს და იმის ზრუნუას ხო არავინ ეცილება, რაც იმას „ცისკრისთვის“ შრომა გაუნეგია, რომ თავის ჩრდილისაც ემინიან, არამც თუ სხვებისა? – უსვინდისო იქნება ვინც ამას იფიქრებს, მაგრამ არც ჩემს სახელს უნდა სთხრიდეს უსამართლოთ (მე მოსპობას აღარ ვანბობ). რომ რაც მე „ცისკრისათვის“ ვყოფილვარ ის გააქროს, მე ხომ არაფრისთანა ვანბობდი, იძულებული რათ გამხადა თავის უკადრისის ტყუილების გაკიცხვითა, რომ მეც თავი უნდა გამოვიდო? ვისაც რა უნდა ეთქვა ჩემზე, ის კი არ მემართლებოდა. ის რომ დაჩუმებულყო, ხმა არა ამოელო რა ჩემზე, მეც გავჩუმდებოდი. მე პატივის მოყუარული არა ვარ, თუნდა იმისათვის ბრილიანტის გვირგვინი დაედგათ, შემოგფიცამთ დიდათ მიამებოდა, ამიტომ რომ იმისაგან ბევრსა კარგსა მოველოდი ჩვენის ყურნალისთვის, მაგრამ აი რა არის იმისთანა უსამართლობა, რომელმაცა აღარ მოასვენა და თვითონ იმანვე მიმიყუანა იქამდისინ, რომ იმისი სისუსტე გამოცხადდეს, უფრო ამისთვის, რომ იმისმა ხასიათის სისუსტეებმა, ჩვენს ყურნალსა დიდათ ავნო. აი, ეხლა გამოჩნდება იმისი სისუსტე ნაკლულევანება, იმის ატაცებულის სიყვარულით არის და პატივისმოყუარეობითა, რომლებსაგანაც რაღაც დიდრონი ფანტაზიები გამოუხატავს თავში, მითამ რაღაც განსხვავებული რამ იყოს, რადგან რედაქტორი ბრძანდება ცისკრისა!... არა, თავის იკლიკანტურებით რომ უნდა ისე მაღლა გამოიჩინოს თავი, ლიტერატურობის მწერლობაში ხომ რასაკვირველია, აბა რომლის თავის კარგის ნიჭით უნდა მოახდინოს ესა, ანუ საიდგან, როგორ? განა კერესელიძის დიდების მოყვარულობაში სამძღვარია რამე!... იმის ანგარება, ხომ ნაქებია და განთქმული,

მაგრამ საცოდავსა მაგთენი კი არა უჭირავს რა ხელში, რომ იყოს სათქმელი, სულ თავისგნით, თავის დაუხედაობით უფრო დიდ გაჭირვებაშია, მინამ რიგიანათ იყოს. სულ თავისგნით, თავის დაუხედაობით არის ესა. რას შვრება და რას არა, რიგიანი არა არის რა.

ბევითაც ვთქვი და ეხლაც ვიტყვი რომ იმის ღუანლს და იმის ზრუნუას ვერავინ წაართმევს მეთქი, ამაზე მეტი კი არაფერი. აბა გვითხრას, რომელშია დახელოვნებული, რაც რედაქტორისათვის საჭიროა, რომ თავი ისე მაღლა მიაჩნია თავის ქვეყნის ისტორიით, თუ თავის ქვეყნის წიგნები წაუკითხამს რამე, ძუელი, ანუ ახალი? – ჩვენი ხალხის თვისებანი, ანუ იმათი ხასიათი იცის რამე? – ევროპის დიდრონი კაცებისა სიტყვიერებანი, ანუ ისტორია ევროპიელი დიდრონი კაცებისა წაუკითხამს? იქნება კი ცოტა რამე წაეკითხოს: როგორც წვეთი ზღვაში გადავაგდოთ. აუცილებლად რედაქტორმა ესენი უნდა იცოდეს, თორემ უამისოთ რედაქტორი სულ არ ვარგა. სრულებით რომ არ იცოდეს, ნახევარზედ, ანუ მეოთხედათ და თუ ამთენიც არა, მრუდათ მაინც, ანუ უღონობის ღონით ვიტყვი, მეოცედათ, შემთხვევამ რომ მოიტანოს, არა გამოეპაროს რა, ნამეტნავად თავის ქვეყნისა, თორემ ძალიან დასაგმობი იქნება. ამასთან გამოჩენილი დაუნერია რამე, რომ ის გავიკვირვოთ? იქნება სალაცხოს ფურცლები ზოგიერთებს რომ მოსწონთ, მართლა კარგი იყოს? რა არის იქ კარგი? ის არის უბრალო ლაზღანდარობა, პომლოსტეს რუსულად წერია ანუ წინ დაუხედავი ლანძღუა, რომელიცა ის ლაცხობა კარგს ვერას ასწავლის ვერავის, ამისთვის მოკლეთ უთხრათ, რაშია აქვს დიდი ნიჭი!

არის დიდი ინტრიგანი, ესე იგი დიდი შურისმძიებელი! ამის მიზეზები არის ის ატაცებული თავის სიყუარული, პატივის მოყუარულობა და ის იმისი ანგარებაა, რომელიცა ამათგან დიდათ ვნებულია. *ვერა ხედავს, რასა შვრება, ავს თუ კარგსა, აღარ იცის, მაგრამ ბევრს საქმობს და ცდაშია ინტრიგებისავან და ამისთანა სისუსტეებთან.* ერთი ბენო მოთმინებაც სულ არა აქუს და არც ერთი მცირედი მშვიდობის მყოფლობა და თუ ცოტათ აწყენინა ვინმემ, სავენებლად არ დაინდობს კაცსა, არამც თუ სხუა გარეშეს – რაც უნდა კეთილმოქმედება ჰქონდესო კერესელიძეზე, არც იმათ. რედაქტორი ამისთანა უნდა იყოს, რაც ის აღინერა აქა? – სიმართლით რომ შვრებოდეს, ვიტყვი: მართალი არის, მაგრამ სადა აქვს იმას ეს? იმის სიმართლე თავის ინტრიგებია, თავის ინტერესისათვის.

რედაქტორი იმისთანა მომთმინო, მართებული, დამჯდარი და გავითარებული გვინდა, რომ ოცჯერ აწყენინონ, ერთხელ წარბი

არ შეიხაროს, თუ არა და ერთს მცირეს საქმეზედ აფხუკიანდეს, იმ დროს გონება, თავი დაკარგოს და მაშინვე დაუხედავათ გამოიმეტოს კაცი. თუ ვიცოდეთ კარგი და მართალი კრიტიკოსი იყოს, დავემონუმბით: სწორეთ აგრე არის, თუ არა და თავში რაც მოუვა, ერიჰა გააბამს და სწერს გაუკითხად, აღარ იცის ტყუილი და მართალი სად არისო, ანუ აქედგან რა გამოვაო? ერთხელ, ერთს შეყრილობაში მე კერესელიძეს ვესარჩლებოდი და ზოგიერთნი იმას ძალიან გმობდნენ იმის გამოცემულის სტატიისათვის. მაშინ მე იმათ უთხარ დასამშვიდებლად, ვიცოდი ეს სიტყვა იმათ დაამშვიდებდა: ეგ ხომ კერესელიძის სტატია არ არის, ეგ ამა და ამ თავადისაგან არის მეთქი. ამაზედ ყველანი დამშვიდდენ. აგრე ისე უნდა დარწმუნდნენ საზოგადოება კერესელიძეზე, როგორც იმ თავადზე, ცუდიც რომ დანეროს, ავათ არ მიიღონ. ეს ხომ თავადობაზედ არ არის, ეს ის არის, ის თავადი კერესელიძეს ჯიბეში ჩაისომს წერაში და კაცობითაც ძალიან შორს არის კერესელიძეზე, თუ არა და კერესელიძის ჭორი ატყაჭუნე რა მოსანონია, ანუ ვინ, რომელი უნდა დააყენოს კარგსა გზაზედ, თავის ჭორი ატყაჭუნობითა? *თუ გამომეტება კარგია, აბა ეს წერილი ნაიკითხოს და ვნახოთ ამის შემდგომ რას გულზედ შეიქნება უფალი რედაქტორი?*

ამდენი ნელინადია კერესელიძეს შევყურებ, ეგება იმისაგან კარგი ნაყოფი გამოსულიყო რამე, და ჩვენი სიტყვიერება დანინაურებულიყო, რომელიცა ამაზედ ვიბრძოდი ყოველს იმის წინააღმდეგობასთან, ნამეტნავად ქართულის ენისათვის უფრო მომატებული ვალი მქონდა, *ასე ჩემის თავდადებით, მაგრამ არა იქნა რა. ვერა გავიყვანე რა კერესელიძეზე, ვერა ჩემი რჩევა. ამისთვის ახლა ყველას წინაშე უნდა აღვიარო, მე იმაში შემცდარი ვარ. მაგრამ მაინც იმისაგან კარგი არა გამოვიდარა, კონტრებისა და ინტრიგების მეტი. ეს კი არის ჩვენთ სანუგეშათ იმ კერესელიძის გამოცემულისა „ცისკრისაგან“, რომ როგორც ჩვენში იტყვიან: სულ არაობასაო უღელი ხარი სჯობიაო.*

დეე წაიყვანოს, როგორც უნდა იყოს, იქნება ერთს დროში გამორჩნდეს რიგიანი ვინმე, მაგრამ მაშინაც ეს არის ძნელი, რომ კერესელიძის ჩუმსა და მოხერხებულსა ინტრიგებს ვინ გაუძლებს? თუ მე არ ვიქნებოი ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ის ამისთანა კაცია.

ნათქუამია, ცოდუა გამჟღავნებული სჯობიაო. მომიტევეთ, თუ მე იმაში შემცდარი ვარ. იმ უფალსა კერესელიძეში. ქუეყანაზედ ბევრი შეცთომილება ყოფილა, ესეც იმაში იყოს, ნუ დამემდურებოთ?—

ამაგებს მე გაჯავრებით არა ვწერ, ვწერ დამშვიდებულისა გულ-
ლით, რომ ვიცი ყველას ამას თავის თავში დანახამს თვითონ ის:
მართალიაო და პირათ კი იტყვის თავის ჩვეულება არ დაკარგოს:
ტყუილიო. ამასთან რამთენს რაებსა იქს, ანუ იტყვის, თუ შემცნევა
იცის ვინმე გაჰკვირდება!

*გასაკიცხათ არ გავემეტები, ეს ამბავი, ეს დაწერა არ მამა-
გონდებოდა, სწორეთ ვიტყვი, თუ გინდა ვარსკვლავებით, ბრილ-
იანტით გადქედათ ისა, მაგრამ იმის უსამართლო განკიცხვამ
შემძრა; არა ჩემმა თავის მოყუარულობამ – იმისმა ნანკლიანმა და
სიცრუით გატენილმა ენამ.*

*მომეტებულად აღარ გავავრძელებ. თუ ამის პასუხს დამინერს,
მასუკან იმის ამბავს გავარკვევ ცისკრის ჟურნალზედა როგორც
გაუვლია საქმეს. ვიცი, ამაზედ იმას ხელი არ შეუკრთება, რადგან
ფართო შარა იმასა აქვს ხელში დაჭერთ ჩახერვილში ნუ ჩამიჯ-
დება და იქიდგან დამალული ბრუნდეს ისრით სროლას ნუ დამინ-
ყებს შხამით მოცხებულისა, რაც უნდოდეს, პირდაპირ დაბეჭდოს
ჩემზედ.*

მე კიდევ ამას ურჩევ და ურჩევნია კიდევ, რომ ეს წერილი ხშირ-
ათ ნაიკითხოს ხოლმე, ეგება ყველაფერში გაისწოროს ხასიათი
და ის ატაცებულობა, თუ ქართული სიტყვიერებისათვისა კარგი
უნდა, ანუ „ცისკრისათვის“. მე ეს შიშით არ მამდის, რომ არ დამი-
წეროს რა, არა; დამინერს, დაუნერ და მასუკან კარგი მსაჯული,
ესე იგი კარგი მოკრიტიკე გაარჩევს მართალს. მაინც ენა და ხელი
ხომ არ უკრთება ჩემზედ, ქვეშქვეშ, ჩუმათა დამინეროს, ოლონდ
კი თავისებურათ ჩახერვილში ნუ ჩამიჯდება და იქიდგან დამალუ-
ლი ბრუნდეს ისრით სროლას ნუ დამინყებს შხამით მოცხებულსა,
რაც უნდოდეს პირდაპირ დაწეროს ჩემზე თვით თავის სახელით,
კაცობა და პატიოსნება ეს არის, სხუას ნუ იმძღვარებს წინ ხელთ-
მძღუანელად. მე სიტყვა „მამაცხონებულს“ არავის ვაკადრებ. ამას
ჩვენი ძველი გლეხები ერთმანეთს ჩხუბში ეტყოდნენ, ანუ ჩვენი
მებატონე გაჯავრებული ყმისაგანა, ყმას ეტყოდა: „მამაცხონებუ-
ლო“, ეხლა სხუა რიგათ არ გაურყვნიათ პირი. ეს არ იცის და არ ეს-
მის კერესელიძესა, იმ პირმოხელს საცოდავსა. ესენი სულ უნდა
იცოდეს. სწორეთ უნდა ვთქუათ და პირდაპირ, უ. კერესელიძე.

29–ს ოკტონბერს, 1865–სა წელსა, ქ. ტფილისს.

ამის შემდეგ ამისთანა წინდაუხედავი სიტყვა ეკადრება რედაქტორსა? რატომ არ იცის სად რა უნდა თქვას? – რედაქტორმა ყველა უნდა იცოდეს, ყოველს სიტყვას რა მნიშვნელობა აქვს, რა აზრიც, ესენი სულ უნდა იცოდეს. ყოველი ჩემი მეგობრული ლაპარაკი მკვლელათ ჰქონდა ხოლმე მიღებული იმ თავის ატაცებულის ხასიათისაგან და ამასთან იმ თავის უზომოს ამპარტავნებისაგან. მაშ რა არის კეთილისმყოფობა, თუ ერთმანეთს სწორეთ პირდაპირ არ ვეცყვით, რაც მართალია? იმან იმ თავის უგვანის ხასიათებით მე დამიშორა. ახლა მეტი ღონე აღარ მქონდა, უნდა ქალაღზედ უთხრა, წაიკითხოს რაც კაცია, ეგება ეხლა დაინახოს და იგრძნოს თავის ნაკლულევანება, მაგრამ თუ იძულებულს გამხდის და მეორეთ პასუხს დამანერინებს, ეხლავ ამ თავითვე მითქვამს, რომ ამისთანა დასამწყსველსა აღარას დაუნერ. დაუნერ პოლიციიდგან როგორ შეანუხეს, როგორ შეუცვივდენ სახლში და ვინ გამოიხსნა უბედური გონებითა? სულ ამისთანებს წავაყრი ზედ, მაშინ უკადრისათვის ეხლავ ბოდიშს ვიხდი, ბევრი ნაკლული სიტყვები მამივა იმაზედ და მასუკან რაც უნდოდეს ის დანეროს ჩემზე, ანუ რაც უნდოდეს, ის სიცრუე ანუ ჭორი მეჭორემან.

*ვაი ჩვენსა წერასა,
თავი გვიგავს ძერასა,
ვერა ვხედავთ ვერასა,
შური კი გვკლავს ყველასა.*

თა. ა.ვახ.ძე ჯ. ორბელიანი
18–ს იანვარს 1866–სა წელსა
ქ. ტფილისი.

ჩემ სტატიებზე კვირის სხენება

როდისაც რომ მე ჩემი ძველი ამბები გამოვეცი „ცისკარში“, იმათ გამოცემაზედ ბევრი მადლობები მითხრეს, რომ ჩვენს მამა-პაპის ამბებს გვაგონებთ და გვაჩვენებთ მაშინდელს დროსა, რომელსაცა ერთს ნათესავს ქალს კ.ნ.ე. ნიგნიც მოენერა ჩემის შინაურის ქალებისათვის ამ აზრზედ, ჩემი მადლობა და ბოლოს, ბევრიც მატირაო. ამის შემდგომ ჩემი ტრალედია: „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“, რომ გამოვეცი, იმაზედ ხომ რამთენი მადლობა იყო და რამდენი გულმობიერი ცრემლი დაბნეულიყო იმის წაკითხვაზე. ერთს მართებულს დარბაისელთან გ... მივდიოდი სანახავათ, კარების გაღების უმაღლ დამიძახა: ეს რა გვიყავ, რომ შენმა ირაკლის ტრალედიამ იმთენი გვატირა? – მე ჩემის მხრით ბევრს მადლობას გეტყვი, ამაზედ კი მომატებულს ველარაფერს, ეს იკმარე ჩემო [...]. ამასთანავე ცრემლებიც მოერია თვალებში. მგონია მისახვედრია, რაც რომ გულში დარჩებოდა იმას, იმას ზევით არ ამოუშვებდა ის. არამც მარტო იმან, რამდენმა კიდევ ბევრმა მითხრეს ამგვარათ, მაგრამ ჩემს წინააღმდეგებს კი გულში ისარივით მოხვედრიყოთ და იქნება მიხვდეთ, ვინც იქნებიან ისინი?

რა ქნან, როგორ მოახერხონ იმათ, რომ მე სახალხოთ მამწყლან, თურმე სხვები გააძრახეს, სახლებში აწანწალეს და ისინი თავიანთსა ლაპარაკსა შორის ჩემზედ მოიყვანდნენ ლაპარაკსა და მასუკან ჩემსა სტატიებზედ: იჰ, რასაცა სწერს ისა, რათ ვარგა, სულერთიან ყარამანიანი არის, ცრუტყუილი უბრალო და სხვანი...

ერთმა პატიოსანმა კაცმა სოფელში მინერილი წიგნიც მაჩვენა და თვითონვე წამიკითხა, მაგრამ არც თავი მაჩვენა ვისთან იყო მინერილი და არც ბოლო – ვისგნით. აი, ის წერილი: თუ ღმერთი გნამთ პუპლიას სტატიებსა, იმ უბრალო ცრუ ყარამანიანებს ნუ კითხულობთ, ნუ მოგიტაცათ, გონებას გაგიწყვისთ და კეთილი არა იქნება რა იმის სტატიებისაგან, რახან აღარ დაგიშლიათ, ისევე სჯობია, რომ თვით ყარამანიანი იკითხოთ, მინამ პუპლიას¹ სტატიებიო. ჩემი მოსათხრელი რამდენი რაები მიენერა ჩემზედ, გავკვირდი, მაგრამ შეწუხებით კი არ შევწუხებულვარ, ამისთვის რომ: სიცრუეს და სიპლუტესა ბაჟი არა სძევს.

ჩემო წინააღმდეგებო, მაშინ ხომ, რასაკვირველია, ისე ძვირის ხსენებაში ვიყავი თქვენგნით და ეხლაც ხომ უარესი არის ჩემზედ.

¹ პუპლია მომატებული სახელია. რა მიზეზითაც დამერქვა შემდგომში იქნება.

მომთხარეთ, რაც შეგეძლოსთ ღმერთი გადღეგრძელებსთ, მე არ დაგემდურებით, მაგრამ მაშინ ის ყარამანიანი საიდან რა გამოჩხრიკეთ? – ჰო, დიახ, ესეც ერთი რამე ეშმაკობა იყო იმათი ჩემზე, რომ უფრო დაუმატონ ჩემსა მოსათხრელად ესეც, არა ჩემო წინააღმდეგებო, ყარამანიანს გარდა, რაც ქართული წიგნებია, სულ წამიკითხავს ძველები და ახლები. გარდა ამაებისა, ბევრი ევროპიული წიგნებიც წამიკითხავს რუსულზედ და საკუთარი, რუსულებიც ბევრი ძუელები და ახლები: კარგი ჩინებული ისტორიები, რამანები, სამეცნიერო წიგნები და ლორდ ბაირონ, შექსპირ, გეტე-შილერისაც, თითქმის სრულად, რაც რომ რუსულზედ არის და სხვებისაც, დიახ, ბევრი...

აბა ახლა ყარამანიანის მხსენებლო, მეც წილი მიძევს წიგნების კითხვაში თუ არა, რომელსაცა რამდენი ლამეები გამითენებია იმათ კითხვაში? ესენი გულსულგონებასა დამინმენდნენ სიმღვრიესაგან, რომ მეც დამენერა რამე, თუ ცოტაოდენი ნიჭიც რამე მექნებოდა?

აბა ამის პასუხი თქვით ჩემო უმზგავსო წინააღმდეგებო! სხვა რაც უნდა ჩემზედა თქვან, ამას რაო რას ამბობენ, როგორ თუ ყარამანიანი? საქართველოს პირველ მეფის ალექსანდრემდისინ, ექვსი თუ შვიდი მილიონი ხალხი იყო ქართველები სრულს საქართველოში, იქიდგან აქამდისინ ერთი მილიონი ძლივსლა დარჩა, ვინ რა უყო იმათ, ვინ ჩაყლაპა იმთენი ხალხი ისე ჩქარა და ან ვინ იყო ამისი მიზეზი, რატომ ამას ღრმათ არ გამოიკვლევენ, იმ საშინელს დაცემულებასა, რა ზარი იყო მოვლენილი იმ ჩვენს მამაპაპებზედ, იმას ვინ გამოხატავს ნამდვილად? არ შეიძლება, ვერავინ. მაშ ის ანბები გაციებულად რომ ითქვას, როგორ გამოვხატოთ ის ანბები? ვერაფრით ვერ, თუ არ კიდევ აღტაცებულის აზრებით, რომ მაშინდელი ის საშინელი და არც ტყუილი დროები, იმ აღტაცებულმა აღწერილობამ ეგება მაინც როგორმე დააშუენოს, თორემ გაციებული აღწერილობა იმას სულ არ მოუხდება, იმ ჩვენს მწარედ სატირალს დროებსა, რომელიცა არა ქვეყანაში არ მომხდარა ის, რაც აქ ჩვენს უბედურს საქართველოში. მართალია, სხვაგანაც ბევრჯელ მომხდარა, მაგრამ არა ისე, როგორც აქ, რამდენიმე საუკუნე, ნამეტნავად მეფის ირაკლის მეორეს დროს. *ყოველს ცისმარესა დღე და ღამე, იმას ვინ გამოხატავს ნამდვილად?* მოდი გააციე ის დროები გაყინულის სიტყვებითა, რომელსაცა ცეცხლის აღმულები ასდიოდა მაშინ საქართველოს, ყოველს ცისმარესა დღესა და ღამეს!!! ...ამის შემდგომ ყრუ გონებაო, რაც გინდა თქვი.

პირველი ანტონ ნიკოლოზის ქვე ფურცელაკი!

შენს მშვიდობას და ბედნიერებას ვისურვებ შენი სახლეულობითურ, იქნება როგორმე გულში გაგიარო მოხუცი მე: როგორ არის, დარჩა თუ ქვეყანაზედ აღარ არისო? — დავრჩი, ცოტათაც კარგათა ვარ, ერთობ ჩემი სახლობითა, მაგრამ მცხოვანებაში მივდივარ და ძალა მიმდის. მართალია ამისთანა მდგომარეობაში ვიმყოფები, მაგრამ მაინც მე ჩემს ზრუნვას ჩემი შეძლებისამებრ ჩვენს ლიტერატურას არ დავაკლებ, ჩემს უკანასკნელს აღმოფშვინვამდისინ.

კარგათ იცი ჩემო ანტონ! ჩემი თერთმეტი წლის მიკედლება რედაქტორის კერესელიძისა, რამეთუნი რამ მწუხარება გამამივლია იმის გულისათვის, — იმის გულისათვის რათ ვანობ, ჩვენი ქართულის ჟურნალისთვის, რომელიც იმას ხელში ჰქონდა და იმითი სახელობდა ისა, რომელსაცა დღესაც იმას აქუს, მაგრამ რალათ უნდა ჰქონდეს იმას, ის თავისთავისთვის ზრუნავს და არა ქართულის ჟურნალისთვის, ის ამას ფიქრობს: ოღონდ მე ვიყოვ და სხუები წყალმსაც წაულიაო. ის ამისთანა ანგაარი კაცია და ამ ინტერესს მისდევს დაუღალავათ, ის შეიძინოს.

თუ ის რიგიანი რედაქტორი ყოფილიყო, აქამდისინ ჩვენი ჟურნალი პირველს ხარისხში იქნებოდა, მაგრამ აბა სად რა არის იმის კარგი კვალი ჩუენში? — ეს შენც კარგათ იცი. მაშ იმას ღმერთმა მშვიდობა მისცეს, როგორც ის აქამდისინ იყო თავის ანგაარობაზედ იდგა, კიდევ ისე იყო: მამული, ვენახები, წისქვილები შეიძინოს და ახლა სხუა მოვნახოთ იმის ასპარეზზედ, რომელზედაც იმან მუნიანი ვირები და ქეციანი მელეები აჯირითა, იქნება იმისი წამხდარი ასპარეზი სხუამ გამართოს და კარგათაც გააკეთოს. კერესელიძე თავის მოქმედების ძალით, ჩვენი რედაქტორი კი არ იყო, ის იყო ჩვენი მოჯამაგირე, რომელმაცა ჩვენის საზოგადოების ანგარიშზედ, თავისი საჯამაგრო აილო: ვენახი, წისქვილი, მამული და ახლა ჩვენც დავითხოვოთ, თავის მამულებსა მოუაროს, რომ უზრუნველობით ხარაბა არ გაუხდეს.

ჭეშმარიტად, თუ კერესელიძე ჩვენი კარგი მზრუნველი რედაქტორი ყოფილიყო, აქამდისინ იმისათვის დაფნის გვირგვინი უნდა დაგვედგა თავზედ და ყოვლისფრის კეთილით აგვევსო ის, მაგრამ ჩვენს ქართულს ჟურნალს კარგი არა უყორა, მეტი ცუდი მიმართულება მისცა, ყოველი ჩემი ზრუნვა და ღვანლი ქართულს ლიტერატურაზე, რომელიც ის მთხოვდა შემწეობას, სულ ბრუნდეთ ეჩვენებოდა, ის როგორც თვითონ ბრუნდე არის. ჩემა იმთენმა ზრუნვის მოთმინებამ დღეს ხვალობით იმაზედ: ბოლოს ეგება კარ-

გათნაიყვანოს ჩვენი სიტყვიერებამეთქი. ვერა დავანყერა, არა მეშველარა ნაცვლად ამისა, აუგათაც გამხადა და დღესაც ისე თურმე ვიხსენები *იმ ცრუს ამარქარისაგან*. ნეტავი შენი დღეგძელობით, მე როგორც უნდოდა, ისე ვეხსენებინე, მიმიტევებია და კიდევაც მიუტევებდი *იმიტომ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ასე იქნებოდა, მაგრამ*, ოღონდ ის ჩვენი ჟურნალი კი კარგათ წაიყვანა, იმის ჭორი ატყაჭუნობასა და სიცრუეს რას დავდევი: ძალი ჰყეფსო, ქარავანი მიდისო. მაგრამ კარგი არა დაატყორა ჩვენ ჟურნალსა იმან, თორემ მე იმას არასდროს არ მოვშორდებოდი. მოკლეთ ვიტყვი იმაში: ცეცხობისა, ცუდლუტობისა, ანგაარობისა და ცრუპლუტობის მეტი, სხუა კარგი არა არის რა, ამიტომ რომ ჯერ პირველათ არეული გონება აქვს და მასუკან უმეცარი კაცი არის, როგორც ისტორიებისა, ისე ყოველის სიტყვიერებისა და დასასრულ მთელი ჩვენი საქართველოსი ერთიან აქაურის მცხოვრებლებისა, რომელსაცა *ვებვნებოდი, ვემუდარებოდი, ესენი ესნავლა*, ურჩევდი და ვეუბნებოდი ამაებში გავითარებულნიყო და სხუანი, მაგრამ გონებით არეულსა ანუ გატაცებულს იმას სწყინდა, რჩევას როგორ უბედავი. ჩვენში მართლა არის ნათქომი: შეგნებულ კაცთან ომი სჯობიაო, შეუგნებელთან ლხინსაო. ის კერესელიძე შეუგნებელია და თავის გზაზედაც დგას ისა, ამას არ ეშვება და როდესაც ამ ჩემს წერილს წაიკითხავ, კარგო ანტონ, შენ უფრო კიდევ მომატებულს დაუმატებ ამას, ამიტომ რომ შენც ძალიან კარგათ იცნობ კერესელიძესა. მაშასადამე, ახლა სხვისკენ მოვიბრუნოთ თავი, იმისაკენ, ვისთანც შენ გქონდა ცოტა კინკლაობა, ესე იგი, ნიკოლოზ ავალოვისაკენ, უნდა მოურიგდე ჩემო ანტონ და შენის კარგის სტატიებით ნუ დააგდებ „მნათობს“. იმედია კარგათ წავა ეს ჟურნალი, ოღონდ ხელის მომწერელნი ჰყვანდეს, რომლისაგან შენი იმედი მაქვს მანდეთ მხარეს და ეცადე ჩემო ანტონ.

ამ ყმანვილს აგრე რიგათ მახლობელად მე არ ვიცნობ, მაგრამ იმისთანა გულმოდგინეობას იმაში, რომ ვხედავ ჩვენი სიტყვიერებისთვის, მეც მონადინებული ვარ იმას ღმერთმა ხელი მოუმართოს და ამისთვის ვეცადნეთ, ეგება ჩვენს ქართულს ლიტერატურასა კარგი მიმართულება მიეცეს და ეშველოს რამე.

სხუა რა გითხრა ჩემო ანტონ! ამ ჩემს თხოვას უგულბებელს ნუ ჰყოფ და შენი წერილითაც ნუ დამაგდებ.

დავშთები შენი ერთგული

[ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა]

წინასიტყვაობა

აქ რასაც წაიკითხამთ, დაინახამთ, რომ სამ რიგად არის გაყოფილი ჩვენი ქართველები: პირველათ ძველს მეფის დროებისას, მეორეთ იმათ შემდგომ რუსობის დროისას და მესამეთ გავითარებულებს ანუ განათლებულებსა.

მართალია, ძველები ისეთნი კარგნი და რიგიანები იყვნენ, როგორც აქ დაინახამთ, მაგრამ როგორ იქნებოდა იმათში ხასიათით ნაკლები არავინ არ ყოფილიყო, დიახ იყვნენ, მაგრამ შემოიძლიან თამამად ვთქვა, სამოცზე ანუ ორმოცდაათზე, ერთი ძლივს იქნებიდა და ის ერთი იმთენს, ხასიათს როგორ გამოუცვლიდა, რომლებიცა იმ დაწმენდილს ხასიათზე იყო დაფუძნებული მაშინდელი ჩვენი საზოგადოება?¹

გარნა რუსობის დროს ჩვენი ხალხი იმთავიდაც აქამდისინ ძალიან ნაახდინა რუსების შპიონებმა, როგორც ამ რვეულში წაიკითხამთ, ისე რომ ოცზე ერთი რიგიანი და მართალი აღარ არის, რომლებსაცა იმ რიგიანებს, კარგი ველარა უქნიათრა იმ ბევრის წამხდრების გადამკიდეთ და იმათის გამოისობითა ილუპებიან ქართველები, რომ კარგს ველარ შესდგომიან, ყველას ჩვენს კარგს შლიან ისინი. აბა კიდევ იმათში არჩეული შპიონები მთავრობისა, სადაც იმათებური ქართველი განათლებულებიც იპოებიან, მისყიდული რუსების ფულებითა, მაგრამ ესენი დიახ ცოტანი არიან.

ამათ შემდგომ, ჩვენი განათლებულებისაც ასე არის, როგორც დასასრულში წაიკითხამთ აქა და ამის შემდეგ რაღას მოველოდეთ კარგსა ქართველები? — დიახ ცოტაოდენი ქართველები ხედვენ ამას, ამ ჩვენს დასაღუბს დროსა.

ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა

1. ღვთისადმი

ჩვენი მამაპაპანი, დიდნი და მცირენი, ღმერთს იცნობდნენ გონებით: ცისა და ქვეყნის შემოქმედათ და კაცის დამბადებლად; ძრწოლით თაყვანსა სცემდნენ უხილავსა საკვირველებასა მას და

¹ აქ მე მაშინდელს მამულის და მეფის მოღალატეებსა არ ვურევ. ის სხვა საქმეა, ის ცალკე წაიკითხება, კიდევ ჩემგნით აღწერილი არის.

ყმანვილობითვე ამას ჩააგონებდნენ და ამას ასწავლიდნენ, დედ-მამანი თავის შვილებს. ახლა რუსების მზგავსად, ღმერთს უნდა ვცნობდეთ, ღვთის თანასწორ რუსეთის ხელმწიფესა, და იმას ვესავდეთ რუსეთის ღმერთად.

2. სარწმუნოებისადმი

ჩვენს სარწმუნოებას სწორეთ წმინდა სახარებათ ასრულებდნენ ჩვენი წინაპარნი: იყვარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ. მეფიდგან მოკიდებულნი მცირემდისინ, სულ ერთმანეთის სიყვარულსა და თავაზაში იყვენენ; ცცხოვრებდნენ ტკბილად და თითქმის ერთს ტრაპეზზედ. ახლა რუსების შპიონების მეცადინეობით ჩამოვარდნილია ჩვენში შური და დაუძინებელი მტრობა.

ერთმანეთის შურით ვცხოვრებთ, გვეჯავრება ერთმანეთი და განშორებულები ვართ ერთმანეთისაგან და ამითი ვსიამოვნებთ დიდათ, რომელნიცა ამის მეტსა არას გვასწავლიან არა კეთილს რასმე რუსები, თვინიერ ერთმანეთის შურისა ანუ მტრობასა და ანუ ერთმანეთის საჩივარსა დაუსრულებელსა.

მე იმ ამბებს არ ვურევ აქ, რაც უნინ ჩუმათ და საიდუმლოთ საქართველოს საქმე უყვეს რუსებმა დასალუპი. მას მე კერძობით ვლაპარაკობ ახლანდელს რუსობის დროზე.

ჩვენის უბედურობის მდგომარეობით სარგებლობენ, ისე, როგორც უჯობთ. თვითონ ჩავარდნილი ვართ საშინელს მონებაში.

3. ეკლესია

არამცთუ ქალაქებში, სადაც კი ხუთი კომლეულნი იდგნენ უნინ, იქ უთუთოთ მეხუთე კომლი ღვდელი უნდა ყოფილიყო და მცირედი ეკლესია ჰქონოდა სოფელში. იმ ღვდელს ჰქონდა საკუთარი სახლი, სახნავსათესი მიწები, სათიბი, და თუ იქ ვენახი გაკეთდებოდა, ვენახიც იქნებოდა.¹ საქონელი და ცხვარი ხომ რასაკვირველია ჰყვანდათ. გარდა ამისა, სოფლის მცხოვრებნი ემსახურებოდნენ ერთგუ-

¹ იმ ეკლესიის მახლობლად ღვდლებსა ჰქონდათ საკუთარი სახლი და ეგრეთვე სასწავლებლები, როგორც ქალებისა, ისე ვაჟებისა. ღვდელი ვაჟებს ასწავლიდა და ღვდლის ცოლი ქალებს, — ასწავლიდნენ ორნივე სამღთოს და საეროს.

ლად, არა ძალის დატანებით სთხოვდნენ, როგორც ეხლა, არამედ ვალისამებრ სასულიეროსი. ის მღვდელნი მცირე სოფლებისა, თუმცა ღვთისმეტყველნი არ იყვნენ, მაგრამ სამღთო და საერო წერილები კარგად იცოდნენ და ღვდლების ვალი, რომელნიცა თავიანთსა მცირეს სოფლის სამწყსოს სულ კეთილსა ასწავლიდნენ და ერთი მეორის შეწევნასა. დიდრონი სოფლებისა და ქალაქებისა ხომ რალა უნდა ვთქვათ, რომ როგორი უფრო კარგი იყო. ხოლო ეხლანდელი ჩვენი ეკლესიები — ოღონდ კარგად იყოს შემკული, შიგნიდგან და გარედგან, და დიდი ზარი სცემდეს სამრეკლოზედ, თორემ სხვა კეთილი აღარა არისრა. ოღონდ იმ ეკლესიებში ნირვაზე თუ ლოცვაზე, რუსეთის ხელმწიფეს ადიდებდნენ ცათამდისინ, თორემ სხვა კეთილმდგომარეობისათვის ვილა მოიცლის. უნდა სულ იმის მონების ქვეშ იყვნენ, დედამინამდისინ თაყვანისცემით რუსეთის ხელმწიფესა, როგორც ზეციურს ღმერთსა! ახლანდელსა ღვდელსა არა ერთი, არამედ რავდენიმე წვრილი სოფლები ხუთის კომლიდგან, სამოცი ანუ მეტნაკლები უჭირავს, ერთიერთმანეთზედ კარგათ მოშორებით, რომლებსაცა ვერა სწვდება ღვდელი და უსარწმუნოდ ჰყრიან ბევრი გლეხნი. არის სოფლები, რომ იმის მცხოვრებთ ოცდაათი წელიწადი მეტია, ქრისტიანობის ხმა აღარ გაუგონიათ ეკლესიებში, თორემ წმინდა საიდუმლოს ვილა აღირსებთ?

4. მეფისთვის

ჩვენი უწინდელი მეფეები, არამცთუ დიდრონ კაცებთან, არამედ მდაბალ ხალხშიაც იყვნენ შეერთებულნი; ვითარცა მამა შვილებში წრფელის გულით, ჭეშმარიტებით, სიმართლითა და კეთილად. არას დროს გლეხს კაცს არ დაეშლებოდა მეფესთან მისვლა და სიტყვის მოხსენება. იყო ურთიერთსა შორის თავისუფლება და სიყვარული. ახლა შეინროებულთა, დაჩაგრულთა და შეკრულთა რუსებისგან რალა შეუძლიან ჩვენსა ერსა ხალხსა რუსების დესპოტობის ქვეშა. გარდა ამისა, იმათგანვე ერთიერთმანეთზე საჩივრები აღმდგარია ჩვენი გართობისთვის, რომ რუსებზე ავი არა იფიქრონ რა და ვინ იცის, რავდენი აუარებელი საჩივრები არის ერთიერთმანეთზედ სასამართლოებში, რომლებიცა რუსის შპიონები აქა იქ ეშმაკობით დაძვრებიან და ერთი ერთმანეთზე ამტერებენ, იქამდისინ, რომ ბოლოს რალაებსაც მოუგონებენ ერთმანეთ-

სა და საჩივრებს შეიტანენ ერთი მეორეზე, არამცთუ რუსეთის სასამართლოებში, არამედ უსამართლოებაში. ჩავარდნილი ვართ დიდს აღელებულს ზღვაში დასახრჩობლად.

5. სასულიეროთათვის

უწინდელს დროს ჩვენი სასულიერონი იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები, მშვიდობის მყოფელნი, მოწყალენი, ქველის მოქმედნი, ქვრივთა და დაცემულთ შემწენი, ობოლთ გამომზრდელნი, უცხოთ შემწყნარებელნი, ყოვლის კეთილისა აღმასრულებელნი და თავიანთი ქვეყნის თავისუფლების მოყვარულნი, რომლებიცა იმათგან ისწავლიდნენ საქართველოს ერნი: ყოველს კეთილსა ზნეობასა და იყვნენ ეგრეთივე კეთილნი. ახლანდელი ჩვენი სასულიერონი, სემინარიაში გაზრდილები, მითამ კურს დასრულებულნი სწავლაში, მხოლოდ თავისთავისაში არიან, თავის შემატებისათვის და სხვანი იმათთვის არაფერი. რა ქნან, არ დაიძრახებიან ისინი; ასე არიან ჩაგონებულნი თავიანთის რუსის ოსტატებისაგან ხალხის გარყვნისთვისა და იმისთვის იქმონენ ასე, თორემ თუ ასე არა ქნეს იმათ, სასჯელში მიეცემიან და ან გამოაგდებენ, რომლებიცა მშივრები უნდა დარჩნენ. გარდა ამისა, ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ რუსების სასულიერონი, რომ ქართული წირვა ლოცვა აღარსად იყოს საქართველოში, თვინიერ რუსულისა, მაგრამ ჯერ იქამდისინ ვერ მიღწეულან და რასაკვირველია თავის დროზედ, ამ სანადელსაც მიეხნევიან.

6. სამართლისათვის

უწინდელი ჩვენი სამართალი იყო საერო და არა დაფარული. მეფე მისცემდა სამართალს თავის დიანბეგებთან, თავის დიდკაცებთან და ვინც იმ დროს იქ შეესწრებოდა იმათთან, რომელთაცა ყველას ხმა ჰქონდათ, მართალი ეთქოთ, რომ უსამართლო არა მომხდარიყო რა. თავადებთანაც ასე იყო და ყველასთან ასე. სამართალიც გადანყდებოდა, დიახ ჩქარა, რავდენსამე საათზე, რომლებიცა მოჩივარი და პასუხის მიმცემი კმაყოფილნი წამოვიდოდნენ. სადაც ახლა რუსეთის სამართალია, სამართალი კი არ არის: უსამართლო უნდა დაუძახონ. ამაზედ შემდეგ გვექნება ლაპარაკი უფრო გარკვევითა.

რუსეთის სამართალი კაცის დამაჭლეტელია, კაცის სულის ამომხდელია, კაცის დამთქმელია, კაცის ამბიტირებელია, სახლეულობის ლუკმის გამწყვეტელია და ბოლოს ამომწყვეტელი. დიდის მაღალ სასამართლოებიდან მოკიდებული, მცირე რუსეთის სამართლამდისინ, სულ ამისთანა საუბედურო სამართალი აქვთ ჩვენთვის თავიანთის ცბიერულის და სიცრუით სავსე. ამაზედ რუსები მართლულობენ თავსა: თუ ამისთანა სამართალი არ ექნება რუსეთსა, იმისთანა დიდს ქვეყანას ვერ მავუვლით. აჰა, უმაღლესო მართლმსაჯულებავ! ამისი პასუხი შენ მიეც.

ერთი სიტყვით, რუსეთის სასამართლოთ და იმათ კანონთ არა აქვთ ის მნიშვნელობა, რომ დაგვიფარონ მძლავრებისა და შემქიდროებისაგან. ამ რვეულში კიდევ იქნება ამ საგანზედ.

7. სასწავლებლებისათვის

უწინდელი ჩვენი სწავლა უნდა ყოფილიყო სამღთო-საერო, თავისუფლად, ვინც კი მოინადინებდა და ასწავლიდნენ, როგორც შეეფერებოდათ, ჩვენსა ენას დიახ კარგად და დიდის გულმოდგინებით. ჩვენი ძველის ლიტერატურით ანუ ძველის წიგნების სიტყვიერებით დამტკიცდება ჩვენი კარგი სწავლა, რაც შეიძლებოდა მაშინდელს დროსა. ახლანდელი ჩვენი სწავლა თუმცა მაგთენი არა არისრა, მაგრამ რაც არის, ისიც რუსებათ ამზადებენ ჩვენს შვილებსა და რუსებათ ზრდიან. სადაც მიხვალთ სახლებში, ჩვენს საკუთარს ლაპარაკს ცოტას გაიგონებთ, უფროსი ერთს სულ რუსულად ლაპარაკობენ. რასაკვირველია რუსებს დიდად მოსწონთ ესა და უფრო აქეზებენ რუსულის ენისათვის რუსების მთავრობისგან გაუბედურებულებს ჩვენს ხალხსა.

კერძობითი სასწავლებლები ხომ ამოხოცეს ყველგან და ველარავის ველარ შეუძლიან თავისუფალი კერძობითი სასწავლებლები გახსნან, მინამ რუსეთის მთავრობასთან არ შეიკვირიან პირობით, რომ რუსეთის პროგრამით ასწავლონ.

8. სასჯელისათვის

უწინდელი ჩვენი სასჯელი მეფეზე იყო დამოკიდებული, იმის დივანბეგებზედ, სასულიეროთ წოდებაზედ, დიდრონკაცებზედ და პირველს გლეხებზედ, რომ უსამართლო არა მოხდენილიყო-

რა. ახლანდელი ყოველი სასჯელი ფულებზეც და პრატიკციებზედ არის დამოკიდებული; თუ ესეები აქვს დასასჯელსა, რავდენიმე კაციც რომ მოეკლას, არა ენაღვლებარა, ამისთვის რომ უთუოდ გამართლებას მოელის. და თუ ესენი არა აქვს, ვაი იმისი ბრალი, რაც უნდა რომ მართალი იყოს, უთუოთ გაამტყუნებენ და დასჯიან სასტიკად.

9. საქმე

ყოველი უწინდელი ჩვენი საქმე იყო: უმანკოებით და სინრფელით, ახლანდელი ყოველი ჩვენი საქმე, უსამართლოების ცოდვით სავსეა. ეს ჩვენი უწინდელი წმინდა მონამების და სიმართლის სისხლით დაღვლოვლი ჩვენი მშობელი ქვეყანა, რუსების გესლიანის სასტატობით.

აქ გავწყვეტთ, ველარას ვიტყვით, რა ანბავია. რა საშინელება არის მოვლენილი ჩვენზედ ცბიერის და დაუნდობელის რუსებისაგან. ამას მრავალჯერ ვგრძნობთ, მაგრამ გაჩუმებულნი ვართ მოთმინებით, ყოვლის საშუალებით მოსპობილნი, უღონოდ ქმნილნი და ძლიერად გავგლესილნი დედამიწამდისინ რუსებისაგან.

გაბედვით და თამამად ვიტყვი, რომ ჩვენს [ახლებსა] უძვირფასესი ბრილიანტის გვირგვინი შეშვენის თავისუფლებისა და არა რუსეთის მონების ქვეშ ყოფნა. ოჰ, ძლიერო მართლმსაჯულება! ეს სამართალი არ ვიცით, რა სამართალია. თუ სწორეთ ითქმის და სვინდისიერათ, ისინი ჩვენს ხელში უნდა იყვნენ და არა ჩვენ მათ მონებაში. მთელი ქვეყნის დანთქმა უნდათ იმ გაუმაძღარსა რუსეთსა პატივისმოყვარულობით, რომელსაცა გონებით დაბნელებული ჰყავს თავისი ერი რუსეთს და რომელიცა პატივისმოყვარულობის მეტსა სხვას კარგს არას ასწავლის არაფერსა თვინიერ პატივის მოყვარულობასა დიდსა და დაუსრულებელსა!..

გარწმუნებთ, დიდო ევროპიავ, ღვთის გულისათვის ვიტყვით ამას, თქვენსა საუცხოოსა თავსა ნუ დაანთქმენებთ მაინც, თუ ჩვენ არ გებრალეებით;

ჩვენსა ხალხსა ძნელი [ბნელი] გაღესილი რუსეთის ხმალი აკრავს ზურგზე გასაპოხათ მარადის და გულში დაბჯენილი შტიკი გასაგმირათ ყოველთვის. თითქმის რუსების გაუკითხავსა მათრახ-

ზე და ჯობზე სძინავთ ჩვენსა ხალხსა მარადის ძილვაკრობილნი...
თავიანთ მტარვალობაზედ რატომ აღარას ამბობენ...

სხუანი... სხუანი... სხუანი...

10. პატივისცემისათვის

უნინ პატივისცემა იყო უფროს უნცროსობით: უნცროსი უფროსსა განუსაზღვრელს პატივს ცემდა თავაზითა ფრთხილად, ლაპარაკსა თუ საქმეში და უფროსი უნცროსს, ზრდილობიანის აღერსით ექცეოდა. ახლანდელი კი პატივისცემა სულ სხვა არის, არა დიდპატარაობით, არამედ სულერთია ერთი მეორესთვის, რომლისაგან გაუფრთხილებლობით ხშირათ იზადება ხოლმე იმათში, დიდი სიბრყვე.

11. ზნეობისათვის

ჩვენი ზნეობა უნინ, ანუ უნინდელსა დროში ყველაფერში დანმენდილი იყო: ტყუილს არ იტყოდნენ, სიცრუით არ ელაპარაკებოდნენ, სიპლუტისა არა იცოდნენ რა, ქურდობა ხომ როგორ იქნებოდა ქართველებში, არამც საქმით, ფიქრშიაც ვერავინ ვერ გაივლებდა, მაშინ როდესაც რომ ეხლა, სიცრუით, სიპლუტით და ქურდობით სამსეა ჩვენი ქვეყანა, სადაც ტყუილი ფიცები სახელია, ოღონდ კი ერთმანეთი მოატყუონ.

12. უშურველობისათვის ქონებისა

დიდთა და პატარათ, ვისაც რა ქონება ჰქონდათ, ერთმანეთისათვის უშურველი იყო ყოველს შემთხვევაში, ლხინსა თუ გაჭირვებაში. ეხლა ერთი შიმშილით რომ კვდებოდეს, მეორე მდიდარი ლუკმას არ მიუშვებს, ასე ერთმანეთზე გულაყრით არიან.

13. გაჭირებისათვის

გაჭირება უნინ სულ არ იყო, არა სასმლისა, არა საჭმლისა და არა ტანისამოსისა,¹ გაჭირება იყო უნინ გარეშე მტრისაგან და სულ სისხლის ღვრა ომში, მაგრამ ყველას გული მხიარულათ კმაყოფილი ჰქონდათ და ხანიერი დღეგრძელობა. ეხლა მართალია მშვიდობაა,

¹ ამ სამს საგანზედ მე ლაპარაკი კიდევ მქონდა ადრე ცისკარში.

უომრობა, მაგრამ გაჭირება დიდია სასმლისა, საჭმლისა, ტანისა-
მოსისა და ამის გამო ხალხი სიძნელით სცხოვრებს. ვიცი გამიგო-
ნია, რომ ეხლა როგორის წვით და დაგვით სცხოვრებენ მდაბალი
ხალხნი, თამამად ვიტყვი მდიდრებიც, მაგრამ უფრო სხვაგვარად
კი, ისე რომ ყველას თავთავისი უსიამოვნობის ჭირი უდგათ სახლ-
ში. ვიცი ყველას შინაური ამბები, მდიდრებისაც და მდაბალი ხალხ-
ისაც, გარეთ ხალხს რომ ვხედავ კაცს, დედაკაცს ამ ქ. ტფილისში,
ისე კარგათ ჩაცმულებსა, სულ აპლივეა, ყალბობა, სულ ბრაზია
იგი, ასე უსიამოვნოა ყველასათვის ის ჩაცმა დახურვა, ამიტომ რომ
დიდი ხარჯი მისდით იმაზედ.

14. სახლეულობანი

უნინ სახლეულობანი სახლში დიდი ბედნიერები იყვნენ, რო-
გორც უნაკლულო ცხოვრებითა, ისე მშვიდობის მყოფლობითა და
ერთმანეთის სიყვარულითა, ასე რომ სახლში ცხრა ძმა რომ ყო-
ფილიყო, სულ ერთიან ცოლშვილიანები, იმათში ერთი ბენო სამ-
დურავი არ იქნებოდა, სულ ერთმანეთის სიამოვნებაში იყვნენ.
ვინც უფროსი იყო სახლში და შეეძლო, ყოველი სახლის საქმე
იმის ხელში იყო, ყოველს საქმეს ის ატრიალებდა და ყველანი ისე
მორჩილებდნენ იმას, დედაკაცი, კაცი და წვრილფეხობა, როგორც
მაღალის ხელმწიფის ბრძანებლობასა, რომლებსაც სასიამოვნო
ღვთის მონყალების ტრაპეზიც ერთი ჰქონდათ ყოველთვის,
ისე რომ, იმათში გაყრა ძნელად იყო ხოლმე, უფრო მაშინ, როდე-
საც სახლეულობა მეტისმეტათ გამრავლდებოდა, სადაც იმათი
გაყრა კეთილმშვიდობიანათ მოხდებოდა და თან მწარეს ცრემლ-
სა ღვრიდნენ ერთმანეთის მოშორებისათვის. აბა ახლა ამის სამ-
აგიერო რა გვაქვს, სადაც ძმას ძმასთან ველარ გაუძლია, იმათი
ცოლები ხომ ერთმანეთისაგან უკმაყოფილოთ არიან ერთი მეორის
მომდურავი და ბევრშიაც დიდი შფოთებია, ისე რომ, მამა შვილთ-
ან ველარ დამდგარა და შვილი მამასთან. თუ რომ ერთად არიან და
ჯერ არ გაყრილან, გაყრამდისინ ისინი ერთმანეთსა ჰპარვენ შემო-
სავლებიდან, ის ერთი თავისთვის ინახამს და მეორე თავისთვისა,
თუ რომ ახლა ამისთანა არის ვინმე გაუყრელი სახლეულობა და მშ-
ვიდობის მყოფლობა იმათ სახლეულობაში, უთუოთ იმათ ის ძვე-
ლი სული მოსდევსთ კიდევ და იმიტომ ისე კარგად არიან, მაგრამ
ახლა დიას ცოტას ვიპოვნით ამისთანებს საქართველოში.

15. ნაპოვნისათვის

დაკარგული რამე უნინ არასდროს არ დაიკარგებოდა, თუნდა ძვირფასი ყოფილიყო. თუკი იპოვნინდა ვინმე, მაშინვე მამასახლისს მიუტანდა,¹ ის მოურავსა და ისიც გზირებს ატარებდა ყვირილითა: ესა და ეს დაკარგული ნაპოვნია. ვისი არის? — იქამდისინ, რომ უთუოდ პატრონს იპოვნინდნენ და მისცემდნენ, მაგრამ ახლა არამცთუ ნაპოვნი გამოაჩინონ, ერთმანეთს ჯიბიდგან ჰპარვენ და აცლიან. თუ როგორმე იმ დაკარგულს იპოვნის ვინმე და გამოაჩინს, უთუოთ ის ძველი ხასიათი მოსდევს, რომლებსაცა ამისთანებს ძნელად ვიპოვით.

16. სახლში ცხოვრებისათვის

უნინ სახლეულთა ცხოვრება ნმინდა მამათ ცხოვრებასა ჰგვანდა: ღვთის მოსაობით, ქრისტიანობით, ლოცვით, ეკლესიების პატივისცემით, ერთმანეთის სიყვარულით, მშვიდობის მყოფლობით, პატიოსანის სინმინდითა, სახლში გარჯილ-შრომობითა და სხვანი. ახლა სრულიად სხვა არის სახლში ცხოვრება: ღვთის მოსაობა ისე აღარ, ქრისტიანობისა ეგრეთ, მლოცაობა ცოტათ, ისიცა უგულოთა, ეკლესიების პატივისცემა მცირედია, მაგრამ იმის აშენება კი უყვართ. ერთმანეთის სიყვარული სიმჟავეა არა ისე, როგორც უნინ ტკბილად, მშვიდობისმყოფობა არეული არის, ერთს საათს მშვიდობა რომ იყოს, ორს საათს არეულობა, პატიოსნების სინმინდე არა ისეა, როგორც უნინ გულით სულით იყო, არამედ უფრო მოთმინებით არის ეხლა ისიც. სირცხვილისაგამ — მაგრამ ესეც ისე ვრცლად არ არის საზოგადოთ, უფრო მდარე წილი არის, გარჯილ-შრომობა სახლში ეგოისტობისათვის არის და იტრაბახოს. ამასა და იმას ასე ვაკეთებო (!) მაშინ როდესაც რომ უნინ ტრაბახობა ძალიან უკადრისად მიაჩნდათ.

17. ნათესაობისათვის

ნათესაობასა უნინ ასეთი დამოკიდებულობა ჰქონდა და ასეთი ნდობა, რომ თავშენირული ერთგულება ერთმანეთისა და ისე სწამდათ შორი ნათესავი, არა მახლობელი, როგორც და და ძმა. სიმართლაც მიუძღვით იმათ ამაზე, ამიტომ, რომ ყოველი კაცი ეძებს:

¹ ქალაქებშიაც იყვნენ მამასახლისები.

მეგობარი ვიპოვნოვო. იმათ დაბადებიდანვე მეგობარი რომ ჰყავს დათ, ეს უფრო ადვილი არ იყო და საუკეთესო, მანამ ვინ იცის როგორ და ვითარ მოეპოვათ გარეშე სხვა? — სადაც ახლა ნათესაობა თითქმის სულ აღარ არის, აღარც ერთმანეთის ნდობა და აღარც სწამთ ნათესავი ნათესავად, ისე რომ განწვალვა და განყოფილება დიდი არის ნათესაობასა შორის საქართველოში.

18. მეგობრობისათვის

უნინ მეგობრობა იყო საერთოდ, საზოგადოთ, სულ ერთნი იყვნენ, დიდი სიყვარული და ერთობა ჰქონდათ ერთმანეთისა ყოველთვის და ყოველსფეროში. ჭირშიაც ერთნი იყვნენ და ლხინშიაც. ახლა მეგობრობას ვხედავთ ცხადი მეგობრები არიან, მაგრამ ერთმანეთს კი არ ენდობიან, ახლა მეგობრობა არის ინტერესობისა, მხოლოდ თავის შეძინებისა და ამის გამო მეგობრობენ ერთმანეთსა ყოველი თავის ინტერესზედ. სადაც ეხლა ჩვენში საზოგადოთ მეგობრობა სულ არ არის და ყველანი ზრუნვენ, მხოლოდ თავის თავისათვის შეიმატონ რამე.

19. მართალი ლაპარაკისათვის

ტყუილი სიტყვა ანუ გაკეთებული ცრუ ლაპარაკი უნინ როგორ იქნებოდა? არამც თუ იქნებოდა, ამას ისინი ფიქრშიაც ვერ გაივლიდნენ, იქამდისინ იყო იმათი გონება დაწმენდილი, წმინდა სახარების ჩაგონება მსწავლულთაგან ანუ ღვდღებისაგან, რომლებიცა ღმერთის შიშსა ქვეშე იყვნენ ყველანი: იმის მორიდება გვმართებს, იმას არ ეწყინოსო. ამის გამო იმათი ლაპარაკი სულ სწორი და პირდაპირი იყო დაუფერებელი. იტყვიან: სახლეულობა უმახინჯოდ არ იქნებაო. როგორ იქნებოდა, რომ იმათშიაც ცრუმოყბედე არავინ არ ყოფილიყო, მაგრამ იშვიათად და თუ შემცნეული იქნებოდა ვინმე სიცრუეში, მართალს აღარ დაუჯერებდნენ იმას: ტყუილს რა სჭირს? — და მართალს აღარ დაუჯერებნო. ისინი სულერთიან ასე იყვნენ. აბა ეხლა ტყუილისა რა ვთქვათ? — ეხლა სიცრუეს და ტყუილს დიდი ღირსება აქვს, თუნდა შესამცნევი იყოს, ოღონდ მოხერხებულად კი მოახერხოს; ამგვარს ტყუილს სიცრუესა ძალიან გავლენა აქვს, მინამ სიმართლით ლაპარაკსა, ეხლა ამგვარი მოლაპარაკე და პლუტობით მქცევი მარად მოგებაში არის, მართალი და მართლის მოლაპარაკე ყოველთვის წაგებაში,

ამის გამოისობითა ჩვენი ერთიანად ხალხი სიპლუტეში არიან, როგორც ლაპარაკით, ისე საქმით.

20. ახლა ცოტათ გავარკვიოთ დავა საჩივარი

როგორც ზევით ვთქვი, დავა საჩივარი უნინ ჩვენში სახალხო: თუ მეფესთან იყო, იქ დიდი კაცები ვინც დაესწრებოდა ანუ დიანბეგები იმათი თანა დასწრებითა ერთად გადასწყვეტდნენ მეფით, ანუ თუ დიანბეგებს დაუსხამდა მეფე, იმათთანაც ისე შეიყრებოდნენ, იქაც ისე ერთად გადასწყვეტდნენ, მოურავებთანაც ისე შეყრილობით, სადაც თითქმის მთელი სოფელი იქ დაესწრებოდა და ყველანი სჯიდნენ, ისე მეზატონებთანაც, მაგრამ იმის ცოლი, ანუ თუ ქალები ვინმე იქ დაესწრებოდნენ, ყველანი სჯიდნენ და ერთად გადასწყვეტდნენ, ისე სამეფო სოფლების მამასახლისებთან შეყრილობით, თუ იმ დროს მოურავი იქ არ იქნებოდა. ისე რომ უსამართლობა დიახ ძნელად მოხდებოდა, უფრო სულ არ მოხდებოდა, მაგრამ უფროსი ერთს ამას ცდილობდნენ, მოჩივარი და პასუხის მიმგები უთუოდ მოერიგებინათ, ერთმანეთისათვის პირზედ ეკოცინებინათ, რომ ერთს მეორეზედ გული ძვირად არ დარჩენოდა, რომლებთანაც იმათი სამართალი დიახ, ჩქარაც გადაწყვეტებოდა. საქართველოში ყოველი კაციდგან მოკიდებული მცირეს დედაკაცამდისინ, ყველა უცხო მოსამართლე იყო კეთილსინიდისით სამსენი და კეთილ სინიდისით სწყვეტდნენ ისინი. ვინიცობა არის, თუ მეფესთან მივიდოდა ვინმე მოჩივარი, ვინც რომ უნდა ყოფილიყო, იმას ის არ დაეშლებოდა, პირდაპირ თამამათ მოვიდოდა ყოველი თავადაზნაური ანუ გლეხი და თუ მეფეს იმ დროს თვითონ არ შეეძლო მოუცლელობისა გამო ანუ ასე ისურვებდა, დიამბეგებს მიაჩემებდა და ისინი გადასწყვეტდნენ, მაგრამ მეფეს უნდა დაემტკიცა გადანყვეტილობა, რომელთანაც ბევრჯველ მოხდებოდა განსხვავებულს საქმეზედ, რომ თვით მეფეს უნდოდა გადაეწყვიტა და საქმის გამო მოცლა არ ექნებოდა, იმას მოცლამდისინ გადასდებდა, თავის თანადასწრებითა გადანყვეტილიყო. ესენი ხომ ასე იყო უნინ, ამ წესითა სამართალი საქართველოში, მაგრამ კარგი ზნეობისა გამო, დიახ იშვიათად იყო ხოლმე საჩივარი საქართველოში. აბა ახლა, ახლანდელის სამართლისა გავიგონოთ როგორია? — უნინდელი სამართალი რუსეთისა იყო დამაჭლექებელი, საქმის დაუსრულებელი და პლუტობით სამსე, რომლებიცა იმათი მო-

სამართლები ქრთამით იმსებოდნენ, იღებდნენ ორისავე მხრიდან და გადანყვებთ მანც კიდევ არ იყო, სადაც რუსეთის მთავრობის შპიონების ჩუმჩუმობის ჩაგონებით გაჩნდა აუარებელი დავიდა-რაბები, მერე როგორი დავიდარაბები? სულ მაშენიკობითი და კლიაუზნიკობისა. ეს უნდა ასე მოკლეთ დავასრულო, თორემ თუ ამაზედ მივყვი, ბევრი წერა მამინდება. ბოლოს იმის შემდგომ ამ რამდენისამე წლის წინათ დაიძახეს: სასამართლოების რეფორმაო (!) ამ ხმაზედ, ყველამ ხელები განვიპყართ ღვთის მიმართ და მადლობა შევნირეთ მას, რომ ძლივრასყოფით, იმ წყეულის უსამართლობისაგან გამოვიხსნებითო და ახლა ჭეშმარიტი ბედნიერი სამართალი მოგვეცემაო. ამის გამოისობითა სიხარული დიდი გვექონდა და ყველანი მოუთმენლად ველოდით მას. ბოლო დროს ყოველი სასამართლოები დღესასწაულებით გაიხსნა, დაიწყო იქ სამართალი, სადაც ყოველს დღესა გატენილი არის მოჩივრებით, პასუხისმგებლებით და მაყურებლებითა, რომლებშიაც ყოველს დღესა ბევრი სამართალი წყდება, მაგრამ ყოველს დღესვე მანც კიდევ სამსე არის სასამართლოები კიდევ მოჩივრებისაგან და სხვანი. ისე რომ, დაუსრულებელი და საუკუნო საჩივრები არის სულ ახალ-ახლები და არც თავის დღეში დასრულდება იგი. ამიტომ რომ რუსეთის კაცებისა ჩაგონებით, იმათი შპიონები აქა იქ ჩუმათ დაძრნიან და ხალხს ერთმანეთზე აღელებენ, რომლისაცა ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის, რისთვისაც შვრება ამას და ამას ყოველი კარგი გონება მიხვდება, რისთვისაც შვრებიან ამას? თუმცა ახლანდელი სამართალი ჩქარა წყდება, მაგრამ იქაც ყოველი პლუტურია; ოღონდ ჩქარა გადანყვიტონ სამართალი და ჯამში ბევრი იყოს გადანყვიტილი, რომ ყველას დაანახონ: ამთენი... სამართალი გადანყვიტეთო. თორემ როგორც უნდა იყოს, სულ ერთია. აქამდისინ ქრთამსა მხოლოდ მოსამართლე ჩინოვნიკები იღებდნენ, ახლა მოსამართლებიც და ადვოკატებიც ჰყვლეფენ მოჩივრებსა, ესე იგი ორკეცად აკლებათ. მართალია, იმისთანა მოსამართლებიც არიან, რომ ქრთამს ერიდებიან, მაგრამ დიახ ცოტა არის ამისთანები. აქამდისინ ტყუილი და სიცრუე სასამართლოებში ხომ ბევრი იყო მოჩივრებისაგან, ახლა ერთი ასად მეტი არის, უფრო სულ ცრუობით არის, იქამდისინ რომ იმათი ცრუტყუილები, ეგება როგორმე კანონს მიუდგეს და ამითი საქმე მოიგონ, სადაც რიგიან ადამიანს ახლანდელი სასამართლოების მორიდება და სირცხვილი აქვს: იქ საქმე არ გამიჩენეს და სალაპარაკოთ არ გამიკეთდესო. ამიტომ ყველაფერში მორიდებული არიან იგინი: უკმაყოფილება არავისთან

მომიხდესო, მაგრამ აქეთ იქიდგან ეშმაკები¹ მაინც ამთენს ეშმაკობენ, რომ იმათაც უჩენენ იქ საქმეებს და გართული ჰყავთ ისინიც საჩივრებში. ეხლა საქართველოში უნამეტნავესი სხვა კეთილი ანუ კარგი ლაპარაკი აღარა არის რა თვინიერ სასამართლოებისა ანუ დავიდარაბებისა, და თუ სადმე კარგი ანუ კეთილი ლაპარაკი არის რამე საქართველოში, დიახ ცოტა მდარე. ისე რომ იშვიათად არის ვინმე საქართველოში, რომ საჩივარში არ გამოეაროს და ან დღესაც არავინ იყოს საჩივარში, ძნელათ ვინმე არის საქართველოში, სადაც რიგიანი ადამიანები და ხასიათნამხდრები სულ იქ ტრიალებენ ერთად. რომლებშიაც როგორც ზევითაც ვთქვი, რიგიანები ერიდებიან იმათ სასამართლოებსა და სამართალსა და ხასიათნამხდრები კი დღესასწაულობაში არიან იქ-იქ იმათი დიდი შექცევაა, დიდი სიამოვნე (!) ჩვენ შესანუხებლად, რიგიანები ცოტა არის საქართველოში და ხასიათნამხდრები მომატებულები, ასე რიგათ ნამხდარია ჩვენი ხალხი რუსეთის მთავრობის შპიონებისაგან. გარდა ამისა, ესეც არის, რომ ყოველი იმათი სასამართლოები პრატიქციებზედ არის დამოკიდებული და ფულზედ ხომ რასაკვირველია. თუ ესენი აქვს, კაცის მკვლელი იხსნის თავსა, თუ მეტისმეტათ ცხადი არ არის ის ამ საქმეში, და ვისაც ამის შემწეობა არა აქვს, ვაი იმის ბრალი, რამთენი მართალი სულელები მტყუვდებიან, ანუ რამთენს სულელებს ჰკარგვენ ციმბირისკენ... რალა უნდა ბევრი ვილაპარაკო, ცოტა დანერილი ესა დიახ ბევრად არის გასაგონი, ამთენი ვაი ვაებაა ეხლანდელსა სასამართლოებში, ამისთვის ეს ვიკმაროთ ცოტა გარკვეული და ღმერთს ვევედრები გულმხურვალედ, ამისთანა ჯოჯოხეთისაგან გვიხსნას, რომელსაცა რუსეთის მთავრობა უძახის ჭეშმარიტს სამართალსა (!)

21. შეყრილობისათვის

უწინდელი ჩვენი მამაპაპების შეყრილობა ყოველს დღე იყო დილით და საღამოთი, მეფიდგან მოკიდებული გლახამდისინ: ჰქონდათ დამშვიდებული მართებული ლაპარაკი საქვეყნო თუ კერძობითი; ერთი მოჰყვებოდა ლაპარაკსა, მეორენი ყურს უგდებდნენ და მეორე დაინყებდა მაშინ ლაპარაკსა, როდისაც ის თავის აზრს შეასრულებდა, ისე რომ ყველანი რიგზედ საუბრობდნენ ყოველს ლაპარაკსა, კარგის საუცხოვოს ზრდილობიანის სიტყვებითა და

¹ რუსეთის შპიონები

საამოდ გასაგონსა სმენისათვის. ეხლა შეყრილობა¹ ჩვენი საზოგადოებით ანუ საზოგადო სარგებლობისათვის სრულებით აღარა არის რა და თუ შევიყრებით ხუთნი, ანუ ათნი და იქნება რომ კიდევ მეტნი, დიდნი ანუ გლეხნი, იქ ამის მეტი არა არის რა, ყვირილით ლაპარაკი, რაც საგანზედ უნდა იყოს, სულ ერთია, რომლებიც ერთი ერთმანეთს არ აცლია(ნ) ლაპარაკსა და ყვირიან აქლემურის ხმითა, რომ ერთმა მეორე არ გაამტყუნოს აზრში, ისე ერთიერთმანეთს სტაცებენ სიტყვას პირიდგან და ეს ამგვარი ლაპარაკი იმათი, რა გგონიათ ამის ნამკითხველნი? — დიდ ჭკვიანათ მიაჩნიათ იმათ ესა, ასე გაფუჭებულია ჩვენი ხალხი, რუსეთის მთავრობის მონყალებით. ბოლოს იმათის ყვირილის ლაპარაკისაგან ძლივს რას ყოფით რაღაც სულელური აზრი უნდა გამოვიდეს, სრულიად საზოგადოს უსარგებლო და ეს შემდგომ გადაიტანონ სახუმრებლად ანუ ლაზღანდარობაში გაატარონ უბრალოთ დრო — დრო ღვთის მოცემული ყოვლის კარგის, საზოგადოს შემატებისათვის. აი ამაების საზიზღარის გარემზომლობითა, რომელიცა რუსეთის მთავრობა ხმარობს ჩვენზედ თავის შპიონებით, ეს ქვეყანა ასე ამ ჩირქებით გამაგრებული აქვთ თავისთვისა.

22. მეთვალეები ანუ შპიონები

საქართველოში უნინ მეთვალე ფიქრში არ მოუვიდოდა მეფეს: სახლებში შეუჩინო ანუ ყოველს შეყრილობაში, რომ მე იმათი ამბები შევიტყვოვო. ისე ყველაზედ მინდობილი იყო და ყველაზედ გულსინრფელით. აბა ახლა ახლანდელის მეთვალეებისა გავიგონოთ, მისყიდულები მთავრობისაგან, რომლებიც გაბნეული არიან ყოველს მხარეს საქართველოში და რომლებიც მთელს ხალხში სთესენ შურსა ერთიერთმანეთზედ, იქამდისინ, რომ მამა შვილს ველარ ენდობა, შვილი – მამას, ძმა – ძმასა, ქმარი – ცოლსა და ცოლი – ქმარს, ამის გამო ყველგან დიდი უთანხმო არის და ერთმანეთის უნდობლობა, ისე რომ ყოველი მთავრობის შპიონები ყოველს სახლში და სოფლებში შემძვრალი არიან, ისინი ისე აჩვენებენ თავის

¹ მხოლოდ საზოგადო შეყრილობა ეხლა ჩვენი ეს არის, რომ კეთილშობილთ წინამძღოლებს ვირჩევთ კენჭით და ცოტას რამდენსამე სასამართლოს დიანბეგებს, სადაც იმ შეყრილობაში რუსეთის მთავრობის შპიონები ბევრი არის და ფზიზლად ყურს გვიგდებენ. როგორ შეგვიძლიან, რომ ქვეყნის სასარგებლო შეყრილობა საზოგადოებით გვქონდეს მთავრობის შიშით, ასე დაჩაგრული არის რუსებისგან ჩვენი ხალხი? — ამ დაჩაგვისგამ ხალხიც ნამხდარია ხასიათით, ესე იგი შპიონების ჩაგონებით, რომლებსაცა სულ ცუდს ელაპარაკებთან გარყვნილობაზედ.

თავსა ყველას, როგორც პატიოსანი წმინდა, მაგრამ ამაში რამთენს მაცთურობის ცვიერობას ხმარობენ ისინი, რომ ჩვენი ხალხის გონება მიქცეული იყოს იმაზედ, რომ ყოველს საძაგლობას ჩადი-ოდნენ და კარგი კი არა ქნან რა. ამაზედ სანადელიც შესრულებუ-ლი აქვს იმათ მთავრობას.

23. ქურდობისათვის

ქურდობა უნინ საქართველოში არამც თუ იქნებოდა — გულ-შიაც ვერაინ გაივლებდა, ასეთი დაწმენდილი ხასიათი ჰქონდათ მაშინ ქართველ ხალხსა. ასე გასშინჯეთ, თათრის სოფლებშიაც იშ-ვიათად იყო ხოლმე, ამიტომ, რომ ქურდების დევნილება ძალიანი იყო და სასჯელი ხომ მეტათ მკაცრად სჯიდნენ: ბევრჯველ სახ-ლეულობით სულ აიკლებდნენ და ქურდს რამთენსამე წელიწადსა საპყრობილეში დააპყრობილებდნენ ბორკილს ქვეშა; ეს დიდის ქურდობისათვის. მცირეს ქურდობისათვის, ერთი ათად ჯარიმასა გადაახდევინებდნენ, საპყრობილეშიაც ცოტას ხანსა დაიჭერდნენ და შემდეგ თავდებებით გამოუშვებდნენ, რომ თავის დღეში ქურ-დობა აღარ გაებედა. ახა ახლა რა ვთქვა ამაზედ? — რაც პირველად რუსეთის მთავრობა გაიხსნა აქ საქართველოში, იქიდგან აქამდის-ინ ატეხილია ქურდობა, ქართველებში უფრო ნაკლებ და თათრებში განძლიერებული არის, რომლებიცა ერთმანეთსა სტაცებენ: საქ-ონელსა, ცხენსა ანუ რასაც მოასწრობენ და გაცრცვა ხომ ხშირი არის ერთმანეთისა, ერთმანეთის მოკვლაც დიახ ხშირი, ამისთვის, რომ სამართალი სუსტია და არც აგრე რიგათ დასდევს მთავრობა ამ ბოროტებასა, ამიტომ რომ ყოველს საძაგლობაში გარყვნილი უნდა ჰყვანდეს ჩვენი ხალხი და ჰყავს კიდევ, რომ ამავების გართუ-ლობით, ხალხმა მთავრობაზედ წინააღმდეგობა ველარა იფიქრონ-რა. მიწეწილიც არიან ამ სანადელსა.

24. ვაჭრობისათვის

უნინ ჩვენი ვაჭრობა მაგთენი არა იყო რა, მაგრამ რაც იყო და რისაც, სულ კეთილ სვინდისით და სიმართლით. ახლა ყოველი ჩვე-ნი ვაჭრობა პლუტობაზედ და მოტყუობაზედ დაფუძნებულია; ამას ასე მოკლეთ ვიტყვი და აღარ დავანწრილებ, ეს ორიოდ სიტყვაც კმარა.

25. ლოთობისათვის

უნინ ჩვენში ლოთობა არას დროს არ იქნებოდა, შემთხვევისა გამო მართალია ღვინოს ბევრს დაღვედნენ, მაგრამ შექცევითა ლხინით და მშვიდობიანობის მართებულობითა, რომლებიცა ისე ნასომი შინ რომ მივიდოდნენ, თითქმის არც კი ვინმე შეიტყობდა, ქვეშაგები უნდა გაშლილი დახვედროდა და მაშინვე ძილისთვის თავი მიეცათ, ამიტომ რომ დიდი უკადრისი იყო, თუ ღვინო ნასვამს ნახევდა ერთი მეორესა. ახლანდელი შექცევა კი სხვა რიგია: ყიჟინითა, არეულობითა და შემდგომად შფოთით დასრულდება ეხლანდელი ლხინი, რომლებიცა ამ დროს ისინი აღარ მოისვენებენ, ანუ დადგებიან იქვე ბრიყულის სიტყვებითა, ჯაყჯაყებენ და ან ღრიალყვირილისა სიმღერითა ეთრევიან აქა იქა და იმათი გონება ჭირვეულობაში არის, ყოველს ჩხუბზედ. ამით დაღალულნი, ანუ დაქანცული შინ რომ მივლენ, შინაურობასა დაანიოკებენ და ბოლო დროს ამ ყოფაში ძლივს როგორმე უნდა დაიძინონ, ესეც მოკლეთა ვთქვი, თორემ ამის რეზულტატები ბევრი არის...

26. სიძვისათვის ანუ მრუშობისათვის

სიძვა ანუ მრუშობა უნინდელს დროს როგორ იქნებოდა, არამც იქნებოდა — ფიქრშიაც ვერავინ ვერ გაივლებდა, ამიტომ რომ ჯერ უმანკოების და სინმინდის ცხოვრება ჰქონდათ ნმინდის სახარების სიტყვით, რომლებიცა ღვდლებისაგან ჩაგონებულთ, იმის ძალი ყველამ კარგათ იცოდნენ და მასუკან, თუ როგორმე მოხდებოდა ამისთანა შეცთომილება, საშინლათა სჯიდა მეფე, ისე, რომ არას დამნაშავეს, იმისთანა სასჯელს არ გაუჩენდა და ესეც რომ რაკი ყმანვილი ასაკში შევიდოდა, ვაჟი იყო, მაშინვე ქალს უთხოვდნენ ცოლად და ქალს ქმარსა აუჩენდნენ დაუყოვნად, ამისთვისა ამაების გამო, დიდი უმანკოება იყო მაშინ საქართველოს ხალხში და ერთმანეთის დიდი მინდობილობა. აბა ახლა ამისთვისა რა ვთქვათ? თუ ამასა დანვრილებით აღვწერ ეხლანდელსა ამის საქმეებსა, ამთენი საძაგლობა არის ეხლა, რომ ისევ ისე ვარჩიე, ამ საქმეებისა არავინ არა შეიტყოს რა, ასეთი ღვთის გარეგანი საქმეები ვიცი, ამიტომ ისევ ისე სჯობია, მოკლეთ გამოვთქვათ, და დაფარვით, რომ შვიდი მომაკვდინებელის ცოდვით სამსეა ეს ჩვენი საქართველო. სოფლებში ისე არა, უფრო ქალაქ ტფილისში, რომელიც რუსეთის მთავრობის შემოჩენილი შპიონები ამაებსა საუცხოვოს ოსტატობით ასწავლიან ჩვენს ხალხს, სადაც ცენტრათ ეს ტფილი-

სი აქვს მთავრობასა და აქედგან მთელს ჩვენს ქვეყანაში ჰფანტავს ამისთანა უკადრისობასა თავის შპიონებით. იქნება იკითხონ: მე რად ვიცი ესენი? — ამიტომ ვიცი, რომ ჩვენი საქმე სხვა ამის მეტი არა არისრა, რომ რუსეთის მთავრობის გარემოზომლობა, რაც მიღებული აქვს ჩვენზედ, შევიტყო და შემდგომ ქალაღზე აღვწერო მთელი ქვეყნის წასაკითხად. ამის გამო და ამისთვის ვიღწვი და ძალიან ვცდილობ, რომ ყოველი მთავრობის გარემოზომლობა შეტყობილი მქონდეს და მაქვს კიდეც. ბევრი კეთილი ადამიანების არის ქვეყანაზედ...

რალა რა ვთქვა, არაფრისთანა კარგი აღარა არის რა რუსეთის მთავრობისაგან ჩვენზედ: უნინ პირობა ჩვენი მტკიცე იყო, და ახლა გაგვიტეხეს, პატიოსნება შეგვიმუსრეს, ზრდილობა გაგვიფუჭეს, ქცევა რიგიანი აღარ არის ჩვენში, საქვეყნო ზრუნვა სულ აღარა, დარბაისლური საუბრობა ჩვენი სულელურ ლაპარაკათ გადაგვიცვალეს და ლაზღანდარანი შევიქენით, უსამართლოს სიხარბეში შეგვიყვანეს და ხელში კი არა გვიჭირავს რა, ანგაარები გაგვხადეს ყველა თითვეულად, ყველა თავისთავისათვის, მაგრამ არავის კი არა გვაქსრა. ღარიბნი ვართ და ვალებშიაც ჩავარდნილი ვიმყოფებით, შურიმტრობა ერთმანეთის ჩვენი დაუნყნარებელი და მოუნყინარი არის, რუსეთის მთავრობამ არამაც თავის მოდრეკამდინ დაგვიმონეს, დედამინამდისინ იმათ უნდა ვეტრფიალოთ, იმათ ვესათნოვოთ; ყოველი იმათი სურვილი, ჩვენი დაქცევისაც რომ იყოს, ჩვენს საბედნიეროდ უნდა მივიღოთ და დაუყოვნად აღვუსრულოთ. უნინ ჩვენი სვინდისიანი ხალხი ახლა უსვინდისობით გადაგვაქციეს, იმ სიმართლეს ახლა სიპლუტე მიჰყვა, თან სიცრუე და მოუსვენებელი ხასიათი, რომლებიცა მოუსვენად ვცდილობთ, ერთმანეთი წავახდინოთ და შემდეგ ერთმანეთის წახდენითა ვიდღესასწაულოთ, ისე რომ ყოველი საქართველოს ხალხი სულერთიან ბოროტებათ გადაგვაქცია რუსეთის მთავრობის შპიონებმა, სადაც კეთილი ცოტალა არის, ოდესმე იმ ღვთიურს ხალხის შვილებში. აბა რალა რა არის ჩვენში კარგი? რომლებიც მარადის და ყოველთვისა ერთიანად მაშენიკობასა ვფიქრობთ და ამას შეუკდმათ ვმერებით კიდეც, ამიტომ, რომ დიდ გონიერებათ გვგონია ესა, ერთმანეთის მოტყუება ცრუფიცითა სახელათა მიგვაჩნია, ერთმანეთის ცილის დაწამება თავის მოსანონათა გვაქვს, უპირობა დაუდგრომლობა და დაუნდობლობა ადვილია ჩვენში, გაუგებლობა შორს დაუნახაობა და თავხედობა. ტვინის მაგიერათ ჩვენი თავი სამსე არის ამაებით, უკადრისი ქცევა საქციელი ჩვენში ძალიან

იაფია, ერთმანეთის შეუზღბრალებლობა ჩვენში წესად მიგვაჩნია, ცარიელის სიტყვით ვტრიაბახობთ კი: ღარიბებსა ძალიან ვენევი-თო და თუ მართლა ოდესმე შევენევი ღარიბებსა, ხალხს კი უნდა დავანახოთ: აი ასეთი მოწყალე ვარო, ისე რომ სხვის ტანჯვა და მწუხარება ჩვენს გულს სულსა აღარ ეკარება ეგოისტობისა გამო, უთანხმოება ერთმანეთის წინააღმდეგობა და უსაფუძლო უგუნური თვითრწულობა დიდ კარგ ხასიათად მიგვაჩნია, ერთმანეთის სიძულვილის გამო ერთმანეთს რამთენს ტყუილებს ვუგონებთ, ისე, რომ ერთმანეთს ვრვყნით საზიზღარის ცრუჭორებით, ყოველს უკადრის და უსამართლოს საქმეებში ასეთი ცფიერები ვართ, რომ ყოველი ეშმაკი ჩვენთან უნდა მოვიდეს და ჩვენგნით ისწავლონ, რა არის ცფიერება; ჩვენს კარგს სასარგებლოს და ჩვენს საქვეყნო საქმეებში კი წმინდა მტკნარი ჩერჩეტები, როგორც უგრძობელი იდიოტი ისე ჩვენ ვართ. რამთენი კიდევ ამაზედ უარესებია ჩვენში, სულ რომ აღინეროს, მეტად ბევრი მოვა და წამკითხველსაც აღარ იამება ასეთი საძაგელი რაღაებიც გამოჩნდება. ესენი სულ მთავრობისაგან შემოჩენილ აგენტებისაგან ანუ შპიონთაგან არის ჩვენში, რომლებსაცა ისინი წმინდანი გვგონია, ისე რიგათ გვაჩვენებენ თავს და ჩვენც სუბუქკვიანები ძალიან მინდობილები ვართ იმათზე, ამის გამოისობითა ჩვენი ხალხი ზნეობითა დიდათ წამხდარია, რომლისაგან რუსეთის მთავრობა ამის ღონისძიებითა, ესე იგი გარყვნილობის ქცევით თავისგნით უსამართლოთ მიტაცებულებსა და დაცემულთ ხალხსა მართავს, ისე, როგორც თავიანთი უსამართლობისა ინტერესი ითხოვს, იგი მაცთურები და ამასთან საშინელი ბარბაროსნი (!!!) რომლებიცა სულ თავის შტიკებით გვემუქრებიან: ყოველს ჩვენს საქმეში ჩვენი ნება აღასრულებთ, თორემ ხედავთ ამ ჩვენს სალდათების შტიკებსაო. მოდით იმათ ნებას ნუ ვიქთ? —

აბა რა გვასწავლეს იმათ კარგი? — ეგოისტები არ ვიყავით, უზომო ეგოისტნი გაგვხადეს, ამპარტავნება ჩვენში სულ არ იყო, განუსაზღვრელი ამპარტავნება გვასწავლეს, თავის სიყვარული ჩვენში მშვიდობიანობით რიგიანათ იყო, ესლა კი იქამდისინ არის აწეული, რომ ჩვენის მეტი ჩვენ თანასწორ არავინ არ უნდა იყვნენ, ისეთი ფიქრის გამახატულობა მოგვცეს გონებაში; პატივმოყვარულობა უწინ ჩვენში იყო ძლიერის ვაჟკაცობისთვის და თავდადებით მამულის დაცვისათვის, რომლებსაცა ამისთვისა ძალიან დიდათ მოსწონდათ თავი ყველას, ახლა კი სხვა რიგია, რომლებიცა ჩინებს და ორდენებს ვწირავთ ჩვენს თავს მსხვერპლად და ამაებით

დიდათ მოგვწონს თავი. ეს კი სწორეთ ასე უნდა იყოს, ამიტომ, რომ სხვა მისამართი სანუგეშო ადგილი რომ აღ(არ) არის ჩვენი ქართველებისათვის, რუსეთის სამსახურში უნდა ვიყვნეთ, იქ იმათი ვიცხოვროთ და ლუკმა პური მაინც ვჭამოთ, მშვიდები არ დავიხოცნეთ; ესეც რუსეთის ცბიერი პოლემტიკა იყო. ამ განწირულებამდის ასე დაგვცა და დაგვამდაბლა ქართველები, მეტი ღონე რომ აღარ არის ჩვენში, უნდა ლუკმა პური რუსეთის მთავრობასა ვთხოვოთ ხოლმე და იმანაც ესა ძლივს რას ყოფით მოგვცეს, ისიც როგორ? — ჩვენის დიდის იმათი სამსახურისათვის. ისიც რა ბატონებო? — უნდა სულ ერთიან სახლეულობითა იმითი გამოვიზარდნეთ და ბედოვლათურათაც¹ მივხარჯ მოვხარჯოთ, რომ ქართველს მომატებულნი ფული არა ჰქონდეს, თორემ რუსეთის მთავრობასა თვალში ეკლათ ექნება. გარდა ამისი, რამეთუ ნამდვილი მაგალითებია, რომ რუსეთში გამდიდრებული ჩვენი ყმანვილი კაცები რუსების ქალების მზითვით, იმათ მთავრობამ თავის ეშმაკი აგენტები შეუჩინეს და იმათი ცოლების სიმდიდრე დაუღუპეს სხვა და სხვის გარემზომობითა, იმიტომ რომ ქართველს საქართველოში ფულის სიმდიდრე არა ჰქონდეს, ამის გამოისობითა ამის შემდგომ ჩვენი ქართველი ყმანვილი კაცები, მდიდარს ქალს რომ ირთვენ რუსეთში, იქიდგან აღარ უშვებენ და იქვე ასახლებენ.

ჩვენს ეხლანდელს სასწავლებლებზედაც ვერას ვიტყვი კარგსა ჩვენის ქართველებისათვის, ამისთვის, რომ ჯერ სრული განათლების სწავლა იმათში არ არის და მასუკან, რასაც ასწავლიან სულ ერთიან ქართველებსა, რუსებათ ამზადებენ, ისე რომ იქიდგან გამოსული ქართველი ყმანვილები თავიანთსა შეყრილობაში სულ რუსულათ ლაპარაკობენ და ქართულს ლაპარაკს კი ხანდისხან გაურევენ ხოლმე, ისიც დიახ, იშვიათად. მაგრამ ეს კი უნდა ითქვას, რომ ყოველი იქიდგან გამოსული ქართველი ყმანვილები თუნდა ზოგიერთმა კარგი სწავლაც ვერ გამოიტანონ, მაინც სულ ახალი იდეებისანი არიან, რომლებსაცა იმათ შორის ზოგიერთი ხნიანი განათლებულნიც იანგარიშება და სულერთიან იმათ კარგი განათლების მიმართულება აქვთ,² მაგრამ — მაგრამ კი ეს არის, რომ თუ განგებულებამ ეს ჩვენი დანთქმის მდგომარე არ შესცვალა, აქ ქართველი თესლი აღარ დარჩება და ბოლო დროს სულ რუსე-

¹ ბედოვლათობას მე იმას ვეძახი „განუსჯელს და გადამეტებულსა ცხოვრებასა და ურიგოთ ხარჯსა“.

² კარგი მიმართულება აქვთ, მაგრამ იმათშიც არის რუსეთის მთავრობის შპიონები, ცოტა კი ზევითაც ვთქვი ესა.

ბათ გარდაიცვლებიან ჩვენში მომავალნი, რომლებსაცა რუსები ამ სიტყვით გვავალებენ და ყვირიან: რუსეთის ხელმწიფობამ ქართველები ყოვლისფრით გააბედნიერაო (!)

აი, ხომ გაიგონეთ, როგორ გაგვაბედნიერა ქართველები იმ ღვთის მტრებმა, რომლებიც გარდა ჩვენისა, მარადის გამზადებული არიან, რომ ყოველი კაცობრიობა ჯერ თავის დიდმუცელში ჩანთქას და მასუკან ერთიანათ გაარუსოს, მხოლოდ თავის სახელის დიდების განთქმისათვის და არა კაცობრიობის კეთილისათვის. იგი აღმოსავლეთის ბარბაროსებზედ ათკეცად უარესნი ბარბაროსნი არიან და ჯოჯოხეთის ეშმაკებზედ ეშმაკები, რომელიცა იმათი ხელმწიფობა, ყველას კეთილად და პატიოსნად აჩვენებს თავსა, მაგრამ კაცობრიობას კი ქვეშ უთხრის თავის ინტერესისათვის, იმისათვის, როგორც აქ, ამ წერილში გაიგონეთ, მთელის ქვეყნის დასაპყრობლად რუსეთისგან.

12ს ნოენბერს 1869ს წელსა

ქ. ტფილისს.

**შენიშვნები
კომენტარები
საქიებლები**

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში ქვეყნდება ალექსანდრე ორბელიანის მიერ 1840–1869 წლებში დაწერილი 32 პუბლიცისტური და კრიტიკული წერილი, რომელთაგან ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალებში „ცისკარსა“ და „მნათობში“; რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა ალექსანდრე ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ წიგნში „თ. ალექსანდრე ჯამბაკურ–ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგისძის ორბელიანისა“, თბ., 1879 გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ“. ამ ტომში პირველად ქვეყნდება წერილების ნაწილი.

გასული საუკუნის 70–იან წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში გამოსაცემად მომზადდა ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა კრებული სამ ტომად (შემდგენელი ლუბა მეფარიშვილი). მეორე ტომში განზრახული იყო მისი ავტობიოგრაფიული და კრიტიკული წერილების გამოქვეყნება. სამწუხაროდ, საბჭოთა ცენზურის გამო ამ გამოცემამ დღის სინათლე ვერ იხილა. მხოლოდ რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა ჯუმბერ ჭუმბურიძის და როსტომ ჩხეიძის მიერ, ასევე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამოიცა მწერლის რამდენიმე კრიტიკული წერილი კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზე“ ლომისი თბ., 1996; ერთი წერილი „თელავი“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ (ლომისი, თბილისი 1997; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა).

ამდენად, ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული დღემდე არ გამოცემულა. II ტომში პირველად ქვეყნდება სრულად მისი ყველა პუბლიცისტური და კრიტიკული წერილი.

ტომის შედგენისას ვეყრდნობოდი ნაბეჭდ წყაროებსა და ხელნაწერებს, რომლებიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

ტექსტები იბეჭდება პირველნაბეჭდებისა და ავტოგრაფების მიხედვით, ხელნაწერები შედარებულია დედანთან, წერილების უმრავლესობის ავტოგრაფული ხელნაწერი არ შემონახულა.

ტომს ახლავს სამეცნიერო აპარატი: ე.წ. პასპორტში მითითებულია ტექსტების ხელნაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ნაბეჭდი წყაროები, შესაბამისი ლიტერით. ასევე – სათაური, თარიღი, ხელმოწერა და დაწერის ადგილი. რამდენიმე წერილი უსათაუროდ იყო შემორჩენილი, ისინი დასათაურებულია ჩვენ მიერ და სა-

თაურები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ალექსანდრე ორბელიანი ტექსტებს უმეტესწილად ათარილებდა და ხელს აწერდა. უთარილო წერილები თარიღდება პირობითად პირველი პუბლიკაციის მიხედვით ან თარიღი დადგენილია ჩვენ მიერ კვლევით. ორივე შემთხვევაში თარიღი ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და კომენტარებში მითითებულია, რის საფუძველზე მოხდა მათი დათარიღება.

ტექსტების პასპორტებში წარმოდგენილია შენიშვნები, ტექსტოლოგიური, ლიტერატურულ-ისტორიული კომენტარები და ინფორმაცია ტექსტებსა და კომენტარებში მოხსენიებულ პირთა შესახებ.

ტექსტებში ძირითადად დაცულია მწერლის ორთოგრაფია, ნასწორებია მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები, ცალკეული გამონაკლისის გარდა.

ტომს ერთვის პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, პერიოდულ გამოცემათა და მხატვრული ნაწარმოებების საძიებლები.

ალექსანდრე ორბელიანის პუბლიცისტური წერილების შემორჩენილ ავტოგრაფებში ხშირად ვხვდებით ავტორისეულ სწორებებს. ნაშლილია ცალკეული სიტყვები ან წინადადებები და ხშირად ტექსტის საკმაოდ დიდი მონაკვეთიც. ჩვეულებრივ, ტექსტოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით, ეს გადახაზული ადგილები ვარიანტულ სხვაობებს ქმნის და ტომის პასპორტში ჰპოვებს ასახვას, თუმცა ამ შემთხვევაში სრულიად არაორდინარული ვითარებაა, ალექსანდრე ორბელიანი შლის სტრიქონებს უმეტესად არა მისი ვარიანტული სწორების მიზნით, არამედ კონიუნქტურის გამო – ცენზურის მოსალოდნელი ჩარევის გათვალისწინებით. ამიტომაც სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადგილები, რომლებიც ავტორმა კონიუნქტურული მოსაზრებით წაშალა, აღვადგინეთ და ძირითად ტექსტში ისინი **დახრილი შრიფტით იბეჭდება.**

ცალკეული ვარიანტული სწორება აისახა შესაბამისი ტექსტის პასპორტში.

ლიტერაზი და პირობითი ნიშნავი:

K – კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

T – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმ-
ნიფო მუზეუმი.

Z – საქართველოს ეროვნული არქივი.

იგ. – იგულისხმება

წ. ტ. – წინამდებარე ტომი

ტომს ახლავს ალექსანდრე ორბელიანის სურათი, რომელიც დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში (ნახატის ავტორი უცნობია) და ავტოგრაფული ხელნაწერის ფოტოასლი, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწ-
ერთა ეროვნული ცენტრის საცავში (S 1634:6).

თ–დი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა (9)

ხელნაწერი: ავტოგრაფი T 16294–ხ.

თარიღი: 15–ს აპრილს 1840 წელსა, ქ. ტფილისს.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

მინაწერი: ეს რომ თქვა, თვით იმასთან იყო, მეც რომ მიველ შინა, ასე დავწერე.

ქვეყნდება პირველად.

XVIII–XIX საუკუნეებში ბლიაძეების გვარის წარმომადგენლებს სახელი გაუთქვამთ, როგორც სახალხო მთქმელებს, მესტვირეებს. შემდეგ გვარი, საერთოდ, მესტვირის აღმნიშვნელად განზოგადებულა. „მესტვირესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გვარია და არა მესტვირე. რადგან საგანგებო მესტვირე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმის სახელი მესტვირისათვის დაურქმევიათ“, – წერდა ალექსანდრე ორბელიანი 1861 წლის „ცისკრის“ №2–ში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი“.

ნაპალიონი და მაშინდელი ანგლის მთავრობა (10)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1634:1.

თარიღი: 3–ს ივნისს 1944–სა წელსა, ს. კაზრეთს.

ხელმოწერა: თა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

პირველი პუბლიკაცია: კრებ. „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“ გვ. 149; ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, გამომცემლობა „ლომისი“: თბ., 1999.

10. ნაპალიონი – ნაპოლეონ ბონაპარტე (1769–1821). საფრანგეთის პირველი იმპერატორი. მისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ორგვარი იყო და ასეთად რჩება დღემდე. ზოგს მიაჩნია, რომ ნაპოლეონი დამპყრობელი იყო და ამიტომ უარყოფითად აფასებს მის ქმედებებს, ზოგი კი ნაპოლეონში ძლიერ პიროვნებას, გმირს ხედავს და ამკარად გამოხატავს პატივისცემასა და აღფრთოვანებასაც კი. ქართველი რომანტიკოსე-

ბი (მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილიც), როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ შეხედულებას იზიარებდნენ.

10.27. „სამწუხაროს კუნძულში გადაადგო“ – იგულისხმება წმინდა ელენეს კუნძული, სადაც ინგლისელებმა გადაასახლეს და სადაც გარდაიცვალა ნაპოლეონი 52 წლის ასაკში.

ქართულის ენისათვის (12)

ნაბეჭდი: „ქართულის ენისათვის“ (ბროშურა).

თარიღი: 1856 წლის 19 ივნისი.

ხელმოწერა: ო.

წერილი გამოცემულია ცალკე ბროშურის ფორმატით, რომელსაც ახლავს ცენზორის მინაწერი „1856 წლის 19 ივნისი“. ალექსანდრე ორბელიანი თავის წერილში შენიშვნის სახით ურთავს ასეთ ცნობას: „ეს ხსენებული ჩემი რვეული დაიბეჭდა ცალკე რვეულათ. 19–სა ივნისს, 1856 წელსა.“

წერილი პირობითად დავათარიღეთ ავტორის ამ შენიშვნისა და ცენზორის მინაწერის მიხედვით.

ალექსანდრე ორბელიანი იზიარებს მოსაზრებას, რომ დღევანდელ მწერლობაში ორგვარი ენა არსებობს – „ძველებური მსწავლულების წერა და ახლანდელი“, თუმცა თავად არცერთს არ ანიჭებს უპირატესობას: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე სიტყვიერება მეტი საუცხოვო არის“, – წერს იგი.

12. საბა ორბელიანი – სულხან–საბა ორბელიანი (1658–1725) – მწიგნობარი, ლექსიკოგრაფი, პროზაიკოსი, პოეტი, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე. იყო ალექსანდრე ორბელიანის ნათესავი (ყაფლანის შთამომავალი). სიტყვათა მნიშვნელობის განმარტებისას ალექსანდრე ორბელიანი არაიშვიათად იყენებს და იმონებს სულხან–საბას „სიტყვის კონას.“

12. იმერლები და ქართველები – ალექსანდრე ორბელიანი ამ ტერმინებით მოიხსენიებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ. „ქართველი“ XVIII–XIX საუკუნეებში „ქართლელის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა (მდრ. დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე...).

13. ივანე კერესელიძე (1829–1892) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გრიგოლ ორბელიანის დახმარებით შეძლო, გამოეცა ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც ოფიციალურად გამოვიდა, როგორც გიორგი ერისთავის „ცისკრის“ გაგრძელება. ივანე კერესელიძე „ცისკარს“ რედაქტორობდა 18 წლის განმავლობაში, 1857–75 წლებში. „ცისკრის“ განახლებაში დიდი წვლილი შეიტანა, რედაქტორს ყველა საქმეში გვერდით ედგა და მატერიალურადაც ეხმარებოდა ალექსანდრე ორბელიანი.

13. სოლომონ დოდავი (1805–1836) – დოდაშვილი, ფილოსოფოსი, მასწავლებელი, მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პირველი ქართველი რედაქტორი. 1832 წელს გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (გამოვიდა სულ ხუთი ნომერი). ჟურნალის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი ალექსანდრე ორბელიანიცაა. ელიზბარ ერისთავთან ერთად.

13. გიორგი დავითის ძე ქსნის ერისთავი (1813–1864) – დრამატურგი, მთარგმნელი, პოეტი, თეატრალური მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის პირველი ხელმძღვანელი, რედაქტორი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. 1852–53 წლებში გამოსცემდა ჟურნალ „ცისკარს“. სოლომონ დოდაშვილისა და გიორგი ერისთავის ღვაწლსა და დამსახურებას პერიოდიკის გამოცემაში საგანგებოდ აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძეც.

13.32. „დიდმა იმპერატორმა ინება..“ – ივანე კერესელიძის „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა ალექსანდრე II-მ გასცა, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი, შესაძლოა, გულისხმობდეს ნიკოლოზ I-საც, რომლის თანხმობითა და მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის ნებართვით გიორგი ერისთავმა დაიწყო ჟურნალის გამოცემა 1852 წელს.

14.16. „ამ ორი თვის წინ გამოცემული განცხადება და ხელისმომწერთა სია..“ – ალექსანდრე ორბელიანის წერილი „ქართულის ენისათვის“ 1856 წლის ივნისში დაიბეჭდა. ორიოდე თვით ადრე გამოქვეყნებულა განცხადება ახალი ჟურნალის დაარსების შესახებ. მზადება ჟურნალის გამოსაცემად უფრო ადრე, 1854 წლიდან, დაწყებულა. ალექსანდრე ორბელიანის სახლში გამართულ ერთ-ერთ კრებაზე (1854 წელს) პროგრამის (პროექტის) დანერა მიანდეს დიმიტრი ყიფიანს. მან კიდევ წარადგინა საკუთარი პროექტი, რომელიც ხელისუფლებამ არ დაამტკიცა. საბოლოოდ, „ცისკრის“ განახლების, არსებითად კი ახალი „ცის-

კრის“ გამოცემის საქმე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ოფიციალური თანხმობით დასრულდა.

14.18. „ხელისმომწერნი კი არა სჩანან..“ – XIX საუკუნეში ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა უმრავლესობის მთავარი გასაჭირი გახლდათ ხელისმომწერთა სიმცირე.

მონყალო ხელმნიფეჲ, უფალო რადაკტორო, ივანე კერესელიძე (15)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“: 1857, №6, გვ. 62–64.

თარიღი: [1857].

ხელმონწერა: თ. ალ. ვახ. ძე. ორბელიანი.

15.1. „ვნახე ერთმანეთზედ კრიტიკა..“ – ალექსანდრე ორბელიანს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული კრიტიკის მნიშვნელობა ლიტერატურის განვითარებისთვის, ამიტომ ყოველთვის მხარს უჭერდა ე. წ. „ზრდილობიან“ კრიტიკას.

15.33. მაფრაშა – ნაქსოვი, მართკუხა ფორმის ერთგვარი სათავსო, რომელშიც ინახავდნენ თეთრეულს, ნაბდებს, საფენებს, სხვა საოჯახო ნივთებს. მაფრაშით ატანდნენ ხოლმე ქალს მზითევს.

16.4. მეოთხე – ნაბეჭდში შეცდომით ეწერა მეხუთე, რომელიც გასწორდა ჩვენ მიერ.

თელავი (17)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S-1650.

თარიღი: 1857 წ., აგვისტო.

ხელმონწერა: 1857 წელსა, ყვარლის ციხეში, თვესა აგვისტოსა.

პირველი პუბლიკაცია: „თელავი“ 1997 წ. თბ., გამომცემლობა „ლომისი“. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება; ტექსტი მოსაძებნად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა.

ხელნაწერს ახლავს ავტორის შენიშვნა, რომელიც პირველ ნაბეჭდში არ გამოქვეყნებულა იმის გამო, რომ ავტორის მიერ არის გა-

დაშლილი. ასევე არ გამოქვეყნებულა პირველ ნაბეჭდში მწერლის ნებით გადახაზული სხვა პასაჟებიც. ვინაიდან ნაშლილი ადგილები მკითხველისთვის მრავალმხრივ საინტერესოა, სარედაქციო კოლეგიის გადანიშნულებით, ისინი აღვადგინეთ წინამდებარე გამოცემაში და ვბეჭდავთ **დახრილი შრიფტით**.

17.17. გაჩხრიკოთ] + ლალი მერხი, საიდგანაც გადასჭვრეტ ჩრდილოეთისაკენ და ერთი სიტყვით, უმშვენიერესი ბუნება დაინახება.

18.37. მოსულან] მოუყვანია თელავს.

19.17. სამხრეთის გარედგან] სამხრეთისვე მხრით.

20.32. რა თვალს გადაავლებთ...განეული] რომ გადმოავლებ თვალს პირდაპირ: გაუმართავთ (დაინახავთ) კავკაზიის მთასა! იმის დიდს მედიდურებას! იმის სიმაღლეზედ შორს გრძლად განეულ ორას ვერსა მეტსა სიგრძე-სიგანეზე გადაჯაჭვულს. შორიდგან (დაინახავთ) ნამოსულსა და გრძლად განეულსა.

23.6. პატივსაცემელი კაცისაგან] თაყვანისცემისა ჩვენგნით.

27.5. წალკოტი] სამოთხე;

27.34. სალამურზე – გადახაზულია.

23.3. პირველ ნოესაგან] ზეცისაგან.

28. ერთი ჯაგი იყო. იმასთან რომ მივედი, ვნახე გაძვალეზული კაცის თავი – ეს სტრიქონები გადახაზულია (ჯ. გ.).

ამ დასაღონის შემთხვევით ახლა მხიარულ შემთხვევათ გარდამეცვალა. ერთრიგათ კარგიც არის. ...უკუმეყარა, რომელიცა ესეც უნდა დაინეროს თელავის ამბავში, არც ექნება უადგილოდ ჩანერილი. – ეს სტრიქონები გადახაზულია.

35.38. ისე აიტანდნენ...] არად მიაჩნდათ ის ჰაერის სიძნელე და ვმხიარულობდით ყველანი.

39.32. გასულან]განდევნილან.

41. დროგაუტარებელი მცირედი ჯარი... თორმეტი დღე სდგო-მია ყვარლის ციხეს ომარხან – ეს სტრიქონები გადახაზულია.

41.25. რომელთაცა ყველას] რომელთაცა დიდკაცებს.

46. ხავერდის ნამოსასხამით] მოსხმული მანტიით.

46. უნდა მოვიგონოთ იმათმა შვილიშვილებმა. – ეს სტრიქონები გადახაზულია (ჯ. გ.).

18.9. ყორჩიბაშიშვილები – კახელი თავადები. ყორჩიბაშიშ-

ვილებს ციხე, რომელიც დღეს დაზიანებულია, თავის დროზე მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა. ამას ადასტურებს ამ ტერიტორიაზე მდგარი ეკლესია და სხვა.

18.17. ვახვახიშვილები – კახელი თავადები. ვახვახიშვილების ციხე მდებარეობს „ბატონის ციხის“ აღმოსავლეთით. ჰქონია ექვსი კოშკი. დღეს გადაკეთებულია და თავდაპირველი სახის აღდგენა შეუძლებელია.

18.29. ცივის – მთა საქართველოში, მდებარეობს გომბორის ქედის შუა მონაკვეთზე, თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების საზღვარზე. ციცაბოკალთიანი მთის ზედა ნაწილში სუბალპური ბალახეული ხარობს, ქვედა ნაწილში – ფოთლოვანი ტყე. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს: „რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ ჰერ–კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგოზთ (ე. ი. მონღოლებს) მიუდგნენ, კახეთს ცივზედ მოიწვია და ამოსწყუიტა. იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო.“

19.12. „პირველი შვილი ვახტანგ, ფხეიძის ქალთან ნაყოლი“ – ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი, გარდაიცვალა ახალგაზრდა.

19.18. სომხების ეკლესია, თელეთის წმინდა გიორგისა – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ერთ დროს სომეხ მონოფიზიტებს ჰქონდათ მითვისებული.

19.25. მიხეილ ქობულაშვილი – ევგენის (ესტატეს) ძე, ალექსანდრე ორბელიანის სიძის, დავით ქობულაშვილის ძმა.

20.6. „იმისი შვილი, ყმანვილი ქალი“ – იგულისხმება ერეკლე მეფის უმრწემესი ასული, თეკლა ბატონიშვილი, რომელიც ავტორის დედა გახლდათ.

20.10. „ამის ბიჭურად ჩაცმის მიზეზი რაც იყო 1846 წელს მარტის თვესა დაიბეჭდა “კავკაზის გაზეთში..“ – 1846 წელს გაზეთ “კავკაზში” (№11 (16 მარტი). დაიბეჭდა ხელმოუწერელი ნეკროლოგი თეკლა ბატონიშვილზე. ჩანს, ავტორი კარგად იცნობდა ახალდგარდაცვლილს. წერილში მოყვანილია რუსული თარგმანი იმ სახუმარო სიგელისა, რომელიც მამამ, მეფე ირაკლი მეორემ, 1780 წელს უბოძა 4 წლის თეკლას და რომლითაც „თეკლა–ბიჭი“ უწოდა. სიგელს თავიანთი ხელმოწერით ამტკიცებენ ანტონ კათალიკოსი და თეკლას ძმები – იულონ და ალმასხან (ვახტანგი).

20.12. „კავკაზი“ – რუსულენოვანი გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1846–1918 წლებში.

22.16. თავადი დავით ქობულაშვილი (1813–1889) – ევგენის (ესტატეს) ძე. ალექსანდრე ორბელიანის სიძე, ცოლად ჰყავდა მწერლის ასული დარია (დარეჯან) ორბელიანი (1828–1884).

23.23. დუდუკი, სალამური, დაირა, დიპლიპიტო – ქართული ხალხური საკრავები. დუდუკი და სალამური – ჩასაბერი, ხოლო დაირა (დაფი) და დიპლიპიტო (ნალარა) – დასარტყმელი. გრიგოლ ორბელიანის ერთ მუხამბაზს რეფრენად გასდევს: „დიპლიპიტო, დაჰკარ, დაარაკუნე...“ ამ ლექსის შესახებ სწერდა მანანა ორბელიანი გადასახლებულ პოეტს, შენი დიპლიპიტო მე არ მომეწონაო, და სხვა.

23.23. ლეკური – ხალხური ცეკვა. გავრცელებულია კავკასიის ხალხებში.

23.26. ყაზია – განთქმული მომღერალი. ცხოვრობდა თელავში. მიიჩნეოდა აღმოსავლური სიმღერების (ხმების) საუკეთესო შემსრულებლად. „ყაზია მომღერალს“ ახსენებს ერთ ლექსში რაფიელ ერისთავიც.

23.35. თავისი ხიზანი – იგულისხმება საკუთარი ოჯახი.

24. პოლკა, გროსვატერი, მაზურკა – ევროპული ცეკვები. იმ დროში ახალი შემოსული ყოფილა საქართველოში.

24.35. რევაზ ვახვახიშვილი – თელავის წინამძღოლი 1888–89 წლებში. არსებობს მისი სახლის ფოტო. ხის მოხარატებულ-მოაჯირიან აივანზე დგანან რევაზის ქალოშვილები – მარიამ და ნინო.

27.23. კურდღელაური – ვრცელი სოფელი თელავიდან 3 კილომეტრში. დიდი ხნის ისტორია აქვს. არის რამდენიმე ძველი (შუასაუკუნეების) ეკლესია.

31.32. გოზაური – ღვინისა და არყის ჩასასხმელი მოზრდილი ჭურჭელი. ძირითადად მოჭიქულია ხოლმე. მასზე გამოხატავდნენ სხვადასხვა სურათებსა და ორნამენტებს. მისი დამზადების კერად აღიარებულია კახეთი. სახელწოდება დაკავშირებული საღებავებით გოზვა–შელესვასთან.

33.1. „არალალი“ – ქართული ხალხური სიმღერა.

33.14. საყოვლანმინდო – საყოვლანმინდო დამკვიდრდა სადღეგრძელოების რიგში დამამთავრებლად. ალექსანდრე ორბელიანის წყალობით, ამ სადღეგრძელოს გარეშე სუფრის ჩამთავრება ღვთის საწყენ (საწინააღმდეგო) საქმედ მიიჩნეოდა. გიორგი ლეონიძის მოთხრობაში „ღვინჯუა“ პერსონაჟს „საყოვლანმინდოს“ დავინყებისთვის თითქოს ღმერთი სჯის.

33.21. ნინონმინდელი – ნინონმინდის საეპისკოპოსო მეფეთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. განსაკუთრებით დანინაურებულა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის დროს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ მოღვაწეობდა საბა ნინონმინდელი (ტუსისშვილი). როგორც ჩანს, მას სწვევიან მეფე-დედოფალი სტუმრად.

33.22. ნინონმინდა – სამონასტრო კომპლექსი საგარეჯოს რაიონში. ცენტრალური ნაგებობაა VI საუკუნეში აგებული ნმინდა ნინოს ტაძარი. ნინონმინდის საეპისკოპოსო მეფეთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. განსაკუთრებით დანინაურებულა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს.

35.31. გაილაშქრებდნენ კავკაზიის პირიქით დალესტნისკენ, დიდოელებზე – იგულისხმება რუსეთის მრავალწლიანი ომი კავკასიის მთიანეთის დასაპყრობად. ამ ბრძოლებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ეთნიკური ქართველები. განსაკუთრებით იმარჯვა „ავარიის ხანმა“, გრიგოლ ორბელიანმა, რომლის უშუალო ჩარევითაც მოხერხდა 1859 წელს შამილის შეპყრობა და მისი უკანასკნელი რეზიდენციის, გუნიზის აღება.

36.10. ყვარელი – სოფელი (ამჟამად ქალაქი) კახეთში. უძველესი ისტორიის მქონე მხარე. 1755 წელს ერეკლემ გადაიხადა ცნობილი ყვარლის ბრძოლა და დაამარცხა ჩრდილო კავკასიელი მომხდურები (ნურსალ-ბეგის მეთაურობით). ყვარელი ამჟამად უფრო ცნობილია, როგორც ილია ჭავჭავაძის მშობლიური სოფელი, რის გამოც მას აკაკი წერეთელი ბეთლემად იხსენიებდა.

36.14. კ. დ. ქობულაშვილი – [კნიაზ] დავით ევგენის (ესტატეს) ძე ქობულაშვილი (იხ. კომენტ. გვ. 226).

36.19. ვახუშტი – ვახუშტი ბატონიშვილი (1696, თბ., – 1757, მოსკოვი), ვახტანგ VI-ის უკანონო ძე – გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი.

36.20. ქართლის ცხოვრებაში – იგულისხმება ვახუშტი ბაგრატიონის მთავარი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

36.21. გულგულა – სოფელი ალაზნის ვაკეზე, თელავის მახლობლად, მდინარე თურდოს მარცხენა მხარეს.

36.29. კვირიკე – XI საუკუნეში კახთა ქორეპისკოპოსი კვირიკე III, რომელიც განუდგა მეფე გიორგი I-ს, საქართველოსგან გამოყო კახეთ-ჰერეთი, როგორც ცალკე სახელმწიფო და თავი მეფედ გამოაცხადა.

36.24. მეფემან არჩილ – თელავის რეზიდენციის გალავანი XVII საუკუნეში აუგია კახეთის მეფე არჩილს. გალავანი დღემდე თითქმის დაუზიანებლადაა შემონახული.

36. ანგერება – ანგარება.

36.27. თიანეთი – დაახლოებით X–XI საუკუნიდან კახეთის სამთავროს ადმინისტრაციული ცენტრი (ბოჭორმის მერე). კვირიკე III–ს აქ ჰქონდა დიდებული სასახლე – „დარბაზი ბოდოჯისა“, რომელიც შემდეგ გადაწვა ბაგრატ IV–მ და კახეთის ცენტრი თიანეთიდან თელავში გადავიდა.

36.32. ურდურე – ოსთა მეფე, ცხოვრობდა X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში. არაბებმა მოახერხეს ურდურესა და კვირიკეს ერთმანეთზე გადაკიდება. ბრძოლაში კვირიკემ მოკლა ურდურე, მერე, ნადირობისას ოსმა მონამ მოკლა კვირიკე.

36.37. ქორეპისკოპოსი – ქორეპისკოპოსი სასულიერო ტიტულია. კახეთის სამთავროს გამოყოფის შემდეგ ხდება საერო ტიტულიც. XI საუკუნიდან ქორეპისკოპოსნი ზოგჯერ მეფეებადაც იწოდებიან.

36.38. ვაჩე ქობულის ძე – იგივე დაჩი დონაური, კახეთის ქორეპისკოპოსი 827–39 წლებში.

36.38. სამუილ დონაური – იგივე სამოელ, კახეთის ქორეპისკოპოსი 839–61 წლებში.

37.1. ფადლა არემანელი – იგივე ფადლა არევმანელი. ორი ქორეპისკოპოსია ცნობილი ამ სახელით, I – 881–92 წლებში და II – 918–29 წლებში. რომელს გულისხმობს ალექსანდრე ორბელიანი, ძნელი სათქმელია.

37. დიდი კვირიკე მეფე – კვირიკე III. იხ. კომენტარი 23.

37.35. ვინ ავუშენეთ სახსოვარი ძეგლი იმ მებისტორიეს ჩვენი ქვეყნისას! – იგულისხმება ვახუშტი ბატონიშვილი

37.38. „შევხედოთ განათლებულ ჩვენს დიდ რუსეთის სახელმწიფოს“ – ეს მონაკვეთი, როგორც აღვნიშნეთ, იბეჭდება დახრილი შრიფტით, რადგან ავტორს გადაუხაზავს ხელნაწერში. არაერთი მაგალითი იმისა, რომ ნაშლილი ადგილები არ წარმოადგენს ვარიანტულ სწორებებს.

38.18. სომხითი – ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილის სახელწოდებად ეს სიტყვა გვხვდება XI საუკუნიდან, როცა ეს ტერიტორია დაიპყრო სომხეთის სახელმწიფომ (ანისის სამეფომ). საკუთრივ სომხეთისაგან გასარჩევად ვახუშტი ბატონიშვილი მას „ქართლის სომხითს“ უწოდებს.

38.20. მცხეთის სვეტიცხოველი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი XI საუკუნისა. მეფეთა და კათალიკოსთა საძვალე. სვეტიცხოველში დაკრძალულია უფლის კვართი. ერთ–ერთია ოთხ დიდ კათედრალთაგან (ოშკი, სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი). არაერთგზის მოიხსენიება მხატვრულ ლიტერატურაში. საგანგებოდ მიეძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

39.2. ალავერდი – საკათედრო ტაძარი და მონასტერი კახეთში. VI საუკუნეში დააარსა იოსებ ალავერდელმა, ერთ–ერთმა ასურელმა მამამ. XI საუკუნის დასაწყისში კვირიკე კახთა მეფემ პატარა ეკლესიის ნაცვლად ააგო საკათედრო ტაძარი. საქართველოში ერთ–ერთი უდიდესი ტაძარია (სიმაღლით 50 მეტრზე მეტია). არაერთგზის არის აღწერილი სიტყვაკაზმულ მწერლობაში (გავიხსენოთ თუნდაც გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“).

39.7. ქიზიყი – ძველი სახელწოდებაა კამბეჩოვანი. მოიცავდა კახეთის სამეფოს სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილს. XIII საუკუნიდან, როცა სიღნაღის ციხე აშენდა, ქალაქს სიღნაღი ეწოდა და ქიზიყი მხარის აღმნიშვნელად დარჩა.

39.29. ნადირშა – იხ. ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა მესამე ტომის კომენტარები. წერილის – „დუბროვინის მიმართ პასუხი“ – კომენტ. 10.

39.34. მეფე თეიმურაზ და ირაკლის ქართლიც სჭერიათ ხელში – კახეთის მეფე თეიმურაზ II ნადირშაჰის განკარგულებით 1754–55 წლებში ქართლის მეფე ხდება. მისი ვაჟი, ერეკლე II კი – კახეთისა. ასე გაერთიანდა ქართლ–კახეთის სამეფო.

40.4. მეფე ირაკლი – ერეკლე II (1720–1798). ქართლ–კახეთის მეფე.

40.7. მეფე თეიმურაზი – თეიმურაზ II (1700–1762) კახეთის გამგებელი (1709–1715), მეფე (1733–1744) ქართლის მეფე 1744–1762. პოეტი

40.10. დოშაქი – ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, „შათქუნი, ნაკრტენის დიდ ლეიბი“.

40.10. ყაჯარი – ცხენის აღკაზმულობის დასამშვენებელი ნაქარგი მაუდი ან ფარდაგი.

40.33. ომარ–ხანი – დაღესტნელი ფეოდალი, ხუნძახის მფლობელი, ავარიის სახანოს გამგებელი, ნურსალ–ბეგის ვაჟი. ხშირად ესხმოდა თავს ქართლ–კახეთს. ითვლებოდა ოსმალეთის

აგენტად.

42.9. ჭარი – ისტორიული მხარე ჰერეთში. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორია. პოლიტიკური ერთეული ჭარ–ბელაქანი დალესტენელებმა შექმნეს. იგივეა, რაც გვიანდელი საინგილო.

43.24. თურქმანი – თურქმენეთი, სახელმწიფო შუა აზიაში.

45.32. „თელავში სასწავლებლები გამართა..“ – 1758 წელს ერეკლე II–ისა და ანტონ კათალიკოსის ინიციატივით თელავში გაიხსნა ფილოსოფიური სკოლა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თბილისში გახსნილი ფილოსოფიური სკოლის მოდელს იმეორებდა. აქ ასწავლიდნენ ფილოსოფიას, გრამატიკას, რიტორიკას, მათემატიკას, ღვთისმეტყველებას. 1782 წელს დაფუძნდა თელავის სემინარია. ერეკლე II მუდმივად მხარს უჭერდა ანტონ I–ის აქტიურ საგანმანათლებლო და მნიგნობრულ საქმიანობას.

45.34. „ალამამდხანმა ქალაქი ტფილისი...რომ მოსწვა–მოაოხრა..“ – იგულისხმება ალა–მაჰმად–ხანის თავდასხმა საქართველოზე 1795 წელს. ალექსანდრე ორბელიანს გამოქვეყნებული აქვს ვრცელი წერილი „ალა–მაჰმად–ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“. („მოამბე“ 1869 წლის აგვისტოს ნომერი; ალექსანდრე ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III). წერილი კრწანისის ომის 100 წლისთავთან დაკავშირებით ცალკე წიგნაკადაც დაიბეჭდა (ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1895).

46. წყალმანკი – გულის დაავადება, რომელიც გახდა ერეკლე II–ის გარდაცვალების მიზეზი 1798 წელს.

46.7. „განჯის ციხე რომ აიღო..“ – განჯა ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, სიდიდით მეორე ქალაქად მიიჩნევა. სხვადასხვა დროს ერქვა ელისავეტპოლი, კიროვაბადი. ალა–მაჰმად–ხანთან დამარცხების შემდეგ, 1796 წელს ერეკლემ დალაშქრა განჯის ციხე. ჯავად–ხანი, რომელიც კრწანისის ომის დროს სპარსელებს მიემხრო, ახლა იძულებული გახდა, ქართველი ტყვეები გაეთავისუფლებინა და საქართველოსთვის ხარკი ეძლია.

46.9. ავლაბარი – უბანი თბილისში, სადაც დარეჯან დედოფალმა ააგებინა სასახლე, რომელსაც დღესაც დარეჯანის სასახლედ მოიხსენიებენ.

46.32. მცხეთის კვართის საუფლო ეკლესია – იგულისხმება სვეტიცხოველი. გადმოცემის თანახმად, აქ მარხია ქრისტეს კვართი. ერეკლე მეორე დაკრძალულია სვეტიცხოველში.

რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიანზე (48)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“ 1857, №9, გვ. 45–48.

თარიღი: [1857].

ხელმოწერა: თ. ალ. ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

48.21. „ახალი ენა დაებადოს გიორგი ერის–თავს..“ – 1850 წელს ცალკე წიგნად გამოიცა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. წიგნს წამძღვარებული ჰქონდა პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობა, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნული იყო: „... გიორგი დავითის ძემან ერისთავმან დაბადა ენა ქართული ახლისა გვარის მწერლობისათვის... მაქვს იმედი, რომ... სხვანაცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“. ალექსანდრე ორბელიანი ეკამათება წინასიტყვაობის ავტორს და შენიშნავს, რომ ერისთავს არავითარი ახალი ენა არ შეუქმნია. მისი ეს წერილი „ცისკარში“ 1857 წელს დაიბეჭდა. ამიტომ არის ნახსენები „ამ რამდენისამე წლის წინათ...“

გიორგი დავითის ძე ერისთავი (1813–1864) – პოეტი, კომედიოგრაფი, პროფესიული ქართული თეატრის დამაარსებელი (იხ. შენიშვნა, გვ. 222).

48.23. პლატონ იოსელიანი (1809–1875) – ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, რედაქტორი. ათენის არქეოლოგიური საზოგადოების წამდვილი წევრი. სხვათა შორის, აღწერა და წიგნად გამოსცა გიორგი XIII–ის ცხოვრება. თანამშრომლობდა მარი ბროსესთან. არის ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ პერსონაჟი („ცხვირდიდა და თვალდიდრონა მსუნაგი და ტრაბახია...“); ბოლო წლებში წერდა მხოლოდ რუსულად.

48.33. არისტოფანე – ძველი ბერძენი დრამატურგი, კომედიის მამად წოდებული. დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე V საუკუნე ჩვენამდე მოღწეული მისი 11 კომედია.

48.33. კრატინი – ძველი ბერძენი პოეტი, კომედიების ავტორი. არისტოფანეზე უფროსი იყო. არისტოფანე მას სასაცილო პერსონაჟად გვიხატავს „ღრუბლებში“.

48.33. პლავტი – რომაელი კომედიოგრაფი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პლავტს ბაძავდნენ უილიამ შექსპირი, მოლიერი (ყან–ბატისტ პოკლენი).

48.33. ტერენციო – პუბლიუს ტერენციუსი, ძვ. წ. აღ. II საუკუნე. კართაგენული წარმომავლობის რომაელი კომედიოგრაფი. ჩვე-

ნამდევ მოაღწია მისმა ექვსივე კომედიამ.

48.33. მენანდრე – ძველი ბერძენი კომედიოგრაფი (ძვ. წ. აღ. III–II ს.). ახალატიკური კომედიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ავტორია 100–ზე მეტი კომედიისა.

49. ანდრუყაფარ – პერსონაჟი გიორგი ერისთავის კომედიისა „გაყრა“. უფროსი დიდებულიძე. ჰყავს ორი მომდევნო ძმა – პავლე და ივანე. „გაყრის“ პირველად წარმოდგენა თბილისის გიმნაზიის სცენაზე 1850 წლის 2 (14) იანვარს მიიჩნევა ქართული თეატრის დღედ.

ორიოდე სიტყვა ყარამანიანის ნიშნად (51)

ხელნაწერი: ავტოგრაფი S 1634:6.

თარიღი: 27–ს ნოემბერს 1857–სა წელსა ქ. ტფილისს.

ხელმოწერა: თა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

იბეჭდება პირველად.

51. ყარამანიანი – საფალავნო–სათავგადასავლო რომანი. სპარსულიდან ქართულად თარგმნა დავით ორბელიანმა.

51.5. სპარსეთის დიდი ხელმწიფე კირი – კიროს II, აქემენიდების სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. მართავდა ქვეყანას ქრისტეს დაბადებამდე VI საუკუნეში. მან სპარსეთის პატარა სამეფოს ნაცვლად სხვა მიწების დაპყრობის გზით შექმნა უდიდესი იმპერია. მიჩნეულია, რომ სახელი კიროსი, რომელიც ეწოდა ტახტზე ასვლის შემდეგ, ბერძნულად ნიშნავს „მზესავით“.

51.17. იზუიტები – იეზუიტების ორდენი. ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „იესოს საზოგადოება“. რელიგიური ორდენი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა რომის პაპს, დაარსდა 1534 წელს პარიზში, პაპმა დაამტკიცა 1540 წელს. იეზუიტები იყვნენ მეცნიერები, მნიგნობრები, აქტიურად მონაწილეობდნენ მისიონერულ საქმიანობაში.

51.17. თა დავით ორბელიანი – მეფის სახლთუხუცესი 1768 წლიდან. ერეკლეს სიძე. ცოლად ჰყავდა ერეკლე II–ისა და ანა აბაშიძის ასული, თამარი, გიორგი XII–ის და. იყო ბესარიონ გაბაშვილის მეგობარი. თვითონაც წერდა ლექსებს. სპარსეთიდან ჩამოიტანა და ქართულად თარგმნა „ყარამანიანი“.

ქვეყნის ლიმონების განხილვა ანუ კრიტიკა (53)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1858, №4, (გვ. 280–288).

თარიღი: [1858].

ხელმოწერა: თ. ალ. ვახტანგისძე ჯ. ორბელიანი.

პირველი პუბლიკაცია: „ქართული მწერლობა“ თბ., 1992, გამომცემლობა ნაკადული. IX ტომი, გვ. 291.

53. უფალი გრიგოლ რჩეულოვი – გრიგოლ რჩეულიშვილი (1820–1877). მწერალი. ძირითადად თანამშრომლობდა ივანე კერესელიძის „ცისკართან“. ძალიან პოპულარული იყო მისი ლექსებიცა და პროზაული ნაწარმოებებიც. „თამარ ბატონიშვილი“ ორმა პოეტიკა – რაფიელ ერისთავმა და სიმონ გუგუნავამ – გალექსა კიდეც. აზრთა სხვადასხვაობა და კრიტიკოსთა გამოხმაურებები გამოიწვია „ქვეყნის ლიმონებმა“ და „ანუკა ბატონიშვილმა“.

53.7. მეფე ირაკლიზედ – ერეკლე II (1720–1798). მეფე ერეკლეს უმცროსი ასულის, თეკლა ბატონიშვილის ვაჟია ალექსანდრე ორბელიანი. მან ბევრი რამ იცოდა სახელოვანი პაპის შესახებ და ყველაფერს გულწრფელად და მიუკერძოებლად წერდა თავის მხატვრულ–დოკუმენტურ თხზულებებში.

53.30. ანასტასია ბატონიშვილი (1763–1838) – ერეკლე II–სა და დარეჯან დადიანის ასული. ცოლად გაჰყვა რევაზ ქსნის ერისთავს. დაქვრივების შემდეგ გადასახლდა პეტერბურგში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. დაკრძალეს იქვე, ალექსანდრე ნეველის ლავრაში. ანასტასიას ორი შვილი – ბიძინა და გიორგი (ატამანი)– მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში.

54.24. ალა მაჰმად–ხანი (1742–1797) – ირანის გამგებელი 1794, ხოლო შაჰი 1796 წლიდან. 1795 წელს დაამარცხა ქართველთა ჯარი კრწანისის ომში, ხოლო 1797 წელს, ამიერკავკასიაზე ხელახალი გამოლაშქრების დროს, საკუთარმა მსახურმა მოკლა.

54.30. განჯის ციხე – იხ. „თელავის“ კომენტარი გვ. 230.

55.5. ივანე აბაშიძე – გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვეყნის ლიმონების“ პერსონაჟი.

55.11. (? –1822) ივანე აბაშიძეს ცოლად ჰყავდა ოთარ ამილახვრის და ანა.

55.17. გიორგი ბაგრატიონის მუხრანციკი – გიორგი სიმონის ძე მუხრანბატონი (1765–1825). ცოლად ჰყავდა კრწანისის ომში

დალუპული ივანე აბაშიძის ასული ეკატერინე

55.22. მესამე ივანე აბაშიძე – ივანე (იოანე) ზაალის ძე აბაშიძე. ერეკლე II-ის მეორე მეუღლის, ანა დედოფლის ძმა. მონაწილეობდა კრწანისის ომში. იყო ერეკლეს პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი, 1769–99 წლებში იყო ბორჩალოს მოურავი და ქართლ–კახეთის სამეფოს ქეშიკჩიბაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ მოხსენიებულია, როგორც იოანე, კახთ აბაშიძე.

მე და ის (58)

ნაბეჭდი: შ. „ცისკარი“, 1858, №7, გვ. 124–133(); თ. ალექსანდრე ჯამ.–ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგისძის ორბელიანისა ; ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1879. გვ. 123–132 (B).

თარიღი: [1858 ივლისი].

ხელმოწერა: თ. ალ. ვახტანგისძე ჯ. ორბელიანი.

58.3. „თქვენს რვეულში..“ – იგულისხმება ალექსანდრე ორბელიანის წერილი „ქართულის ენისათვის“, რომელიც ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა 1856 წლის ივნისში. იხ. წინამდებარე ტომი გვ.

58.19. „ჩ ვ ე ნ ი დ ი დ ი ხ ე ლ მ ნ ი ფ ე ! ის ზ რ უ ნ ა ვ ს ჩ ვ ე ნ თ ვ ის და ჩ ვ ე ნ კ ი არ ა ვ არ თ ჩ ვ ე ნ თ ვ ის. ი მ ა ნ ი ნ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ი ქ ა რ თ უ ლ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი გ ვ ქ ო ნ დ ე ს, ჩ ვ ე ნ შ ე ს ა ქ ც ე ვ ა დ, სა ს ი ა მ ო ვ ნ ო დ და დ რ ო ს გა ს ა ტ ა რ ე ბ ლ ა თ..“ – შ. „ცისკარი“ ივანე კერესელიძის რედაქტორობით 1857 წელს გამოვიდა. მისი გამოცემისთვის მზადება დაიწყო მიხაილ ვორონცოვის შემცველის, გენერალ ნიკოლაი რეადის დროს, გაგრძელდა გენერალ ნიკოლაი მურავიოვის მეფისნაცვლობის პერიოდში და დასრულდა ალექსანდრე ბარიატინსკის მეფისნაცვლობისას. ოფიციალური ნებართვა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გასცა. ჟურნალის გამოცემის სამზადისში ჩართულნი იყვნენ ოფიციალური პირები: კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი (ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, უმცროსი ასულის, სოფიოს მეუღლე) და მისი თანაშემწე მაქსიმოვიჩი.

60.25. „რუსეთი თავის ძლიერის ხელქვეშ მიგვიღებდა..“ – იგულისხმება 1801 წლის მანიფესტი, რომლის ძალითაც რუსეთმა

საქართველოს სახელმწიფო გააუქმა და თავის გუბერნიად გამოაცხადა. ჟურნალში ან ცალკე გამოქვეყნებულ თხზულებებში ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ჩანს, იძულებულია, ზოგჯერ გამოიყენოს კონიუნქტურული ფრაზებიც.

60.20. „ჩუენი სიტყვიერების წერილებისა..“ – ავტორი ასახელებს ძველი და ახალი დროის როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებებს, აგრეთვე, საისტორიო და სამეცნიერო თხზულებებსა და ლექსიკონს.

60.28. ანტონ კათალიკოზი – ანტონ I კათალიკოსი (თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი, 1720–1788). საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, ქართლ–კახეთის კათალიკოსი 1744–56 და 1763–88 წლებში, მწიგნობარი, მწერალი, მეცნიერი. ქართლის მეფე ვახტანგ VI–ის ძმის, იესესა და კახეთის მეფის, თეიმურაზ II–ის დის, ელისაბედის (ელენეს) ვაჟი. ევროპული ორიენტაციის მქონე და ერეკლე II–ის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი. იზრდებოდა თელავის სასახლეში თავის ბიძაშვილთან, მომავალში მეფე ერეკლესთან ერთად.

60.32. გაბრიელ მაიორი – ქართველი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური და სამხედრო მოღვაწე. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, სომეხი. გვარი უცნობია. რუსეთში ახლდა ერეკლეს მიერ წარგზავნილ პაატა ანდრონიკაშვილს. იქ შეისწავლა საარტილერიო საქმე და სამშობლოში დაბრუნდა მაიორის ჩინით. წერდა პიესებს, მსახიობობდა, დგამდა წარმოდგენებს თბილისსა და თელავში. არიგებდა ბილეთებს ლაკონიური ქართული წარწერით: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“. გაბრიელ მაიორი 1788 წლის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში და გამართა, როგორც ჩანს, ე. წ. საერო, კერძოდ, „ქალაქის“ თეატრი. ხოლო გიორგი ავალიშვილი 1791 წლის მერე ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა, სავარაუდოდ, „ეზოის“ ანუ კარის თეატრს, რომლის წარმოდგენებში ერეკლე მეფის ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. გაბრიელ მაიორი დაიღუპა 1795 წელს, კრწანისის ომში თეატრალურ დასთან ერთად.

62.1. ბროსეტი – იგულისხმება ფრანგი ქართველოლოგი მარი ფელისიტე ბროსე (1802–1880). 1847–48 წლებში იმოგზაურა საქართველოში. თერთმეტი თვე დაჰყო აქ.

61.2. „მეფე ვახტანგმა რჯულიც დაწერა..“ – ვახტანგ VI (1675–1737). იყო ქართლის გამგებელი 1703–14 წლებში, მეფე–1716–24 წლებში. მწიგნობარი, პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი. მის

სახელს უკავშირდება თბილისში ქართული სტამბის გამართვა, „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლის დაწყება და მისი პირველი გამოცემა. ვახტანგ VI-ის მრავალმხრივ საქმიანობაში გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამართლის წიგნის შექმნას და ამიტომ უწოდეს მას რჯულმდებელი. ვახტანგის კანონთა წიგნი მთავარი იურიდიული კოდექსი იყო საქართველოში თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში.

61.32. მ. ს. ვარანცოვი – მიხაილ სემიონის ძე [სემიონოვიჩ] ვორონცოვი (1782–1856). კავკასიის მეფისნაცვალი (საქართველოს მმართველი) 1844–54 წლებში. გამოირჩეოდა ლიბერალური პოლიტიკით. ემსახურებოდა კავკასიის კოლონიზაციას, ოღონდ ამას ახერხებდა უპირატესად კულტურული ღონისძიებებით.

61.34. „მისთვის მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი..“ – ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდში დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი გიორგი ერისთავის მეთაურობით (1850 წელს) და გამოიცა ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც გიორგი ერისთავისავე რედაქტორობით (გამოდიოდა 1852–53 წლებში).

„უშალო რედაქტორო კერესელიქა“ (64)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1858, №12, გვ. 203.

თარიღი: [1858].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

რედაქციის მინაწერი: ეს ზემოთდაბეჭდილი ლექსი „დიანას მეჯლიში“ მივიღეთ ჩვეულის თანამშრომელისაგან შემდგომის წიგნით: წერილი შეეხება ს. რაზმაძის თხზულებას „დიანას მეჯლიში“, რომელიც ალ. ორბელიანმა გაუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას დასაბეჭდად. ლექსი დაბეჭდილია ამავე ნომერში გვ. 198–205. აქვს ხელმოწერა „ს. რაზმაძე“.

„დიანას მეჯლიში“ – სოლომონ რაზმაძის ლექსი, რომელშიც ზმებით (დაშიფრულად) ნახსენებია სახელი იმ თორმეტი ქართველი ქალისა, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ ან განდობილნი მანაც იყვნენ 1832 წლის შეთქმულებაში. ალექსანდრე ორ-

ბელიანმა, ცხადია, იცოდა ამ ლექსის ნამდვილი შინაარსი და ისიც, რომ გამოქვეყნება ქვეტექსტის გახსნით შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ რედაქტორს შეახსენებს ძველ ნაცნობს, რომლის შესახებაც გადასახლების შემდეგ თბილისში არაფერი იციან და უკვე გარდაცვლილიც კი ეგონათ, და მხოლოდ მის მოსაგონებლად სთხოვდა ლექსის გამოქვეყნებას.

64. სოლომონ რაზმაძე (1797–1860) – პოეტი, მთარგმნელი, პოლიტიკური მოღვაწე. პეტერბურგში გაჰყვა გადასახლებულ თეიმურაზ ბატონიშვილს. იყო მისი დამხმარე (მდივანი) მნივნობრულ საქმიანობაში. 1831 წლის მინურულს დაინიშნა მთარგმნელად სპარსეთის ახალდანიშნულ ელჩ სიმონიჩთან. სპარსეთში წავიდა თბილისის გავლით. 1832 წელს აქტიურად ჩაება შეთქმულებაში. მაისის ბოლოს მისთვის გამოსათხოვარი სადილი გაუმართავთ ალექსანდრე ორბელიანის ბაღში. ლექსში სწორედ ეს ეპიზოდია ასახული. დააპატიმრეს სპარსეთში. გადაასახლეს ქ. პემზაში, სადაც ცოლი შეერთო, ვაჟი ეყოლა და საცხოვრებლად დარჩა. გარდაიცვალა 1860 წელს პემზაში, დაკრძალულია იქვე.

ატლანტის უკაენას ზღვაში ტელეგრაფი (65)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1858, №12, (გვ. 257–258).

თარიღი: [1858, დეკემბერი].

ხელმოწერა: თ. ალ. ვახტანგისძე ჯ. ორბელიანი.

65.7. ვალენსია – ქალაქი ესპანეთში.

65.7. ნიუფოუდლენდი – ნიუფაუნდლენდი, კუნძული ჩრდილო ატლანტის ოკეანეში, შედის კანადის შემადგენლობაში.

65.8. ატლანტის უკაენას ტელეგრაფი – შორ მანძილზე ტელეგრაფით სიგნალის გადაცემა წყალქვეშა კომუნიკაციების გამოყენებით მსოფლიოში პირველად 1850–იან წლებში მოხერხდა. როგორც ჩანს, ალექსანდრე ორბელიანი ყურადღებით ადევნებდა თვალს მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებს.

65.13. კოლუმბი – XV საუკუნის იტალიელი მეზღვაური და მკვლევარი, იდგა ესპანეთის მეფის სამსახურში. თავისდაუნ-

ბურად აღმოაჩინა ამერიკა. პირველმა გადაცურა ატლანტის ოკეანე და ევროპელთაგან პირველმა შეცურა კარიბის ზღვაში. ალექსანდრე ორბელიანი მას იმ კონტექსტში იხსენიებს, რომ ქრისტიანთა კოლუმბის ყველა ნაბიჯსა თუ წინადადებას ხელისუფალთა დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა.

სალაყოს ფურცელზე (66)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1859, №1, გვ. 67–71.

თარიღი: [1859].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

სალაყო ფურცელი – „ცისკარში“ შემოღებული ეს რუბრიკა ემსახურებოდა მანკიერებათა მხილებას, რასაც მკითხველის არაერთგვაროვანი რეაგირება მოჰყვა – ზოგს მოსწონდა, ზოგს – არა. ალექსანდრე ორბელიანი არამარტო მხარდამჭერი, არამედ ჟურნალში სატირული ჩანართების ერთ–ერთი ინიციატორი გახლდათ.

66.5. უ. კერესელიძე – ივანე ივანეს (იოანეს) ძე კერესელიძე (1829–1892). მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. ჟურნალ „ცისკრის რედაქტორ–გამომცემელი 1857–75 წლებში.

66.5. ქართული ჟურნალი – „ცისკრის“ გამოცემა განახლდა 1857 წელს. რედაქტორს, ივანე კერესელიძეს მორალურადაც და მატერიალურადაც გვერდით ედგა და ხელს უწყობდა ჟურნალის გამოცემაში ალექსანდრე ორბელიანი. გვიან, 60–იანი წლების მეორე ნახევრიდან, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

67.16. „როდისაც თავადის გიორგის დავითის ძის ერისთავის გაყრილობის კამედია ითამაშეს..“ – გიორგი ერისთავის „გაყრა“ 1850 წლის 2(14) იანვარს დაიდგა თბილისის გიმნაზიის სცენაზე. ეს დღე ითვლება ქართული პროფესიული თეატრის დაარსების დღედ. „გიორგი ერისთავმა დაიწყო ქართული საზოგადოების ზნეობრივად აღზრდა და განვრთნაო“, – წერდა მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე ამ მოვლენის შესახებ (იხ. კომენტარი, გვ. 222).

სიტყვა იტალიისათვის (68)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1634:9.

თარიღი: 18 მაისი 1859–ს წელსა.

ხელმოწერა: არა აქვს.

მინაწერი: ივერია.

პირველი პუბლიკაცია: კრებ.: „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, გამომცემლობა, „ლომისი“, თბ., 1999. გვ. 152.

საგულისხმოა, რომ წერილი დაწერილია 1859 წლის მაისში, უფრო ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „მესმის, მესმის“ (1860 წ.).

68.1. გაზეთებში ჩანს] ვკითხულობთ გაზეთებს.

68. ხუმრობა – გადახაზულია (ჯ. გ.).

68.12. შუაზე განხეთქილი] გაყოფილი.

68.31. თქვენის] პატარა და მშვენიერის.

69.2. უნდა დაიმარხნეთ ერთიანად] ბრძოლაში.

68.1. „გაზეთებში ჩანს, მცირის სარდინიის აღჭურვა, სამშობლოს იტალიისათვის..“ – XIX საუკუნის 50–იანი წლებიდან სწორედ სარდინიის კუნძულიდან იწყება მოძრაობა იტალიის გასაერთიანებლად. 1859 წელს საფრანგეთთან ერთად სარდინიამ ომი დაიწყო ავსტრიის წინააღმდეგ, რის შემდეგაც, ფაქტობრივად, მთელი იტალია გაერთიანდა 1861 წელს.

69.7. კაროლი ევმანიულ – იგულისხმება ვიტორიო ემენუელე II, რომელმაც გააერთიანა იტალია. 1861 წელს გამოაცხადეს იტალიის მეფედ. მამა, კარლო ალბერტო I იყო სარდინიის მეფე. გარდაიცვალა პორტუგალიაში.

ჩვენი საქართველოს საზოგადოება (70)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1859, №10, გვ. 173–180.

თარიღი: [1859].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

რედაქციის მინაწერი: ამ სტატიის ავტორმა აღგვითქვა გამოგზავნა ვრცლად ცხოვრების აღწერა თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკისა, რომელსაცა დავბეჭდავთ კვლავად დიდის კმაყოფილებით. რ.

70. პრაპორშჩიკი – სამხედრო წოდება რუსეთის იმპერიისა და ზოგი სხვა ქვეყნის არმიაში. მისი ახლო ეკვივალენცია უმცროსი ოფიცრის წოდება.

71.6. ივანე მუხრანბატონი (1812–1892) – კონსტანტინეს ძე, ერეკლე მეფის შვილთაშვილი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი). ივანე მუხრანბატონმა თავი გამოიჩინა სხვადასხვა ბრძოლაში. იყო მსხვილი მემამულე. ფლობდა მიწებს. ახალგაზრდობაში ეკატერინე ჭავჭავაძესა და ივანე მუხრანბატონს უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძემ არ დართო ჯვრისწერის ნება და ეს ქორწინება არ შედგა.

72.14. „ორმა ძმებმა გ. და მ.“ – იგულისხმება ივანე მუხრანბატონის ძმები – გიორგი და მიხეილი. გიორგი მუხრანბატონი არის ავტორი იმ ყბადაღებული ბროშურისა, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ პატარა ერები და პატარა ენები უნდა გაქრნენ და შეერწყან დიდ ერებსა და დიდ ენებს. ივანე და გიორგი მუხრანბატონები „გამოცანებში“ გაკიცხა ილია ჭავჭავაძემ. გიორგი მუხრანბატონი იგულისხმება აკაკი წერეთლის „ლამურაში“.

70.15. „რუსეთს ვუპყრვართ სამოცი წელიწადი...“ – კონიუნქტურაა.

73.25. „ნათესაობის გამო ვუნერდე მე ამ ღირსებას..“ – ივანე მუხრანბატონი და ალექსანდრე ორბელიანი ნათესავები არიან – დების, ერთი ქეთევან და მეორე თეკლა ბატონიშვილების – შთამომავლები. ალექსანდრე ორბელიანი მოუწოდებს ქართველ მემამულეებს, მიბაძონ ივანე მუხრანბატონს, ისწავლონ მისგან, თუმცა იმის სამეურნეო საქმიანობას ზოგი მკვეთრად კიცხავდა (გიორგი დვანაძე და სხვები).

72.30. „ცოლქმართ ი. და ნ.“ – იგულისხმება ივანე მუხრანბატონი და მისი მეუღლე – ნინო ლევანის ასული დადიანი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის და. მისი გარდაცვალების გამო ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა, რომელშიც საუკეთესოდ წარმოაჩინა ნინო დადიანის ღირსებები.

71.31. „ბ. რ. დაუახლოვდა..“ – იგულისხმება ბარონი გრიგოლ როზენი, საქართველოს მთავარმართებელი 1831–37 წლებში.

უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში (74)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1859, №11, გვ. 215–244.

თარიღი: [1859].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ალექსანდრე ორბელიანი ქადაგებდა ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური ურთიერთობის თეორიას. მიაჩნდა, რომ ბატონყმურ საქართველოს იხსნიდა კლასთა შორის მონესრიგებული ურთიერთობა, ვაჭრობის განვითარება და ევროპული განათლების გავრცელება.

ამ შეხედულებას იზიარებდა აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძემ თავიდან ირონიით შეხედა, გააქილიკა “კაცია-ადამიანში?!” თუმცა “ოთარაანთ ქვრივში” მასზე დაყრდნობით წამოაყენა ხიდწატეილობის პრობლემა, რაც მოგვიანებით არჩილ ჯორჯაძემ აქცია საერთო ნიადაგის თეორიად.

კერძობა – ოჯახი

უფალო რედაქტორო ი. კირისალიძე (89)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1860, №5, გვ. 48–49.

თარიღი: [1860].

ხელმოწერა: დავუთები თქვენი მარადის პატივისმცემელი თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

რედაქციის მინაწერი: რედაქცია თავისის მხრივ, გულსმოდგინებით ჰსთხოვს უფ. მოლაყბეს, მიიღოს შრომა როგორც ქართულის სიტყვიერების მოყვარემა და ადრინდელივით განამშვენოს ჩვენი ჟურნალი. ამაზედ ითხოვენ მრავალნი „ცისკარზედ“ ხელის მომწერნი. თუმცა რედაქციამ ცოტა აწყენინა, მაგრამ მოიმედენი ვართ სულგრძელობით მოგვიტევენს.

1857 წლის „ცისკრის“ მე–11 ნომერში დაიწყო ბეჭდვა წერილების სერიისა საერთო სათაურით „სალაყბოს ფურცელი.“ პუბლიცისტურ წერილებს ხელს აწერდა „მოლაყბე“.

დღემდე სადავოა, ვინ არის „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ცალკეული სტატიის ავტორი. თუმცა „პრობლემის კვ-

ლევის დღევანდელ ეტაპზე... დადგენილია, რომ „სალაყბოს ფურცლებს“ ორი ავტორი ჰყავდა (ივ. კერესელიძე, მიხ. თუმანიშვილი)“ [თამაზ ჯოლოგუა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 2013, გვ. 163].

ალექსანდრე ორბელიანი თამამად მოითხოვდა ცხოვრების ნაკლოვან მხარეთა კრიტიკას. ამის დასტურია ეს აშკარა მხარდაჭერა მოლაყბე-მეზუკეებისადმი. „ცისკრის“ 1860 წლის №6-ში ავყია (ერთი მეზუკეთაგანი) გორიდან შეეხმიანა ალექსანდრე ორბელიანის წერილს რედაქტორთან მეზუკეთა სიჩუმის გამო. 1863 წელს ჟურნალი „საქართველოს მოამბეც“ გამოეხმაურა „მოლაყბეს“: №VII (ივლისის) ნომერში დაიბეჭდა გაბრიელ სულხანოვის „შენიშვნა („მოლაყბის“ წერილის გამო)“, ხოლო 1860 წლის №9-ში ნიკო ნიკოლაძე ფსევდონიმით – ქუთაისის მეჭორე (ერთი მეზუკეთაგანი) წერილით („საყვარელნო მკითხველნო!“) მიმართავს საზოგადოებას და აღნიშნავს, რომ ამდენ ხანს ეძინა, მაგრამ ახლა თავადის ა. ვ. ჯამბაკურიან ორბელიანოვის ხმამ გააღვიძა. ამას მოსდევს სტატია „ხაზარდა და ლოტტო ქუთაისში (ქუთაისის ქორიკანაობა). საგულისხმოა, რომ ეს გახდლათ ნიკო ნიკოლაძის დებიუტი სალიტერატურო-პუბლიცისტურ ასპარეზზე.

ქართული უზნობა ანუ წარა (90)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1860, № 6, გვ. 90–104.

თარიღი: [1860].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ალექსანდრე ორბელიანი კი არ იცავს, არამედ უარყოფს „სამი სტილის“ თეორიას და ერთიანი სალიტერატურო ქართულის შემოღების მომხრეა. მისი თქმით, „სალმართო წერილის“ ენა ფართო საზოგადოებისათვის გაუგებარია. მწერალი ასევე უარყოფს „გლექსკაცების“ ენას და ასაბუთებს „დარბაისელთ ენის“ უპირატესობას.

96.3. ბაქარ ქართლელი – დიმიტრი ყიფიანის (1811–1887) ფსევდონიმი.

96.10. „1857–ს წლის ცისკარში ვანობ მე ამას რავდენსამე სტრიქონში..“ – იგულისხმება 1857 წლის „ცისკრის“ №6-ში გა-

მოქვეყნებული წერილი ალექსანდრე ორბელიანისა „მონყალეო ხელმწიფევ, უფალო რედაკტორო, ივანე კერესელიძე!“ ავტორი აქ საუბრობს სალიტერატურო კრიტიკის რაობისა და ჩვენში მისი დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ.

96.24. „შემოკლებული სწორე ქართული გრამმატიკა შეგვიდგინოს საძღნო ძმებისა..“ – 1860 წლისთვის, როცა ეს წერილი გამოქვეყნდა, არსებობდა ქართული ენის რამდენიმე გრამმატიკა – ანტონ კათალიკოსის, გაიოზ რექტორის, იოანე ქართველიშვილის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა მიერ შედგენილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სახელმძღვანელოები უკვე აღარ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მოთხოვნას. მკაფიოდ გამოიკვეთა სრულყოფილი გრამმატიკის შექმნის აუცილებლობა. სწორედ ამას სთხოვს ალექსანდრე ორბელიანი დიმიტრი ყიფიანს. როგორც ცნობილია, დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა „ახალი ქართული გრამმატიკა“ (იხ. დიმიტრი ყიფიანი “თხზულებანი ათ ტომად” ტომი IV, გვ.258. თბ., 2019. ტომი შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ).

96.35. „თავადმა გრიგოლ ჯამბაკურიან ორბელიანმა უშუამდგომლა ჩუენს ქართულს ყურნალს..“ – უსახსრობის გამო „ცისკარი“ ყოველთვიურად ძლივს გამოიცემოდა. ალექსანდრე ორბელიანი რომ არ ჰყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდაო, წერს აკაკი წერეთელი. 1860 წელს ხელისმომწერთა რიცხვი მთელ საქართველოში ასზე ცოტათი მეტი ყოფილა. ივანე კერესელიძე, როგორც ჩანს, ხელისუფლებისგანაც იღებდა მატერიალურ შემწეობას. 1859 წელს ნამესტნიკი ანუ მეფისნაცვალის საქართველოში იყო ალექსანდრ ბარიატინსკი.

ვასუხი დიმიტრი ბაქრაქესთან შესახებ იმისგნით მონერილის წიგნისა (98)

ნაბეჭდი: ყ. „ცისკარი“, 1860, №9, გვ. 124.

თარიღი: [1860].

ხელმოწერა: არა აქვს.

„ცისკარის“ 1860, №9 (გვ. 24) გამოქვეყნდა დიმიტრი ბაქრაქის

წერილი „წიგნი მოწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიან-ისადმი შესახებ მისის ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, რომელშიც ავტორი მადლობას უხდის ალექსანდრე ორბელიანს ქართულ ენაზე ზრუნვის გამო, პატივისცემას უდასტურებს მას, თავის მხრივ კი საგულისხმოდ მსჯელობს ენასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხზე. ამ პუბლიკაციის პასუხს წარმოადგენს ალექსანდრე ორბელიანის ეს წერილი, რომელიც ხელმოუწერელია, მაგრამ ავტორის ვინაობის დადგენა შესაძლებელია სწორედ ბაქრაძის წერილისა და ალექსანდრე ორბელიანის პასუხის მეშვეობით.

დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826–1890) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1851 წელს დაბრუნდა სამშობლოში. იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში.

ივარიანაელის ბალოა, სიმღერა და ღიღინი (99)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1861, №1, გვ. 141–160; (A); თ. ალექსანდრე ჯამბაკურ–ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის–ძის ორბელიანისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1879 (B).

თარიღი: [1861].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთი პირველია, ვინც ყურადღება მიაქცია ქართული მუსიკის კვლევას და მოუწოდა საზოგადოებას ამ სპეციფიკის შენარჩუნებისკენ. ავტორის აზრით, აუცილებელი იყო ქართული ხმების თავისებურებათა დაცვა უცხოური, კერძოდ, აღმოსავლურ–სპარსული გავლენისგან.

100.30. ჩუენი დიდი ხელმწიფის სადღეგძელოდ A] ჩუენი სამშობლოს და ენის სადღეგძელოდ (B).

ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემაში ეს სიტყვები შეცვლილია და ასე იკითხება. ეს ერთადერთი ცვლილებაა ტექსტში, რომელიც გამომცემელს შეუტანია. კრებულის გამოცემის დროს ზაქარია ჭიჭინაძე სარგებლობს „ცისკრის“ პუბლიკაციებით, რაც საგანგე-

ბოდაა მითითებული წიგნის სარჩევში. კონკრეტულად ამ თხზულების ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია და იგი, სავარაუდოდ, არც გამომცემელს ექნებოდა. გამოდის, რომ ჭიჭინაძემ თვითნებურად შეცვალა აზრი, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულება ხელმწიფე-იმპერატორის მიმართ საყოველთაოდ იყო ცნობილი და ასეთ რამეს გულწრფელად არ დანერდა. ამავე დროს, ჭიჭინაძეს კარგად მოეხსენება სარედაქციო პოლიტიკაც – კონიუნქტურული მოსაზრებებით ორიგინალში ზოგი რეალიის შეცვლის აუცილებლობას რომ გულისხმობს. გამორიცხული არაა, რომ „ცისკრის“ ვარიანტში ეს ცვლილება რედაქტორსაც ეკუთვნოდეს, როგორც ცნობილია, ივანე კერესელიძე კონიუნქტურული მოსაზრებით ხშირად ცვლიდა აკაკი წერეთლის ლექსებს. ამის შესახებ აკაკი გულნატკენი სწერდა დედას, ამავე მოსაზრებით შეცვალა მან აკაკის ცნობილი ლექსი „ქართლის სალამი“ (ვრცლად იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, გვ. 339, თბ. 2010). ალბათ, ამან განაპირობა, როგორც ჩანს, გამომცემლის თამამი ჩარევა ტექსტში. თუმცა შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ნანახი ჰქონდა ეს ხელნაწერი, ან გადმოცემით იცოდა რაიმე ამ ცვლილების შესახებ.

ამ მოსაზრებას გვიმყარებს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: 1891 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის პიესა „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, რომლის ხელნაწერი არ შემორჩენილა და არც სხვა ნაბეჭდი წყაროა ცნობილი. მაშ რის მიხედვით დაბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძემ ეს პიესა? გვიჩნდება მოსაზრება, რომ იგი ამ შემთხვევაშიც ალექსანდრე ორბელიანის ჩვენამდე მოუღწეველი ხელნაწერით სარგებლობდა.

[პატივცემულ ქართველს...] (109)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1634–10.

თარიღი: 1861 წ., 18 მაისი.

ხელმოწერა: არა აქვს.

მინანერი: 1861–სა წელსა მაისის 18–სა დღესა.

პირველი პუბლიკაცია: გაზ. „ლიტერატურულ საქართველო“ 3 იანვარი, 1997 წ. როსტომ ჩხეიძის პუბლიკაცია. სტატია უსათაუროა, სათაური – „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“ – მისცა პუბლიკატორმა.

109.14. განვითარებით] განათლებით.

109.15. ანდერძი] ჩემო უსაყვარლესო ძმებო.

ქართველების ქველი დრო გადმოსული ახლად (111)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1861, № 11, გვ. 211–231; (A); თ. ალექსანდრე ჯამ.–ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის–დის ორბელიანისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1879 (B).

თარიღი: 1861 25–სა მაისს.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი 25–სა მაისს 1861–სა წელსა. AB.

112.8. „მარაბდის ომი შაბაზის დროსა..“ – ქართლ–კახეთის ბრძოლა შაჰ–აბაზ I–ის წინააღმდეგ 1625 წლის 1 ივლისს. ქართველები დამარცხდნენ, თუმცა ამ ბრძოლამ საბოლოოდ დაასამარა შაჰ–აბაზის მისწრაფება ქართლ–კახეთის დასაპყრობად. ბრძოლის ველზე დაიღუპა 10 000–მდე ქართველი და 14 000–მდე ყიზილბაში.

112.10. ცხრა ძმა ხერხეულიძე – მარაბდის ომში დაღუპული ძმები. მათი გმირობა თაობიდან თაობას გადაეცემა. ხალხურმა პოეზიამ და ქართველმა პოეტებმა უკვდავყვეს მათი საქმე.

112.13. პაპუნა ორბელიანი – XVIII საუკუნის ისტორიკოსი. მისი თხზულება „ამბავი ქართლისანი“ აღწერს 1739–58 წლების საქართველოს ისტორიას და წარმოადგენს სეხნია ჩხეიძის ნაშრომის გაგრძელებას.

112.13. ომან ხერხეულიძე – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე. ერეკლე II–ის კარის ისტორიკოსი, მდივანბეგი. დაწერა „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა“.

112.15. „ჩუბინოვის დაბეჭდილი..“ – პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და ომან ხერხეულიძის „შემოკლებული ისტორია“ პირველად დავით ჩუბინაშვილმა დაბეჭდა 1854 წელს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში [ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე; სანკტპეტერბურღი, 1854].

112.15. დავით ჩუბინაშვილი (1814–1891) – პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე 1855–71 წლებში, გრამატიკოსი, ლიტერატურ-

რათმცოდნე, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი.

112.37. „მეფის თეიმურაზის დროინდელი ამბავია და მასუკან მეფის ირაკლისა..“ – იგულისხმებიან მამა–შვილი – თეიმურაზ II და ერეკლე II.

113. „კაროლის იაკობის მეორეს დროს“ – იგულისხმება ინგლისის მეფე ჯეიმზ II სტიუარტი (1633–1701).

113.8. მაკოლეს ისტორია – თომას ბაბინგტონ მაკოლეი (1800–1859), ინგლისელი ისტორიკოსი. მისი მთავარი ნაშრომია „ინგლისის ისტორია“.

113.19. „დახიზნული მეფე თეიმურაზ ფშავის სიმაგრეებში..“

– თეიმურაზ II იძულებული გახდა ირანელთა თავდასხმებს გასცლოდა და ოჯახით ფშავს შეჰფარებოდა. XVIII საუკუნის დასაწყისში კახეთი სრულიად გავერანებული, ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლილი, მიტოვებული იყო. გარდატეხა ამ ყოფაში შეიტანა ერეკლე ბატონიშვილის მიერ გადახდილმა პირველმა ომმა ნეიშნის მინდორზე, ლეკების წინააღმდეგ, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მაშინ უწოდეს 15–16 წლის ბატონიშვილს სიყვარულით „პატარა კახი“ და ეს სახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. ამ ომის შესახებ პიესები აქვთ დაწერილი ალექსანდრე ორბელიანსა და აკაკი წერეთელს.

113.29. გაისლამიზებული მეფე იესე (დაახლ. 1680–1727) – მუსლიმური სახელი – ალი–ყული–ხანი, ქართლის მეფე 1714–16 წლებში. ვახტანგ VI–ის ძმა. 1705–14 წლებში ირანის შაჰის სამსახურში იყო. 1714 წელს, როცა ვახტანგმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, ირანის შაჰმა ქართლის მეფედ გამაჰმადიანებული იესე დაამტკიცა. 1723 წლიდან, რაკი დასუსტებული სპარსეთი დაამარცხეს, თურქები აღმოსავლეთ საქართველოშიც შემოიჭრნენ და 1724 წელს იესე კვლავ ქართლის მეფედ გამოაცხადეს.

114.11. დიდი ანტონი კათალიკოზი – იხ. ამავე ტომში „მე და ის“, გვ. 235.

115.7 „ნადირშასთან, როგორ გამოიჩინეს თავი ინდოეთში..“

– ყმანვილი ერეკლე ნადირ–შაჰს ახლდა ლაშქრობებში, მათ შორის – ინდოეთშიც, სადაც თავი გამოიჩინა სიმამაცით, ერთგულებითა და და სხვა ღირსებებით. იხ. გამოცემის ტ. 3. „დუბროვინის მიმართ პასუხი“.

116.11. „ნადირშამ ქართლ–სომხითიდგან ოსმალთა და ქართლის მეფე გაიყუანა, ამის მიზეზისა გამო, ქართლ–სომხითი კახეთის მეფე თეიმურაზს მისცა..“ – თეიმურაზ II და ერეკლე

II ნადირშაჰის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. 1744 წელს ნადირმა ქართლის ტახტი თეიმურაზს დაუმტკიცა, კახეთისა კი – ერეკლეს.

116.23. „გაერთდა სრულიად საქართველო ერთ სამეფოდ“ – როცა 1744 წელს თეიმურაზ II ქართლის მეფედ დასვა ნადირშაჰმა და ერეკლე II – კახეთის მეფედ, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა.

117.1. არბაზი – გადასახადი, საურავი, ხარაჯა. ნადირ–შაჰმა ქართლ–კახეთს შეანერა 200 000 თუმანი. თუმცა ბოლოს იძულებული გახდა გადასახადი გაეუქმებინა. ამ პერიოდს თანამედროვენი „დიდ არბაზობასაც“ უწოდებენ.

120. განჯის ციხე აიღო – იხ. ამ ტომში „თელავი“. კომენტარი გვ. 230.

120.24. ყაჯარი აღამამადხან – აღა–მაჰმადი იყო ყაჯართა ტომის წარმომადგენელი, ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი.

120.29. „ქალაქი ტფილისი გაუოხრა“ – იგულისხმება კრწანისის ბრძოლა 1795 წელს.

120.30. „დაფარულმა მოლალატე მტრებმა...“ – ალექსანდრე ორბელიანი არაერთგზის საუბრობს სამშობლოს მოლალატეებზე. მეფის მოწინააღმდეგე რამდენიმე დასს ასახელებს. ის თხზულებები, რომლებშიც მოლალატეები არიან მხილებულნი, ძირითადად ალექსანდრე ორბელიანის ხუთტომეულის მესამე ტომში იბეჭდება („პლატონ იოსელიანსა“, „დუბროვინის მიმართ პასუხი“, „აღა–მამად–ხანის შემოსვლა“ და სხვა).

120.34. „ყარაბაღში რომ მოვიდა, იქ მოკლეს..“ – აღა–მაჰმად–ხანი 1897 წელს, ამიერკავკასიაში მეორედ ლაშქრობისას, მოკლეს მისმა მსახურებმა, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე, კერძოდ, შუშაში.

121.5. „ამის მეფობის დროები განსხუაებული ამით იყო, რომ რუსეთს მისცა საქართუელო..“ – ალექსანდრე ორბელიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეზე, გიორგი XII–ზე საუბრობს. მიაჩნია, რომ ერეკლეს ძე ბევრ დათმობაზე წავიდა რუსეთის ხელისუფლებასთან.

121.34. „კეთილშობილთ წინამძღომელი და მასუკან სოვეტნიკი“ – ალექსანდრე ორბელიანი 1827 წელს აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად, 1829 წელს – უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებლო ექსპედიციის მრჩეველად.

122.10. იოსებ მამაცაშვილი (1810–1874) – ამავე ტომის მომ-

დევნო წერილი „რედაქტორო უფალო ი. კერესელიძე!“ გვ. 250. დაახლოებით 1841 წლიდან გორის მაზრის მოსამართლეა.

122.15. ნეიდგრადი – ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარტი, კავკასიის მთავარმართებელი 1842–1844 წლებში.

122.15. ანნის ჯვარი – ანას ჯვარი, ჯილდო რუსეთის იმპერიაში. ჰქონდა რამდენიმე ხარისხი და ხარისხის შესაბამისად იყო სხვადასხვა ზომისა.

123.35. „ჩემი ორი პატარა ძმები გამაგზავნიეს პეტერბურღს..“ – 1827 წელს ალექსანდრეს უმცროსი ძმები – დიმიტრი (1808–1882) და ვახტანგი (1812–1890) გაემგზავრნენ პეტერბურღში სამხედრო განათლების მისაღებად. პეტერბურღში გაჩერდნენ ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან.

რედაქტორო უფალო ი. კერესელიძე!.. (125)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1861, №10, გვ. 174–177.

თარიღი: 1861 30 ივნისი.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი ...ქ. პიატიგორსკს.

125.8. „ურმით მოსიარულე ჩვენი ცისკარი აქ, პიატიგორსკში მოლასლასდებოდა..“ – პიატიგორსკი კავკასიის მინერალური წყლების საკურორტო ქალაქია, სადაც იმყოფებოდა ავტორი ამ წერილის დაწერის დროს. „ცისკარი“ დაარსების დღიდან ხელისმომწერთა სიმცირეს უჩიოდა და მისი გავრცელების არეალიც მაინცდამაინც ფართო არ იყო. ყოფილა პერიოდი, როცა მთელ საქართველოში სულ 60 კაცს ჰქონია გამოწერილი ჟურნალი. ცნობილია, რომ პოპულარობა „ცისკარს“ ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვამ...“ და მასთან დაკავშირებულმა პოლემიკამ მოუტანა. ამ წერილს ალექსანდრე ორბელიანი 1861 წლის ივნისში კი წერს, მაგრამ „ლასლასი“ და „ურმით სიარული“ ჟურნალის შესახებ უკვე შემუშავებული შეხედულებაა, რომელიც ჯერ არ შეუცვლია.

125.37. იოსებ მამაცაშვილი (1810–1874) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების ერთ–ერთი თაოსანი – იდეა მის სალონში ჩაისახა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. თანამშრომლობდა ივანე კერესელიძის „ცისკარსა“ და „გუთნის–დედაში“.

მავიერი პასუხი (127)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1634:11.

თარიღი: 1863 წ. 17 იანვარი.

ხელმოწერა: დევნილი. 17-ს იანვარს 1863-ს წელსა.

წერილი ქვეყნდება პირველად.

აშიაზე მინერილი აქვს: ცისკრის რედაქტორმა კერესელიძემ არ დამიბეჭდა, მითხრა – მითამ: ეს სტატია ჩემზედ არ იყოს. მეც თანა წარვხდი, მაგრამ ჩემზედ კი არის დაწერილი: წავიდა ის დრო. რა უყოთ, აგრე იქნება, უნდა რედაქტორს უთავაზოთ.

წერილი ხელმოწერილია ფსევდონიმით – დევნილი. ალექსანდრე ორბელიანი ძალიან იშვიათად იყენებს ფსევდონიმს. ამ შემთხვევაში, რადგან ივანე კერესელიძეს უარი უთქვამს სტატიის დაბეჭდვაზე, ეტყობა, რედაქტორიც, ასე ვთქვათ, მოწინააღმდეგეთა გვერდით იგულისხმა და ფსევდონიმით გამოხატა წყენა, ბრაზი უსამართლო დევნის გამო.

127.6. მართლისათვის განა?] როგორა და რისთვისა და ან საიდგან

128.1. მაღალი] გძელი

128.2. იმას] სამსალასა

127.1. წავიდა ის დრო – ანტონ ფურცელაძის კომედია – „წავიდა ის დრო“ – ფსევდონიმით „თავხედი“ – დაიბეჭდა „ცისკრის“ 1862 წლის დეკემბრის მე-12 ნომერში. მასში გაკრიტიკებულნი არიან ძველი, უაზრო მწერლები. როგორც ჩანს, ალექსანდრე ორბელიანმა კრიტიკა საკუთარ თავზე მიიღო და იწყინა.

127.14. მოლიერის კამედიებსა – მოლიერი ჟან-ბატისტ პოკლენი (1622 –1673), ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე. ცნობილია, როგორც „კომედი ფრანსეზის“ დამაარსებელი და „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი. ქართულ სცენაზე იდგმებოდა და მაყურებელთა შორის პოპულარობით სარგებლობდა მოლიერის პიესებიც.

130.32. პირველი ნაპალიონი – იგულისხმება ნაპოლეონ ბონაპარტე.

ზოზიართი შემცნავა (132)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“ 1865 №8, გვ. 1–31 (A); თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1879, გვ. 227–257 (B).

თარიღი: [1861–1863] 14 ივლისს. 1863 წელსა.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი ს. ტაბახმელას, 14 ივლისს. 1863 წელსა.

წერილს სქოლიოში ახლავს ავტორის **შენიშვნა:** „ერთხელ და ერთხელ დარჩა ეს სტატია, ველარ დავაბეჭდინე. მაინც ადრე თუ გვიან სულ ერთია, ოღონდ საქმეში შევიდეს“.

ეს წერილი, როგორც ჩანს, ალექსანდრე ორბელიანმა მაშინ დაწერა, როცა ილია ჭავჭავაძემ ქართული ენის რეფორმა დაიწყო და ქართული ანბანიდან ხუთი ასოს ამოღება გადაწყვიტა (1861 წლის აპრილში დაბეჭდილ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვაძის ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შემლილის თარგმანზედა“ და იმავე წლის ივნისში გამოქვეყნებულ წერილში „პასუხი“ განაცხადა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმის დაწყების – ანბანიდან ხუთი ასოს ამოღების – აუცილებლობის შესახებ).

საყურადღებოა, რომ ილიას სტატიას „პასუხი“ სათაურის ქვეშ ახლავს ასეთი მინაწერი: „ვუძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძეს ჯ. ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღებას აღირსებს ამ სტატიასა“.

ილია წერს: „ბარაქალა! ბარაქალა! სამი სტატია ერთს სტატი-აზედ, რა ანბავია....ეგ არაფერი კიდევა, სხვა კრიტიკებიც კიდევ მზადდება თურმე ჩემზედ“ (ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი ოც ტომად, ტ. V, გვ. 32–33. „მეცნიერება“, თბ., 1991). ილიას წინააღმდეგ მართლაც დაიბეჭდა სამი სტატია: 1. რევაზ ერისთავის „პასუხად თავად ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“, 2. ბარბარე ჯორჯაძის „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“ („ცისკარი“ №5) და 3. გიორგი ბარათოვის „წერილი რედაქტორთან („ცისკარი, №5–6). სარდიონ მესხიევის (ალექსი-მესხიშვილის) „უსტარი ანტიკრიტიკული“ გამოქვეყნდა „ცისკრის“, №6, იმავე ნომერში, რომელშიც ილიას „პასუხი“ (ამიტომ ილიამ მას ცალკე უპასუხა, თუმცა ის წერილი აღარ დაბეჭდილა). ხოლო მოგვიანებით, „ცისკრის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა ბარბარე ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“ და 1862 წლის

№2–ში „უფალო რედაქტორო“, ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმეს ხელმოწერით (ექვთიმე წერეთელი მწერალ გიორგი წერეთლის მამა გახლდათ).

საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ეს მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანისადმი. ილია შესაძლო თანამოაზრედ მიიჩნევდა ალ. ორბელიანს, ვინაიდან ის იცნობდა მის ადრე გამოქვეყნებულ წერილებს [იხ. ამ ტომში „ქართულის ენისათვის“ (1856), „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კომედიიზე“ („ცისკარი“, 1857 წ., №9), „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860, № 6, გვ. 90–104)], რომლებშიც გამოთქმულია მოსაზრება ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. ალექსანდრე ორბელიანი უპასუხოდ ვერ დატოვებდა ილიას ამ მიძღვნას, თუმცა მამათა და შვილთა პოლემიკამ იმდენად დაძაბული ხასიათი მიიღო, რომ შესაძლოა იმ დროისთვის თავი შეიკავა თავისი მოსაზრების გამოქვეყნებისგან, მითუფრო, რომ იგი შინაარსობრივად იზიარებს ახალი თაობის პოზიციას, ინონებს უ–ბრჯგუს ამოღებას ანბანიდან, თუმცა სხვა ასოების ამოღების აუცილებლობას ვერ ხედავს. იგი დარბაისლური („დარბაისელთ ენა“), ე. წ. საშუალო ქართული ენის დამკვიდრების მომხრეა, მაგრამ არც ახალი თაობის პრინციპული მოწინააღმდეგე არ არის. ამიტომაც მოგვიანებით მაინც მიბრუნებია ამ წერილს და ასეთი მინაწერიც გაუკეთებია: „ერთხელ და ერთხელ დარჩა ეს სტატია, ველარ დავაბეჭდინე. მაინც ადრე თუ გვიან სულ ერთია, ოღონდ საქმეში შევიდეს“. ს. ტაბახმელას, 14 ივლისს. 1863 წელსა.“

საბოლოოდ, წერილის გამოქვეყნებისგან მაინც თავი შეუკავებია და იგი მხოლოდ 1865 წლის „ცისკრის“ №8–ში დაუბეჭდავს.

მაშასადამე, ილიას მიძღვნა, პოლემიკის ისტორია და წერილის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული სტატიას შესაძლოა მიეცეს ე. წ. ფართო თარიღი – 1861–1863 წლები.

138. ვრაცის – ვრაცუა (სომხ.) ნიშნავს ქართველს. გიორგი ერისთავის „გაყრაში“ ხშირად ისმის „გიჟ–ვრაცუა“, ანუ გიჟი ქართველი. იმავეს ნიშნავს „დარდაკსა ვრაცის“.

138.2. დარდაკი – ალექსანდრე ნეიმენის სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით, შტერი. იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, სულელი, შეუსტვინე. გამოჩერჩეტიებული.

143.23. დავით ყიფიანი (1835–1892) – ქაიხოსროს ძე. მაქსიმე ბერძნისვილის ცნობით, დაამთავრა თბილისის კლასიკური

გიმნაზია. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნებულმა გახსნა კერძო სასწავლებელი. შემდეგ იყო ნოტარიუსი, მოსამართლე, სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის წევრი... ბეჭდავდა წერილებს „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“. თარგმნა უილიამ შექსპირის კომედია „დიდი ალიაქოთი სულ არარაოდ“ და ფრანგულიდან – ჟორჟ სანდის „არაკები“.

143.28. „რას ვეუბნები დ. ბაქრაძეს..“. – 1860 წლის „ცისკარში“ №9 გამოქვეყნდა ალექსანდრე ორბელიანის წერილი „პასუხი დიმიტრი ბაქრაძესთან შესახებ იმისგნით მოწერილის წიგნისა.“ იხ. II ტომი, გვ. 98.

144. ქერელი ბექა – ფსევდონიმი ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძისა (1839–1913). მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

145.16. კნიაზი ციციანოვი – პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754–1806). 1802 წელს დაინიშნა კავკასიის სასაზღვრო ხაზის ინსპექტორად. 1803 წელს ქართველი ბატონიშვილები გაასახლარუსეთში.

146.4. „ჩუენი მეორე ჟურნალი“ – იგულისხმება 1863 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ გამოცემული „საქართველოს მოამბე“, რომლის გამოსვლასაც ალექსანდრე ორბელიანი მიესალმა.

146.4. პირუელი რისთვის არის? – იგულისხმება ჟურნალი „ცისკარი.“

147.9. ნიკოლოზ ბარათაშვილი (დაახ. 1817–1845) – ქართველი რომანტიკოსი პოეტი.

„ღართულს ღართული“ (151)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1641.

თარიღი: [1863].

ხელმოწერა: არა აქვს.

პირველად გამოქვეყნდა: „ალ. ორბელიანის წერილი დ. ჭონქაძის „სურამის ციხეზე“, ჟ. „ცისკარი“, 1959 წ., № 6, ჯუმბერ ჭუმბურიძის პუბლიკაცია, გამოკვლევით.

ავტოგრაფში წერილს არც ხელმოწერა უზის და არც თარიღი.

ჯუმბერ ჭუმბურიძე წერილს ათარილებს **1863 წლით** და არგუმენტად მოაქვს ალექსანდრე ორბელიანის მოსაზრება, რომელშიც გულისხმობს გამომხაურებას „სურამის ციხეზე“ (იგულისხმება კირილე ლორთქიფანიძის წერილი „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახლი ჟურნალის სარგებლობაზედ“ („ცისკარი“ 1862 წ. №9) და ანტონ ფურცელაძის სტატია „სურამის ციხე“ დ. ჭონქაძისა“ („ცისკარი“ 1863წ. №1). (გვ.104).

სტატიის დათარილება შესაძლებელია მასში მოხსენიებულ ერთი რეალიის მიხედვითაც, სახელდობრ, ალექსანდრე ორბელიანი ახსენებს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოსვლას: „ცისკარმან“ გულგაშლითა ხელი მისცა ძმასა თვისსა და მეგობარს, ყველას გვიხაროდეს საქართუელს მოამბე“ ...იგულისხმება ჟურნალის გამოსვლა 1863 წელს.

საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ორბელიანის წერილი „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ (ცისკარი, 1859, №11) ერთი თვით ადრე დაიბეჭდა, ვიდრე „სურამის ციხე“ (1859 წ. №12–1860 წ. №1). დანიელ ჭონქაძის მოთხრობა ერთგვარად აბათილებს ალექსანდრე ორბელიანის მოსაზრებას, რომ ძველად საქართველოში ადგილი არ ჰქონია კლასობრივ დაპირისპირებას. „სურამის ციხე“ თითქოს დაერთო ალექსანდრე ორბელიანის სტატიას, ხოლო ეს კრიტიკული წერილი კი დაერთო „სურამის ციხეს“. შესაბამისად, უკვე გასაგები ხდება სათაური – „დართულს დართული“.

ავტოგრაფში არსებული ვარიანტული სხვაობა ასახულია ტექსტის პასპორტში, ხოლო ავტორის მიერ გადახაზული ვრცელი მონაკვეთები იბეჭდება დახრილი შრიფტით, სარედაქციო კოლექციის გადანყვეტილების შესაბამისად.

151.21. განკიცხეო] ახსენეო

152.11. რიგიანათ] რასმე

152.30. ამისთანა] ესრეთი

153.19. უსარგებლოს ქონებასა] იმ ზოგიერთს.

154. თავგამოდებულთ – გადახაზულია (ჯ. გ.).

154.20. იმის მზგავსად ყოველი სტატიები ასე არის – გადახაზულია (ჯ. გ.).

155.24. თავიანთი შესაფერი სასწავლებლები ქონდათ] ხასიათის სწავლა კარგის ზნეობისა, განგრძელდება, თორემ.

158.20. შურით ვხოცამთ ერთმანეთსა] შურისაგან ვიხოცებით ერთმანეთით

„აგერ რას ამბობენ: კაცი არ არის საქართველოში..“ – ცხა-
დია, ავტორი გულისხმობს ილია ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებს:
„რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო,
გრძნობა ჩემი განუზიარო (1861 წ.) – ჯუმბერ ჭუმბურიძის შენიშ-
ვნა.

153.1. მოლაყბის ფურცელი – იგულისხმება ივანე კერესელ-
იძის მიერ „ცისკარში“ შემოღებული რუბრიკა – „სალაყბო
ფურცელი“, რომელშიც თამამად იყო მოცემული ცხოვრების
ნაკლოვან მხარეთა მხილება. სალაყბო ფურცლებმა მკითხველ-
თა დიდი ინტერესი გამოიწვია.

153.21. ხურო ნაზარი – სულხან-საბა ორბელიანის იგავის,
„ძუნნი დიდვაჭრის“ მოქმედი პირი. სხვისი ქონებით მოულოდ-
ნელად გამდიდრებული.

153.27. „ორი დასი იბადება..“ – სავარაუდოდ, ალექსანდრე
ორბელიანი გულისხმობს ახალთაობელებსა და ძველი თაობის
წარმომადგენლებს. პირობითად – „საქართველოს მოამბისა“ და
„ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეთა წრეს.

160. ჭონქაძე – დანიელ ჭონქაძე (1830–1860), მწერალი („სურ-
ამის ციხის“ ავტორი), მასწავლებელი, სასულიერო წიგნების
ოსურ ენაზე მთარგმნელი, რუსულ–ოსური ლექსიკონის შემდ-
გენელი.

**160.2. „1859 წლის დეკემბრის თვის... და 1860 წლის იანვრის
„ცისკარში“..“** – ამ ნომრებში დაიბეჭდა პირველად დანიელ
ჭონქაძის „სურამის ციხე“.

160.21. „საბრალოებისთანა“ მიზერაბლ – ავტორი გულისხ-
მობს ვიქტორ ჰიუგოს რომანს „საბრალონი“ (ჯუმბერ ჭუმბუ-
რიძის შენიშვნა). „საბრალონის“ გიორგი ჩიქოვანისეული თარგ-
მანი დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“.

162.27. სურამის ციხე – შუასაუკუნეების ციხე შუა ქართლში,
დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში. ყიზილბაშთა წინააღმდეგ
ბრძოლაში სურამის ციხე გივი ამილახვრის ძირითადი დას-
აყრდენი იყო.

163.10. ამილახვარ გივმა – გივი ამილახვარი (1689–1754), ქა-
რთლ–კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. ხშირად იცვლ-
იდა საგარეო ორიენტაციასა და ბრძოლის მეთოდებს.

163.12. მეფე თეიმურაზ – თეიმურაზ II, კახეთის გამგებელი
1709–1715 წლებში, მეფე 1733–1744, ქართლის მეფე 1744 წლი-

დან სიცოცხლის ბოლომდე, 1762 წლამდე.

163.12. ნადირშა – იხ. ამ გამოცემის ტ. III, „დუბროვინის მიმართ პასუხი“, კომენტო. 10.

ტოლუბაშობა (164)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1868, №2, გვ.1–20 (A); თ. ალექსანდრე ჯამ–ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა. გვ.153–179, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1879 (B).

თარიღი: 1863 11–ს ნოემბერს

ხელმოწერა: თ. ალ. ვახ. ძე, ორბელიანი.11–ს ნოემბერს 1863–სა წელსა, ქ. ტფილისს.

საინტერესოა, რამ გამოიწვია 1863 წელს დაწერილი სტატიის ხუთი წლის შემდეგ, 1868–ში გამოქვეყნება? სტატიის ხელნაწერი არა გვაქვს. ნაბეჭდ ნყაროში გარკვევით იკითხება თარიღი: **1863 წლის 11 ნოემბერი**. იგივე თარიღი უზის წერილს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1879 წელს გამოცემულ კრებულში. კორექტურული შეცდომა გამორიცხულია, რადგან წერილი დაბეჭდილია 1868 წლის №2–ში და უფრო გვიან, იმავე წლის ნოემბერში, ვერ დაინერებოდა.

საქმე ისაა, რომ 1863 წელს ივანე კერესელიძემ ორი პოლემიკური წერილი არ დაუბეჭდა ალექსანდრე ორბელიანს: „მაგიერი პასუხი“ და „დართულს დართული“. ამან ორბელიანის გულისწყრომა გამოიწვია. მათ შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავდა. შესაძლებელია, „ტოლუბაშობაც“ დაწერისთანავე მიაწვდინა ავტორმა, მაგრამ რედაქტორმა ესეც არ დაბეჭდა, ასე ვთქვათ, ინერციით...

1868 წელს ალექსანდრე ორბელიანს უკვე განყვეტილი ჰქონდა კავშირი ივანე კერესელიძესა და „ცისკართან“ (1865 წლის შემდეგ აღარ თანამშრომლობს). ამიტომ საეჭვოა, 1868–ში თვითონ შეეთავაზებინა ჟურნალისტის გამოსაქვეყნებლად რამე. სავარაუდოდ, ივანე კერესელიძემ საკუთარი სურვილით, იქნებ ძველ მეგობართან და თანამოაზრესთან შერიგების მიზნითაც, გამოაქვეყნა ძველი წერილი.

165.18. მ.მ. – იგულისხმება მირზაჯანა მადათოვი. გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზში – „სულით ერთნო...“ მოხსენიებულია, როგორც „ლხინის პაპა“. იყო განთქმული მოქეიფე და თამადა. მეგობრობდა ბევრ ქართველ მოღვაწესთან. გრიგოლ ორბელიანმა ცალკე ლექსიც უძღვნა – „მირზაჯანას ეპიტაფია“.

166.16. ლ. – იგულისხმება ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანის ნათესავი.

168.23. თარხანია – თავისუფალია.

169.24. სანაჟურეები – ღვინის ნარჩენის ჩასასხმელი ჭურჭელი.

172.18. „ღენერალმა კრონილმა..“ – კარლ ფიოდორის ძე კნორინგი (1746–1820), საქართველოში რუსების ჯარების პირველი მთავარსარდალი და საქართველოს გუბერნიის მმართველი 1801–2 წლებში.

174.2. ეჯიბი – ქართულ საქორწინო ცერემონიალში ვაჟის მაყრების უფროსი.

მომთინაზისაგან გამოსვლა (176)

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1864, №1, გვ. 50–55.

თარიღი: [1864].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

176.33. სოკრატ ფილოსოფოსი – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (ქრისტეს დაბადებამდე V საუკუნე). დასაჯეს სიკვდილით. სოკრატეს დაწერილს ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. მისი შეხედულებების შესახებ მსჯელობა შესაძლებელია პლატონისა და სხვათა ჩანაწერების მიხედვით. ჩანს, სოკრატეს არად მიაჩნდა მატერიალური სიმდიდრე და მხოლოდ სულიერ ამბლლებას სახავდა ცხოვრების მიზნად.

177.38. ზარაფი – იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, ერთ–ერთი მნიშვნელობაა: პატარა, დასაწყარუნებული ხელის ზარი. სხვა მნიშვნელობით, ფულის დამხურდავებელი. აქ პირველი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ჰაი, საქართველო (180)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S-1634: 15.

თარიღი: 1866 წ., 9 აპრილი.

ხელმოწერა: ბერიკაცი.

9-ს აპრილს, 1866-სა წელსა, ქ. ტფილისს.

ბერიკაცი – ალექსანდრე ორბელიანის ფსევდონიმი.

პირველი პუბლიკაცია: „ლიტერატურულ საქართველო“, 1997, 8 აგვისტო.

181.1. ფიშიამი – საკმეველის კმევა. გადატანითი მნიშვნელობით, მლიქვნელობა.

180.24. „ჩვენი ყმები ჩვენგნით გათავისუფლდნენ“ – ალ. ორბელიანი გულისხმობს ბატონყმობის გაუქმებას საქართველოში 1865 წელს.

საქართველოს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი კირილია და მე (182)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1634:12.

თარიღი: 1865 წ. 29 ოკტომბერი – 1866 წ. 18 იანვარი.

ხელმოწერა: თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, ქ. ტფილისი.

„სტატიას ამავე გვერდზე მოსდევს სატირული ლექსი: „სიმ-შილით გამსჭვალა ვირი“, ტექსტი ბევრი სწორებია. იგივე შესულა მის ლექსთა კრებულშიაც, მგონი ვირი შეუცვლია „ძალლით“, იგი, როგორც ირკვევა, დაწერილია ივ. კერესელიძეზე“. ლექსის მერე თარიღად აწერია 29-ს იანვარს 1866-სა წელსა(ლუბა მეფარიშვილი ს შენიშვნა).

ეს წერილი ალექსანდრე ორბელიანს სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია, როგორც ჩანს, ივანე კერესელიძესთან გაფუჭებული ურთიერთობის მიუხედავად, მაინც არ სურდა ღიად გამოეთქვა თავისი მოსაზრება. წერილი ნასწორებია და ორგან უთითებს თარიღს „29-ს ოკტომბრტს, 1865-სა წელსა ქ. თფილისს.“ შემდეგ, როგორც

ჩანს, გადაიფიქრა გამოქვეყნება, თუმცა მომავალ წელს, რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა და ასე დაათარიღა: 18–ს იანვარს 1866–სა წელსა ქ. ტფილისი.“ საბოლოოდ კი სატირული ლექსით დაასრულა და ახალი თარიღიც დაუსვა 29–ს იანვარს „თა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

ლექსი ნასწორებია და იბეჭდება ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა I ტომში გვ.

წერილს ვათარიღებთ ფართო თარიღით: **1865–1866.**

ტექსტში ალ. ორბელიანის მიერ ნაშლილი სტრიქონები იბეჭდება დახრილი შრიფტით. ვარიანტული სხვაობა კი წარმოდგენილია აპარატში.

183.35. ხასიათის| ინტერესის.

186.17. უსამართლოთ| უმიზეზოთ და უარარაოთ.

187.36. იმის სიმართლე თავის ინტრიგებია, თავის ინტერესისათვის| იმის სიმართლე სულ თავის ინტერესზედ არის დამოკიდებული.

183.19 გ. ე. – გიორგი ერისთავი, „ცისკრის“ რედაქტორი.

184.9. „პეტერბურგიდამ დაუმტკიცდა „ცისკრის“ რედაქტორმა“ – საქართველოში ჟურნალი რუსეთის ხელისუფლების ნებართვის გარეშე ვერ გამოიცემებოდა. ამიტომაც დასჭირდა „ცისკრის“ გამოცემას იმპერატორ ალექსანდრე II–ის ოფიციალური თანხმობა, რომელიც რედაქციამ 1855 წლის ბოლოს უკვე მიიღო, თუმცა ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1857 წლის იანვარში.

184.19 „მერე მე ბროშურა გამოვცე..“ – იგულისხმება 1856 წელს გამოცემული ბროშურა „ქართულის ენისათვის“. ავტორი მიზნად ისახავდა ხელისმომწერთა მოგროვებას ჟურნალ „ცისკრისთვის“ (გამოიცა 1857 წელს ივანე კერესელიძის რედაქტორობით).

185.11. პეტრე ლარაძის დილარიანი – ერეკლე II–სა და გიორგი XII–ის კარზე პეტრე ლარაძე წიგნთსაცავის გამგე იყო. რუსეთში გადასახლებულთა თეიმურაზ ბატონიშვილს იგი თავისთან წაუყვანია პეტერბურგში. სადაც ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. 1810–37 წლებში დაუწერია საგმირო–სათავგადასავლო თხზულება „დილარიანი“. სარგის თმოგველის „დი-

ლარიანის“ არსებობა მე-12 საუკუნეში დასტურდება, თუმცა მე-18 საუკუნეში იგი უკვე დაკარგულად მიიჩნევა და მისი აღდგენა გადაუწყვეტია პეტრე ლარაძეს.

185.11. ბარამიანი სვიმონ მაყაშვილისაგან – ამბავი ბარამისა და გულამდამისა (გულიჯანისა) სპარსულიდან გადმოთარგმნეს ვახტანგ VI-ის ბრძანებით. ბარამგულიჯანიანი (მცირე ბარამიანსაც უწოდებენ ხოლმე) გალექსა ონანა მდივანმა (ქობულაშვილმა). ერთ-ერთი პოპულარული წიგნი იყო ძველ თბილისში. სვიმონ მაყაშვილის ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

185.21. „ჩემი ზოგიერთი სტატიები რომ არ დამიბეჭდა რედაქტორმა...“ – 1863 წელს ივანე კერესელიძემ ორი პოლემიკური წერილი არ დაუბეჭდა ალექსანდრე ორბელიანს: „მაგიერი პასუხი“ და „დართულს დართული“. სავარაუდოდ ამ გარემოებას გულისხმობს მწერალი ამ ფრაზაში.

ჩემ სტატიებზედ ძვირის ხსენება (191)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1634:13.

თარიღი: კაზრეთს, 1867 წ. 18 ივლისს.

ხელმოწერა: არა აქვს.

შენიშვნა: დანერილია ს. კაზრეთს 1867 წ. 18 ივლისს.

ეს თარიღი „1867 წ. 18 ივლისს“ მიწერილია მომდევნო წერილის („ახლა პუპლია“) ბოლოს. ეს ორი სტატია ერთ ფურცელზეა, რაც ნიშნავს, რომ ორივე ერთ დროსაა დანერილი. შესაძლებელია წერილის ამგვარად დათარიღება.

პირველი პუბლიკაცია: „ლიტერატურული საქართველო“, 1998, 27 თებ.

191.6. „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“ – ალექსანდრე ორბელიანის პიესა, პირველად დაიბეჭდა 1864 წლის „ცისკრის“ მე-2-მე-3 ნომრებში. იხ. ამ გამოცემის ტ. I გვ.

191.23. ყარამანიანი – საგმირო-სათავგადასავლო თხზულება. ძალიან პოპულარული იყო საქართველოში. სპარსეთიდან ჩამოიტანა დედანი და ქართულად თარგმნა სარდალმა დავით ორბელიანმა.

192.9. ლორდ ბაირონ, შექსპირ, გეტე–შილერისაც – ალექსანდრე ორბელიანი ხაზგასმით ამბობს, რომ კითხულობს და კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს, არამარტო აღმოსავლური, არამედ ევროპული მწერლობის ნიმუშებსაც.

192.19. საქართველოს პირველ მეფის ალექსანდრემდისინ – ალექსანდრე I (დაახ. 1454–1511), კახეთის მეფე 1476–1511 წლებში. მის დროს დადგინდა ახალჩამოყალიბებული კახეთის სამეფოს საზღვრები. ელჩები გაგზავნა რუსეთში და ამით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელოვან ეტაპს.

ქპირვასო ანტონ ნიკოლოზის ქავ ფურცელაკი! (193)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S-1634-16.

თარიღი: [1869 მარტი-ივნისი].

ხელმოწერა: დავშთები შენი ერთგული.

წერილი ხელმოუწერელია და უთარილო, თუმცა მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელია მიახლოებითი თარიღის დადგენა. „მნათობი“ გამოვიდა 1869 წლის მარტში. ალექსანდრე ორბელიანი ამ ჟურნალთან თანამშრომლობს დაარსებისთანავე (პირველივე ნომერში გამოქვეყნებულია მისი „ასპინძის ომი“) და ამასვე სთხოვს ანტონ ფურცელაძესაც. როგორც ჩანს, ადრესატმა გაითვალისწინა რჩევა და ამავე წლის ივლისიდან რამდენიმე ნომერში გაგრძელებით იბეჭდება მისი მოთხრობა „მართა“. ამიტომ წერილს პირობითად ვათარილებთ 1869 წლის მარტი-ივნისით.

ალექსანდრე ორბელიანი ივანე კერესელიძეს ეხმარებოდა „ცისკრის“ გამოცემაში თხზულებებით, მორალურად და ფინანსურადაც. ფაქტობრივად, ერთად გამოსცემდნენ ჟურნალს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ალ. ორბელიანის „ცისკარში“ თანამშრომლობა, რედაქტორთან და ჟურნალის ძირითად ბირთვთან მისი ურთიერთობა განუწყვეტელი იდეური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა“ (ალექსანდრე კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984 წ.). 1863 წელს რედაქტორმა მწერალს არ დაუბეჭდა ორი სტატია – „მაგიერი პასუხი“ და „დართულს

დართული“. ამან ორბელიანის გულისწყრომა გამოიწვია. კერესელიძესა და ორბელიანს შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავდა. დაახლოებით 1865 წლიდან მწერალი ჟურნალს ჩამოშორდა. ამ პოლემიკის ამსახველია სატირული ლექსიც „სიმშილით გამბრჭყვავი ძაღლკაცი“ (სტრიქონებს შორის იკითხება გვარი „კერესელიძე“ – „მაშ, შენს წევრთათვის შეკერე სელი, ძერა, ბუების დასაჯდომელი“) იხ. ამ გამოცემის ტ. I. გვ. 78.

1869 წელს ალექსანდრე ორბელიანმა თანამშრომლობა დაიწყო ახალდაარსებულ „მნათობში“.

193.4. მცხოვანებაში მივდივარ | მოვხუცდი.

193.5. ძალა მიმდის | მცირედ–მცირედ.

194.24. ნიკოლოზ ავალოვი – ნიკოლოზ ავალიშვილი (1844–1929) მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი 1869–72 წლებში.

194.26. „მნათობი“ – ჟურნალი „მნათობი“ 1869–72 წლებში გამოდიოდა თბილისში. დამფუძნებელი და რედაქტორი – ნიკო ავალიშვილი. იყო ერთგვარად ხალხოსნური მიმართულების ორგანო.

[ახლანდელს და უწინდელს დროზე შენიშვნა] წინასიტყვაობა (195)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S 1645.

თარიღი: 1869 12 ნოემბერი

ხელმოწერა: 12–ს ნოემბერს 1869 ს წელსა ქ. ტფილისს.

პირველად გამოქვეყნდა კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“, თბ., „ლომისი“ 1999., გვ. 114.

ეს არის ალექსანდრე ორბელიანის ერთ–ერთი ბოლო წერილი, ხელმოწერილია და დათარიღებული, თუმცა უსათაუროდაა. აწერია მხოლოდ „წინასიტყვაობა“. ამის შემდეგ კი გადაშლილია სათაური „ახლანდელს და უწინდელს დროზე შენიშვნა“ და ქვესათაურები დანომრილია.

შესაძლოა, ავტორი კვლავაც აპირებდა მასზე მუშაობას ან ველარ მოასწრო მისი დასაბეჭდად გადაცემა. 1869 წლის 28 დეკემბერს

იგი გარდაიცვალა. ჩვენ სტატიის ავტორისეული სათაური აღვადინეთ და კვადრატულ ფორმულებში ჩავსვით.

წერილში ავტორი ვრცლად ეხება საქართველოში რუსული პოლიტიკის მავნე გავლენას ქართული სახელმწიფოს თითქმის ყველა სფეროზე—განათლების, სამართლის, კულტურის, ახალგაზრდის ზნეობრივი აღზრდისა და სხვა. ეს არის ალექსანდრე ორბელიანის პოზიცია—უაღრესად მწვავე, მაგრამ სამართლიანი კრიტიკა დამპყრობელი ქვეყნის მიზანმიმართული ქმედების მიმართ. როგორც ჩანს, ავტორი მიხვდა, რომ ასეთი ფორმით წერილის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო და ამიტომაც ნაშლია ასეთი მძაფრი კრიტიკის შემცველი ადგილები. ტექსტში მრავლადაა გადაშლილი სტრიქონები. ვინაიდან ეს სწორება განპირობებული იყო კონიუნქტურული მოსაზრებით, ცენზურის მოსალოდნელი ჩარევის გათვალისწინებით, ძირითად ტექსტში, აღვადინეთ ნაშლილი მონაკვეთები და მას დახრილი შრიფტით ვბეჭდავთ.

200.9. ახლანდელი ყოველი ჩვენი საქმე | ზნეობა ძნელი ნარმოსათქმელია და თუ მოკლეთ გვათქმევინებთ (ვიტყვიტ), შვიდი მომაკვდინებელი.

212.19. სუბუქქვიანები | ანუ უფრო ზნეობით ნამხდრები.

მაშენიკობა და კლაუნნიკობა – რუსული სიტყვებია. თაღლითობა და ცილისმწამებლობა.

საძიებლები

სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე ანა 232
აბაშიძე ივანე (პირველი) 55, 56
აბაშიძე ივანე (მეორე) 55
აბაშიძე ივანე (მესამე) (იოანე კახთ აბაშიძე) 55, 234
ადიბეგ 89
ავალიშვილიგიორგი 235
ავალოვინიკოლოზ იხ.ნიკოლოზ ავალიშვილი 262
ალავერდელი იოსებ 229
ალბერტი იგ. კარლო ალბერტო 69, 239
ალექსანდრე ნეველი 233
ალექსანდრე I (კახეთის მეფე), პირველ მეფე ალექსანდრე 192, 261
ალექსანდრე II (იმპერატორი) 222, 223
ალექსი-მესხიშვილი სარდიონ 251
ამილახუარი გივი იგ, ამილახვარი 163, 255
ამილახვარი ოთარ 5, 233
ანასტასია 53, 54, 55, 233
ანგენსკი 11, 113
ანდრონიკაშვილი პაატა 235
ანდუყაფარ 49, 232
ანტონი ქათალიკოზი 60, 90, 91, 114, 225, 230, 235, 243, 247
ანტონი ჭყონდიდელი 90
აქულაშვილი 84, 85, 86, 87
არველაძე მაია 4
არისტოფანე 48, 231,
არისტოტელი იგ. არისტოტელე 127
არენმანელი ფადლა (იგივე არევმანელი ფადლა) 37, 228

ალა-მაჰმად-ხანი 230, 233, 248
არჩილ მეფე 36, 228

ბ

ბაგრატი IV 228
ბაგრატიონი თეიმურაზ იესეს ძე – იხ. ანტონ კათალიკოსი
ბაგრატიონის მუხრანცკიგიორგი 55, 233
ბაგრატიონ მუხრანსკი თ. ივანე 70, 71, 72, 73, 240
ბაირონი 192, 261
ბარათაშვილინიკოლოზ 147, 221, 234, 253
ბარათოვიგიორგი 251
ბარიატინსკი ალექსანდრე 234, 243
ბაქარ ქართლელ □ იხ. დიმიტრი ყიფიანი
ბაქრაძე დ. (დიმიტრი) ზაქარაიას ძე დიმიტრი ბაქრაძე 98, 143
ბატონიშვილი ანასტასია 53, 54, 55, 233,
ბატონიშვილი ანუკა 233
ბატონიშვილი აღმასხან (ვახტანგ) 225
ბატონიშვილი დიმიტრი 249
ბატონიშვილი თეიმურაზ 237, 259
ბატონიშვილი თეკლა 225, 233, 240
ბატონიშვილი ირაკლი/ერეკლე 247
ბატონიშვილი იულონ 225
ბატონიშვილი ლუარსაბ 249
ბატონიშვილი ქეთევან 240
ბერძნიშვილი მაქსიმე 252
ბიძინა (ერისთავი) 233
ბლიაძეები 9, 101, 220
ბროსეტი (მარი ბროსე) 62, 231, 235
ბრუტი 109

ბ

გაბოძე ჯულიეტა 4
გაბრიელ მაიორი 60, 235
გაიოზ რექტორი 243
გამსახურდია კონსტანტინე 229
გარსევანი 56
გეტე–გოეთე 192, 261
გიორგი ერისთავი (ატამანი) 233
გიორგი I 227, 227
გიორგი მეფე გიორგი XII 121, 225, 231, 232, 248, 259
გრიშაშვილი იოსებ 252, 257
გუგუნავა სიმონ 233
გურამიშვილი (დავით) 221

დ

დადიანი ნინო ლევანის ასული 240
დედოფალი დარეჯან (დადიანი) 33, 44, 46, 230, 233
დვანაძეგიორგი 240
დოდაევი სოლომონ 13, 222, 243
დონაური დაჩი იგ. ვაჩე ქობულის ძე 228
დონაური სამუილ (სამოელ) 36, 228

ე

ევმანიულ კაროლი 69, 239
ეკატერინე – ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე 26
ეკატრინე 234, 240
ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო 55
ერეკლე II იხ. აგრეთვე, მეფე ერეკლე, ბატონიშვილი 18, 19, 20, 33, 34, 38, 40, 41-47, 53-57, 60, 66, 75, 80, 81, 84-87, 107, 112-123, 156, 180,

192, 225, 227, 228, 233, 235, 240, 246, 248
ერისთავი გიორგის [დავითის] ძე 222, 231, 232, 238, 259
ერისთავი რევაზ (ქსნის ერისთავი) 233
ერისთავი რევაზ შალვას ძე 251

3

ვარანცოვი მ. ს. (მიხაილ ვორონცოვი) 61, 236
ვაჩე ქობულის ძე (იგივე დაჩი დონაური) 228
ვახანია ნინო 4
ვახვახიშვილი რევაზ 24, 226
ვახვახიშვილები 18, 20, 24, 225
ვახტანგ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის გარდაცვლილი შვილი ფხედის ქალისგან) 19, 225
ვახტანგ VI იხ. მეფე ვახტანგი 61, 76, 163, 235
ვახტანგ გორგასლანი იგ. ვახტანგ გორგასალი 110
ვახუშტი ბატონიშვილი 227, 228

ზ

ზარდიაშვილი ელისაბედ 4

თ

თამარი (გიორგი XII-ის და, დავით ორბელიანის ცოლი) 232
თარხნის შვილი ზაზა 55, 56,
თეიმურაზ II იხ. მეფე თეიმურაზ 39, 40, 42, 43, 84, 86. 87, 113, 114,
116, 117, 119, 163, 174, 180, 227, 228, 235, 246-248, 255

ი

იესე მეფე 113, 247
იმპერატორი ლუი 69

ოსელიანი პლატონ 48, 231, 248

პ

კალანდაძე ალ.(ექსანდრე) 261

კაპულეტები 153

კაროლი ევმანიუელ 69, 23

კაროლი იაკობი 113, 247

კერესელიძე ივანე 5, 6, 13,15, 64, 66, 67, 89,125, 144, 182-189, 193, 194, 222, 223, 233, 234, 236, 241-243, 245, 249, 250, 255, 256, 258-262

კვირიკე (კახთა ქორეპისკოპოსი) 34, 227

კვირიკე მეფე კვირიკე III 37, 228, 229

კირი (კიროს II) 232

კნეინა კეკე 53-56

კნორინლი იხ. კნორინგი კარლ ფეოდორის ძე 172, 257

კოლუმბი (ქრისტეფორე) 65,

კრატინი 48, 231

ლ

ლარაძე პეტრე 185, 259

ლეონიძე გიორგი 217, 226

ლორთქიფანიძე კირილე 254

ლორდ ბაირონ იხ.ბაირონი

მ

მ. მ. იგ. მადათოვი მირზაჯანა 165, 257

მაკოლეი თომასბაბინგტონ 113, 247

მამაცაშვილი იოსებ 122, 125, 248, 249

მაქსიმოვიჩი 234

მაყაშვილი სვიმონ 185, 259, 260

მეფა თამარი იგ. თამარ მეფე 60, 150
მეფარიშვილი ლუბა 117, 258
მეფე არჩილ 36, 228
მეფე ვახტანგი იხ. ვახტანგ VI
მეფე ირაკლი იხ. აგრეთვე, ერეკლე II
მეფე თეიმურაზი იხ. თეიმურაზ მეფე
მენანდრე 48, 232
მოლიერი (ჟან ბატისტ პოკლენი) 127, 231, 250
მონტეკუბი 153
მურავიოვი ნიკოლოზ 234
მუხრანბატონი გიორგი იგ. გიორგი-ბაგრატიონ მუხრანცკი 55,
233, 240
მუხრანბატონი ივანე 70, 71, 73, 240
მუხრანბატონი მიხეილ 72, 24

ბ

ნადირშა 117, 118
ნაპალიონი იგ. ნაპოლეონ ბონაპარტე 5, 10-11, 104, 130, 220, 250
ნიკოლაი ალექსანდრე 234
ნიკოლაძე ნიკო 242
ნინოწმინდელი (საბა ტუსისშვილი) 33
ნეიდგრადი ალექსანდრე მთავარმართებელი 249
ნეიმანი ალექსანდრე 252
ნოე (ბიბლიური პერსონაჟი) 23, 27, 224
ნურსალ-ბეგი 227, 229

ო

ომარხან 40-42, 224, 229
ონანა მდივანი(ქობულაშვილი) 260
ონანაშვილი ლუარსაბ 20

ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე ვახტანგის ძე (პუპლია) (ფსევდ. ბერიკაცი 258; დევნილი 127, 250) 1-4, 5,11, 16, 38, 50, 52, 57, 63, 64, 65, 67, 73, 88, 89, 97, 108, 110, 124, 126, 143, 144, 150, 175, 179, 182, 190, 217-219, 220-223, 225-227, 229, 231-235, 240-262

ორბელიანი ალექსანდრე ივანეს ძე 144

ორბელიანი ალექსანდრე ესტატეს ძე 144

ორბელიანი ალექსანდრე გიორგის ძე 144

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე 144

ორბელიანი გრიგოლ 222, 226, 227, 257

ორბელიანი თა დავით 51, 232

ორბელიანი დარია (დარეჯან) 226

ორბელიანი დიმიტრი 87

ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ვახტანგ 217, 246, 251

ორბელიანი თამაზ ჯ. ეშკალაბაში 107

ორბელიანი ლუარსაბ 166, 257

ორბელიანი მანანა 226

ორბელიანი / რევაზ სარდალი 87

ორბელიანი პაპუნა 60, 112, 246,

ორბელიანი საბა-სულხან ივ. აგრეთვე საბა ორბელიანი 12, 17, 42, 100, 221, 255

პ

პლატონი 257

პლავტი 48, 231

პუპლია/ორბელიანი ალექსანდრე იხ. აგრეთვე, ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე ვახტანგის ძე

ჟ

ჟღენტი ნიკოლოზ 4

რ

რაზმაძე სოლომონ 64, 236, 237
რეადი ნიკოლაი 234
როზენი გრიგოლ 240
როსტომ მეფე 99
რომულ (დიდო რომულ) 109
რუსთაველი შოთა 1, 2, 4, 48, 93, 95, 149, 217
რჩეულოვი გრიგოლ იგ. გრიგოლ რჩეულიშვილი 53-57, 233
რჩეულიშვილი გურამ 229

ს

საბა ორბელიანი იხ. ორბელიანი საბა-სულხან
სიმონიჩი 237
სოკრატ ფილოსოფოსი 176, 257
სტიუარტი ჯეიმზ II 247
სუმბათაშვილი ლუარსაბ 106

ტ

ტერენციო პუბლიუს ტერენციუსი 48, 231

უ

ურდურე ოვსთა მეფე 36, 228

ფ

ფრანკო სარდინია 68
ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე 144, 193, 250, 253, 254, 261
ფიცხელაური 84

ქ

ქართველიშვილი იოანე 243

ქერელი ბექა ფსევდ. (ანტონ ფურცელაძე) იხ. ფურცელაძე ანტონ
ქობულიშვილი მიხეილ (ევგენის (ესტატე) ძე) იგ. ქობულაშვილი 19
ქობულაშვილი დავით (ევგენის (ესტატე) ძე) 22, 36, 225-227

ყ

ყაზია 23-25,226

ყაფლანი 84, 221

ყიფიანი დავით 143, 144, 252

ყიფიანი დიმიტრი იგ. ბაქარ ქართლელი (ფსევდ.) 96, 222, 242, 243

ყორჩიბაშიშვილები 18, 19, 224

შ

შამილი 227

შაჰ-აბას I 246

შექსპირი 192, 261

შილერი 192, 261

ჩ

ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 84

ჩიქოვანი გიორგი 255

ჩუბინაშვილი დავით 243

ჩუბინაშვილი ნიკო 243

ჩხეიძე როსტომ 4, 217, 245

ჩხეიძე სეხნია 60, 246

ც

ციციანოვი იგ, ციციანოვი პავლე დიმიტრის ძე 145, 253

წ

წერეთელი აკაკი 227, 240, 241, 243, 245, 247

წერეთელი გიორგი 252

წერეთელი ექვთიმე (ეფთვიმე) 252

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 5, 9, 220, 234, 240

ჭავჭავაძე ილია 221, 222, 227, 231, 238, 239, 240, 241, 249, 251, 253, 255

ჭიჭინაძე ზაქარია 217, 234, 244-246, 251, 256

ჭონქაძე დანიელ 151, 152, 160-163, 254, 255

ჭუმბურიძე ჯუმბერ 217, 253-255

ხ

ხერხეულიძე ომან (მდივანი) 60, 112, 246

ხერხეულიძე ცხრა ძმა 112, 246

შ

შექსპირი 192, 261

შილერი 192, 261

ხ

ხოჯა ალამაჰმადხანი იხ. ალა-მაჰმად-ხანი

ჯ

ჯავად-ხანი 230
ჯავახიშვილი გიორგი 217
ჯოლოგუა თამაზ 4, 242, 243
ჯორჯაძე არჩილ 241
ჯორჯაძე ბარბარე 251

ჰ

ჰიუგო ვ.(იქტორ) 255

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ავსტრია 68, 69, 239
ალავერდი 46, 229
ამერიკა 65, 238
ანგლია იგ. ინგლისი 5, 10, 11, 65, 68, 113, 220
ანისი 228
არარატი 27
ატლანტიის უკიანე /ატლანტიის ოკეანე 65, 237, 238

ბორჩალო 103, 106, 234
ბოჭორმა 228

განჯა 18, 46, 54, 120, 230
გომბორი 225
გულგულა 36, 227
გუნიბი 227

დალისტანი 227, 229, 230

ვალენსია 65, 237

თბილისი 225, 230, 232, 235-238, 244, 248, 252, 260, 262

თელავი 5, 17, 46, 54, 60, 114, 121, 217, 223-228, 230, 233, 235, 248

თიანეთი 36, 228

თურდოს ხევი 36, 227

თურქმანი 43, 230

ინდოეთი 115, 117-119, 247

ისპანი, ისპანია იგ. ესპანეთი 65, 69

იტალია 5, 68, 69, 237, 239,

კავკაზია, კავკაზიის მთა 17, 20-22, 35, 36, 224, 227,

ს. კაზრეთი 11, 220, 260,

კართაგენი 231

კასპიის ზღვა 109

კახეთი 17, 21, 27, 33, 36, 39, 40, 46

კონანისი 230, 233-235

კურდღელაური სოფელი კახეთში 27, 226

მოსკოვი 19, 227, 244

მცხეთა 38, 46, 47 229, 230

ნეიშნის მინდორი 247

ნუი-ფოუნდლენდი 65

ოსმალთ /იგ. თურთქეთი 12, 39, 40, 55, 56, 86, 111, 229

პემზა 237

პეტერბურლი 123, 184, 233, 237, 244, 246, 249, 253, 259
პიატიგორსკი 125, 126, 249

რუსეთი 32, 35-37, 49, 60, 72, 120-122, 130, 196-200, 205-214, 227,
228, 234, 235, 240, 248, 249, 253, 257, 259, 261

საგარეჯო 225, 227, 255

საინგილო 230

სამუხრანო 86

სარდინია 68, 239

საფრანგეთი 69, 220, 239

სიღნაღი 40, 114, 229,

სომხეთი 38, 84, 113, 116, 225, 228, 247

სპარსეთი 44, 51, 86, 99, 112, 116-118, 120, 163, 166, 230, 232, 237,
247-260

ტაბახმელა 150, 252

ტანძია 84

ტფილისი 9, 22, 40, 45, 46, 53-55, 60, 81, 83, 87, 90, 110, 120, 121, 155,
175, 181, 189, 190, 202, 210, 214, 222, 230, 258 იხ. აგრეთვე: თბილი-
სი

ფრანცია 10, 11, 68

ფშავი 38, 113, 114, 247

ქართლი 38, 39, 40, 56, 229, 235, 247, 248

ქიზიყი 38, 39, 42, 43, 87, 229

შუშა 248

ცივი (მთა) 18, 225

ნმ. ელენეს კუნძული 10, 225

ჭარი 42, 230

ყარაბალი 120, 248

ყარახანი 103, 104,

ყვარელი 36, 40-42, 47, 227

ჰერეთი 36, 227, 230

ჟურნალების, წიგნებისა და მხატვრული ნაწარმოებების საძიებელი

გუთნის-დედა 249

ივერია 252

კავკაზი 225

ლიტერატურული საქართველო 245, 258

მნათობი 262

მოამბე 230

სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი 232

საქართველოს მოამბე 242, 253

ცისკარი 184, 224, 245, 248, 250-255, 259, 261

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I 246

თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ.

ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანისა 217, 245, 246

დიმიტრი ყიფიანის თხზულებანი ათ ტომად. ტ. IV 244

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ოც ტომად, ტ. V 251

ლექსიკონი 60

სიტყვა მამულის ტრაპეზზედ 217, 220, 239, 245, 246, 262

სიბრძნე სიცრუე იგ. „სიბრძნე სიცრუისა“ 60, 92

სიტყვის კონა 221

ქალაქური ლექსიკონი 257

ქართლის ცხოვრება 60, 225

„ალავერდობა“ 229
„ამბავი ქართლისანი“ 246
„არჩილიანი“ 60
„ალა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“ 247, 230
აღწერა სამეფოსა საქართველოსა
„ბარამიანი“ 185, 259
„ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“ 191, 260
„ბედი ქართლისა“ 234
„გამოცანები“ 231
„გაყრა“ 231, 232
„გულიჯარნიანი“ 60
„დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ 245
„დავრიშიანი“ 60, 92
„დიდოსტატის მარჯვენა“
„დილარიანი“ 185, 259
„ვარდბულბულიანი“ 60
„ვეფხვისტყაოსანი“ იგ. ვეფხისტყაოსანი 92, 93, 149, 236
„ვისრამიანი“ 92
„მართა“ 261
„მესმის მესმის“ 239
მდივანბეგის ომან ხერხეულიძის ისტორია 60
„მირის ამბავი“ 60
„პაპუნა ორბელიანის ისტორია“ 60
„პატარა კახი“ 247
„რუსუდანიანი“ 92
„საბრალონი“ 160, 255
სარკე-თქმული 60
სეხნია ჩხეიძის ისტორია 60
„სურამის ციხე“ 254
„ქაცვია მწყემსი“ 60
„ქართლის სალამი“ 245

- „ლვინჯუა“ 227
 „შემოკლებული ისტორია“ 246
 „ყარამანიანი“ 60, 92, 191, 233, 260
 „ნავიდა ის დრო“ – 127, 247

ანბანური საქიჯელი

ატლანტის ოკეანეს ზღვაში ტელეგრაფი.....	65...237
[ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა] წინასიტყვაობა.....	195...262
„დართულს დართული“.....	151...253
ვაი საქართველოვ.....	180...258
ზოგიერთი შემცნევა.....	132...251
თ–დი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა.....	9...220
თელავი.....	17...223
ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი.....	99...244
მაგიერი პასუხი.....	127...250
მე და ის.....	58...234
მოთმინებისაგან გამოსვლა.....	176...257
მონყალეო ხელმწიფევე უფალო რედაქტორო, ივანე კერესელიძე.....	15...223
ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა.....	10...220
ორიოდე სიტყვა ყარამანიანის წიგნზედ.....	51...232
პასუხი დიმიტრი ბაქრაძესთან შესახებ იმისგნით მოწერილის წიგნისა.....	98...243
[პატივცემულო ქართველებო...].	109...245
რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზედ.....	48...231
რედაქტორო უფალო ი. კერესელიძე!..	125...259
სალაყბოს ფურცელზე.....	66...238
საქართველოს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და მე.....	182...258

სიტყვა იტალიისათვის.....	68...239
ტოლუბაშობა.....	164...256
„უფალო რედაქტორო კერესელიძე“.....	64...236
უფალო რედაქტორო ი. კერესელიძე.....	89...241
უნინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში.....	74...241
ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად.....	111...246
ქართული უბნობა ანუ წერა.....	90...242
ქართულის ენისათვის.....	12...221
ქვრივის ლიმონების განხილვა ანუ კრიტიკა.....	53...233
ჩემ სტატიებზედ ძვირის ხსენება.....	191...260
ჩვენი საქართველოს საზოგადოება.....	70...239
ძვირფასო ანტონ ნიკოლოზის ძვე ფურცელაძე!.....	193...261

ISSN 978-9941-9865-5-0



9 789941 986550